

K 257 504
3

ზაურ ვულაია



პრიმიტივობა

(ზოგადი ნაწილი)

თბილისი
2003



გაურ გიორგის კე წულაია ღაიბაღა 1942 წელს ქალაქ სამბრეღიაში. 1958 წელს ღაამთავრა სამბრეღიის პირველი საშუალო სკოლა ღა მუშაოღა ღაიწყო ხარაბაღ ტრუსტ „საქაიის“ სამბრეღიის მუქანიკურ ქარხანაში.

1960 წელს სწავლა ბანაბრკო თბილისის სახელმწიყო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე, ფიქლოლოგიის სპეციალიტეტი. 1963 წელს ბაღავიღა იურიდიულ ფაკულტეტზე, როგეღი 1966 წელს წარბინებით ღაამთავრა. ამავე წელს ჩაირიხსა თბილისის უნივერსიტეტის ასპირანტურაში ღა მივეღინეაულ იქნა მრსკოვეში საკავშირო პროექტატურის ღანაშაულეზის მიღვევისა ღა მისი თავიღან ამიღევის ღონისკიებათა მუგმუშავებულ საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტში, საღას ხელმეღვანელოღას უწევღა პროფესორი იგორ კარკაიი.

1971 წელს ღაიხვა საკანღიღატო ღისერბაიია („საფიქრო მრეწველოღაში ღატაიხვათა ბამოქიება ღა თავიღან ამიღევა“), ხოლო 1994 წელს საღოქტორო ღისერბაიიღა („ღატაიხვეათან ბრკოლის კრიმინოლოგიური საფუკეღები მსუბუქ მრეწველოღაში“). წლების ბანეაველოღაში იყო იურიდიული ფაკულტეტის ღეკანის პირველი მრეღგიღე სასწავლო მუშაოზის ღარბში.

გაურ წულაია ამაღამაღ არის ივ. ჯავახიშვილის სახელოზის თბილისის სახელმწიყო უნივერსიტეტის სისხლის სამართლისა ღა კრიმინოლოგიის კათედრის პროფესორი. მის კალაგს ეკუთვენის მრავალი სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის ათი მონეოგრაფია. ნაყოფიერაღ მუშაოზს მხატვრულ ღიბერატურაში – 1995 ღა 1999 წელს ბამოქვეყნღა მისი ნეველეზის კრებული.


კვავს მუღღე ღა საში იურისტი ვაქი.

საქართველოს კრეშიღენის 2002 წლის 2 ივნისის ბანკარგულეებით ბატონი გაურ წულაია ღაქიღლოვღა ღირსეზის ორღენით.

ჭაურ ვულაია



პრიმიტოლობა (ზოგადი ნაწილი)



გამომცემლობა „ინტელექტი“
თბილისი 2003



წინამდებარე ნაშრომში, რომლის შექმნასაც საფუძვლად დაედო ჩვენს მიერ წაკითხული ლექციების კურსი კრიმინოლოგიაში, განხილულია, როგორც კრიმინოლოგიის სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული ზოგადი ნაწილის საკითხები, ასევე კრიმინოლოგიის კერძო ნაწილის სამი საკითხი: პროფესიული დანაშაულობა, ორგანიზებული დანაშაულობა და რეციდიული დანაშაულობა.

ნაშრომი განკუთვნილია იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტების, სამართალდაცვის ორგანოების მუშაკებისა და კრიმინოლოგიით დაინტერესებულ მკითხველთათვის.

ზაურ წულაია
იურიდიულ მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი

რედაქტორი დოცენტი **სოსო პაჭორია**

რეცენზენტები: იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი
ჯემალ ჯანაშია
 პროფესორი **ბიძინა ლუტიძე**
 დოცენტი **ირაკლი გომიაშვილი**
 დოცენტი **გოგი თოდრია**

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს
 ვ ა რ ლ ა მ ე ნ ტ ი ს
 ე რ ო ვ ნ უ ლ ი
 ბ ი ზ ლ ი ო თ ე კ ა

ISBN 99940-10-91-3

© გამომცემლობა „ინტელექტი“, 2003
 © ზაურ წულაია, 2003.

K 257.50 Y



თავი I. კრიმინოლოგია და მისი სახანო	5
§1. კრიმინოლოგიის ცნება.....	5
§2. კრიმინოლოგიის სისტემა.....	18
§3. კრიმინოლოგიაში გამოყენებული კვლევის მეთოდები.....	20
თავი II. დანაშაულობის ცნება	41
თავი III. დანაშაულობის მიჯნუებისა და ხელშეაწყობი პირობების ცნება	55
თავი IV. დანაშაულის ჩამდენი პირის ცნება	73
თავი V. ლატენტური დანაშაულობის ცნება	91
თავი VI. ვიქტიმოლოგია (დანაშაულის მსხვერპლი)	121
თავი VII. დანაშაულობის თავიდან აცილების ცნება	144
თავი VIII. დანაშაულობის პროგნოზირების ცნება და დანაშაულობასთან ბრძოლის დაგეგმვა	154
§. 1. დანაშაულობის პროგნოზირების ცნება და მნიშვნელობა.....	154
§ 2. დანაშაულობასთან ბრძოლის დაგეგმვის (პროგრამირების) თეორიული საფუძვლები	160
თავი IX. საზღვარგარეთის კრიმინოლოგიის ისტორია	170
§ 1. კრიმინოლოგიის ისტორიის პერიოდიზაცია.....	170
§ 2. სისხლის სამართლის კლასიკური სკოლის კრიმინოლოგიური იდეები.....	175
§ 3. პოზიტივიზმი კრიმინოლოგიაში.....	179
§ 4. თანამედროვე კრიმინოლოგია.....	189
თავი X. პროფესიული დანაშაულობა	196
§ 1. პროფესიული დანაშაულობის ცნება.....	196
§ 2. კრიმინალური პროფესიონალიზმის დახასიათება.....	200
§ 3. პროფესიული დანაშაულობის მიზეზები და მისი თავიდან აცილება.....	219

თავი XI. ორგანიზებული დანაშაულობა	224
§ 1. ორგანიზებული დანაშაულობის ცნება და ნიშნები	224
§ 2. ორგანიზებული დანაშაულობის კრიმინოლოგიური დახასიათება	235
§ 3. გარემოებანი, რომლებიც გავლენას ახდენენ ორგანიზებულ დამნაშავეობაზე	241
§ 4. კონტროლი ორგანიზებულ დანაშაულობაზე	246
თავი XII. რეციდივული დანაშაულობა	251
§ 1. რეციდივული დანაშაულობის ცნება	251
§ 2. რეციდივული დანაშაულობის დახასიათება	258
§ 3. რეციდივისტის პიროვნება	262
§ 4. რეციდივული დანაშაულობის მიზეზები და პირობები	266
§ 5. რეციდივული დანაშაულობის თავიდან აცილება	272



§ 1. კრიმინოლოგიის ცნება

ტერმინი „კრიმინოლოგია“ ხმარებაში შემოვიდა და ფართოდ გავრცელდა მას შემდეგ, რაც იტალიელმა მეცნიერებმა ტოპინარდომ და გაროფალომ 1885 წელს გამოსცეს ამავე სახელწოდების მონოგრაფია.

კრიმინოლოგია ეტიმოლოგიურად (წარმომავლობის, შემადგენლობისა და თავდაპირველი მნიშვნელობის მიხედვით) აღნიშნავს მოძღვრებას (სწავლებას) დანაშაულის შესახებ. იგი შენადგენი სიტყვაა. შედგება ლათინურისა „crimen“ (criminis) – დანაშაული და ბერძნული სიტყვისაგან „ισφοσ“ – მოძღვრება. მისმა შემდგომმა განვითარებამ უფრო ფართო მნიშვნელობა შეიძინა და ამჟამად გაგებულა, როგორც მეცნიერება დანაშაულობის შესახებ.

კრიმინოლოგია სხვა საზოგადოებრივ და, კერძოდ, იურიდიულ მეცნიერებათა შორის შედარებით ახალი დარგია. მისი არსებობის ათვლა, როგორც უკვე შევნიშნეთ, იწყება მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან. დანაშაულობა, როგორც სოციალური მოვლენა, ყოველთვის აინტერესებდა არა მხოლოდ სხვადასხვა მიმართულების სპეციალისტებს, არამედ ნებისმიერ ადამიანსაც. კაცობრიობას ყოველთვის შიშს ჰკვირდა და ჰკვირის დანაშაულობა, ამიტომ ეძებდა და ეძებს იგი მასთან ბრძოლის ეფექტურ მეთოდებსა და ხერხებს. რაც შეეხება მეცნიერებს, ისინი ამ პრობლემის შესწავლით ყოველთვის იყვნენ დაინტერესებულნი. უძველესი დროიდან დაწყებული მრავალი ფილოსოფოსის, ფსიქოლოგის, ფსიქიატრის, ექიმის, ისტორიკოსისა და სამართალმცოდნის შრომებში გვხვდება მსჯელობა იმის შესახებ, თუ რა ფენომენია დანაშაულობა, ვინ არიან დამნაშავენი, რატომ სჩადიან დანაშაულს და ა. შ.

მეცნიერები, თავიანთი სპეციალობის შესაბამისად, განიხილავდნენ დანაშაულობისა და დამნაშავის პიროვნებასთან დაკავშირებულ პრობლემებს და ქმნიდნენ „საკუთარ“ თეორიებს. სახელდობრ, დანაშაულობის გამომწვევ მიზეზებზე, ხელშემწყობ პი-

რობებზე, დანაშაულის ჩამდენ ადამიანებზე და სხვ. ამის შედეგად თანდათანობით იქმნებოდა დანაშაულობის სურათი. დანაშაულობის (როგორც სოციალური მოვლენის) გააზრებაში თავისი წვლილი შეიტანეს მწერლებმაც, რომელთა ნაწარმოებებში დანაშაულობის თემა, ისევე როგორც მსჯელობა ამ მოვლენის მიზეზების ირგვლივ და იმ პირებზე, რომლებიც სწადიოდნენ დანაშაულს, ფართო სპექტრით იყო წარმოდგენილი. აღსანიშნავია ისიც, რომ თუმცა ყველა მეცნიერი, მწერალი, გამოძიებელი, მოსამართლე, პროკურორი, ადვოკატი, პოლიციელი, დანაშაულობას ბოროტად თვლიდა და თვლის დღესაც, მაგრამ მხატვრულ ნაწარმოებებში ხშირად მწერალს გამოყვანილი ჰყავს ისინი როგორც კეთილშობილი დანაშაულები, რომელთა ქმედება თუმცა კანონით გათვალისწინებულ დანაშაულს მიეკუთვნება, მაგრამ მაინც თანაუგრძნობს მათ. ლიტერატურასა და ადამიანთა სოციალურ ყოფაში გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ჩადენილია სხვადასხვა სახის დანაშაული, მაგრამ მისი ჩამდენი პირები, იმის გამო, რომ ისინი ეროვნულ-განმანათავისუფლებელი მოძრაობის „ლიდერების“, პარტიათა „ბელადების“, „პოლიტიკოსებისა“ და ა. შ., როლში გამოდიან, დასჯილნი არ არიან და მათ მიერ ჩადენილი დანაშაულები სისხლის სამართლის სტატისტიკაში არ ხვდება. ასეთად უნდა მივიჩნიოთ, მაგალითად, აფხაზი სეპარატისტების მიერ ჩადენილი დანაშაულები.

ზემოაღნიშნული სახის ქმედებებს მართალია გმობს მსოფლიო საზოგადოებრიობა, მაგრამ ასეთი დაგმობა რჩება „ხმად მლადებლისა უდაბნოსა შინა“. როგორც ვხვდავთ, სამწუხაროდ, ადამიანები, თუმცა აღიარებენ, რომ ისტორიის მწარე წარსულიდან საჭიროა დასკვნების გამოტანა, მაგრამ ძალაუფლების მოპოვებისათვის ბრძოლაში თვითონვე სწადიან სხვადასხვა სახის ბოროტმოქმედებას და იმეორებენ წარსულის ერთსა და იმავე შეცდომებს. აქედან გამომდინარე, ნათელი ხდება, რომ დანაშაულობას გარკვეულ ასპექტში არა მხოლოდ საერთო-სისხლის-სამართლებრივი, არამედ პოლიტიკური მნიშვნელობაც გააჩნია.

კრიმინოლოგია, უპირველეს ყოვლისა, არის მეცნიერება საერთო-სისხლის-სამართლებრივი დანაშაულობის შესახებ, ხოლო დანაშაულობა, როგორც სპეციფიკური ნიშნების მქონე სოციალური

მოვლენა, მისი საგანგებო შესწავლის საგანია, თანაც მის წინააღმდეგ ბრძოლა შეუძლებელია მისი შემეცნების გარეშე.

კრიმინოლოგიის როგორც მეცნიერების განვითარების, გზა დასაწყისშივე ისე განისაზღვრა, რომ დანაშაულობის თეორიული გააზრება ხდებოდა ამა თუ იმ მეცნიერის ძირითადი ნიშნების კათვალისწინებით. ყალიბდებოდა ასევე კონკრეტული მიმართულებები (სკოლები), რომელთა ამოცანას შეადგენდა დანაშაულობის შემეცნება განსაზღვრული მეთოდოლოგიური პოზიციებიდან, მაგალითად, დღესაც შეუძლებელია ვილაპარაკოთ დანაშაულობათა თავიდან აცილებაზე ისე, თუ არ შემუშავდა მისი თავიდან აცილების კონკრეტული ღონისძიებები.

კრიმინოლოგიური მეცნიერების განვითარების გააზრება და ანალიზი საშუალებას იძლევა ვილაპარაკოთ მის სამ ძირითად მიმართულებაზე: სოციოლოგიურ, ბიოკრიმინოლოგიურსა და შერეულზე. მათში შეიმჩნევა ან ეკლექტიკური შერწყმა სოციალურისა და ბიოლოგიურის, ან მეცნიერულად უფრო მისაღები — სოციალურის წინ წამოწევით ადამიანის პიროვნული თავისებურებების — ბიოლოგიურის და ფიზიოლოგიურის — კათვალისწინება, მაგრამ არა როგორც დანაშაულობის მიზეზების, არამედ როგორც სოციალური მოვლენის შემეცნებისა და აღქმის ხელშემწყობი პირობების სახით. ამასთან, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ ხანგრძლივი დროის მანძილზე მეცნიერთა საკმაოდ დიდი ნაწილი დანაშაულობას განიხილავდა, როგორც ფსიქიკურ გადახრას, ავადმყოფობას და სწორედ ამის გამო, მას შესწავლიდნენ ფსიქიატრები. უახლოეს წარსულში, საბჭოურ და, საერთოდ, მარქსისტულ მეცნიერებაში, თითქმის ყველა მიმართულებას (სოციოლოგიურსაც კი) ძალიან ხშირად განიხილავდნენ როგორც „არამეცნიერულს“, ან, „რბილად“ რომ ვთქვათ, „ფსევდომეცნიერულს“, „ბურჟუაზიულს“, „ანტიმარქსისტულს“. ახლა როცა ზემოაღნიშნულმა დრომ (პერიოდმა) განვლო უნდა გვახსოვდეს, რომ ყველა ეს თეორია — მისაღებია თუ არა იგი ჩვენთვის, შექმნილია მეცნიერების მიერ (რომლებიც ამ პრობლემას განიხილავდნენ მეცნიერების განვითარების თავის დროის დონის შესაბამისად) და ამიტომ თავი უნდა შევიკავოთ იარლიყების მიკუთვნებისაგან.

მეცნიერებისათვის აუცილებელია წარსულის კრიტიკული აღქმა. სწორედ აღქმა და არა იარლიყური უარყოფა, რამეთუ არის

თეორიები, რომლებიც დღესაც პერსპექტიულია ამა თუ იმ მოვლენის არსის შეშვეცნების თვალსაზრისით. გასათვალისწინებელია ისიც, რომ არის თეორიები, რომლებიც სცილდებიან ჭეშმარიტებას. ასევე არის თეორიები, რომელთა გარეშე არ არის და არც შეიძლება იყოს პრაქტიკა და ბოლოს, არის თეორიები თეორიებისათვის, რომლებიც მოკლებულია პრაქტიკულ ინტერესს, მათი ცოდნა საჭიროა, მაგრამ კრიტიკულად უნდა ვკვრიტდეთ მათ არსს. კაცობრიობისათვის მიუღებელ (მავნე) თეორიებთან დაკავშირებით უნდა შევნიშნოთ, რომ ისინი ზოგიერთი პოლიტიკოსის მიერ, საკუთარი ანგარების მიზნით, შეიძლება გამოყენებულ იქნეს ადამიანთა საწინააღმდეგოდ. აქედან გამომდინარე, საჭიროა განვასხვავოთ საკუთრივ თეორიები და მათი გამოყენების პრაქტიკა. ჩვენ უკვე აღარაფერს ვამბობთ თეორიების მცდარ და დამახინჯებულ გაგებაზე დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლის საქმესთან დაკავშირებით, რასაც, სამწუხაროდ, არცთუ ისე იშვიათად აქვს ადგილი სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობაში.

ყოველივე ამასთან ერთად კრიმინოლოგიის მიზნებია: დანაშაულობისა და მის ჩამდენ პირთა შეშვეცნება და შესწავლა, დანაშაულობის მიზეზებისა და პირობების გარკვევა, თავიდან აცილების ღონისძიებების შემუშავება და სხვ., რაც, თავის მხრივ, მიმართულია საზოგადოებრივი ურთიერთობებისა და დანაშაულობასთან ბრძოლის ეფექტურად წარმართვისაკენ.

კრიმინოლოგიამ საბჭოთა პერიოდში განვითარების მეტად რთული გზა განვლო — სრული უარყოფისა და ცრუმეცნიერებად გამოცხადებიდან, კანონშემოქმედებისა და დანაშაულობასთან ბრძოლის პრაქტიკის თეორიულ საფუძვლად აღიარებამდე. იგი ცრუმეცნიერებად, უპირველეს ყოვლისა, იმის გამო ითვლებოდა, რომ აღიარებდა დანაშაულობის მიზეზების არსებობას „ყველაზე სრულყოფილ“ საზოგადოებაში, რაც დიდი ხნის მანძილზე მიიჩნეოდა ცილისწამებად სოციალიზმზე და ეს მაშინ, როდესაც წინააღმდეგობანი აშკარა და ცხადი იყო. დანაშაულობა არა მარტო რაოდენობრივად მატულობდა, არამედ უფრო საშიში ხდებოდა შინაარსობრივადაც (იგულისხმება თვისობრივი მარჯვებულები), თანაც მიზეზების „არარსებობის“ პირობებში. ამავ დროს ცნობილია, რომ როგორც ბუნებაში, ისე არც საზოგადოებაში მოვლენები უმიზეზოდ არ არსებობს. ამ პერიოდის იდეოლოგიის მთავარი მი-

ზანი იყო დაემტკიცებინათ სოციალიზმის უპირატესობა ყველგან და ყველაფერში. ამით, ცხადია, გამოუსწორებელი ზიანი ადგებოდა დანაშაულობის პრობლემების თეორიულ გააზრებასა და მასთან ბრძოლის პრაქტიკას.

ნებისმიერი სოციალური საქმიანობა მხოლოდ მაშინ არის ეფექტური, როდესაც იგი გააზრებულია, მეცნიერულადაა ახსნილი, დასაბუთებულია და გამოვლენილია მისი კანონზომიერებანი, ასევე განსაზღვრულია მისი ამოცანები, ახლო და საბოლოო მიზნები. ადამიანის სოციალური ყოფა ისევე მრავალგვარია, როგორც მისი თანმხლები წინააღმდეგობანი და კონფლიქტები. სწორედ ამით არის განპირობებული იმ სირთულეების წარმოშობა, რასაც ადგილი აქვს საზოგადოებრივ ურთიერთობებში; ასევე სოციალურ ჯგუფებს, კონკრეტულ ადამიანებსა და თვით საზოგადოებასა და პიროვნებას შორის.

სოციალური საქმიანობის განსაკუთრებულ სახეობას მინუსის ნიშნით წარმოადგენს ადამიანების დანაშაულებრივი საქმიანობა, კერძოდ, დანაშაულის ჩადენა. სამართლებრივმა მეცნიერებებმა (სისხლის სამართალი, სისხლის სამართლის პროცესი, სასჯელ-აღსრულების სამართალი და სხვ.), ადამიანებს შესაძლებლობა მისცა გაეგოთ დანაშაულის ბუნება, დანაშაულის სახეობები, დანაშაულობასთან ბრძოლის ფორმები და მეთოდები, პროცესუალური საქმიანობისა და დამნაშავეებისადმი მოპყრობის წესები. პრობლემებში ღრმად ჩაწვდომამ, თავის მხრივ, ნათელყო სხვა მეცნიერებათა მიღწევების (დამოუკიდებელი მეთოდების) გამოყენების აუცილებლობა დანაშაულობასთან ბრძოლაში. სწორედ ეს ამოცანა გადაწყვიტა კრიმინოლოგიამ. ამ მეცნიერებამ დანაშაულობასთან ბრძოლის სამართლებრივი და არასამართლებრივი (ტექნიკური, საბუნებისმეტყველო და სხვა) მეთოდების სინთეზირება მოახდინა. დანაშაულობის შეცნობის პროცესში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა სასამართლო ფსიქიატრიამ, ასევე სწრაფად განვითარებადმა სასამართლო (კრიმინალურმა) ფსიქოლოგიამ. მართალია ამ მეცნიერებებმა ვერ მოიცილა (და არც შეუძლია ამის გაკეთება თავისი სპეციფიკის გამო) დანაშაულობის პრობლემა — როგორც მოვლენა მთლიანობაში, მაგრამ მათი მიღწევების გამოყენებამ ხელი შეუწყო კრიმინოლოგიის განვითარებას. ეს უკანასკნელი კი შეისწავლის დანაშაულობას როგორც სოციალურ მოვლენას, რომელიც არსე-

ბობს საზოგადოებაში და უკავშირდება სხვა სოციალურ მოვლენებს, მას გააჩნია თავისი წარმოქმნის, არსებობისა და განვითარების კანონზომიერებანი. მასთან ბრძოლა მოითხოვს სპეციფიკურ და ზოგადი სახის მეთოდის გამოყენებას.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სისხლის სამართლის მკვლევართა შორის არსებობს თვალსაზრისი, რომლის თანახმადაც უარყოფილია კრიმინოლოგია არა მხოლოდ როგორც დამოუკიდებელი ზოგადთეორიული მეცნიერება დანაშაულობის შესახებ, არამედ როგორც მეცნიერება საერთოდ. ეს მეცნიერები თვლიან, რომ კრიმინოლოგია სისხლის სამართლის ან სოციოლოგიის ნაწილია¹. ცხადია, ასეთი შეხედულებები მომდინარეობს მე-20 საუკუნის ოციანი წლებიდან, როდესაც დანაშაულობის მიზეზების საკითხი სოციალიზმის დროს გადაწყვეტილი იყო „მთლიანად, ცალსახად და საბოლოოდ“. დიდ მტკიცებას არ საჭიროებს ის ფაქტი, რომ კრიმინოლოგიური გამოკვლევები და დასკვნები საშუალებას გვაძლევს უფრო ღრმად შევისწავლოთ სისხლის სამართლის, სასჯელთაღსრულებითი სამართლის, სისხლის სამართლის საპროცესო სამართლის, კრიმინალისტიკის, სოციოლოგიისა და ფსიქოლოგიის ინსტიტუტები. შესწავლის საბოლოო მიზანია დანაშაულობასთან წარმატებული ბრძოლა. ყოველივე ეს სრულებითაც არ „აღარბებს“ დასახელებული მეცნიერების დარგებს, როგორც ამას ამტკიცებენ კრიმინოლოგიის (როგორც მეცნიერების) აშკარა მოწინააღმდეგენი.

კრიმინოლოგია გამოეყო რა სისხლის სამართალსა და ზოგად სოციოლოგიას (ამჟამად ასეთი აზრიც არსებობს), მას მიეცა დამოუკიდებელი განვითარების შესაძლებლობა. ამასთანავე, იგი მჭიდრო კავშირშია სისხლის სამართლისა და სხვა სამართლებრივ

¹ მაგალითად, საბჭოური კრიმინოლოგიის ფუძემდებელი ა. ა. გერცენზონი ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ კრიმინოლოგია სისხლის სამართლის ნაწილია. ასეთივე პოზიცია ეკავა ა. ს. შლიაპოჩნიკოვს. შემდგომში მათ ეს შეხედულება შეცვალეს და კრიმინოლოგია დამოუკიდებელ დისციპლინად მიიჩნიეს. დღემდე ასეთი პოზიცია აქვს კრიმინოლოგთა აბსოლუტურ უმრავლესობას, გამონაკლისია ნ. მალახოვი, ა. ფეფელოვი და სხვ., რომლებიც კრიმინოლოგიას მეცნიერებად არ მიიჩნევენ (იხ. **Кримнология. М., 1995, стр. 16.** ქართული კრიმინალისტიკიდან, კრიმინოლოგიას მეცნიერებად არ მიიჩნევდა პროფ. ბ. ფურცხვანიძე და პროფ. ბ. ხარაზიშვილი.

მეცნიერებებთან, აგრეთვე სოციოლოგიასთან, ფილოსოფიასთან, მედიცინასთან, განსაკუთრებით ფსიქიატრიასთან (რადგან საჭიროა განვასხვაოთ ავადმყოფის ასოციალური ქცევა დანაშაულისაგან) და რიგ სხვა მეცნიერებასთან.

კრიმინოლოგიური აზროვნებისა და კრიმინოლოგიური მეცნიერების ლოგიკური განვითარება უფლებას გვაძლევს ვილაპარაკოთ კრიმინოლოგიაზე როგორც დანაშაულობის, მისი თანმზღები მიზეზებისა და პირობების, დანაშაულის ჩამდენ პირთა და დანაშაულობასთან ბრძოლის მეთოდების შესახებ ზოგადთეორიულ მეცნიერებაზე.

კრიმინოლოგია, როგორც შევნიშნეთ, მჭიდრო კავშირშია სხვა მეცნიერებებთან. ამიტომ, როდესაც ლაპარაკია მეცნიერების საგანზე, საჭიროა გამოვყოთ ის მთავარი, არსებითი, რაც განასხვავებს მას მომიჯნავე მეცნიერებებისაგან. ეს აუცილებელია იმიტომაც, რომ ბევრ მეცნიერს, როდესაც ლაპარაკია კრიმინოლოგიაზე, მისი არსებობის დასაწყისიდან დღემდე, უჩნდება ცდუნება გააფართოვოს მის საგანში შემავალ საკითხთა წრე. ეს გასაგებიცაა, რადგან თვით დანაშაულობას, როგორც სოციალურ მოვლენას, გადგმული აქვს ფესვები საზოგადოებაში.

კრიმინოლოგიის საგნის სადღეისო გაგება არ ყოფილა ცალსახა. მეცნიერების განვითარებასთან ერთად ის ზუსტდებოდა, იქნდა ხან ვიწრო, ხან კი უფრო ფართო მნიშვნელობას. კრიმინოლოგიის საგნის შემადგენელ ელემენტებს ერთდროულად არ მოუპოვებია კუთვნილი ადგილი. ზოგი ადრე დამკვიდრდა, ზოგიც მოგვიანებით. ასე მაგალითად, „დამნაშავის პიროვნებაში“ შედარებით მოგვიანებით დაიმკვიდრა თავისი ადგილი კრიმინოლოგიის საგანში. მანამდე „დამნაშავის პიროვნებას“ სწავლობდნენ სოციოლოგები, ფსიქოლოგები, მედიკოსები (განსაკუთრებით ფსიქიატრები) და სხვები. დანაშაულობის, როგორც სოციალური მოვლენის, ღრმა შესწავლის შემდეგ აშკარა გახდა, რომ არ შეიძლებოდა პიროვნების მოწყვეტა ქმედებისაგან და, რომ კრიმინოლოგიის გარდა, არც ერთ მეცნიერებას არ შეეძლო „თავისად“ ჩაეთვალა დანაშაულობის მთელი პრობლემა, ე. ი. ეს პრობლემა მთლიანად კრიმინოლოგიის შესწავლის ობიექტი გახდა.

კრიმინოლოგიის არსის გაგების საფუძველი მისი საგნისა და ობიექტების შეპირისპირებასა და გამიჯვნაშია. სოციოლოგიური

გაგებით კვლევის ობიექტია ყოველივე ის, რაც შეიმეცნება (რამეთუ ის ჯერ არ არის შეცნობილი და თუ იგი ცოდნას უპირისპირდება). მოვლენები, პროცესები, მათი მხარეები და ურთიერთობები, თუ ისინი მოითხოვენ შემდგომ კვლევას, წარმოადგენს კვლევის საგანს. აქედან გამომდინარე, კრიმინოლოგიის კვლევის საგნად გვევლინება დანაშაულობა (როგორც სოციალური მოვლენა), მისი მიზეზები და პირობები, დამნაშავეის პიროვნება (ვინც სჩადის დანაშაულს), დანაშაულობის თავიდან აცილებისა და კონტროლის ფორმები და მეთოდები. ამასთან უნდა გვახსოვდეს, რომ დანაშაულობა არა უბრალოდ სოციალური მოვლენაა, არამედ სამართლის ჩარჩოებში (ფარგლებში) „ჩასმული“ სოციალური მოვლენა. იგი მოძრავია, რადგან კონკრეტულ დანაშაულთა ცნება არ არის გაყინული კატეგორია. სოციალური ცხოვრების ეს მოვლენები ობიექტურად არსებობს და მეტ-ნაკლებადაა დამახასიათებელი ნებისმიერ სოციალურ-პოლიტიკური სისტემისათვის. ბუნებრივია, არსებობს განსხვავებაც, რამაც თავი იჩინა კაცობრიობის განვითარების უფრო გვიანდელ ეტაპებზე და რაც დამოკიდებულია ამათუ იმ ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და ეროვნულ თავისებურებებზე.

ამრიგად, კრიმინოლოგიის მეცნიერების საგანია თვით მოვლენა (დანაშაულობა), მისი არსის ერთობლიობასა და მრავალსახეობაში და ის ფაქტორები, რომლებიც უშუალოდაა მასთან დაკავშირებული.

საინტერესოა პროფ. ა. ა. გერცენზონის შეხედულება კრიმინოლოგიის საგანზე. მისი აზრით, კრიმინოლოგია სისხლის სამართლის მეცნიერების ერთ-ერთი ცენტრალური განყოფილებაა და მოიცავს მთელ რიგ საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია დანაშაულობის სრული აღმოფხვრის ამოცანის გადაწყვეტასთან სახელმწიფო და საზოგადოებრივი ღონისძიებების გამოყენების გზით. ამ ცენტრალური ამოცანის გადასაწყვეტად კრიმინოლოგია შეისწავლის დანაშაულობას, მის გამომწვევ მიზეზებს, მისი ჩადენის ხელშემწყობ პირობებს, აგრეთვე დამნაშავეთა პიროვნებას და ამუშავებს ღონისძიებათა სისტემას, რომელიც მიმართულია დანაშაულთა წინასწარ აცილებაზე.

დანაშაულობის შესწავლა და წინასწარ აცდენა თეორიული თვალსაზრისით, — აღნიშნავს ა. გერცენზონი, — სისხლის სამართლის მეცნიერების კომპეტენციაა. სწორედ ეს მეცნიერება, რომელიც შეისწავლის სისხლის სამართლის კანონებს, დანაშაულს, სასჯელსა და დანაშაულობასთან ბრძოლის სხვა ღონისძიებებს — მოწოდებულია გამოიკვლიოს დანაშაულობის პრობლემა და მასთან ბრძოლის ღონისძიებანი არა მარტო იურიდიული, არამედ სოციალურ-პოლიტიკური, სოციოლოგიური თვალსაზრისითაც. მაგრამ დანაშაულობის, მისი მიზეზების, პირობების, წინასწარ აცდენის ღონისძიებათა სოციოლოგიური შესწავლა ზასიათდება თავისებური სპეციფიკით, გულისხმობს თავისებური ხერხების, სპეციალური მეთოდების გამოყენებას, რაც სცილდება სისხლის სამართლის მეცნიერების ფარგლებს. ამიტომ დანაშაულობის პრობლემის სოციოლოგიური შესწავლისათვის საჭიროა განვავითაროთ, სისხლის სამართლის მეცნიერების ფარგლებში, მისი სპეციალური განყოფილების სახით, კრიმინოლოგია.

სისხლის სამართლის მეცნიერების ასეთი განყოფილების შექმნის წინადადებასა და ცდას, — აღნიშნავს პროფ. ა. გერცენზონი, — წინააღმდეგობას უწყევდა ზოგიერთი თეორეტიკოსი და პრაქტიკული მუშაკი. ერთნი შიშობდნენ, რომ საბჭოთა კრიმინოლოგია აითვისებდა ბურჟუაზიული კრიმინოლოგიის იდეებს. მეორენი ფიქრობდნენ, რომ კრიმინოლოგიის შემოღების შედეგად დანაშაულობის შესწავლისა და წინასწარ აცდენის საკითხები ამოვარდებოდა სისხლის სამართლის მეცნიერების ფარგლებიდან და მოხვდებოდა ბიოლოგების, ფსიქოლოგების, ფსიქიატრებისა და სხვათა გავლენის სფეროში, რის გამოც სისხლის სამართლის მეცნიერებას დარჩებოდა მხოლოდ დანაშაულის შესწავლის იურიდიულ-დოგმატური ასპექტი, ზოლო თვით დანაშაულობის პრობლემა გადაიჭრებოდა ბიო-ფსიქოლოგიური თვალსაზრისით. დაბოლოს, იყვნენ ისეთნიც, რომელთაც არ წამოუყენებიათ არავითარი კონკრეტული მოსაზრება კრიმინოლოგიის წინააღმდეგ, მაგრამ ისინი შეპყრობილი არიან რა სიახლის შიშით ფიქრობენ, თუ აქამდე არ გვქონდა ეს მეცნიერება, მომავალშიც, შეიძლება უამისოდ მუშაობაო.

პროფ. ა. გერცენზონს ყველა აღნიშნული მოსაზრება უსაფუძვლოდ მიაჩნია. მისი აზრით, მითითება იმაზე, რომ კრიმინოლოგია „ბურჟუაზიული წარმოშობისაა“, იმგვარადვე მოკლებულია საფუძველს, როგორც, ვთქვათ, მითითება სისხლის სამართლის პროცესის, კრიმინალისტიკის წარმოშობაზე. იმის შიშში, რომ დანაშაულობის პრობლემა „ამოვარდება“ სისხლის სამართლის მეცნიერების სფეროდან უსაფუძვლოა, რამდენადაც ჩვენ გამოვდივართ იმ სავალდებულო წანამძღვრიდან, რომ კრიმინოლოგია წარმოადგენს სისხლის სამართლის მეცნიერების ნაწილს, განყოფილებას, რომელსაც თუმცა აქვს თავისი სპეციფიკა, მაგრამ იგი მაინც მჭიდროდაა დაკავშირებული სისხლის სამართლის მეცნიერებასთან. დაბოლოს, მოსაზრება, რომ აქამდე თეორია და პრაქტიკა მუშაობდა კრიმინოლოგიის გამოუყენებლად და მომავალშიც შეიძლება უამისოდ მუშაობა, აგრეთვე მოკლებულია საფუძველს. ვინაიდან სახელმწიფომ და სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობამ დააყენა სრული მოცულობით დანაშაულობის აღმოფხვრის ამოცანა, რაც უნდა განხორციელდეს. თავის მხრივ, ამ ამოცანის შესრულება შეუძლებელია დანაშაულობის სისტემატური შესწავლის გარეშე. თეორიამ უნდა მიაწოდოს პრაქტიკას ყველაფერი, რაც კი საჭიროა დანაშაულობის ყოველდღიური შესწავლისა და წინასწარი აცილების ორგანიზაციისათვის, ამის მიღწევა კი შესაძლოა სისხლის სამართლის მეცნიერების ახალი განყოფილების – კრიმინოლოგიის განვითარების გზით.

პროფ. ა. გერცენზონის შეხედულებით კრიმინოლოგიის საგანს შეადგენს: 1) დანაშაულობა; 2) დამნაშავეთა პიროვნება; 3) მიზეზები და პირობები, რომლებიც ხელს უწყობენ დანაშაულთა ჩადენას; 4) დანაშაულობის წინასწარ აცილების ღონისძიებანი; 5) დანაშაულობის შესწავლისა და წინასწარ აცილების მეთოდის საკითხები¹.

პროფ. ი. კარპეცის შეხედულებით კრიმინოლოგიამ უნდა შეისწავლოს არა მხოლოდ დანაშაულობა და მისი გამოვლენის სხვადასხვა ფორმები, არამედ ზოგიერთი ამორალური გამოვლინებებიც, რაც დანაშაულებრივი ქცევის თავისებური წინაპირობაა. მაგრამ სადაა ამ მოვლენათა შესწავლის საზღვრები იურიდიულ

¹ Герцензон А. А. Введение в криминологию. М., 1965, стр. 21-43.

მეცნიერებაში? შეუძლია თუ არა კრიმინოლოგიას უსასრულოდ გაფართოვდეს და გაღრმავდეს უარყოფითი მოვლენების შესწავლით?

ი. კარპეცს მოაქვს ლოტობის მაგალითი და აღნიშნავს, რომ ამ მოვლენას სწავლობენ სოციოლოგები, ფსიქოლოგები, ექიმები და სხვ., მაგრამ ყველა მკვლევარი ლოტობას განიხილავს სხვადასხვა პოზიციიდან. ერთნი შეისწავლიან მის სოციალურ მნიშვნელობას, მეორენი — მის გავლენას ადამიანის ფსიქიკურ და ფიზიკურ მდგომარეობაზე და ა. შ. ამ პრობლემისადმი კრიმინოლოგიის ინტერესი კი იმაში მდგომარეობს, რომ დაადგინოს თუ რა სახის დანაშაულს სწადიან ყველაზე ხშირად ის პირები, რომლებიც იმყოფებიან მთვრალ მდგომარეობაში. დაადგენს რა ყველაზე უფრო ტიპურ დანაშაულებს (ჩადენილს სიმთვრალეში), ამის საფუძველზე კრიმინოლოგიამ უნდა შეიმუშაოს რეკომენდაციები ამ სახის გამოვლინებასთან საბრძოლველად. თავისი დასკვნები და რეკომენდაციები, ცხადია, მან უნდა გადასცეს სოციოლოგებს, პედაგოგებს, ფსიქოლოგებსა და ა. შ. კრიმინოლოგიის როლი უნდა მდგომარეობდეს ამორალურ გამოვლინებათა გამომჟღავნებაში, ე. ი. დანაშაულისწინა ქცევების დადგენაში, რომლებიც ყველაზე ახლოსაა დანაშაულობასთან და რომლის თავიდან აცილება რეალურად აისახება სამართალდარღვევათა შემცირებასა და იმ პირთა რიცხვზე, რომლებიც ასეთ საქციელში არიან შემჩნეული. გარდა ამორალური ქცევისა, — აღნიშნავს ი. კარპეცი, — არის საზოგადოებრივ პრაქტიკაში სხვა მოვლენები, რომლებიც ახლოსაა დანაშაულობის პრობლემასთან, მაგრამ ისინი არ შეისწავლება კრიმინოლოგიის მიერ. მაგალითად, ისეთი მოვლენა როგორცაა თვითმკვლელობა. ზოგიერთი ფიქრობს, რომ ამ მოვლენას უნდა სწავლობდეს კრიმინოლოგა, რამდენადაც თვითმკვლელობის ფაქტზე აღიძვრება სისხლის სამართლის საქმე. მაგრამ ეს ხდება იმისათვის, რომ დადგინდეს, მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში, ხომ არ ჰქონდა ადგილი თვითმკვლელობამდე მიყვანას. ასეთი ფაქტის დადგენის შემთხვევაში კრიმინოლოგია ხსნის მის მიზეზებს, ხოლო თუ ადგილი აქვს თვითმკვლელობას, მაშინ კრიმინოლოგიას არ უნდა ჰქონდეს ინტერესი მისდამი, რადგან მისი მიზეზები ინდივიდუალურია და დანაშაულობასთან კავშირი არა აქვს. სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესებიდან გა-

მომდინარე, ასეთი მოვლენა საჭიროა შესწავლილ იქნას, რადგან ასეთი ხდება საზოგადოებაში, მაგრამ თვითმკვლელობის ფაქტი — ესაა სოციოლოგიური და ფსიქოლოგიური პრობლემა¹.
დასასრულს, კრიმინოლოგიის საგნის საკითხთან დაკავშირებით, ხაზი გვინდა გავუსვათ იმ გარემოებას, რომ კრიმინოლოგიურ ლიტერატურაში კრიმინოლოგიისა და მისი საგნის შესახებ მთელ რიგ ავტორთა მიერ ადგილი აქვს აზრთა სხვადასხვაობას, რაც, ბუნებრივია, იწვევს კრიმინოლოგიის საგნის სხვადასხვაგვარ განმარტებას. მაგალითად, 1967 წელს გამოცემული ლექციების კრებულში ხაზგასმულია, რომ კრიმინოლოგიის საგნად გვევლინება: დანაშაულობა, მისი წარმოშობი მიზეზები და ის პირობები, რომლებიც ხელს უწყობენ დანაშაულის ჩადენას. დამნაშავეთა პიროვნება და დანაშაულობის თავიდან აცილების ღონისძიებები. 1968 წელს გამოცემულ სახელმძღვანელოში კრიმინოლოგია განსაზღვრულია როგორც „მეცნიერება დანაშაულობის მდგომარეობაზე, დინამიკაზე, შესწავლის მეთოდებზე, მისი თავიდან აცილების გზებსა და საშუალებებზე ჩვენს საზოგადოებაში“.

1976, 1979, 1988, 1995, 1997 და 2000 წელს გამოცემულ სახელმძღვანელოებში კი კრიმინოლოგიის საგნად მიჩნეულია არა მარტო ინდივიდუალური დანაშაულებრივი ქცევა, არამედ თვით დანაშაულობაც როგორც მასობრივი ქცევა; რაც შეეხება კრიმინოლოგიის განსაზღვრას, იგი მიჩნეულია ზოგადთეორიულ მეცნიერებად დანაშაულობის შესწავლაზე; ვხვდებით ისეთ განმარტებასაც, რომლის მიხედვითაც კრიმინოლოგია არის მეცნიერება დანაშაულობის კანონზომიერებებისა და მისი შინაარსის შესახებ.

ზემოაღნიშნული განმარტებები სრულყოფილი არ არის. კრიმინოლოგიის მეცნიერების საგანში უნდა შევიდეს დანაშაულობა და მისი ძირითადი მაჩვენებლები (სახელდობრ: მდგომარეობა, დინამიკა, სტრუქტურა); დანაშაულობის მიზეზები და ხელშემწყობი პირობები; დანაშაულის ჩამდენი პირი; ლატენტურობის, ვიქტიმოლოგიისა და დანაშაულობის პროგნოზირების საკითხები. მისმა საგანმა უნდა მოიცვას ასევე კრიმინოლოგიის კერძო ნაწილით გათვალისწინებული ისეთი საკითხები, როგორცაა: არასრულწლოვანთა და ახალგაზრდობის დანაშაულობა; ძალადობითი

¹ Карпец И. И. Проблема преступности. М., 1969, с. 163-164.

დანაშაულობა; ეკონომიკური დანაშაულობა; ორგანიზებული დანაშაულობა; პროფესიული დანაშაულობა; რეციდიული დანაშაულობა; გაუფრთხილებლობითი დანაშაულობა; დანაშაულობის შესწავლის მეთოდები და დანაშაულობის თავიდან აცილების ღონისძიებები. კრიმინოლოგიამ გვერდი არ უნდა აუაროს ასევე დანაშაულობის მდგომარეობის, დინამიკის, მიზეზებისა და პირობების შესწავლას საზღვარგარეთის ქვეყანაში, ასევე სამეცნიერო სკოლებისა და კრიმინოლოგიური თეორიების მიმოხილვას.

საბოლოოდ უნდა ვთქვათ, რომ კრიმინოლოგია – ესაა მოძღვრება დანაშაულობისა და მისი თავიდან აცილების შესახებ. სხვანაირად თუ ვიტყვით, ესაა მეცნიერება დანაშაულობის როგორც სოციალური მოვლენის შესწავლისა და მისი თავიდან აცილების ღონისძიებათა შემუშავების შესახებ.

ლიტერატურაში სადავოა საკითხი ასევე იმის შესახებ, თუ რა ადგილი უკავია კრიმინოლოგიას სამართლებრივ მეცნიერებათა სისტემაში. ავტორთა ერთი ნაწილი კრიმინოლოგიას მიიჩნევს დამოუკიდებელ კომპლექსურ მეცნიერებად, რომელშიაც შედის, ერთი მხრივ, სისხლის სამართლის, ადმინისტრაციული სამართლის, სისხლის სამართლის პროცესისა და კრიმინალისტიკის ცალკეული ელემენტები, ხოლო მეორე მხრივ, სტატისტიკის, ფსიქოლოგიის, პედაგოგიკისა და ეკონომიური მეცნიერების ელემენტები. ავტორთა მეორე ჯგუფი კრიმინოლოგიას განიხილავს როგორც სისხლის სამართლის მეცნიერების ნაწილს, რომელიც მათი აზრით განუყოფელ კავშირშია სისხლის სამართლის პროცესთან, სტატისტიკასთან, ფსიქოლოგიასთან და სხვ. ვფიქრობთ, რომ ავტორთა პირველი ჯგუფის მოსაზრება უფრო სწორია.

კრიმინოლოგები ერთი აზრისანი არიან იმაში, რომ კრიმინოლოგია სოციალური მეცნიერებაა და შეეხება იურიდიული მეცნიერების ფარგლებს.

ს ა მ ა რ თ ვ ე ლ ო ს
პ ა რ ლ ა მ ე ნ ტ ი ს
ი რ ო ვ ე უ ლ ი
გ ი გ ლ ი ო თ ე კ ა

§2. კრიმინოლოგიის სისტემა

კრიმინოლოგიის სისტემის საკითხთან დაკავშირებით უნდა შევნიშნოთ, რომ კრიმინოლოგიის სისტემაზე საუბარი გულისხმობს მის მიერ შესასწავლ პრობლემათა განხილვის რიგს, ვთქვათ, ყველაზე უფრო ზოგადიდან, გლობალურიდან, ფუძემდებლურიდან კონკრეტულამდე. მთელ რიგ სახელმძღვანელოებსა და კურსებში სწორედ ასეთი პრინციპია გატარებული¹.

სამართლის დარგებში (რომლებიც დაკავშირებულია კანონმდებლობასთან), მეცნიერების სისტემა, ზმირად, ემთხვევა კანონმდებლობის სისტემას. როგორც ცნობილია, სისხლის სამართლის მეცნიერება შედგება „ზოგადი“ და „კერძო“ ნაწილისაგან და შესაბამისად სისხლის სამართლის კოდექსსაც გააჩნია „ზოგადი“ და „კერძო“ ნაწილი. „ზოგად“ ნაწილში მოცემულია ზოგადთეორიული, მეცნიერებისა და პრაქტიკისთვის ამოსავალი დებულებები, „კერძო“ ნაწილში კი – დანაშაულთა სახეები, მათი კონკრეტული შემაღვენლობა და სასჯელის ზომა.

იმის გამო, რომ ტრადიციებს მეცნიერებაში საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს, კრიმინოლოგიაც (მისი უფლებებში აღდგენისა და 1966 წელს პირველი სახელმძღვანელოს გამოსვლიდან) დაყოფილ იქნა „ზოგად“ და „კერძო“ ნაწილებად. კრიმინოლოგიის „ზოგად“ და „კერძო“ ნაწილს განსხვავებით სისხლის სამართლისაგან არ გააჩნია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლების, კვალიფიკაციის, კონკრეტულ სასჯელთა და სხვა პრობლემა. სწორედ ამის გამო იგი წარმოგვიდგება, პირობითად რომ ვთქვათ, ისეთ დისციპლინად, რომელიც მოიცავს დანაშაულობის პრობლემებთან დაკავშირებულ ზოგად და კერძო ხასიათის საკითხებს. მეცნიერთა უმრავლესობა, ვინც ტრადიციას მისდევს, ამტკიცებს, რომ კრიმინოლოგიის „ზოგადი ნაწილი“ მოიცავს ისეთ პრობლემებს, როგორიცაა: დანაშაულობა, მისი მიზეზები, დანაშაულის ჩამდენი პიროვნება, დანაშაულის თავიდან აცილების ზოგადი თეორია“, ხოლო „კერძო“ ნაწილი – დანაშაულობის სახეობათა და მათი თავიდან აცილების კონკრეტულ ღონისძიებათა

¹ Карпец И. И. Проблема преступности. М., 1969, с. 163-164.

დახასიათებას¹. ასეთი პოზიცია, რა თქმა უნდა, სწორად უნდა მივიჩნიოთ. მაგრამ აქვე უნდა დავსძინოთ, რომ კრიმინოლოგიის ნაწილებად დაყოფის საკითხის გააზრება უნდა მოხდეს ზოგადისა და კონკრეტულის ურთიერთდამოკიდებულების საფუძველზე. საქმე იმაშია, რომ საკითხების უმრავლესობა, თითქოსდა სამართლიანად მიკუთვნებული, „კერძო“ ნაწილის პრობლემებს (მაგალითად, რეციდიური დამნაშავეობა), თავისთავად მეტად დიდ ზოგად-თეორიულ პრობლემას წარმოადგენს, ე. ი. საკითხების უმრავლესობა კრიმინოლოგიაში ორმაგი შინაარსითაა დატვირთული, რაც, თავის მხრივ, მათი დაყოფის შესაძლებლობას იძლევა ზოგად და კერძო (კონკრეტულ) ნაწილებად.

დანაშაულობის დაყოფა სახეებად (ორგანიზებულ, პროფესიულ, რეციდიულ, არასრულწლოვანთა, ქალთა, თანამდებობის პირთა და ა. შ.), რაც ამ მოვლენის მთლიანობის ამსახველია, მეცნიერების სისტემაში შემაჯავალ ნაწილებად უნდა მივიჩნიოთ. სხვანაირად თუ ვიტყვით, კრიმინოლოგიის მეცნიერების სისტემას მასში შემაჯავალი საკითხები განსაზღვრავს.

ბოლო დროს გამოცემულ კრიმინოლოგიის სახელმძღვანელოებში² სისტემის საკითხი არასრულყოფილადაა წარმოდგენილი. სახელდობრ, მათში ზოგად და კერძო ნაწილზე მითითებას ვერ ვხვდებით. სისტემა მხოლოდ თავების დასახელებით მთავრდება, რაც არასწორად უნდა მივიჩნიოთ.

კრიმინოლოგიის სისტემის საკითხი ჩვენ ასეთნაირად წარმოვიდგენია: ზოგადი ნაწილი – აქ უნდა შევიდეს შემდეგი თავები: 1) კრიმინოლოგი და მისი საგანი; 2) დანაშაულობის ცნება; 3) დანაშაულობის მიზეზებისა და ხელშემწყობი პირობების ცნება;

¹ ასეთი თვალსაზრისისაა: ა. ვერცენზონი, ა. ვაჩიშვილი, ა. შლიაპონიკოვი, ვ. კუდრიავეცევი, ი. კარაევი, ნ. კუზნეცოვა, ა. გაბიანი, ვ. ზვირბული, ა. ლარკოვი, ვ. იასტრეხოვი, ვ. ერმაკოვი, ი. ანტონიანი, ა. კაზარინა, ა. იაკოვლევი, ს. ბუზინოვი, ვ. ემინოვი, ტ. კორიაგინა და სხვა მრავალი ცნობილი მეცნიერი.

² **Криминология**, М., 1885; **Криминология**, М., 1992; **Криминология**, М., 1988; **Криминология**, М., 2000, Под редакцией проф. **А. И. Долговой** (ამ სახელმძღვანელოში სისტემა წარმოდგენილია შვიდი კარისა და 33 თავის სახით, რაც შეეხება დაყოფას „ზოგად“ და „კერძო“ ნაწილებად ასეთს ამ სახელმძღვანელოში ვერ ვხვდებით, რაც ნაკლად უნდა მივიჩნიოთ).

4) დანაშაულის ჩამდენი პირის ცნება; 5) ლატენტური დანაშაულობის ცნება; 6) ვიქტიმოლოგია (დანაშაულის მსხვერპლი); 7) დანაშაულის თავიდან აცილების ცნება; 8) საზღვარგარეთის კრიმინოლოგიის ისტორია.

რაც შეეხება კერძო ნაწილს — აქ უნდა შევიდეს შემდეგი თავები: 1) ძალადობითი დანაშაულობა; 2) დანაშაულობა ოჯახის სფეროში; 3) დანაშაულობა ეკონომიკური საქმიანობის სფეროში; 4) ეკოლოგიური დანაშაულობა; 5) კორუფციული დანაშაულობა; 6) პენიტენციარული დანაშაულობა; 7) რეციდივული დანაშაულობა; 8) პროფესიული დანაშაულობა; 9) ორგანიზებული დანაშაულობა; 10) არასრულწლოვანთა დანაშაულობა; 11) სოციალური გადახრები და დანაშაულობა.

§3. კრიმინოლოგიაში გამოყენებული კვლევის მეთოდები

კრიმინოლოგიის მეთოდოლოგიურ¹ საფუძვლად, ისევე როგორც ყველა ნებისმიერი მეცნიერებისათვის, გვევლინება მატერიალისტური დიალექტიკის კანონები და კატეგორიები. მათზე დაყრდნობით განისაზღვრება დანაშაულობის წარმოშობა, მისი ბუნება და სოციალური არსი, მიზეზები და ხელშეწყობი პირობები, დანაშაულის ჩამდენი პირის თავისებურებანი და პროფილაქტიკის შესაძლებლობანი. დიალექტიკის კატეგორიებს მიეკუთვნება: არსი, მოვლენა, კონკრეტული, მთლიანი, განსაკუთრებული, ზოგადი, აუცილებელი, შემთხვევითი და სხვ. დაპირისპირებულთა ერთიანობისა და ბრძოლის კანონი გვევლინება მეთოდოლოგიურ წინა პირობად იმისა, რომ შესწავლილ იქნეს: დანაშაულობის მიზეზები, დამნაშავის პიროვნება (მისი დადებითი და უარყოფითი თვისებებით); ფაქტორები, რომლებიც კონკრეტული დანაშაულებრივი ქცევის განმსაზღვრელია (მადეტერმინირებელია). რაოდენობრივიდან

¹ მეთოდოლოგია — ესაა მოძღვრება მეცნიერული კვლევის მეთოდების შესახებ; ამა თუ იმ მეცნიერებაში გამოყენებულ კვლევის მეთოდთა ერთობლიობა. მეთოდოლოგია არის რისამე პრაქტიკულად შესრულებისათვის საჭირო მეთოდების, წესების ერთობლიობა. რაც შეეხება მეთოდს — იგი ბუნებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენათა კვლევის, შეცნობის ხერხია.

თვისობრივში გადასვლის კანონი ცხადს ხდის (გვიხსნის) არა მარტო დანაშაულობის სტრუქტურაში არსებულ ცვლილებებს, არამედ მისი სახეების თვისობრივი მაჩვენებლების (მახასიათებლების) ტენდენციებსაც.

ამრიგად, დიალექტიკის კანონებისა და კატეგორიების საფუძველზე (კონკრეტული ისტორიული პირობების გათვალისწინებით) შესაძლებელი ხდება როგორც კრიმინოლოგიური ობიექტების გაღრმავებული შესწავლა და გამოკვლევა, ასევე მიზანმიმართული და თანამიმდევრული ანტიკრიმინოგენური ზემოქმედება სოციალურ მოვლენებსა და პროცესებზე.

კრიმინოლოგიური გამოკვლევების მეთოდიკა — ესაა სისტემა კონკრეტული წესების, მეთოდების, საშუალებებისა და ხერხებისა, რომლებიც მიმართულია დანაშაულობის (მისი მიზეზებისა და პირობების), დანაშაულის ჩამდენი პიროვნების, კრიმინოლოგიური პროგნოზირებისა და გამაფრთხილებელი ღონისძიებების ეფექტურობის შესასწავლად. ამა თუ იმ კონკრეტული მეთოდის არჩევა დამოკიდებულია თვით კვლევის შინაარსზე, მის მიზნებსა და იმ ობიექტებზე, რომლებიც შესწავლას ექვემდებარებიან.

კრიმინოლოგიაში, სოციოლოგიური გამოკვლევების მიღწევათა ფონზე, წარმატებით ინერგება კვლევის ახალი მეთოდები, რომლის ცოდნა და გააზრება კრიმინოლოგიური გამოკვლევების ჩატარებისას კრიმინოლოგისათვის აუცილებელია.

კრიმინოლოგიაში მეტწილად გავრცელებულია კვლევის შემდეგი მეთოდები:

1. სტატისტიკური მეთოდი — რომლის დახმარებით გამოიკვლევა დანაშაულობის რაოდენობრივ-თვისობრივი მაჩვენებლები და პირები, რომლებსაც ჩაიძინეს სამართალდარღვევები. ეს მეთოდი შესაძლებლობას იძლევა: ა) მოგვცეს დანაშაულობის მდგომარეობის ყოველმხრივი ციფრობრივი დახასიათება მთელი ქვეყნის, მისი რეგიონების, ცალკეული დასახლებული პუნქტებისა და ცალკეული ობიექტების მასშტაბით; ბ) გამოვლინდეს დანაშაულობის განვითარების კანონზომიერებანი მთელი ქვეყნისა და რეგიონების მიხედვით, ასევე მისი დინამიკა; გ) დახასიათდეს დამნაშავეთა შემადგენლობა სოციალურ-დემოგრაფიული და სხვა ნიშნებით, რასაც სისხლისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური მნიშვნელობა აქვს (სქესი, ასაკი, ჩადენილი დანაშაულის რაოდენობა და ა. შ.);

დ) განსაზღვროს ციფრობრივი მონაცემებით, შედარებით უფრო დამახასიათებელი, მტკიცე და კანონზომიერი კავშირი დანაშაულობასა და სხვა სოციალურ მოვლენებს შორის; ე) შეკრებილ იქნეს აუცილებელი ციფრობრივი მასალა, რომელიც შეიძლება გამოდგეს დანაშაულობის მიზეზებისა და ხელშემწყობი პირობების დასახასიათებლად, აგრეთვე მათი პროგნოზირებისა და პროფილაქტიკური ზემოქმედების კონკრეტულ ღონისძიებათა შესამუშავებლად; ვ) მიღებულ იქნეს აუცილებელი მონაცემები, რომლებიც ახასიათებენ დამნაშავეების მიმართ გამოყენებულ სისხლისსამართლებრივ და ადმინისტრაციულ ზასიათის ზემოქმედების ღონისძიებებს. ეს მონაცემები მიზნად ისახავს ასევე მოხდეს ზემოქმედების ღონისძიებათა გამოყენების ოპტიმიზაცია და მისი ეფექტურობის დადგენა.

2. ანკეტური მეთოდი. ეს მეთოდი წარმოადგენს კრიმინოგენური პრობლემების გამოკვლევის ხერხს, რომლის შინაარსიც გამოიხატება, როგორც გამოსაკითხავ პირთა (რესპოდენტების) გამოკითხვაში, ასევე იმ მონაცემების განზოგადობაში რაც მოცემულია, მაგალითად, სისხლის სამართლის საქმეში. გამოკითხვა ხდება სპეციალურად შემუშავებული ანკეტების საფუძველზე. ანკეტურ გამოკითხვას შეიძლება დაექვემდებაროს დამნაშავეები, დაზარალებულები, სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლები, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, მოსახლეობის ცალკეული ჯგუფები და ა. შ. ანკეტირების გზით, სახელდობრ, შესაძლებელია:

ა) დანაშაულობის მიზეზებისა და მისი ჩადენის ხელშემწყობი პირობების გამოვლენა და შესწავლა; დანაშაულის ცალკეული სახეების გავრცელებულობისა და მათი ძირითადი მახასიათებლების დადგენა;

ბ) ცალკეულ მოვლენათა გავრცელებულობის ხარისხის განსაზღვრა, რაც უარყოფითად მოქმედებს პიროვნების ქცევაზე (ლოთობა, ნარკომანია, ტოქსიკომანია, მაწანწალობა, უმუშევრობა და ა. შ.);

გ) საზოგადოებრიობისა და სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობის ეფექტურობის გამოკვლევა (თანამშრომელთა, კომპეტენტურ პირთა, მოსახლეობისა და სხვათა გამოკითხვით);

დ) რეციდივული დანაშაულობის შესწავლა; სასჯელის ღონისძიებათა ეფექტურობის დადგენა; არასრულწლოვანთა დანაშაულობის გავრცელებულობის მიზეზების გამოკვლევა და სხვ.

ანკეტური მეთოდის უპირატესობა იმაში გამოიხატება, რომ იგი საშუალებას იძლევა მიღებულ იქნას მონაცემები ისეთ მარჯვენებლებზე, რომლებიც შეუძლებელია დადგინდეს, ვთქვათ, სტატისტიკური მასალებით და, რაც მთავარია, შესაძლებელი ხდება მიღებული მონაცემების მრავალგზის გადამოწმება. აღნიშნული მეთოდის უარყოფითი მხარე იმაში მდგომარეობს, რომ ამ დროს გარდუვლად თავს იჩენს ანკეტური გამოკითხვით მიღებული ინფორმაციის სუბიექტურობა.

განასხვავებენ დახურულ ანკეტებს, რომლებშიც ყველა პასუხი გათვალისწინებულია წინასწარ, და ღიას, რომლებშიც ჩაიწერება ის პასუხი, რომელსაც იძლევა გამოსაკითხავი პირი (რესპოდენტი) ან რომლებიც ამოიკრება სისხლის სამართლის საქმიდან. შეიძლება იყოს ღია-დახურული ანკეტებიც. ამ შემთხვევაში ნაწილი პასუხებისა შემოთავაზებულია, ხოლო მეორე იწერება ანკეტირების დროს. ღია და დახურული პასუხები შეიძლება იყოს ერთი კითხვის ფარგლებშიც. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ანკეტირების მეთოდი დადებით შედეგს იძლევა იმ შემთხვევაში თუ იგი ერწყმის სხვა მეთოდებს, რაც უზრუნველყოფს გამოკვლევისა და მისი შედეგების სისრულეს, ობიექტურობასა და დასაბუთებულობას.

კრიმინოლოგიურ და სოციოლოგიურ ლიტერატურაში ხშირად ხაზი გაესმის ანონიმური ანკეტირების მეთოდს (ამ უკანასკნელს საზღვარგარეთის ქვეყნებში უწოდებენ self report-ს), რომელსაც იყენებენ პიროვნების კრიმინოგენური თავისებურებებისა (თვისებების) და ლატენტური დანაშაულობის შესასწავლად¹.

3. ინტერვიუ. ეს მეთოდი წარმოადგენს საუბარს, რომლის დროსაც ერთ-ერთი მონაწილე იძლევა კითხვებს, ხოლო მეორე პასუხობს მასზე. ინტერვიუ ანკეტირებისაგან (მთელი რიგი მსგავსების მიუხედავად) იმით განსხვავდება, რომ ინტერვიუს დროს

¹ დაწვრილებით ზემოაღნიშნულ მეთოდებზე იხილეთ: Преступность и криминология в современной Японии. М., 1989; **Остроумов С. С.** Судебная статистика. М., 1970; Преступность и правонарушения в СССР (статистический сборник). М., 1990.

პასუხების მიღება ხდება ზეპირ ფორმაში. სწორედ ამაში მდებარეობს ამ მეთოდის დადებითი და უარყოფითი მხარეები. ინტერვიუს ღირსებად ის უნდა ჩაითვალოს, რომ იგი შესაძლებლობას იძლევა განსაზღვრულ პირობებში მიღებულ იქნას სასწრაფო წესით აუცილებელი ინფორმაცია და ხშირად სრულიც. ასევე გასათვალისწინებელია ის გართულებები, რომლებსაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს დადებითი შედეგების მიღებისას. ამ გართულებათა თავიდან ასაცილებლად საჭიროა არა მარტო შეირჩეს პროფესიონალი ინტერვიუს ჩამტარებელი პირები, არამედ უნდა მოხდეს მათი სპეციალური ორგანიზაციულ-ფსიქოლოგიური მომზადება, რათა სწორად ჩატარდეს ზეპირი გამოკითხვა. მეტწილად ინტერვიურება გამოიყენება დანაშაულის ჩამდენ პირთა, დაზარალებულებისა და საზოგადოებრივი აზრის გაღრმავებულად შესწავლის მიზნით. ცნობილია ინტერვიუს შემდეგი სახესხვაობები: ა) თავისუფალი (არაფორმალური), რომლის დროსაც დასაშვებია გამოსაკითხავ პირებზე (რესპოდენტებზე) მისაცემი კითხვების რაოდენობისა და შინაარსის თვითნებური შეცვლა იმასთან დამოკიდებულებით თუ როგორ წარიმართება საუბარი; ბ) სტანდარტიზირებული (ფორმალური), რომლის დროსაც კონკრეტული კითხვები ზუსტადაა ფორმულირებული და თანაც შეზღუდული რაოდენობით.

ზეპირი გამოკითხვა შეიძლება იყოს ინდივიდუალური და ჯგუფური. ამ უკანასკნელის დროს ინტერვიუერი ესაუბრება ერთდროულად რამოდენიმე პირს, რომელთა აზრის გათვალისწინებაც ხდება გამოკითხულთა სიმრავლის მიხედვით.

დასასრულს, დასკვნის სახით უნდა აღვნიშნოთ, რომ ინტერვიუ მეტად გავრცელებული მეთოდია. იგი ანკეტირების მეთოდისაგან ძირითადად ერთი მომენტით განსხვავდება. სახელდობრ, ინტერვიუს პროცესში მყარდება უშუალო კონტაქტი ინტერვიუერსა და რესპოდენტს შორის. ეს ქმნის დამატებით სირთულეებს იმ თვალსაზრისით, რომ მისი წარმატება ხშირად დამოკიდებულია ინტერვიუს წამყვანი პირის თვისებებზე. მას მოეთხოვება იყოს გულწრფელი და უშუალო, განაწყოს ინტერვიუსათვის რესპოდენტი, შექმნას ძალდაუტანებელი, „შინაურული“ გარემოცვა ინტერვიუსათვის. ინტერვიუერის მაღალი პროფესიონალიზმი მიღებული მონაცემების საიმედოობისა და უტყუარობის საწინდარია. რაც შეეხება პასუხების ჩაწერის ხერხის შერჩევის საკითხს, უნდა

შეგნიშნოთ, რომ მისი ჩაწერის მრავალი გზა არსებობს: შეიძლება ჩაიწეროს მთელი საუბრის მოკლე შინაარსი, ან გაკეთდეს ჩანაწერი თითოეული კითხვის შემდეგ. მიმართავენ აგრეთვე სტენოგრაფირებასაც. ხშირად თვით გამოკვლევის თემა უკარნახებს ინტერვიუერს, თუ პასუხის ჩაწერის რა ხერხი აირჩიოს. ასე მაგალითად, თუ შესასწავლია დამტაცებლის მართლშეგნების დონე, უპირატესობა უნდა მიენიჭოს საუბრის სიტყვა-სიტყვით ჩაწერას. მიუხედავად იმისა, რომ ეს ხერხი რთულია და შრომატევადი, იგი მაინც უფრო სრულყოფილ წარმოდგენას ქმნის შესასწავლი პირის (დამტაცებლის) სამართლებრივ კულტურაზე, მის დამოკიდებულებაზე საკუთრებისადმი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ინტერვიუს სიტყვა-სიტყვით ჩაწერის ხერხს აქვს თავისებური ნაკლი, სახელდობრ, ამ დროს ნელდება ინტერვიუს ტემპი, რესპოდენტი ფრთხილობს და აყოვნებს პასუხის გაცემას, ცდილობს დასმულ კითხვაზე უპასუხოს საყოველთად მიღებული საზოგადოებრივი აზრის შესაბამისად და ამდენად შეიძლება არ იყოს გულწრფელი. ხოლო თუ ინტერვიუ მიზნად ისახავს დამნაშავეის პიროვნების შესწავლას, უფრო მიზანშეწონილი იქნება პასუხის ჩაწერა მოხდეს საუბრის შემდეგ, რაც იმის შესაძლებლობას იძლევა, რომ ინტერვიუ დაუძაბავად წარიმართოს, დაზუსტდეს გამოსაკითხი პირის აზრი შესასწავლი საკითხისადმი, კითხვა რამოდენიმეჯერ განმეორდეს და ინტერესი საუბრის თემისადმი არ შენეულდეს¹.

ინტერვიუს ფორმის შერჩევა დამოკიდებულია გამოკვლევის მიზნებსა და ამოცანებზე, აგრეთვე მისი ჩატარების პირობებზე. შეკითხვის სახეს ინტერვიუს პროცესში განაპირობებს არა მარტო კრიმინოლოგიური კვლევის ხასიათი, არამედ თვით რესპოდენტი. თუ ეს უკანასკნელი თავს არიდებს პირდაპირ დასმულ კითხვას, მაშინ სასურველია შეიცვალოს შეკითხვის ფორმა.

ინტერვიუსა და ანკეტირებას (რომლებიც გამოკითხვის მეთოდის სახეებია) ფართოდ იყენებენ კრიმინოლოგიური პრობლემების

¹ დაწერილებით ინტერვიუზე იხილეთ: რ. შველიძე. გამოკითხვისა და დაკვირების სოციოლოგიური მეთოდის გამოყენება სისხლის სამართალში. ჟურნალი „სამჭოთა სამართალი“, 1981, № 4, გვ. 55-60; Храновская О. П. Интервью как метод контактных социологических исследований. В книге Методика и техника конкретно-социологических исследований. Киев, 1968, с. 99.

(საკითხების) შესწავლისა და სრულყოფისათვის. სოციოლოგიურ ლიტერატურაში ხაზი გაესმის ასევე: საექსპერტო, ინდივიდუალურ, დახურულ, ღია, საფოსტო, მთლიან, შერჩევით და „ელვა“ – გამოკითხვას¹. გამოკითხვის სახეობის არჩევა განპირობებულია გამოკვლევის ხასიათით, მოცულობით, აგრეთვე გამოსაკითხი კონტიგენტის სპეციფიკით.

4. ტესტირების მეთოდი. „ტესტირება“ (test) – ინგლისური წარმოშობის სიტყვაა და აღნიშნავს გამოცდილებას, სინჯს, შემოწმებას, გამოცდას. ტესტირება – ესაა ფსიქოლოგიური დიაგნოსტიკის მეთოდი, რომელიც იყენებს სტანდარტიზირებულ კითხვებს, რომელსაც გარკვეული სკალის (ცხრილის) მნიშვნელობა აქვს. ამ მეთოდით სარგებლობისას ადგილი აქვს განსაზღვრული მნიშვნელობის მქონე ცხრილის გამოყენებას, რომელიც მიმართულია სტანდარტიზირებული კითხვებისა და ამოცანების გადასაწყვეტად. ეს მეთოდი გამოიყენება ინდივიდუალურ სახესხვაობათა სტანდარტიზირებულად გაზომვისათვის. ტესტირების პროცესი შეიძლება დაიყოს სამ ეტაპად: 1) ტესტის არჩევა, რაც განისაზღვრება ტესტირების მიზნით, მთლიანად კვლევის ამოცანებით, ასევე ტესტის უტყუარობითა და საიმედოობით; 2) მისი ჩატარება, რაც განპირობებულია ტესტის ინსტრუქციით, 3) შედეგების ახსნა-განმარტება (ინტერპრეტაცია), რაც დაკავშირებულია ტესტის საგნის მიმართ თეორიულ დაშვებათა (გადახრათა) გათვალისწინებასთან. ტესტირება ყოველთვის უნდა ჩაატაროს კვალიფიციურმა ფსიქოლოგმა.

ტესტირება შესაძლებლობას იძლევა რაოდენობრივად შეფასდეს გაზომვას ძნელად დაქვემდებარებული ფსიქოლოგიური თვისე-

¹ Ядов В. Я. Социологическое исследование. Методология. Программа. Методы. М., 1972, с. 114; Воронов Ю. П. Методы сбора информации в социологическом исследовании. М., 1974, с. 20; С. Михайлов. Эмпирическое социологическое исследование. М., 1975, с. 255-277) Ф. Пенго, М. Гравитц. Методы социальных наук. М., 1972, с. 408-411; Афанасьев В. Г. Системность – Общество. М., 1980, с. 87-92; Курс советской криминологии. М., 1985, с. 22-52; Слепенков И. М. Методологические принципы и методика конкретно-социологического исследования. М., 1974, с. 119; Воробьев Н. А. Методологические проблемы анализа объекта социологического исследования. М., 1974, с. 107.

ბრიობა, ასევე გამოავლინოს პიროვნების ის თვისებები, რომლებიც შეუძლებელია (ან მეტად ძნელია) განისაზღვროს კლინიკური საუბრისას ან წერილობითი მასალების შესწავლისას. კრიმინოლოგიაში ტესტირება მეტწილად გამოიყენება: დანაშაულის ჩამდენი პირის, დანაშაულებრივი ქცევის მოტივაციის, ემოციურობის, ნებულობითი, ინტელექტუალური და სხვა თვისებურებების, ასევე დამნაშავეთა და დაზარალებულთა განწყობისა და ორიენტაციების, სხვა ადამიანებთან დამოკიდებულების ხასიათისა და შინაარსის, დანაშაულობის თავიდან აცილების შესასწავლად და სხვ.

5) სოციომეტრია¹. ამ მეთოდის საშუალებით ხდება ადამიანებს შორის ემოციურ-ფსიქოლოგიური კავშირების გაზომვა. იგი ამავე დროს წარმოადგენს ორგანიზაციულ-ტექნიკურ საშუალებათა სისტემასა და პროცედურას მოვლენათა რაოდენობრივი და თვისობრივი ანალიზებისათვის. იკვლევს კონკრეტული ინდივიდის სოციალურ-ემოციურ კავშირს იმ პირთა ჯგუფთან, რომელშიც იგი ცხოვრობს და მუშაობს. ამრიგად, ამ მეთოდის დახმარებით შესაძლებელი ხდება გამოვიკვლიოთ ადამიანთა ჯგუფში ურთიერთკავშირის კრიმინოლოგიური თვისებურებები, მივცეთ მათ შეფასება, გამოვავლინოთ ფსიქოლოგიური ურთიერთკავშირის ხასიათი, კონფლიქტური სიტუაციების არსებობა, დაჯგუფება, ლიდერობა და ა. შ.

სოციომეტრიული გამოკვლევა გულისხმობს მეტწილად გამოკითხვის წერილობითი და ზეპირი მეთოდების (ანკეტირება, ინტერვიუ) გამოყენებას. მიღებული მონაცემები მუშავდება და ჯამდება სოციომატრიცებში (სქემებში).

¹ სოციომეტრია — წარმომდგარია ლათინური სიტყვის *socitas* — საზოგადოება და ბერძნული სიტყვის *metreo* — ვზომავე. ესაა სოციალური ფსიქოლოგიის დარგი, რომელიც სწავლობს პიროვნებათშორის ურთიერთობებს და მეტწილად მათ რაოდენობრივ მახასიათებლებს. ტერმინი მე-19 საუკუნეში გაჩნდა იმის მცდელობასთან დაკავშირებით, რომ გამოყენებული ფიზიოლოგიური მათემატიკური მეთოდები სოციალური მოვლენების შესასწავლად. მე-20 საუკუნეში წარმოიშვა (აღმოცენდა) მიკროსოციოლოგია, რომელიც დაკავშირებულია გ. გურვეიჩისა (საფრანგეთი) და ი. შორენოს (აშშ) სახელებთან. თანამედროვე სოციომეტრია აღნიშნავს პიროვნებათშორის ურთიერთობის (დამოკიდებულების) გამოკვლევის მეთოდების განსაზღვრულ ერთობლიობას, რომელიც გამოიყენება მცირე ჯგუფების შესწავლისას.

კრიმინოლოგიაში აღნიშნული მეთოდი სასარგებლოა სისხლის სამართლის სასჯელის (ვადიანი და უვადო თავისუფლების აღკვეთის, გამასწორებელი სამუშაოების, თავისუფლების შეზღუდვის და ა. შ.) ღონისძიებათა ეფექტურობის შესწავლისათვის. სისხლის სამართალში აღნიშნული მეთოდით ხდება თანამონაწილეობის, აუცილებელი მოგერიების, უკიდურესი აუცილებლობისა და სხვა ინსტიტუტების შესწავლა¹.

6. დოკუმენტური მეთოდი. ეს მეთოდი გულისხმობს ისეთ ინფორმაციის შემცველი დოკუმენტების შესწავლას, რასაც კრიმინოლოგიური გამოკვლევებისათვის გარკვეული მნიშვნელობა აქვს. დოკუმენტური ინფორმაციის მნიშვნელოვან წყაროდ გვევლინება სასამართლო-საგამომიებო პრაქტიკის განზოგადება. კრიმინოლოგია სამართლის სხვა მეცნიერებისაგან განსხვავებით ერთადერთია, რომელიც, სისხლის სამართლის საქმეებზე დაყრდნობით, ფლობს ვველაზე მეტ უტყუარ დოკუმენტურ მონაცემებს დანაშაულის ფაქტებზე, გადაცდომებზე, დანაშაულობაზე, დაზარალებულებზე, დანაშაულის ჩამდენ პირებზე და ა. შ.

სისხლის სამართლის საქმის შესწავლა, როგორც წესი, იწყება: დანაშაულის ჩამდენ პირთა, მათი ნათესავების, თანამოსამსახურეთა და სხვათა გამოკითხვით; იმ დოკუმენტების ანალიზით, რომლებიც სისხლის სამართლის საქმეში არაა შეტანილი (პირადი წერილები, ოფიციალური მოწმობები და ა. შ.); ფსიქოლოგიური ხასიათის ტესტების შედეგითა და ტესტირების ჩატარებით; სოციოგრაფების შედეგით და სხვ.

დოკუმენტური მეთოდი, გარდა სისხლის სამართლის საქმეებისა, ასევე გამოიყენება სხვადასხვაგვარი ოფიციალური და არაოფიციალური დოკუმენტების გასაანალიზებლად (საკანონმდებლო მასალები; პირადი დოკუმენტები; სამართლებრივი, ეკონომიკური და სხვა სახის სტატისტიკის მასალები და ა. შ.)².

7. დაკვირვება. ეს მეთოდი წარმოადგენს ვითარების (სიტუაციის) ვიზუალური აღქმის პროცესს, რასაც კრიმინოლოგიური მნიშვნელობა აქვს.

¹ დაწვრილებით სოციომეტრიაზე იხილეთ: Курс советской криминологии. М., 1985, с. 43-44.

² დოკუმენტურ მეთოდზე უფრო ვრცლად იხილეთ: Курс советской криминологии, М., 1985, с. 43-44.

ცნობილია დაკვირვების ისეთი სახეები როგორცაა: ა) უშუალო, რომლის დროსაც მკვლევარი კონკრეტულ სიტუაციაზე თავის როლს ზღუდავს პასიური დაკვირვებით; ბ) დაკვირვებაში ჩართვა, რომლის განხორციელებისას მკვლევარი ხდება კოლექტივებსა და ჯგუფებში შესასწავლი პროცესების (საქმიანობის) აქტიური მონაწილე, სადაც მისი როლის შესახებ მეტწილად არავინ არ იცის. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ეს ასპექტი დამოკიდებულია დაკვირვების სახეზე, ამოცანებსა და ხასიათზე.

ამრიგად, როცა ლაპარაკია დაკვირვებაზე სოციოლოგიასა და კრიმინოლოგიაში, მხედველობაში გვაქვს ფსიქოლოგიური დაკვირვება, დაკვირვება ადამიანის ქცევაზე, რის საფუძველზეც გამოგვაქვს ფსიქოლოგიური და სოციალურ-ფსიქოლოგიური დასკვნები. დაკვირვების თავისებურება ის არის, რომ ინფორმაციის მიღება ხდება უშუალო გარემოს აღქმით, რა დროსაც ეს მეთოდი არ არის თავისუფალი სუბიექტურობისაგან; საქმე იმაშია, რომ დამკვირვებელს არ ძალუძს მთლიანად უარი თქვას გარემოს სუბიექტურ აღქმაზე, მის სუბიექტურ ინტერპრეტაციაზე. ამ მეთოდის გამოყენებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს დაკვირვების ჩატარების პირობების დაცვას. იგი უნდა მოეწყოს წინასწარ შემუშავებული და ზუსტად დასახული პროგრამის შესაბამისად და უნდა შემოწმდეს მისი მეცნიერული საიმედოობა. დამკვირვებელი უნდა მოერიდოს დასაკვირვებელ ობიექტთან მომეტებულ კონტაქტს. წინააღმდეგ შემთხვევაში მას უქვეითდება აღქმის უნარი და ვერ ახერხებს მოახდინოს დასაკვირვებელი სიტუაციის ობიექტური ფიქსაცია, გამოყოს უფრო მნიშვნელოვანი ფაქტები დაკვირვების სფეროდან, ასახოს მომხდარი ცვლილებები. ამას თან ერთვის დასაკვირვებელი პროცესების ჩაწერის სირთულე. მიზანშეწონილია დაკვირვების მონაცემების ჩაწერა წინასწარ მომზადებულ ბარათებზე ან დაკვირვების დღიურში. სასურველია ჩაწერის დროს თანმიმდევრობის დაცვა, მონაცემების დაჯგუფება კლასიფიკაციის შესაბამისად. დაკვირვების დღიური ამ მხრივ მეტი სიზუსტით გამოირჩევა და უფრო საიმედო მასალას იძლევა. გარდა ამისა იგი, როგორც წესი, დაკვირვების ხანგრძლივ პერიოდს მოიცავს, რაც საშუალებას იძლევა თვალი ვადევნოთ შესასწავლი მოვლენის განვითარებას. კრიმინოლოგიური კვლევის სფეროში საჭიროა ფართოდ გამოვიყენოთ ისეთი მნიშვნელოვანი

დოკუმენტი, როგორც არის ანგარიში დაკვირვების შესახებ. სასურველია იგი დაიყოს თავებად, სადაც აისახება მკვლევარისთვის საჭირო მასალა, მისივე ინტერპრეტაციით.

კრიმინოლოგიაში ასევე ეფექტიანია ჩართული დაკვირვების გამოყენება. სახელდობრ, იგი შესაძლებლობას აძლევს დამკვირვებელს ღრმად შეისწავლოს მისთვის საინტერესო მოვლენები, დამნაშავეთა ქცევის მოტივები და ის შინაგანი კანონზომიერებანი, რომელთა აღქმა თითქმის შეუძლებელია გარეგანი დაკვირვების დროს. ჩართული დაკვირვება მოითხოვს დამკვირვებლისაგან მაღალ პროფესიულ მომზადებას, მოთმინებასა და ყურადღებას, მეტადრე, თუ საქმე ეხება დამნაშავეთა ჯგუფის ან მსჯავრდებულთა გამოსწორების მექანიზმის შესწავლას. ჩართულ დაკვირვებას მეტწილად იყენებენ, პროფესიული დამნაშავეებისა და ლატენტური დანაშაულობის შესწავლის მიზნით. მიზანშეწონილია მისი გამოყენება არასრულწლოვან სამართალდამრღვევთა წრის შესასწავლად. ჩართული დაკვირვება საშუალებას იძლევა გამოავლინოთ მოზარდის ქცევის ფარული მოტივები, ანტისოციალური შეხედულებების ჩამოყალიბების მიზეზები და ა. შ.

უშუალო და ჩართულ დაკვირვებასთან დაკავშირებით დამატებით უნდა შევნიშნოთ, რომ შესაბამისი პროგრამით ჩატარებული ასეთი დაკვირვება საკმაო მასალას იძლევა მსჯელობისათვის. მაგალითად, გამოსწორდა თუ არა მსჯავრდებული. უშუალო და ჩართული დაკვირვების დროს ვინაიდან დამკვირვებელი უცნობია გამოსაკვლევ პირთა ჯგუფისათვის, ამდენად ისინი ძალდაუტანებლად, ბუნებრივად იქცევიან და თითქმის ყველა დამახასიათებელ თვისებას ავლენენ. თუ დამკვირვებელი ფოტო აპარატს ან ვიდეოგადამღებს იყენებს, გვექნება საკმაოდ სრული „გარეგნული“ სურათი მსჯავრდებულის ქცევის, მიდრეკილების, პროფესიული ჩვევების, გარემომოწყობა ამა თუ იმ ქცევის მიმართ მისი რეაგირების შესახებ.

უშუალო და ჩართული დაკვირვების ერთდროული გამოყენება ზრდის მოპოვებული მასალის საიმედოობას, საშუალებას აძლევს მკვლევარებს საკუთარი პროგრამებითა და კითხვარებით შეისწავლონ მსჯავრდებულთა ყოფაცხოვრებისა და მუშაობის უმნიშვნელოვანესი მხარეები.

„დამკვირვებელმა, განსაკუთრებით ჩართული დაკვირვების დროს, მართებულად შენიშნავს რ. შველიძე, — უნდა ახელმძღვანელოს არა მარტო ზნეობრივი კრიტერიუმებით, არამედ კანონითაც. არავითარი მეცნიერული მოტივებით არ შეიძლება გამართლდეს დამკვირვებლის მოქმედება, თუ იგი კანონსაწინააღმდეგოა“¹.

8. ექსპერიმენტი. ექსპერიმენტი და ბუნებრივი დაკვირვება დაკვირვების (ფართო მნიშვნელობით) ორ სახეს წარმოადგენენ: ექსპერიმენტისათვის ან ექსპერიმენტული დაკვირვებისათვის სპეციფიკურია შესასწავლი მოვლენის ხელოვნური, ნებისმიერი გამოწვევა სათანადო პირობების ხელოვნური შექმნის გზით, ხოლო ბუნებრივი დაკვირვებისათვის (ანუ დაკვირვებისათვის ვიწრო მნიშვნელობით) დამახასიათებელია მკვლევარის ნებისაგან დამოუკიდებლად, ბუნებრივად აღმოცენებულ მოვლენებზე დაკვირვება მათ მიმდინარეობაში ჩაურევლად. ექსპერიმენტს ჩვეულებრივ განსაზღვრავენ, როგორც მკვლევარის მიერ წინასწარი გეგმის მიხედვით, ხელოვნურად გამოწვეულ მოვლენებზე დაკვირვებას.

ექსპერიმენტის დიდი უპირატესობა ბუნებისმეტყველებაში (კვლევის მეტი სიზუსტე, ინტენსივობა, სიღრმე), ბუნებრივ დაკვირვებასთან შედარებით, ძირითადად შემდეგ მომენტებს ეყრდნობა:

ა) შესასწავლი მოვლენის განმეორების შესაძლებლობა ექსპერიმენტატორის ნების მიხედვით: რამდენადაც მოვლენის გამოწვევი პირობები ექსპერიმენტატორის ხელთაა, მას შეუძლია მოვლენის იმდენჯერ გამოწვევა, რამდენჯერაც მას დასჭირდება; ბუნებრივი დაკვირვების მეთოდით მუშაობისას კი მკვლევარმა უნდა ეცადოს შესასწავლი მოვლენის ბუნებრივ გამოვლინებას, რაც ხშირად ხელს უშლის მის სისტემატიურ და განმეორებით დაკვირვებას.

ბ) შესასწავლი მოვლენის იზოლაციის, გამოყოფის შესაძლებლობა: ბუნებრივ პირობებში შესასწავლი მოვლენის დაკვირვებას არსებითად აძნელებს ის გარემოება, რომ ეს მოვლენა სხვა მოვლენებთან ერთად, კომპლექსურად იჩენს თავს და მისი გამოვლინებები ძნელი გასამიჯნავია მასთან კომპლექსურად მოცემულ სხვა მოვლენებისაგან. სხვანაირად თუ ვიტყვით, მისი ფაქტორები ძნელი

¹ იხილეთ რ. შველიძის დასახელებული ნაშრომი, გვ. 60.

გასამიჯნავია მათთან ერთად მოქმედ სხვა მოვლენათა ფაქტორებისაგან, რის გამოც მოვლენათა შორის კაუზალური და ფუნქციონალური დამოკიდებულების წვდომა გაძნელებულია. ექსპერიმენტი, შესასწავლი მოვლენის გამოძვევევი პირობების ხელოვნური შექმნის შედეგად, როგორც წესი, ამ მოვლენის განცალკევებული გამოწვევის შესაძლებლობას იძლევა.

გ) შესასწავლი მოვლენის ვარიაციის შესაძლებლობა: შესასწავლი მოვლენის პირობათა ვარიაციის გზით შესაძლებელი ხდება მის სხვადასხვა გამოვლინებებზე დაკვირვება და უფრო მრავალმხრივად და ღრმად შეისწავლება მოვლენა; ბუნებრივი დაკვირვების მეთოდით მუშაობისას კი მკვლევარი იძულებულია დააკვირდეს მოვლენის მხოლოდ იმ სახეს ან იმ გამოვლინებას, რომელიც თავს იჩენს მოცემულ მომენტში. ამიტომ ხშირად მისთვის მიუწვდომელი რჩება მოვლენის სხვა მხარეები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე დასკვნის სახით შეიძლება ვთქვათ, რომ ექსპერიმენტი — ესაა მეცნიერულად დაყენებული ცდა, ანუ ხელოვნურად გამოწვეულ მოვლენებზე დაკვირვება. ვიწრო გაგებით იგი გამოიყენება ერთობ შეზღუდულად, ასე მაგალითად, ექსპერიმენტის მეთოდით (ცდისეული გზით) არ შეიძლება აღადგინო (რეპროდუცირებულ იქნას) კონკრეტული დანაშაულის მიზეზები და პირობები. ამასთან ერთად აღნიშნული მეთოდი შეიძლება წარმატებით იქნას გამოყენებული სოციალურად დადებითი ფაქტორების, მოქმედების, პროფილაქტიკური მუშაობის ეფექტურობისა და ა. შ., შესამოწმებლად. სხვა სიტყვებით თუ ვიტყვით, სოციალური ექსპერიმენტი სასარგებლოა საზოგადოებრივი ცხოვრების ფარგლებში ხელოვნურად შექმნილი ცვლილებების (მაგალითად, ეკონომიკური და სოციალურ-სამართლებრივი გარდაქმნის) შესწავლისათვის.

9. საექსპერტო შეფასება. ამ მეთოდის გამოყენება აუცილებელია ამა თუ იმ მოვლენის პროგნოზირებისას. ამ მეთოდის განხორციელებისას შედეგის შეფასების საფუძველია სათანადო სპეციალისტების აზრი, რაც ლოგიკურად გამომდინარეობს იმ ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების გააზრებიდან, რომლებიც გავლენას ახდენენ დანაშაულობაზე. სპეციალისტების აზრი, ცხადია, ექვემდებარება როგორც განზოგადებას ასევე გაანალიზებას.

საექსპერტო შეფასების მეთოდი წარმატებით გამოიყენება საერთოსახელმწიფოებრივ და რეგიონალურ დონეზე დანაშაულობასთან ბრძოლის კომპლექსური პროგრამების შემუშავებისა და რეალიზაციისათვის¹. ამავე მიზნით გამოყენება ასევე ექსპერტპოლიციისა² და მოდელირების მეთოდები.

10. კრიმინოლოგიური გამოკვლევების განხორციელების მნიშვნელოვანი ფორმაა ასევე სპეციალურად ჩატარებული კრიმინოლოგიური ექსპერტიზები. მისი გამოყენების სფეროდ გვევლინება:

ა) ნორმაშემოქმედებითი და სამართალგამოყენებითი საქმიანობისა და მათი შედეგების დროული კრიმინოლოგიური ანალიზი. სხვა სიტყვებით თუ ვიტყვით, აუცილებელი კრიმინოლოგიური ექსპერტიზა უნდა გაიაროს სისხლის სამართლის, სისხლის სამართლის საპროცესო, სასჯელაღსრულების, სამოქალაქო, ადმინისტრაციულმა, სამეურნეო და სხვა კანონმდებლობის ნორმებმა და მათი გამოყენების პრაქტიკამ;

ბ) კრიმინოლოგიური თვალსაზრისით სოციალურ-პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური, ორგანიზაციულ-სამეურნეო და სხვა მიმართულებების სხვადასხვაგვარი პროექტებისა და პროგრამების წინასწარი შეფასება, რომელთა განხორციელებასაც შეიძლება მოჰყვეს სასურველი შედეგები (იგულისხმება ანტიკრიმინოგენური რეზულტატები).

ამრიგად, კრიმინოლოგიური მოვლენების შესწავლისა და სხვა გარემოებებთან ურთიერთკავშირის დადგენისას მხედველობაში უნდა მივიღოთ მათი განმსაზღვრელი ისეთი ფაქტორები, როგორცაა: მიზეზი და შედეგი, ფორმა და შინაარსი, არსი და მოვლენა, აუცილებელი და შემთხვევითი, შესაძლებლობა და სინამდვილე;

¹ დაწერილებით საექსპერტო შეფასების მეთოდზე იხილეთ: Криминология. М., 1995, глава V, с. 103-104; Методика анализа преступности. Методическое пособие (под редакцией О. В. Сорока). М., 1986, с. 22-43; Методика изучения территориальных различий преступности и их причины. Метод. пособие (под ред. А. И. Долговой). М., 1989, с. 31-53.)

² ექსპერტპოლიცია — ლათინური სიტყვაა და ნიშნავს მოვლენის ერთ ნაწილზე დაკვირვების შედეგად მიღებული დასკვნების გავრცელებას მის მთელ ნაწილზე.

ასევე მოვლენათა წარმოშობისა და განვითარების გენეზისი, მექანიზმი, ადგილი, დრო, პირობები და სხვ.

კრიმინოლოგიური მოვლენების შესწავლისას მეტაფიზიკურმა კვლევამაც შეიძლება იქონიოს გარკვეული დადებითი შედეგი. „ვინაიდან მათი განხილვა დამოუკიდებლად, სხვა მოვლენებთან დაუკავშირებლად საშუალებას მისცემს მეცნიერებს უფრო ღრმად ჩასწვდნენ თითოეული სოციალური მოვლენის კონკრეტულ მხარეებს, დეტალებს, სპეციფიკურ თავისებურებებს“¹.

კრიმინოლოგიას, თავისი კვლევის საგნის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, გარდა ზოგადი მეთოდოლოგიისა, გააჩნია შემეცნების კონკრეტული მეთოდები, შესწავლის სპეციფიკური ხერხები და საშუალებები. ასეთად შეიძლება ჩაითვალოს კონკრეტულ-სოციოლოგიური, სტატისტიკური, ანკეტური, ინტერვიუს, ტესტირების, სოციომეტრიის, დოკუმენტალური შესწავლის, სოციალური ექსპერიმენტის, საექსპერტო შეფასების, შედარებითი გამოკვლევისა და სხვა მეთოდები. მათი კომპლექსურად და სწორად გამოყენება შესაძლებლობას იძლევა ავხსნათ და გავიგოთ ისეთი რთული სოციალური (საზოგადოებრივი) მოვლენების არსი და დამახასიათებელი ნიშნები, როგორიცაა: დანაშაულობა, მისი მიზეზები, ხელშემწყობი პირობები, არასრულწლოვანთა და ქალთა დანაშაულობა და სხვა მრავალი.

იმასაც აღვნიშნავთ, რომ ზემოაღნიშნულ მეთოდთა ერთობლიობა კრიმინოლოგიაში ქმნის კრიმინოლოგიურ გამოკვლევათა მეთოდოლოგიის ცნებას. ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, უნდა გავიგოთ, როგორც იმ ხერხებისა და საშუალებების ერთობლიობა, რომლებიც მიმართულია დანაშაულობის, მისი მიზეზების, ხელშემწყობი პირობების, დანაშაულის ჩამდენი პიროვნებისა და დანაშაულობასთან ბრძოლის ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის შეკრებაზე, დამუშავებასა და ანალიზზე.

დასასრულს, კრიმინოლოგიის მეთოდთან დაკავშირებით, გვინდა შევჩერდეთ საბჭოთა კრიმინოლოგიის ფუძემდებლის — პროფ. ა. გერცენზონის შეხედულებათა ინტერპრეტაციაზე. მისი აზრით, კრიმინოლოგიის საფუძველს შეადგენს მატერიალისტური დიალექტიკის მეთოდი, რომელიც განაპირობებს კრიმინოლოგიის

¹ გ. ინჭკირველი. სახელმწიფოსა და სამართლის თეორია. თბ., 2000, გვ. 8.

მიერ გამოყენებულ დანაშაულობის შესწავლის სპეციალურ ხერხებსა და მეთოდებს. კრიმინოლოგია სისხლის სამართლის შემადგენელი ნაწილია და ამიტომ ყოველივე ის, რაც ახასიათებს ამ უკანასკნელის მეთოდს, სავსებით ეხება კრიმინოლოგიას. დიალექტიკური მეთოდის გამოყენება გულისხმობს დანაშაულის, დანაშაულობის, სასჯელის, წინასწარი აცდენის ღონისძიებათა განხილვას მათ გამომწვევ სხვა საზოგადოებრივ მოვლენებთან კავშირში.

ა. გერცენზონის თქმით, სისხლის სამართლის მეცნიერებაში, საბჭოთა ხელისუფლების პირველ პერიოდში, ჩატარებული იყო დანაშაულის რეალური სოციალური შინაარსის გამოკვლევის ცდები (იგულისხმება მე-20 საუკუნის ოციანი წლები — ზ. წ.). სახელდობრ, ამ პერიოდში გამოცემული იყო ა. პიონტკოვსკისა და ა. ტრაინინის სახელმძღვანელოები, რომლებშიც მოცემულია დანაშაულის არა მარტო იურიდიული, არამედ, აგრეთვე, სოციოლოგიური თვალსაზრისით შესწავლის ცდა. მაგრამ შემდგომ წლებში ფაქტობრივად გამორიცხული იყო დანაშაულობის სოციოლოგიური კვლევა-ძიების შესაძლებლობა და კრიმინალისტთა საქმიანობა შემოფარგლული იყო დანაშაულისა და მისი შემადგენლობის „წმინდა იურიდიული“ ანალიზით.

ზოგიერთი კრიმინალისტი ფიქრობს, რომ დანაშაულობის სოციოლოგიური შესწავლის არასრულყოფილი დამუშავება, დანაშავის პიროვნების პრობლემის უგულვებელყოფა თითქოს გამოწვეული იყო გადაჭარბებული ყურადღებით დანაშაულის შემადგენლობის პრობლემისადმი. ასეთი აზრი განავითარა ა. სახაროვმა. მაგრამ ეს შეხედულება ა. გერცენზონს მცდარად მიაჩნია. მისი სიტყვით, არ შეიძლება დავეთანხმოთ იმ აზრს, რომ სამართლებრივ ლიტერატურაში თითქოს ადგილი ჰქონდა დანაშაულის შემადგენლობის მნიშვნელობის „პიპერტროფიას“ (მეტის-მეტად გაზვიადებას). კრიმინალისტები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საფუძველს წარმოადგენს დანაშაულის შემადგენლობის არსებობა პირის მიერ ჩადენილ დანაშაულში, ამით გამოთქვამენ სისხლის სამართლის კანონმდებლობის ძირითად იდეას — კანონიერების უზრუნველყოფას დანაშაულობასთან ბრძოლის საქმეში.

ა. გერცენზონი სვამს კითხვას: მართლზომიერია თუ არა კრიმინოლოგიის როგორც სისხლის სამართლის მეცნიერების

ნაწილის გამოყოფა ამ უკანასკნელისაგან, თუკი დიალექტიკური მეთოდი მოითხოვს დანაშაულისა და მისი წინასწარ აცდენის ღონისძიებათა გამოკვლევას როგორც იურიდიული, ისე სოციოლოგიური თვალსაზრისით? კრიმინოლოგიის ასეთი გამოყოფა ხომ არ გამოიწვევს იმას, რომ სისხლის სამართლის მეცნიერება შეიზღუდება მხოლოდ იურიდიული გამოკვლევის ფარგლებით? ხომ არ მოხდება ამ გზით სისხლის სამართლის მეცნიერების თავისებური „შთანთქმა“ ყოვლისშემცველი კრიმინოლოგიის მიერ, როგორც ამას ადგილი აქვს ზოგიერთ ბურჟუაზიულ სახელმწიფოში, სადაც სისხლის სამართალი დაყვანილია იურიდიული ტექნიკის დონემდე?

ამ საკითხის გადაწყვეტასთან დაკავშირებით ავტორი მიზანშეწონილად ცნობს ბურჟუაზიული კრიმინალისტიკების შეხედულებათა დახასიათებას.

ა. გერცენზონი აღნიშნავს, რომ რევოლუციამდელ იურიდიულ ლიტერატურაში პირველად პროფ. მ. ღუხოვსკიმ, 1872 წელს, დააყენა საკითხი დანაშაულის შესწავლაში სოციოლოგიური მეთოდის გამოყენების შესახებ. იგი წერდა, რომ სისხლის სამართალი შეისწავლის დანაშაულს, მისი წარმოშობის მიზეზებსა და სახელმწიფოს მიუთითებს ამ მოვლენის აცდენის საშუალებებზე.

ა. გერცენზონის თქმით იმავე აზრს ავითარებდა პროფ. ი. ფონინციკი, რომელიც წერდა, რომ სისხლის სამართლის მეცნიერების ამოცანაა არა მარტო დანაშაულობის გამოვლინება, არამედ იმ პირობების შესწავლაც, რომელიც მის წარმოშობას განაპირობებს.

ა. გერცენზონი აღნიშნავს იმასაც, რომ მე-20 საუკუნის დასაწყისში მრავალი კრიმინალისტი იზიარებდა ამ შეხედულებებსო და მათ შორის ასახელებს ნ. პოლიანსკის, ს. პოზნიშევის, მ. გერნეტს, ა. პიონტკოვსკის. ს. პოზნიშევის აზრით, სისხლის სამართლის მეცნიერება შეისწავლის დანაშაულს, დანაშაულობასა და სასჯელს; ამასთან, მისი აზრით, იურიდიული და სოციოლოგიური შესწავლა კი არ უნდა უპირისპირდებოდეს ერთმანეთს, არამედ შეხამებული უნდა იყოს ერთიან მეცნიერულ გამოკვლევაში.

ა. პიონტკოვსკიც ასაბუთებდა სისხლის სამართლის ინსტიტუტების როგორც იურიდიული, ისე სოციოლოგიური მეთოდებით შესწავლის აუცილებლობას.

საკითხს სხვაგვარად წყვეტდნენ სისხლის სამართლის კლასიკური სკოლის რუსული მიმართულების წარმომადგენლები — ნ. ტაგანცევი, ნ. სერგეევსკი და სხვ. რუსი „კლასიკოსები“ აღიარებდნენ სისხლის სამართლის პრობლემების სოციოლოგიური ასპექტებით (მეთოდებით) შესწავლის მეცნიერულ მნიშვნელობას, მაგრამ მათი აზრით, სოციოლოგიური ასპექტი სისხლის სამართლის მეცნიერების ფარგლებს სცილდებოდა. ნ. ტაგანცევი წერდა, რომ სისხლის სამართლის საგანი უნდა შემოიფარგლოს დანაშაულისა და სასჯელის იურიდიული კონსტრუქციის შესწავლით მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე. სისხლის სამართლის სოციოლოგია და სისხლის სამართლის ანთროპოლოგია¹ დამოუკიდებელ მეცნიერებათა — სოციოლოგიისა და ანთროპოლოგიის — შემადგენელი ნაწილებია. ამ მეცნიერებათა მონაცემები შეავსებენ სისხლის სამართლის მეცნიერებას და მათი ცოდნა საჭიროა კრიმინალისტიკებისათვის, მაგრამ დანაშაულის შესწავლა სოციოლოგიური მხრით ვერ შეცვლის მისი წმინდა იურიდიული თვალსაზრისით შესწავლის აუცილებლობასა და მნიშვნელობას. ნ. ტაგანცევის აზრით, არა მხოლოდ სისხლის სამართლის საგანი, არამედ მისი მეთოდიც განსხვავდება სისხლის სამართლის ანთროპოლოგიისა და სოციოლოგიისაგან. ამრიგად, ნახულობდა რა არსებით განსხვავებას სისხლის სამართლის მეცნიერებისა და სისხლის სამართლის სოციოლოგიის საგანსა და მეთოდში, ნ. ტაგანცევი დაუშვებლად ცნობდა ერთი და იმავე მეცნიერების ჩარჩოებში დანაშაულის შესწავლას როგორც იურიდიული, ისე სოციოლოგიური თვალსაზრისით. ამავე თვალსაზრისს იზიარებდა ნ. სერგეევსკიც.

ა. გერცენზონის აზრით, დავა რუს „კლასიკოსებსა“ და „სოციოლოგებს“, ისევე როგორც სხვა ქვეყნების მეცნიერ-კრიმინალისტიკებს შორის იურიდიული და სოციოლოგიური ელემენტების ურთიერთდამოკიდებულების შესახებ სისხლის სამართლის პრობლემების კვლევა-ძიებაში არსებითად გადაუწყვეტელი დარჩა.

¹ ანთროპოლოგია (ბერძნ. *anthrōpos* — ადამიანი და *logos* — მოძღვრება) — არის მეცნიერება, რომელიც სწავლობს ადამიანის ბიოლოგიურ ბუნებას, ადამიანის წარმოშობას, რასებს.

ლომბრიზო-ფერის „რადიკალიზმი“¹, რომელიც სისხლის სამართლის მეცნიერების, როგორც იურიდიული მეცნიერების, გაუქმებას ნიშნავდა, შემდეგში შეიცვალა ფრანც ლისტისა და მისი მომხრეების „შემრიგებლობით“, რომლებიც სიტყვით ცდილობდნენ სისხლის სამართლის პრობლემების იურიდიული და სოციოლოგიური შესწავლის შეერთებას, ხოლო სინამდვილეში თავიანთ შრომებში (კურსებში) ხელუხლებლად იცავდნენ კლასიკურ დოგმატიკას.

ა. გერცენზონი აღნიშნავს: პარადოქსად შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ ნ. ტაგანცევის კურსი უფრო სოციოლოგიურია, ვიდრე „სოციოლოგიის ბელადის“ ფრანც ლისტის. ნ. ტაგანცევის კურსში ცოტაა სოციოლოგიური, მაგრამ, უდავოა, რომ ფრანც ლისტის კურსი იურიდიული დოგმატიკის საუკეთესო ნიმუშია. ა. გერცენზონი ასევე დასძენს, რომ სისხლის სამართლის თეორეტიკოსებმა და კრიმინოლოგებმა ვერ შეძლეს კრიმინოლოგიისა და სისხლის სამართლის ურთიერთდამოკიდებულების განსაზღვრა. საქმე იმაშია, რომ პირველნი განიცდიან იურიდიული მეთოდის გავლენას, ხოლო მეორენი – ბურჟუაზიული სოციოლოგიისას, რომელიც დანაშაულობის მოვლენებს ბიოლოგიური თვალსაზრისით განიხილავს.

ა. გერცენზონი ეგრეთ წოდებულ იურიდიულ მეთოდთან დაკავშირებით დასძენს შემდეგს: ვარკვევთ რა დანაშაულს, დანაშაულის შემადგენლობის შინაარსს (როდესაც ლაპარაკია სისხლის სამართლის მეცნიერების ზოგად ნაწილზე), ასევე დანაშაულთა ცალკეულ სახეებს, დანაშაულთა ცალკეულ შემადგენლობებს (თუ საუბარია სისხლის სამართლის განსაკუთრებულ ნაწილზე), ამით ჩვენ ვადგენთ მათ ძირითად ნიშნებს, მხედველობაში ვიღებთ მათ სოციალურ-პოლიტიკურ შინაარსსა და იურიდიულ ფორმას. საბოლოო ჯამში, ამით თანამიმდევრულად ვადგენთ დანაშაულის ობიექტსა და ობიექტურ მხარეს, სუბიექტსა და სუბიექტურ მხარეს. ეს ანალიზი საჭიროა მოცემული დანაშაულის არსის გასაგებად და ქმედების სწორი კვალიფიკაციისათვის. ვუკეთებთ რა ანალიზს მოცემული კონკრეტული ქმედობის ნიშნებს და ვადარებთ რა მათ დანაშაულის სათანადო შემადგენლობის ელემენტებს, რაც გათვალისწინებულია კანონით, ამით ჩვენ ვარკვევთ პირველისა და

¹ რადიკალიზმი – ძირეული, გადამჭრელი ზომების მიღება თეორიული და პრაქტიკული საკითხების გადაწყვეტისას.

მეორის დამთხვევას ან, პირიქით, ასეთის უქონლობას. პირველ შემთხვევაში ჩვენ ვლაპარაკობთ მოცემულ ქმედობაში დანაშაულის შემადგენლობის ნიშნების არსებობის (ე. ი. სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის წინა პირობის არსებობის) შესახებ, ხოლო მეორე შემთხვევაში უარყოფითად ვწყვეტთ დაყენებულ საკითხს. ამრიგად, დანაშაულის შემადგენლობის იურიდიული ანალიზი დანაშაულის მეცნიერული გამოკვლევის აუცილებელი წინა პირობა და სისხლის სამართლის პრაქტიკული გამოყენების საფუძველია. მაგრამ მხოლოდ წინა პირობას, რადგან დანაშაულის მეცნიერული კვლევა-ძიება არ უნდა დამთავრდეს იურიდიულ ცნებათა გამოკვლევით, არ უნდა შემოიფარგლოს ამ ცნებათა წრით. ზოგჯერ გამოთქვამენ მოსაზრებას, რომ პრაქტიკისათვის, სისხლის სამართლის კანონის სწორი შეფარდებისათვის საჭიროა მხოლოდ დანაშაულის შემადგენლობის ზუსტი იურიდიული ანალიზი, სოციოლოგიური ანალიზი კი წარმოადგენს ერთგვარ „დამატებას“ იურიდიული მეთოდის მიმართ. ა. გერცენზონი კატეგორიულად უარყოფს ამ შეხედულებას. მისი აზრით, დანაშაულის შესწავლის ფარგლების შეზღუდვა შემადგენლობის იურიდიული ანალიზით, იწვევდა და ახლაც იწვევს სქოლასტიკას, ცხოვრებასთან კავშირის გაწყვეტას, დოგმატიზმსა და ნორმატივიზმს. ამგვარი შეზღუდვა გამორიცხავს სისხლის სამართლის სამართლებრივ-პოლიტიკურ წინადადებათა გაშლის (განვრცობის) შესაძლებლობას. უკანასკნელი წლების უზენაესი სასამართლოს პლენუმის ყველა სახელმძღვანელო დადგენილებანი შეიცავს არა მხოლოდ სისხლის სამართლის კანონის ამა თუ იმ ნორმების ახსნა-განმარტებას, არამედ დიდ ყურადღებას აქცევს სისხლის სამართლის პოლიტიკის საკითხებსაც, დანაშაულობის სოციოლოგიური შესწავლის მასალების ფართო გამოყენებით. ამიტომ, ა. გერცენზონის აზრით, საჭიროა მთელი სიმწვავეთ დავაყენოთ საკითხი დანაშაულის შესწავლისადმი ისეთი მიდგომის დაუშვებლობის შესახებ, როდესაც კვლევა-ძიება შეზღუდულია მხოლოდ იურიდიული ასპექტით და არაა შეხამებული სოციოლოგიურ ასპექტთან. დანაშაულობასთან ბრძოლის, ისევე როგორც, საერთოდ, დანაშაულის საკითხები გამოკვლეულ უნდა იქნეს იურიდიულ და სოციოლოგიურ ასპექტებზე დაყრდნობით. კვლევა-ძიების სფეროში უნდა შედიოდეს ასევე სასჯელი (რომელსაც სასამართლო უფარდებს), საზოგადოე-

ბრივი ზემოქმედების ზომები, აგრეთვე დანაშაულთა წინასწარ აცდენის ზოგადი და სპეციალური ღონისძიებანი და სხვ. დასკვნას, რომელსაც ა. გერცენზონი აკეთებს ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, შემდეგია: ა) კვლევა-ძიების პროცესში იურიდიული ანალიზი განუხრელად უნდა ეხამებოდეს სოციოლოგიურს, რადგან ამ ორი მეთოდის შეერთებულად გამოყენების გზით შესაძლო ხდება დანაშაულობის მეცნიერულად შესწავლა და მასთან მიზანშეწონილი, ნაყოფიერი ბრძოლა; ბ) იმ პრობლემებს შორის, რომლებიც ამ დარგის მკვლევარებს შორის წამოიჭრება, ყველაზე უფრო რთული და საყურადღებოა იურიდიული და სოციოლოგიური ასპექტების ურთიერთდამოკიდებულების პრობლემა¹.

¹ დაწვრილებით კრიმინოლოგიის მეთოდზე იხილეთ: **А. А. Герцензон.** Введение в советскую криминологию, М., 1965, стр. 26-36; Курс советской криминологии, М., 1985, стр. 22-52; Криминология, М., 1995, стр. 41-49.



დანაშაულობის ცნებასთან დაკავშირებით მრავალი აზსნა-
განმარტება (ინტერპრეტაცია) გვხვდება, რომლებშიც ღომინირებს
ფილოსოფიური, სისხლისსამართლებრივი, სამართლებრივი და
რელიგიური თვალსაზრისები (შეხედულებები).

კრიმინოლოგიის სახელმძღვანელოებში, კრიმინოლოგიის
კურსებში, კრიმინოლოგიური სახის მონოგრაფიებსა და სტატიებში
ხაზგასმულია დანაშაულობის სოციალური ბუნების შესახებ, მის
ისტორიულ და კლასობრივ განპირობებულობაზე, რაოდენობრივ და
თვისებრივ მახასიათებლებზე, დანაშაულისა და დანაშაულობის
თანაფარდობასა და ა. შ.

უნდა შევნიშნოთ, რომ დანაშაულობა, უპირველეს ყოვლისა,
ადამიანის სოციალური ქცევის ფორმაა, რომელიც ხელს უშლის
საზოგადოებრივი ორგანიზმის ნორმალურ ფუნქციონირებას. სა-
ზოგადოების ნორმალურ ფუნქციონირებას ასევე ხელს უშლის
ამორალური საქციელიც, ეგრეთ წოდებული დელინკვენტური¹
გადახრითი ყოფაქცევა, რომელიც ასევე საშიშია საზოგადოებისთ-
ვის.

გარდა ამისა, დანაშაულობა სოციალურ-სამართლებრივი მოვ-
ლენაა, რადგან დანაშაულობის მასა (ციფრა) მიიღება მოცემულ
საზოგადოებაში და მოცემული დროის პერიოდში ჩადენილი დანა-
შაულის ჯამით. ამავე დროს, დანაშაულობა ჩადენილ დანაშაულთა
უბრალო ჯამი კი არაა, არამედ მოვლენაა, რომელსაც გააჩნია
თავისი კანონზომიერებანი, შინაგანი წინააღმდეგობანი, სხვა სო-
ციალურ მოვლენებთან კავშირი, რომლებიც ხშირად განსაზ-
ღვრავენ მას. აღსანიშნავია ისიც, რომ დანაშაულობის შედეგები
ისეთია, რომ იგი იწვევს საზოგადოებისა და სახელმწიფოს
სპეციფიკურ რეაქციას – სამართლებრივ რეაქციას დაკავშირე-
ბულს ადამიანის პასუხისმგებლობასთან (იგულისხმება სისხლის
სამართლის სასჯელი). გასათვალისწინებელია ისიც, რომ დანა-

¹ დელინკვენტი – ლათინური სიტყვაა და ნიშნავს ვინც დანაშაულს სჩადის,
სამართლის დამრღვევს, დანაშაულებს.

შაულობისა და კონკრეტულ დანაშაულთა თანაფარდობა არის მთელისა და ნაწილის, ზოგადისა და ცალკეულის თანაფარდობა.

დანაშაულობის წარმოშობა დაკავშირებულია სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობასთან, ადამიანთა საზოგადოების სოციალურ, ქონებრივ და კლასობრივ ფენებად დაყოფასთან.

დანაშაულობის ისტორიულად ცვალებადი ხასიათი, ისევე როგორც მისი რაოდენობრივი მაჩვენებლები, სტრუქტურა, დინამიკა და სხვა სინამდვილის რეალური ფაქტებია. ცვალებადობა დამოკიდებულია ამა თუ იმ მოვლენათა სამართლებრივ შეფასებებზე, რომლებიც გამოირიცხება ან მიეკუთვნება კვალიფიციურ დანაშაულთა რიცხვს. დანაშაულობის ობიექტური ხასიათი, როგორც საზოგადოებისათვის საშიში მოვლენა, თითქოსდა კორექტირდება კანონმდებლის სუბიექტური ნებით. ამასთან დაკავშირებით, მხედველობაშია მისაღები ის, რომ დანაშაულობა თავისი არსით ნეგატიური მოვლენაა, რომელსაც ზიანი მოაქვს როგორც საზოგადოებისათვის მთლიანად, ასევე მისი კონკრეტული წევრებისათვის. ამავე დროს, ზოგიერთი მეცნიერის აზრით, დანაშაულობა ისეთივე ბუნებრივი მოვლენაა, როგორც ადამიანის დაბადება, სიკვდილი და განაყოფიერება (ლომბროზო), რომ იგი ყველა ჯანმრთელ საზოგადოებას თან სდევს (დიურკჰეიმი). თუკი ეს ასეა, მაშინ ეჭვქვეშ დგება დანაშაულობის, როგორც ნეგატიური მოვლენის გაგებაც. ბოროტება, რაც დანაშაულობას მოაქვს ადამიანებისთვის, არ გვაძლევს უფლებას მოვიხსენიოთ ის სხვა-ნაირად, თუ არა როგორც ნეგატიური მოვლენა.

დანაშაულობა თავისი გამოვლენით მრავალგვარია, რაც დიდ სირთულეებს ქმნის როგორც მისი თეორიული გააზრებისთვის, ასევე მასთან ბრძოლის პრაქტიკისათვისაც. განასხვავებენ დანაშაულებს როგორც მასში შემავალი ცალკეულ დანაშაულთა სახეების, მათი სიმძიმისა და ტერიტორიის მიხედვით, ასევე დანაშაულის ჩამდენ პირთა დახასიათებითა და მრავალი სხვა პარამეტრით. ყოველივე ეს კრიმინოლოგიური თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია, რადგან იგი აქარწყლებს გაადვილებულ წარმოდგენებს დანაშაულობაზე, მასთან ბრძოლის ფორმებსა და მეთოდებზე და პირიქით, საზოგადოებას წარმართავს დანაშაულობასთან ბრძოლის გეგმაზომიერი (გააზრებული) მოქმედებისაკენ. რაც თავის მხრივ მოიცავს იმას, რომ გაანალიზდეს დანაშაულობის მიზეზები, ხელ-

შემწყობი პირობები; შესწავლილ იქნეს დანაშაულის ჩამდენი პიროვნება; შემუშავდეს დანაშაულობის კონტროლისა და თავიდან აცილების ვონივრული ხერხები და მეთოდები; განისაზღვროს ის ღონისძიებები, რომლებიც დაკავშირებულია საზოგადოების, სახელმწიფოსა და მათი სხვადასხვა უჯრედის მიერ განსახორციელებელი ეკონომიკური, სოციალურ-კულტურული და აღმზრდელობითი ხასიათის ამოცანების გადაწყვეტასთან; შეიქმნას კანონმდებლობა, რომელიც ხელს შეუწყობს დანაშაულობასთან ბრძოლას კანონის საფუძველზე და მის ფარგლებში; ოპტიმალური უნდა გახდეს სამართალდამცავი ორგანოების სისტემის საქმიანობა, რომლის წარმატებით ფუნქციონირების გარეშე შეუძლებელია დანაშაულობასთან შედეგიანი ბრძოლა.

დანაშაულობის განსაზღვრა კრიმინოლოგიურ, სამართლებრივ, სოციოლოგიურ და ფილოსოფიურ ლიტერატურაში, როგორც უკვე შევნიშნეთ, მრავლად გვხვდება. ყოველი განსაზღვრება ნათელყოფს, თუ დანაშაულობის რომელი ნიშნები მიაჩნია მეცნიერ-მკვლევარს მთავარ, ე. ი. განმსაზღვრელ ფაქტორად. ლიტერატურაში ზოგჯერ გვხვდებით ვრცელ განმარტებებს, რომელშიც ავტორები ცდილობენ დაანახონ მკითხველებს დანაშაულობის ცნების სიღრმე. მაგრამ, როგორც არ უნდა ეცადოს ესა თუ ის მეცნიერი ერთ განსაზღვრებაში მოგვცეს მოვლენის სიღრმე (არსი) და მისი გარეგანი ატრიბუტებიც ამას ვერ შეძლებს (რაც ყოველთვის იყო და იქნება დისკუსიების, კრიტიკის, მტკიცებისა და უარყოფის, გაუგებრობისა და უსაფუძვლო საყვედურების საფუძველი), რადგან სხვის მიერ ნათქვამი ყოველ ადამიანს ესმის და განმარტავს სუბიექტურად და ზოგჯერ მცდარადაც. შემთხვევითი არ არის, რომ არა მხოლოდ კრიმინოლოგიაში, არამედ საზოგადოებრივ მეცნიერებათა სხვადასხვა დარგებში, საერთოდ, ამა თუ იმ განსაზღვრების ირგვლივ ყოველთვის ცხარე კამათი იმართებოდა და ამჯერადაც იმართება. ყოველივე ეს ცნების სრულყოფის დიალექტიკად უნდა მივიჩნიოთ.

დანაშაულობის განსაზღვრაში არსებითი მნიშვნელობა ენიჭებოდა მის კლასობრიობაზე ხაზგასმას, რითაც ცდილობდნენ გამოიჯნოდნენ „არა მარქსისტულ“ განსაზღვრებებს. რა თქმა უნდა, კლასობრივი და, საერთოდ, როგორც ყველა სხვა წინააღმდეგობანი ზეგავლენას ახდენენ დანაშაულობაზე, დანაშაულის კონკრეტული სახეების შინაარსზე, მაგრამ მათ უკიდურესად გაუბრალოებულ

(ვულგარულ) გამოყენებას იმ ნიშნით, რომლითაც განასხვავებდნენ დანაშაულობის საბჭოურ გაგებას, მისი სხვა გაგებებისგან, მეცნიერებისთვის არ მოუტანია სიკეთე. არსებითად ეს იყო მხოლოდ იდეოლოგიური შტამპი, რომელიც ხელს კი არ უწყობდა, არამედ პირიქით ხელს უშლიდა დანაშაულობის მთელი სისრულით შეცნობას. უფრო მეტიც, ყურადღების გარეშე რჩებოდათ ის მთავარი ფაქტი, რომ დანაშაულობა მოვლენაა, რომელიც ნიშანდობლივია ნებისმიერი საზოგადოებისთვის. აქედან გამოდინარე, ცხადია, კლასობრიობაზე ხაზგასმა ვერაფერს ვერ ხსნიდა (კლასები მონათმფლობელური წყობილებიდან მოყოლებული დღემდე არსებობს). დანაშაულობის შესწავლა ცხადყოფს, რომ მისი არსებობის ძირითადი კანონზომიერებანი (ისევე როგორც მისი მიზეზები, ხელშემწყობი პირობები, დანაშაულობათა სახეები და ა. შ.), პრინციპში ერთია ყველა სოციალური სისტემისთვის. რა თქმა უნდა, არის განსხვავებებიც, რასაც, ბუნებრივია, სახელმწიფოთა განვითარების ეკონომიკური, სოციალური, კულტურული დონე, ასევე ეროვნული თავისებურებანი და ცხოვრების წესი განსაზღვრავს.

დანაშაულობაზე მსჯელობისას აუცილებელია დასკვნის სახით აღენიშნოთ, რომ მას გააჩნია შემდეგი ძირითადი ნიშნები: 1) დანაშაულობა ყოველთვის ცოტად თუ ბევრად მასობრივი მოვლენაა; 2) დანაშაულობა ისტორიულად ცვალებადი მოვლენაა; 3) დანაშაულობა კლასობრივი საზოგადოებისათვის დამახასიათებელი მოვლენაა; 4) დანაშაულობა სოციალური მოვლენაა; 5) დანაშაულობა სისხლისსამართლებრივი მოვლენაა; 6) დანაშაულობა ცალკეულ დანაშაულთა ერთობლიობაა.

დანაშაულობა თავისთავად ყოველთვის ცოტად თუ ბევრად მასობრივ მოვლენას წარმოადგენს. ცალკეული ანტისაზოგადოებრივი ექსცესები გვაროვნულ საზოგადოებაშიც არსებობდა, მაგრამ მასთან ბრძოლისათვის გვაროვნულ წყობილებაში საჭირო არ იყო სისხლისსამართლებრივი რეგულირება. აქედან გამოდინარე ცალკეული ექსცესები არ შეიძლებოდა დანაშაულობად განხილულიყო.

დანაშაულობა ისტორიულად ცვალებადია როგორც სოციალური არსით (ხელყოფს ხალხის ინტერესებს), ისე თავისი ადგილით (სხვადასხვა სახელმწიფოში და სხვადასხვა სოციალ-ეკონომიური ფორმაციის პირობებში დანაშაულთა წრე ერთნაირი

არ არის) და თავისი დროის მონაკვეთით (სისხლისსამართლებრივი დასჯადი ქმედების მოცულობა იცვლება სახელმწიფოს ისტორიული განვითარების შესაბამისად თვით ერთსა და იმავე ფორმაციაში).

დანაშაულობა კლასობრივი საზოგადოებისათვის დამახასიათებელი მოვლენაა. იგი წარმოიშვა საზოგადოების ანტაგონისტურ კლასებად დაყოფის შედეგად.

დანაშაულობა ყოველთვის სოციალური (და არა ბიოლოგიური, ფიზიკური) მოვლენაა. სოციალურია იმითომ, რომ ხელყოფს მთელი საზოგადოების ინტერესებს. იგი სოციალურია თავისი წარმოშობითა და შინაარსით.

დანაშაულობა სისხლისსამართლებრივი მოვლენაა. მასში შემავალ დანაშაულთა წრეს განსაზღვრავს სისხლის სამართლის კანონმდებლობა, რომელსაც ინტელექტუალურ-ნებელობითი შინაარსი აქვს. დანაშაულობის სამართლებრივი მხარე დაუყოვნებლივ შეადგენდა სისხლის სამართლის კანონმდებლობის რამდენადმე სერიოზული ცვლილებისას, განსაკუთრებით თუ იგი ეხება გავრცელებულ დანაშაულთათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის სფეროს შევიწროვებას ან გაფართოებას, ან სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის დანაშაულთა დაჯგუფებას.

დანაშაულობის სამართლებრივი ელემენტი განასხვავებს მას ისეთივე სოციალური მოვლენისაგან, როგორცაა ამორალური გამოვლინებანი, ხოლო მართლწინააღმდეგობის ხარისხი განასხვავებს მას ისეთი სამართალდარღვევებისაგან, როგორცაა: ადმინისტრაციული, დისციპლინარული და სამოქალაქო სამართლებრივი.

დანაშაულობა არა მარტო ცალკეულ დანაშაულთა მექანიკური ჯამია, არამედ მათი ორგანული ერთობლიობა. ეს ნიშნავს, რომ ყველა შემოაღნიშნულ ნიშანს შორის მტკიცე კავშირი არსებობს.

კრიმინოლოგიაში დანაშაულობა შეისწავლება იმ კანონზომიერებათა გამოვლენის მიზნით, რომლებიც დამახასიათებელია ამ სოციალური მოვლენისადმი სხვადასხვა ისტორიულ პერიოდში. დანაშაულობის შესწავლა პროფილაქტიკური ღონისძიებების დაგეგმვის საფუძველია. დანაშაულობას, როგორც სოციალურ მოვლენას, რაოდენობრივი და თვისობრივი დახასიათება უნდა მიეცეს.

რაოდენობრივად დანაშაულობა ხასიათდება განსაზღვრულ ტერიტორიაზე დროის ამა თუ იმ მონაკვეთში ჩადენილ დანა-

შაულთა მთელი ერთობლიობით. ჩვეულებრივ რაოდენობრივი მხარის შეფასებისათვის იყენებენ ტერმინს „დანაშაულობის მდგომარეობას“, რაც მიუთითებს რაიონში, ქალაქში, ავტონომიურ რესპუბლიკაში ან მთლიანად ქვეყანაში გასულ თვეს, კვარტალში, წელს ან დროის სხვა მონაკვეთში ჩადენილ დანაშაულთა აბსოლუტურ რიცხვზე. მნიშვნელობა აქვს ასევე დანაშაულობის კოეფიციენტს (დონეს, ინდექსს), რომელსაც გამოიანგარიშებენ ყოველ 10 ათას ან 100 ათას მცხოვრებზე, დანაშაულობის მდგომარეობის მთავარ მაჩვენებლად გვევლინება მისი დონე, სტრუქტურა და დინამიკა.

ამრიგად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ დანაშაულობის მდგომარეობა, ხასიათდება რა რაოდენობრივად, განისაზღვრება ჩადენილი დანაშაულის რიცხვით და იმ პირობით რაოდენობით, რომლებმაც ჩაიდინეს დანაშაული დროის განსაზღვრულ პერიოდში. ეს მაჩვენებლები ჩვეულებრივ აბსოლუტურ ციფრებში გამოიხატება.

რაოდენობრივი მაჩვენებლები დანაშაულობის მხოლოდ ყველაზე ზოგადი, გარეგნული დახასიათებაა. შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ დანაშაულობის რაოდენობრივი მხარე აბსტრაქტული მაჩვენებელია, რომელსაც სოციალური შინაარსი არა აქვს, მაგრამ ეს ასე არ არის. დანაშაულობას, როგორც სოციალურ მოვლენას, განვიხილავთ არა როგორც ჩადენილ დანაშაულთა უბრალო ჯამს, არამედ ისეთ მოვლენას, რომელსაც გააჩნია თავისი განსაზღვრული ნიშნები, კანონზომიერებანი, ტენდენციები, რაც შეუძლებელია გამოვლინდეს ცალკეულ დანაშაულთა განხილვისას. დანაშაულობის რაოდენობრივი მაჩვენებლები ასახავენ იმ საერთო ტენდენციებს, რომლებიც მისთვის დამახასიათებელია მოცემულ საზოგადოებაში, ხოლო ეს ტენდენციები განპირობებულია არსებული საზოგადოებრივი ურთიერთობის ბუნებით.

დანაშაულობაზე კიდევ უფრო სრულ წარმოდგენას გვაძლევს მისი თვისობრივი მაჩვენებლები, სახელდობრ, დანაშაულობის სტრუქტურა და დინამიკა. დანაშაულობის თვისობრივი დახასიათება — ერთი სახის დანაშაულთა სიჭარბე მეორესთან შედარებით, პროფესიონალური და რეციდიული დამნაშავეობის დონე, არასრულწლოვანთა დანაშაულობა, ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის დანაშაულობანი და სხვა — უფრო სრულ წარმოდგენას

გვაძლევს ამ სოციალური მოვლენისათვის დამახასიათებელ ძირითად ნიშნებზე.

დანაშაულობის სტრუქტურა ხასიათდება მთელი რიგი მანვენებლებით, სახელდობრ, ნაკლებად მძიმე, მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულთა თანაფარდობით; ყველა სახის დანაშაულთა თანაფარდობითა და ხვედრითი წონით; დანაშაულის ჩამდენ პირთა დახასიათებით (სქესის, ასაკისა და სოციალური მდგომარეობის მითითებით).

დანაშაულობის სტრუქტურის ანალიზისას მნიშვნელობა აქვს ისეთ გარემოებებსაც როგორცაა: დანაშაულის ობიექტის თავისებურებანი, ბრალის ფორმები, მოტივი, დრო, ადგილი, დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის ხერხი, რეციდივული, პროფესიული და ორგანიზებული დანაშაულობის ხვედრითი წონა, აგრეთვე არასრულწლოვანთა დანაშაულობის ხვედრითი წონა.

ზოგიერთი კატეგორიის საქმეებზე (გატაცება, მკვლელობა, ხულიგნობა) დანაშაულის სტრუქტურის ანალიზისას შეიძლება გამოყოფილი იქნეს დანაშაულობის სხვა, უფრო მრავალრიცხოვანი მაჩვენებლები.

რაც შეეხება დანაშაულობის დინამიკას, უნდა აღვნიშნოთ, რომ იგი კომპლექსური ცნებაა და მოიცავს დანაშაულობის მდგომარეობასა და სტრუქტურას აღებულ მოძრაობაში, ახასიათებს მათს ცვლილებას დროის გარკვეულ პერიოდში.

დანაშაულობის მდგომარეობა, სტრუქტურა და დინამიკა მუდმივი სიდიდეები არ არის, ისინი დამოკიდებულია: ა) საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიულ და სოციალ-ეკონომიკური პირობების ცვლილებაზე; ბ) ამა თუ იმ ტერიტორიაზე მოსახლეობის ზრდასა და შემცირებაზე; გ) სისხლის სამართლის კანონმდებლობის ცვლილებაზე; დ) დანაშაულთა გახსნის დონეზე და სხვ.

დანაშაულობის შესწავლის მეთოდისათან დაკავშირებით უნდა შევნიშნოთ, რომ იგი სამ ძირითად მხარეს გულისხმობს: 1) დანაშაულობის შესწავლის სტადიებს, 2) დანაშაულობის შესწავლის ხერხებს და 3) დანაშაულობის შესწავლის წყაროებს. ეს სამი მხარე ურთიერთდამოკიდებულებაში იძლევა დანაშაულობის შესწავლის მეთოდისათან.

საჭიროა განვასხვაოთ დანაშაულობის შესწავლის ორი ძირითადი სტადია: 1) დანაშაულობის მდგომარეობისა და დი-

ნამიკის შესწავლა და 2) დანაშაულობის მიზეზების შესწავლა. დანაშაულობის შესწავლას ამ თანამიმდევრობით პრინციპული მნიშვნელობა აქვს, რადგან, გვეცოდინება რა დანაშაულობის მდგომარეობა და მოძრაობა დროის გარკვეულ მონაკვეთში, საშუალება გვეძლევა ამ მონაკვეთებზე დაყრდნობით უფრო რაციონალურად წარვმართოთ დანაშაულობის მიზეზების შესწავლა, მაგალითად, ყურადღება გავამახვილოთ იმ დანაშაულებზე, რომლებიც უფრო გავრცელებულია, უფრო დაწერილებით შევისწავლოთ ის ობიექტები, სადაც დანაშაულობა უფრო ხშირია და სხვა.

დანაშაულობის მდგომარეობის და დინამიკის შესწავლა ძირითადად სისხლის სამართლის სტატისტიკის მასალების შეგროვების, დამუშავების და განზოგადების მეშვეობით წარმოებს, რაც კეთდება სხვადასხვა უწყებათა (სასამართლო, პროკურატურა, პოლიცია, სასჯელაღსრულების დაწესებულებები), სტატისტიკური მასალების კრიტიკული ურთიერთშეჯერების გზით. უნდა აღინიშნოს, რომ სხვადასხვა უწყებათა სტატისტიკური მასალები ხშირ შემთხვევაში ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდებიან, რაც იმიტია გამოწვეული, რომ ისინი ეხებიან დანაშაულობასთან ბრძოლის სხვადასხვა სტადიებს. ამიტომ სწორად ვერ ასახავენ ჩადენილ დანაშაულთა საერთო რაოდენობას და დინამიკას. ყველაზე უფრო უახლოვდება სინამდვილეს მოკვლევის და საგამომძიებლო ორგანოთა სტატისტიკური მასალები დანაშაულის ჩადენის ფაქტების შესახებ. უფრო ნაკლები სიზუსტისაა საგამომძიებლო ორგანოთა მასალები იმ საქმეების რაოდენობის შესახებ, რომელთა მიმართაც შედგა საბრალდებო დასკვნები. ეს იმიტია გამოწვეული, რომ სისხლის სამართლის საქმეთა გარკვეული ნაწილი გაუხსნელი რჩება ან წარმოებით ისპობა. კიდევ უფრო ნაკლები სიზუსტით ასახავს დანაშაულთა საერთო რაოდენობას სასამართლო სტატისტიკის მასალები იმ საქმეთა შესახებ, რომელთა მიმართაც გამოტანილია გამამტყუნებელი განაჩენი, რადგან ასეთი განაჩენი სასამართლოს გამოაქვს არა ყველა სამართალში მიცემულის მიმართ, თანაც ბრალდებულთა მნიშვნელოვან ნაწილს სასამართლო უსჯის ისეთ სასჯელებს, რაც თავისუფლების აღკვეთასთან არ არის დაკავშირებული.

მეორეს მხრივ, საუწყებო სტატისტიკური მასალები ხშირ შემთხვევებში არ მოიცავენ საკმარის ცნობებს იმისათვის, რათა მათ

საფუძველზე შესაძლებელი იყოს დანაშაულობისა და მისი მიზეზების ღრმა მეცნიერული შესწავლა. განსაკუთრებით ძნელია ამ მასალებზე დაყრდნობით დანაშაულის ცალკეულ სახეობათა მიზეზების შესწავლა. ამავე დროს სხვადასხვა უწყებები, რომლებიც აწარმოებენ დანაშაულობის აღრიცხვას, არ მოქმედებენ ურთიერთშეთანხმებულად, რის გამოც მონაცემები, რომლებიც ასახულია ამ უწყებათა სტატისტიკურ მასალებში, არაერთგვაროვანია. ამიტომ დანაშაულობის მდგომარეობისა და დინამიკის შესწავლისას საჭიროა ყველა ამ სტატისტიკური მონაცემების კრიტიკული ურთიერთშედარება.

სისხლის სამართლის სტატისტიკის მასალების საფუძველზე დანაშაულობის დინამიკის შესწავლისას აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული ცვლილებები სისხლის სამართლის კანონმდებლობაში, რადგან ახალი კანონის გამოცემამ ან რომელიმე სისხლის სამართლის კანონის გაუქმებამ შეიძლება მოახდინოს საგრძნობი ზეგავლენა სისხლის სამართლის სტატისტიკის მასალებზე და შეგვიქმნას მცდარი წარმოდგენა დანაშაულობის მდგომარეობისა და მოძრაობის შესახებ.

გარდა სისხლის სამართლის სტატისტიკის მასალების შესწავლისა, დანაშაულობის მდგომარეობისა და მოძრაობის შესასწავლად აუცილებელია გამოყენებულ იქნას მეორე ხერხი, სახელდობრ სისხლის სამართლის საქმეთა სპეციალური შერჩევითი გამოკვლევა. ამ გზით შეივსება სისხლის სამართლის სტატისტიკის ხარვეზები და შეისწავლება ისეთი საკითხები, რომლებმაც ვერ პოვეს ასახვა საუწყებო სტატისტიკაში.

დანაშაულობის მიზეზების შესწავლა შეიძლება თავის მხრივ ორ ძირითად ნაწილად დავეთ: 1) ცალკეული სახის დანაშაულთა მიზეზების შესწავლა. მაგალითად, ადამიანის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა მიზეზების შესწავლა, საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა მიზეზების შესწავლა და სხვა და 2) სხვადასხვა ჯგუფის დამნაშავეთა პიროვნების შესწავლა, მაგალითად არასრულწლოვან დამნაშავეთა პიროვნების შესწავლა, რეციდივისტების პიროვნების შესწავლა და სხვა. იმ მასალის სათანადო დამუშავებისა და განზოგადების შედეგად, რომელიც მიღებულია ცალკეული სახის დანაშაულთა მიზეზების შესწავლისა და დამნაშავეთა გარკვეული ჯგუფების პიროვნების შესწავლის გზით,

შეიძლება ჩამოყალიბდეს სწორი წარმოდგენა დანაშაულობის მიზეზების შესახებ.

დანაშაულობის შესწავლისას კრიმინოლოგია დღეისათვის იყენებს ორ ხერხს: 1) სტატისტიკური მასალების შესწავლას და 2) შერჩევით ანკეტურ გამოკვლევას.

სტატისტიკურ მასალებში იგულისხმება უპირველეს ყოვლისა სისხლის სამართლის სტატისტიკის მონაცემები. ფართოდ უნდა იქნას გამოყენებული აგრეთვე ეკონომიკური, დემოგრაფიული და სოციალ-კულტურული სტატისტიკის მასალები.

შერჩევითი გამოკვლევა უნდა წარმოებდეს ამისათვის სპეციალურად შედგენილი ანკეტების შევსების, სათანადო დამუშავებისა და მიღებული შედეგების განზოგადების გზით. დამნაშავეთა ცალკეული ჯგუფების პიროვნების შესწავლისას, გარდა ანკეტური გამოკვლევისა, მიზანშეწონილია გამოყენებულ იქნას დამნაშავეს პიროვნებაზე ფსიქოლოგიური დაკვირვება მისი ფსიქიკის თავისებურებათა გამოკვლევის მიზნით. ზემოთ ჩამოთვლილი ხერხები, გარდა ფსიქოლოგიური დაკვირვებისა, შეიძლება გამოყენებულ იქნას დანაშაულობის შესწავლის ორივე სტადიაზე, მაგრამ მათ არათანაბარი მნიშვნელობა აქვთ პირველი და მეორე სტადიისათვის.

დანაშაულობის შესწავლის წყაროები შეიძლება მრავალგვარი იყოს, მაგრამ მიუხედავად ამისა მათში შეიძლება გამოვყოთ ოთხი ძირითადი წყარო, რომლებიდანაც მიიღება ინფორმაციის უდიდესი ნაწილი.

დანაშაულობის მიზეზების შესწავლა ხორციელდება დანაშაულთა ცალკეული კატეგორიების მიზეზების შესწავლისა და დამნაშავეთა გარკვეული ჯგუფების პიროვნების შესწავლის გზით. ამ შესწავლის მიზანია იმ კონკრეტული მიზეზებისა და პირობების გამოვლენა, რომლებმაც ხელი შეუწყვეს ამ სახის დანაშაულთა ჩადენას. ცალკეული სახის დანაშაულთა მიზეზების შესწავლის ძირითად ხერხს წარმოადგენს მათი შერჩევითი გამოკვლევა, რაც სპეციალური ანკეტების შევსებისა და დამუშავების გზით ხორციელდება, ანკეტები შეიძლება მრავალგვარი იყოს და მოიცავდეს საკითხთა მეტად ფართო წრეს. მიზანშეწონილია ისეთი ანკეტებით სარგებლობა, რომლებიც ეხებიან როგორც დანაშაულს, ისე დამნაშავეს პიროვნებას. ცალკეული დანაშაულისა და დამნაშავეს პი-

როვნების შესასწავლი ანკეტები ძირითადად დგება: 1) სისხლის სამართლის საქმის მასალების საფუძველზე, 2) თავისუფლებადაღკვეთილის პირადი საქმის მასალების საფუძველზე, 3) მსჯავრდებულთან პირადი საუბრის დროს, 4) მისი საცხოვრებელი ადგილის გამოკვლევისას, 5) მისი სამუშაო ადგილის გამოკვლევისას ამ გზით მოპოვებული მასალა საშუალებას მოგვცემს დავადგინოთ ის კონკრეტული მიზეზები და პირობები, რომლებმაც მოცემული პიროვნება მიიყვანეს დანაშაულამდე, რაც გააადვილებს მის მიმართ სასჯელის ინდივიდუალიზაციას, დამნაშავეთა გარკვეული ჯგუფისადმი მის მიკუთვნებას, თავისუფლების აღკვეთის რეჟიმის განსაზღვრას და სხვა.

დღეისათვის არსებობს მრავალი ასეთი ანკეტა, რომლებიც სხვადასხვა დროს შედგენილ იქნა კრიმინალისტიკის საკავშირო სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის დანაშაულობის შესწავლისა და თავიდან აცილების სექტორში, დანაშაულობის მიზეზებისა და მისი თავიდან აცილების ღონისძიებათა შემსწავლელ საკავშირო ინსტიტუტში და სხვა სამეცნიერო დაწესებულებებში. იმ გარემოებამ, რომ ანკეტების შემუშავების საქმეს ხელი მოკიდა რამდენიმე სხვადასხვა სამეცნიერო დაწესებულებამ, შექმნა გარკვეული უხერხულობა, რადგან სხვადასხვა დაწესებულებათა ანკეტები ერთმანეთს არ ემთხვევა, ამიტომ ამ ანკეტებიდან მიღებული მასალები გარკვეულ ნაწილში ურთიერთშედარებისათვის გამოუსადეგარია. იმისათვის, რათა თავიდან იქნას აცილებული ეს უხერხულობა, მიზანშეწონილია დანაშაულობის შემსწავლელ დაწესებულებათა მიერ ამ მიმართულებით წარმოებული მუშაობის კოორდინირება.

დანაშაულობის მიზეზების შესწავლის საქმეში მნიშვნელოვან როლს თამაშობს აგრეთვე სტატისტიკური მასალების შესწავლა და განზოგადება.

დამნაშავის პიროვნების შესასწავლად, გარდა ზემოაღნიშნულისა, მიზანშეწონილია ასევე ჩატარდეს სპეციალური ფსიქოლოგიური დაკვირვებები მსჯავრდებულის ფსიქიკური თვისებების, ნიშნების დასადგენად.

სისხლის სამართლის მეცნიერება დანაშაულის ჩამდენი პირის ფსიქიკური თვისებების შესწავლის საკითხს უწყურადლებოდ ტოვებ-

და მთელი სამი ათეული წლის განმავლობაში, მაშინ, როდესაც პიროვნების ანტისაზოგადოებრივი ქცევის მიზეზების ახსნის საქმეში ამ პირის ფსიქიკური თვისებების შესწავლას მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია. დამნაშავეს პიროვნების ფსიქოლოგიური შესწავლის მეშვეობით, შეიძლება გარკვეულ იქნეს დამნაშავეს პიროვნების ისეთი თვისებები, როგორცაა ტემპერამენტი, ინტელექტი, ნებელობა, უმაღლესი ნერვიული მოქმედების ტიპი და სხვა. ამგვარ შესწავლას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს დამნაშავეთა ისეთი ჯგუფის შესწავლისას, როგორცაა რეციდივისტები, ალკოჰოლიკები, არასრულწლოვანები და სხვა.

ამრიგად, დანაშაულობის შესწავლის სხვადასხვა სტადიებზე დანაშაულობის შესწავლის სხვადასხვა ხერხებს არათანაბარი მნიშვნელობა აქვთ.

საყურადღებოა საკითხი დანაშაულობის შესწავლის წყაროების შესახებ, რადგან ენერჯის მინიმალური ხარჯვით მაქსიმალურად სრული ინფორმაციის მიღება დანაშაულობის შესახებ შეგვიძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სწორად განვსაზღვრავთ ინფორმაციის შესაძლებელ წყაროებს და ამ წყაროების ხვედრით წონას დანაშაულობის შესწავლის სხვადასხვა სტადიებზე. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დღეისათვის დანაშაულობის შესწავლისას ძირითადად ოთხი წყაროთი სარგებლობენ. ეს წყაროებია: 1) სხვადასხვა სახის ოფიციალური სტატისტიკური მასალები, 2) სხვადასხვა უწყებათა ოფიციალური დოკუმენტები დანაშაულებრივ ქმედებათა და დამნაშავეს პიროვნების შესახებ, როგორცაა სისხლის სამართლის საქმე, თავისუფლებააღკვეთილის პირადი საქმე და სხვა, 3) თვით დამნაშავე, 4) მისი ახლობლები (ოჯახის წევრები, მეზობლები, თანამშრომლები და სხვა). თითოეული ეს წყარო შეიძლება უფრო დეტალიზებულ იქნას.

ოფიციალური სტატისტიკური მასალები (სისხლის სამართლის, ეკონომიური, დემოგრაფიული, სოციალ-კულტურული სტატისტიკა), წარმოადგენენ დანაშაულობის მდგომარეობისა და მოძრაობის შესწავლის ძირითად წყაროს. ამავე დროს მათ აქვთ გარკვეული მნიშვნელობა ცალკეული სახის დანაშაულთა მიზეზების

შესწავლის დროს. ოფიციალური საუწყებო დოკუმენტები დანაშაულებრივი ქმედებისა და დამნაშავეს შესახებ კი, პირიქით, წარმოადგენენ ცალკეული სახის დანაშაულთა მიზეზების შესწავლის ძირითად წყაროს და დანაშაულობის მდგომარეობისა და მოძრაობის შესწავლის დამატებით წყაროს. ეს იმით მტკიცდება, რომ ანკეტები, რომელთა მეშვეობითაც წარმოებს შერჩევითი გამოკვლევა, ძირითადად დგება სისხლის სამართლის საქმიდან და თავისუფლებააღკვეთილის პირადი საქმიდან აღებული მონაცემების საფუძველზე.

დანაშაულობის შესწავლის ორ დანარჩენ წყაროსთან დაკავშირებით (იგულისხმება თვით დამნაშავე და მისი ახლობლები) უნდა შევნიშნოთ, რომ ინფორმაცია, მიღებული თვით დამნაშავესაგან და მისი ახლობლებისაგან სუბიექტურ ხასიათს ატარებს, ამიტომ განსაკუთრებულ შემოწმებასა და კრიტიკულ შეფასებას საჭიროებს. ეს ცნობები შეიძლება არ შეესაბამებოდეს სინამდვილეს სხვადასხვა მიზეზების გამო, მაგალითად, შეიძლება მათ იცრუნონ, ვერ აღადგინონ მეხსიერებაში ზოგიერთი ფაქტი, მცდარი შეფასება მისცენ ზოგ ფაქტს ან მოვლენას და სხვ. ამ ორი წყაროდან მიღებული ინფორმაცია ზოგჯერ ისეთი ხასიათისაა, რომ მისი სისწორის შემოწმება შეუძლებელიცაა.

ინფორმაცია, როგორც დამნაშავესაგან, ისე მისი ახლობლებისაგან მიიღება პირადი საუბრის დროს და ფიქსირდება სპეციალურ ანკეტებში ან შერეული ანკეტების შესაბამის თავებში. დამნაშავე და მისი ახლობლები წარმოადგენენ ინფორმაციის წყაროს არსებითად დანაშაულობის შესწავლის მეორე სტადიისათვის.

დასასრულ აღვნიშნავთ, რომ ზემომოყვანილი მოსაზრებები დანაშაულობის შესწავლის მეთოდის შესახებ საორიენტაციო ხასიათს ატარებენ. ისინი შემდგომ გაღრმავებასა და დაზუსტებას საჭიროებენ, რაც უნდა ვყრდნობოდეს გამოცდილების შემდგომ დაგროვებას დანაშაულობის შესწავლის საქმეში¹.

¹ დანაშაულობის შესწავლის მეთოდის შესახებ იხ. ა. გაბიანის სტატია — „დანაშაულობის შესწავლის მეთოდის საკითხისათვის“, — ჟურნალი „საბჭოთა სამართალი“, 1964, №5, გვ. 22-27.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გააზრების საფუძველზე სწორი იქნება თუ ვიტყვით, რომ: დანაშაულობა უარყოფითი სოციალურ-სამართლებრივი მოვლენაა; იგი არსებობს ადამიანთა საზოგადოებაში, გააჩნია გარკვეული კანონზომიერებანი, სასიათდება რაოდენობრივი და თვისებრივი მარჯვენებლებით, იწვევს საზოგადოებისა და ადამიანებისთვის ნეგატიურ შედეგებს და მოითხოვს სპეციფიკურ სახელმწიფო და საზოგადოებრივ კონტროლს¹.

¹ დანაშაულობის ცნებაზე იხილეთ: **Кузнецова Н. Ф.** Преступление и преступность. М., 1969; Курс советской криминологии, том 1, М., 1985; **Карпец И. И.** Проблема преступности. М., 1969; Его же, Преступность: иллюзии и реальность. М., 1992; **Долгова А. И.** Преступность и общество. М., 1992; Криминология. М., 1995; **Четвериков В. С.** Криминология. М., 1996; Криминология. Под ред. проф. А. И. Долговой. М., 2000.

დანაშაულობის მიზეზებისა და ხელშეწყობა პირობების ცნება

უკონსტანტო
პროკლავი

კრიმინოლოგიაში მიზეზობრიობა ერთ-ერთი საკვანძო და რთული პრობლემაა. მისი გადაწყვეტა ბევრადაა დამოკიდებული იმაზე, თუ რა ფილოსოფიურ შეხედულებებს იზიარებს მეცნიერ-მკვლევარი. ამავე დროს მიზეზობრიობის პრობლემა არ არის მხოლოდ თეორიული, მას პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს. მაგალითად, ებრძოლო ისეთ მოვლენას როგორცაა დანაშაულობა შეუძლებელია მისი მიზეზებისა და ხელშეწყობი პირობების შესწავლის გარეშე. გასათვალისწინებელია ისიც, რომ დანაშაულობასთან ბრძოლა მხოლოდ სამართალდამცავი ორგანოების ძალე-ბითა და კანონის მეშვეობით კი არა, არამედ ეკონომიკური, სოციალური და სხვა ბერკეტების (რომლებიც გააჩნია საზოგადოებასა და სახელმწიფოს) ამოძრავებითა და გააქტიურებით უნდა მოხდეს.

მოვლენათა შორის მიზეზობრივი კავშირის არსის შეცნობას საფუძვლად უდევს მატერიალისტური გაგება, რომლის თანახმადაც მიზეზობრიობა არის ობიექტური კავშირი ორ მოვლენას შორის, რომელთაგან ერთი (მიზეზი) გარკვეული პირობების შემთხვევაში წარმოშობს მეორეს (შედეგს).

მიზეზობრიობის მატერიალისტური და იდეალისტური გაგება არსებითად განსხვავდება ერთმანეთისგან. ეს უნდა გავითვალისწინოთ მიზეზობრიობის კატეგორიის შესწავლისა და ცხოვრებისეული რეალების მიმართ მისი გააზრების შემთხვევაში. ძირეული განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ მიზეზობრიობის მატერიალისტური გაგება დაკავშირებულია ძირითადად იმ დებულებასთან, რომლის თანახმადაც მიზეზობრიობის შეცნობის წყაროს წარმოადგენს ბუნებისა და საზოგადოების ობიექტური კანონზომიერებანი, ხოლო იდეალისტურის მიხედვით ეს წყარო არის ადამიანის გონება, მისთვის დამახასიათებელი ცნობილ აპრიორულ (ცდისაგან დამოუკიდებელი, იმთავითვე არსებული) ჭეშმარიტებათა შეცნობის უნარი.

აქედან გამოდინარე, ზოგიერთი მეცნიერი მიიჩნევს, რომ მტკიცებები მიზეზობრივი კავშირის შესახებ პირობითია, სუბიექტურია. კრიმინოლოგიაში ეს პოზიცია ყველაზე მკაფიოდ არის გამოხატული ამერიკელი მეცნიერის ტ. სელინის მიერ, რომელიც წერს: „მეცნიერებამ უარი უნდა თქვას მიზეზობრივ კონცეფციაზე და მას უნდა მიმართოს მხოლოდ გარკვეულ ელემენტებსა და ფაქტებს შორის ფუნქციონალური ურთიერთობების აღსანიშნავად“¹.

არ შეიძლება უარყოფთ ის ფაქტი, რომ საზოგადოებასა და საზოგადოებრივ მეცნიერებებში მიზეზობრივი კავშირების დადგენა ბევრად უფრო ძნელია, ვიდრე ბუნებაში. მაგრამ კრიმინოლოგიის განვითარებამ და პრაქტიკაში მისი რეკომენდაციების დანერგვამ საკმაო დამაჯერებლობით დაგვანახა დანაშაულობის პრობლემაში მიზეზობრივი კავშირებისა და დანაშაულის ჩადენის ხელშემწყობი პირობების დადგენის რეალობა. სამართალდაცვის ორგანოებმა ისწავლეს დანაშაულობის მიზეზებისა და ხელშემწყობი პირობების გამოვლენა, მეცნიერებამ კი შეიმუშავა მათი დადგენის მეთოდოლოგია. კანონმდებელმა განამტკიცა სამართალდაცვის ორგანოების მოვალეობა გამოავლინონ დანაშაულის ჩადენის მიზეზები, ხელშემწყობი პირობები და შეიმუშაონ თავიანთი შესაძლებლობისა და კომპეტენციის ფარგლებში, მათი თავიდან აცილების ღონისძიებები.

დანაშაულობა დეტერმინაციის ერთ-ერთი ფორმათაგანია, მისი ნაირსახეობაა, რომელშიც იგულისხმება ნებისმიერი კანონზომიერი დამოკიდებულება სხვადასხვა პროცესსა და მოვლენას შორის. მიზეზობრიობის კატეგორია ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით, მოიცავს: მიზეზს, პირობას, შედეგს (რეზულტატს), კავშირს მიზეზსა და შედეგს, პირობასა და მიზეზს, პირობასა და შედეგს შორის; ასევე უკუკავშირს შედეგსა და მიზეზებს (პირობებს) შორის. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ კრიმინოლოგიას მიზეზობრიობის შესახებ საკუთარი განსაზღვრება არ გააჩნია. იგი ამ საკითხის გარკვევისას ემყარება როგორც საზოგადოებრივ მეცნიერებათა, ასევე, აუცილებლობის შემთხვევაში, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მიღწევებს.

¹ Социология преступности. М., 1966, с. 27; Криминология. М., 1995, с. 23.

„თუ განვაზოგადებთ იმ სირთულეებს, რაც დაკავშირებულია მოვლენებს შორის მიზეზობრივი კავშირის დადგენასთან, შევძილია აღენიშნოთ, რომ მოცემული კავშირი სხვა არაფერია, თუ არა მოვლენათა ურთიერთმოქმედება“¹.

კრიმინოლოგიურ ლიტერატურაში სადისკუსიოა დანაშაულობის მიზეზების კლასიფიკაციის საკითხი. უპირველეს ყოვლისა, თვითონ მოვლენის სირთულისა და მისი ურთიერთკავშირებისა და ურთიერთდამოკიდებულებების გამო (ყოველივე ეს იგულისხმება როგორც მოვლენის „შივნით“, ასევე მის გარეთ — სხვა მოვლენებთან). ამასთან, მოვლენის მიმართ საერთო კანონზომიერებისა და მიზეზობრივი კავშირების გამოყენებით, ყოველთვის არ შეიძლება დანაშაულობის ახსნა. თუმცა ამას ყოველთვის უნდა ვეცადოთ. დანაშაულობის ახსნის ძირითად კრიტერიუმად მისი მიზეზებისა და პირობების სწორი გაგება უნდა მივიჩნიოთ.

„დანაშაულობის მიზეზებად, ამ სიტყვის ფართო გაგებით, შეიძლება ჩავთვალოთ ყველა ის გარემოება, — აღნიშნავდა პროფ. მ. შარგოროდსკი, — რომელთა გარეშე ის ვერ წარმოიშობოდა და ვერ იარსებებდა. მაგრამ ყველა ეს გარემოება ერთი და იგივე როლს როდი ასრულებს. ზოგი მათგანი დანაშაულებრივი მოტივების მხოლოდ რეალურ შესაძლებლობას ქმნის, მეორენი კი ამ შესაძლებლობას სინამდვილედ აქცევენ. ამიტომ პირველნი უნდა განვიხილოთ როგორც პირობები, მეორენი კი — როგორც მიზეზები. დამნაშავეობის მიზეზები, როგორც საერთოდ მიზეზები, ის აქტიური ძალებია, რომლებიც თავისი მოქმედებით წარმოშობენ მის არსებობას. ამრიგად, კონკრეტული დანაშაულის მიზეზებია ის აქტიური ძალები, რომლებიც გამოიწვევენ სუბიექტში ინტერესსა და მოტივებს მის ჩასადენად“². აქვე უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ მიუხედავად იმისა, რომ კრიმინოლოგიაში წამოყენებული იყო დანაშაულობის მიზეზების შესახებ სუბიექტური და ობიექტური კლასიფიკაციის იდეა (ა. გერცენზონი, ა. სახაროვი, ა. ვაჩიშვილი, ა. შლიაპოჩნიკოვი, ი. კარპეცი, ვ. კულრიავეცივი, ნ. კუზნეცოვა, ა. იაკოვლევი და სხვები), ა. შარგოროდსკი მაინც მყარად

¹ Курс криминологии, т. I, М., 1985, с. 200.

² Шарг ородский М. Д. Преступность, ее причины и условия в соц. обществе. Преступность и ее предупреждение. М., 1966, с. 30.

იდგა თავის საკუთარ პოზიციაზე. სახელდობრ, იგი აღიარებდა მხოლოდ ობიექტური მიზეზების არსებობას. ცხადია, თუ გავიზიარებთ ასეთ აზრს, მაშინ ჩვენ უნდა ვაღიაროთ ფაქტობრივი კონცეფცია, რომელიც უარყოფს პიროვნების მნიშვნელობას უნივერსალურ მიზეზობრივ დამოკიდებულებათა განვითარებაში.

რიგმა მეცნიერებმა დანაშაულობის კლასიფიკაციის საფუძვლად აღიარა სრული მიზეზისა (როგორც ყველა გარემოებათა ერთობლიობა, რომლებიც იწვევენ შედეგის დადგომას) და სპეციფიკური მიზეზის (ე. ი. რიგ გარემოებათა ერთობლიობა, რომლებსაც შედეგისაკენ მივყავართ) ფილოსოფიური ცნებები (მაგალითად, პროფ. ნ. კუზნეცოვა). ასეთი კლასიფიკაცია თუმცა გავრცელებულია ფილოსოფიაში, მაგრამ იგი მეტად აბსტრაქტულია, სახელდობრ მასში აღრეულია მთავარი და მეორეხარისხოვანი, პირველი და მეორე რიგის მიზეზები და აგრეთვე დანაშაულის ჩადენის ხელშემწყობი პირობები. კრიტიკოსებმა ხატოვნად უწოდეს მას „მიზეზთა ტომარა“, რაშიც ჩაყრილია ყველაფერი. პრაქტიკისათვის ეს, რა თქმა უნდა, ძალზე ზოგადია. დანაშაულობისადმი ასეთმა, არსებითად ერთმიზეზობრიობის თეორიის აღიარებამ, საეჭვოა რაიმე სარგებლობა მოუტანოს დანაშაულობის არსში ჩაწვდომას.

დანაშაულობის „სრული“ (ასევე „სპეციფიკური“) მიზეზის შიგნით საჭიროა მოხდეს შინაგანი, დამატებითი კლასიფიკაცია, რაც საფუძვლად უნდა დაედოს არა მშრალი თეორიული კონცეფციების შექმნას, არამედ წმინდა პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავებას. საქმე იმაშია, რომ დანაშაულობასთან ბრძოლა ყოველთვის კონკრეტულ ხასიათს ატარებს.

ამერიკის შეერთებული შტატების მეცნიერებმა დანაშაულობის მიზეზების პრობლემის დამუშავებისას შექმნეს ეგრეთ წოდებული „ფაქტორთა თეორია“, რომლებიც წარმოშობენ დანაშაულობას როგორც მოვლენას და დაიწყეს ამ ფაქტორთა დათვლა (თანაც ყველა თავისებურად თვლიდა). აღმოჩნდა, რომ ფაქტორები ვერ უპირისპირდებიან ერთმანეთს თავისი მნიშვნელობით, ზეგავლენის ძალითა და ა. შ. მკვლევარები დააბნია მათმა სიმრავლემ და მრავალსახეობამ. „საბჭოთა პერიოდის კრიმინოლოგებშიც, — აღნიშნავს პროფ. ი. კარპეცი, — აღმოჩნდნენ ამ თეორიის მიმდევრები,

რომლებმაც დათვალეს 200-240 დანაშაულობის გამოძვევი ფაქტორი¹.

როცა ვეხებით დანაშაულობის მიზეზთა თეორიის ამ ნაირსახეობას, უნდა აღვნიშნოთ, რომ მასშიც ჩამოთვლილია ვეულაფერი ის, რაც, მის შემქმნელთა აზრით, ზემოქმედებას ახდენს დანაშაულობაზე, მაგრამ განმარტების გარეშე რჩება, თუ რას უნდა მიექცეს, უპირველეს ყოვლისა, განსაკუთრებული ყურადღება და რატომ; რომელი დანაშაულებანი მოითხოვს 240 ფაქტორის არსებობას და რომელი, დაუსვათ 20-ს, რატომ მაინცადამაინც ეს ციფრები? — შეიძლება ამ ფაქტორთა რიცხვი უფრო მეტიცაა. შემთხვევითად არ უნდა მივიჩნიოთ ის გარემოება, რომ დასავლეთის კრიმინოლოგთა უმრავლესობამ, როგორც კი ეს თეორია გაჩნდა, უარყო იგი. ცნობილმა ამერიკელმა კრიმინოლოგმა ე. სატერლენდმა კი „ფაქტორთა თეორიას“ შეუპირისპირებელ ფასეულობათა კატალოგი (არაკოორდინირებული მიზეზები) უწოდა².

თანამედროვე კრიმინოლოგები დანაშაულობის მიზეზების კლასიფიკაციას ახდენდნენ შემდეგნაირად: ა) დანაშაულობის საერთო მიზეზები (როგორც სოციალური მოვლენისა მთლიანად), რომელიც მოიცავს მასზე ზემოქმედების ზოგად სოციალურსა და სხვა კანონზომიერებებს; ბ) დანაშაულობათა ცალკეული სახეების მიზეზები; გ) კონკრეტულ დანაშაულთა მიზეზები, რაც საშუალებას იძლევა განისაზღვროს კონკრეტული და რეალურად შესასრულებელი თავიდან ასაცილებელი ღონისძიებები და დ) დანაშაულის ჩადენის ხელშემწყობი პირობები, რომლებიც თავად არ იწვევენ დანაშაულის ჩადენის განზრახვას, მაგრამ ამ პირობების გარეშე ძნელი ან სულაც შეუძლებელი იქნებოდა დანაშაულის ჩადენა.

მოცემული კლასიფიკაცია, რომელიც სრულყოფილად მიგვაჩნია, საფუძვლად უნდა დაედოს ფართო თეორიულ გამოკვლევებსა და პრაქტიკაში დანაშაულობასთან ბრძოლის კონკრეტულ ღონისძიებათა შემუშავებას.

¹ Карпец И. И.. Проблема преступности. М., 1969, с. 56-57.

² ე. სატერლენდის თვალსაზრისი მოგვაქვს ი. კარპეცის დასახელებული ნაშრომიდან, გვ. 57.

ამრიგად, დანაშაულობის მიზეზებისა და პირობების სწორი გააზრება ამ სოციალური მოვლენის შეცნობის აუცილებელ (გარდაუვალ) პირობად უნდა მივიჩნიოთ¹.

და ბოლოს, მოკლედ შევჩერდებით ა. გერცენზონისა და ა. სახაროვის შეხედულებებზე დანაშაულობის მიზეზებთან მიმართებაში.

ა. გერცენზონი წერს: ყვრდნობა რა თეორიულ დებულებებს კრიმინოლოგია განასხვავებს დანაშაულობის მიზეზებს (წარსულის გადმონათობებს ადამიანთა შეგნებასა და ყოფაქცევაში), პირობებს, რომლებიც ხელს უწყობენ დანაშაულთა ჩადენას (ნაკლოვანებანი მოქალაქეთა მატერიალურ და კულტურულ მომსახურებაში, მათ აღზრდაში) და გარემოებებს, რომლებიც ხელს უწყობენ დანაშაულთა ჩადენას (დანაშაულის ჩადენის კონკრეტული ვითარება-სიტუაცია).

კრიმინოლოგია ანსხვავებს ობიექტური და სუბიექტური ხასიათის მიზეზებს, პირობებსა და გარემოებებს. აქედან, ა. გერცენზონის აზრით, ყველაზე მეტი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს მიზეზების, პირობებისა და გარემოებების კლასიფიკაციას მათი ტიპური სახეების მიხედვით (მაგალითად, ალკოჰოლიზმის გავლენა, ახალგაზრდობის კულტურული მომსახურების ნაკლოვანებანი და სხვ.).

საერთო მიდგომა დანაშაულობის მიზეზების საკითხისადმი ღებულობს კონკრეტულ ხასიათს დანაშაულთა ცალკეული კატეგორიების მიმართ. ცხადია, რომ პიროვნების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისათვის დამახასიათებელია კონკრეტული სახის მიზეზი, პირობა და გარემოება, ხოლო საკუთრების წინააღმდეგ დანაშაულისათვის – სხვა სახის მიზეზები და ა. შ.

დანაშაულობის მიზეზების შესწავლას დიდი პრაქტიკული და მეცნიერული მნიშვნელობა აქვს, რადგან მასზეა დამოკიდებული მთავარი ამოცანა – დანაშაულობის მოსპობა, დანაშაულთა წინას-

¹ დანაშაულობის მიზეზებისა და ხელშეწყობ პირობებზე იხილეთ: ა. გაბიანი. დანაშაულობის მიზეზების შესახებ. თბ., 1969; Кудрявцев В. Н. Причинность в криминологии. Его же, Причины правонарушений. М., 1976; Церетели Т. В. Причинная связь в уголовном праве. М., 1963; Курс криминологии, т. I, М., 1985; Криминология, М., 1996; Четвериков В. С. Криминология, М., 1996, с. 45-64; 75-84.)

წარ აცდენის ღონისძიებათ. მთელი სისტემის განხორციელება. ამიტომ უკუგდებულ უნდა იქნეს ყოველგვარი „შესწავლა/შესწავლისათვის“, რასაც არა აქვს მეცნიერულ-პრაქტიკული მნიშვნელობა (მაგალითად, კლიმატის გავლენა დანაშაულობაზე და სხვ.).

დანაშაულობის მიზეზების შესწავლის ხერხები სხვადასხვაგვარია: სისხლის სამართლის, ეკონომიკური, სოციალურ-კულტურული, სტატისტიკის მონაცემთა გამოკვლევა, ცალკეული ობიექტების კომპლექსური შესწავლა და სხვ.¹

ა. სახაროვი იკვლევს დანაშაულობის გენეზისის (წარმოშობა, წარმოქმნის) პრობლემას შემდეგი სქემის მიხედვით:

1. მიზეზები, რომლებიც განსაზღვრავენ ინდივიდუალური შეხედულებებისა და ქვენაგრძობების შენარჩუნების ობიექტურ შესაძლებლობას, რაც საფუძვლად ედება სუბიექტის დანაშაულებრივ ქცევას.

2. ცალკეულ სუბიექტთა ზნეობრივი ჩამოყალიბების (ფორმირების) პირობები.

3. სუბიექტური (შინაგანი, ფსიქოლოგიური) და ობიექტური (გარეგანი) პირობები და გარემოებანი, რომლებიც გავლენას ახდენენ ანტისაზოგადოებრივ შეხედულებათა და ქვენაგრძობათა წარმოშობაზე (გაჩენაზე)².

დასასრულს, ერთხელ კიდევ გვინდა ხაზი გავუსვათ იმ გარემოებას, რომ დანაშაულობის მიზეზებისა და ხელშემწყობი პირობების შესწავლას საფუძვლად უნდა დაედოს მიზეზობრიობისა და მიზეზობრივი კავშირის შესახებ ზოგადი ცოდნა; რომ მიზეზობრიობა ფილოსოფიაში გაგებულია, როგორც გენეტიკური კავშირი მოძრავი მატერიის კონკრეტულ სახეობებსა და ფორმებს შორის. იგი არის ობიექტური, ჩვენი ნებისყოფისაგან დამოუკიდებლად არსებული საგნებისა და მოვლენების კავშირების ამსახველი. მიზეზობრივი კავშირის ცნება აუცილებელი ხასიათისაა. ერთი და იგივე მოვლენა ერთნაირ პირობებში ყოველთვის ერთსა და იმავე შედეგს იწვევს. მიზეზისა და შედეგის აუცილებელი ურთიერთ-

¹ Герцензон А. А. Введение в криминологию. М., 1965, с. 118-140.

² Сахаров А. Б. О личности преступника и причинах преступности в СССР. М., 1961, с. 58-59.

კავშირი ქმნის მიზეზობრიობის უსასრულო ჯაჭვს. მიზეზი და შედეგი თანაფარდობრივი კატეგორიებია: ის, რაც ერთ მიმართებაში შედეგია, მეორე მიმართებაში მიზეზი იქნება და, პირიქით. მიზეზი დროში წინ უსწრებს შედეგს და იწვევს მას. მაგრამ არ შეიძლება მიზეზობრივი კავშირი ავირთოთ მოვლენათა დროში უბრალო თანამიმდევრობასთან. მიზეზისა და შედეგის ურთიერთმოქმედებაზე გავლენას ახდენს გარემომცველი მოვლენები, რომელთა ერთობლიობას პირობები ეწოდება.

პირობებს თავისთავად არ შესწევს უნარი, უშუალოდ გამოიწვიოს მოცემული შედეგი, მაგრამ თან ახლავს რა მიზეზს დროსა და სივრცეში, უზრუნველყოფს მიზეზობრიობის იმეკარ განვითარებას, როგორც აუცილებელია მოცემული შედეგის დადგომისთვის. მიზეზებისა და მათი მოქმედების პირობების ცოდნა ადამიანს აძლევს შესაძლებლობას, წინასწარ განჭვრიტოს და მართოს პროცესები. რაც შეეხება მიზეზობრივი კავშირის საკითხის სამართლებრივ ინტერპრეტაციას, იგი განსხვავებულად წარმოგვიდგება. მიზეზობრივი კავშირი სამართალში — ესაა ობიექტური კავშირი ადამიანის ქმედებასა და საზოგადოებრივად საშიშ შედეგს შორის. სამართალი მიზეზობრივი კავშირის რაიმე ახალ, სპეციალურ ცნებას კი არ ქმნის, არამედ იყენებს ამ ცნებას იმ სახით, როგორადაც იგი დადგენილია ფილოსოფიაში. მოვლენათა ურთიერთკავშირისა და ურთიერთგანპირობებულობისაგან სამართალი გამოყოფს მთელი სამყაროს იმ „მცირე ნაწილაკს“, რომელიც მას აინტერესებს — მიზეზობრივ კავშირს ადამიანის მოქმედებასა და საზოგადოებრივად საშიშ შედეგს შორის. ადამიანის მოქმედება არასდროს არ არის ერთადერთი მიზეზი შედეგისა და მას შეუძლია წარმოქმნას მოვლენა — შედეგი მხოლოდ სხვა პირობებთან ზემოქმედებაში. მიზეზობრივი კავშირის არსებობისთვის საკმარისია ადამიანის მოქმედება ჩაერთოს მიზეზობრივი კავშირის ჯაჭვში, როგორც შედეგის ერთ-ერთი აუცილებელი პირობა. სისხლის სამართალში მიზეზობრივი კავშირი მყარდება ადამიანის მოქმედებასა და იმ შედეგს შორის, რომელიც გათვალისწინებულია კანონში, როგორც დანაშაულის შემადგენლობის ნიშანი (მაგალითად, სახელმწიფო ქონების დატაცება, განადგურება, დაზიანება და ა. შ.). იმ საკითხის პრაქტიკულად გადასაჭრელად იყო თუ არა ადამიანის მოქმედება მავნე შედეგის ერთ-ერთი აუცილებელი პი-

რობა, საჭიროა ჩვენს წარმოდგენაში გამოვრიცხოთ მოქმედება მიზეზობრივი კავშირის ჯაჭვიდან და თუ აღმოჩნდება, რომ მოქმედების გარეშე შედეგი ამ სახით და დროის ამ მონაკვეთში არ განხორციელდებოდა, ეს იმის მაჩვენებელია, რომ მოქმედება მიზეზობრივ კავშირშია შედეგთან¹.

ეს გარემოება მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ყოველთვის, როდესაც ვიკვლევთ რომელიმე მოვლენის მიზეზობრივ კავშირს, შესაბამისად, მაშინაც, როდესაც საქმე ეხება პიროვნების მიერ დანაშაულის ჩადენას, ამასთან, საკმარისი არ არის ვილაპარაკოთ მხოლოდ „იზოლირების“ ან „ურთიერთშემოქმედების“ შესახებ; უნდა გავარკვიოთ აგრეთვე, თუ რა მომენტამდე ჩაწვდეთ მიზეზობრიობას, რათა ცალკეული დანაშაული საერთო მიზეზობრივ კავშირში ჩავაყენოთ.

როგორც ჩანს, მიზეზობრიობის გარკვევა აუცილებელი ორიენტირია დანაშაულობის საერთო მიზეზებისა და ხელშემწყობი პირობების შესასწავლად და ამ უკანასკნელის ახსნას კონცეპტუალური² პოზიციებიდან უნდა მივიღებთ. თავის მხრივ, დანაშაულობის ზოგადი მიზეზების ცოდნა აუცილებელია განსახილველ დარგში ჩადენილ დანაშაულთა შესწავლისა და თავიდან აცილებისთვის. ორიენტირებულია რა გარკვეული რიგის ნეგატიური პროცესებისა და მოვლენების აღმოსაფხვრელად, იგი (იგულისხმება მიზეზების ცოდნა) ფუძემდებლურ როლს თამაშობს დანაშაულობასთან ბრძოლის მიმართულების, პროფილაქტიკური საქმიანობის შინაარსის განსაზღვრაში, წარმოდგენს დანაშაულის

¹ მიზეზობრივ კავშირზე: იხ: **Церетели Т. В.** Причинная связь в уголовном праве. М., 1963, с. 171-193; **Кудрявцев В. Н.** Объективная сторона преступления. М., 1960, с. 189-195; его же: Причины правонарушений. М., 1976, с. 8-41; его же: Причинность в криминологии. М., 1968, с. 70-78; **Куринов Б. А.** Научные основы квалификации преступлений. М., 1984, с. 88-90; **Кузнецова Н. Ф.** Проблемы криминологической детерминации. М., 1984, с. 44-48; **Материалистическая диалектика. Краткий очерк теории.** Авторский коллектив: **Федосеев П. Н., Фролов И. Т., Лекторский В. А., Швырев В. С., Юдин Б. Г.** М., 1985, с. 101-111; **თ. წერეთელი, გ. ტყეშელიაძე.** მოძღვრება დანაშაულზე. თბ., 1969, გვ. 230-268.

² კონცეპტუალისში — შემეცნების თეორიის ერთ-ერთი პრინციპი, რომლის მიხედვითაც ზოგადი განიხილება, როგორც აბსტრაქციის პროდუქტი.

თავიდან აცილების ეფექტური ღონისძიებების შემუშავებისა და განხორციელების აუცილებელ პირობას.

ნებისმიერი დანაშაული წარმოადგენს დანაშაულობის შემადგენელ ნაწილს: იგი მოიცავს ყველა იმ თვისებასა და ნიშანს, რაც ამ მოვლენას ახასიათებს. დანაშაულობის მიზეზების შესწავლა კრიმინოლოგიური მეცნიერების ერთ-ერთი წამყვანი მიმართულებაა. მოცემული პრობლემის დამუშავების დონე განისაზღვრება, ერთი მხრივ, კრიმინოლოგიაში მიზეზობრიობის ზოგადი თეორიის მდგომარეობით, მეორე მხრივ, დანაშაულობასთან ბრძოლის სოციალური საკითხების შესწავლის ხარისხით.

სადღეისოდ, კრიმინოლოგიაში მიზეზობრიობის ზოგად თეორიაზე დაყრდნობით, ამოხსნილია დანაშაულობის სრული და სპეციფიკური მიზეზების შინაარსი; სახელდობრ, ხაზგასმულია, რომ სრული მიზეზი თავის თავში მოიცავს იმ მოვლენებსა და პროცესებს, რომელთა არსებობაც გარდუვალად ბადებს შედეგს. სპეციფიკურ მიზეზს შეადგენს იმ ფაქტორების კომპლექსი, რომლებიც წარმოქმნიან შედეგს მხოლოდ სხვა გარემოებების გარკვეული ერთობლიობის არსებობის შემთხვევაში, რაც აღინიშნება, როგორც სპეციფიკური მიზეზის მოქმედების პირობები.

კრიმინოლოგები დანაშაულობას განიხილავენ როგორც რთულ სოციალურ მოვლენას. მოძღვრება დანაშაულობის მიზეზების შესახებ აგებულია იმ მოვლენებისა და პროცესების სოციალური ბუნების თანამიმდევრულ აღიარებაზე, რომლებსაც მოიცავს მიზეზის ცნება. ძირითად დებულებებში, რომლებიც ახასიათებენ დანაშაულობის მიზეზის კონცეფციას, შედის საზოგადოებრივი ცხოვრების განსხვავებულ სფეროსა და სხვადასხვა დონეზე არსებული კრიმინოგენური ფაქტორები. დანაშაულობის მიზეზების კომპლექსური, იერარქიული ხასიათის აღიარებას ფუნქციონალური მნიშვნელობა ენიჭება ანტისაზოგადოებრივი გამოვლინებების აღმოსაფხვრელად წარმოებული სამუშაოების ორგანიზაციის საქმეში.

ზოგადი დებულებები, რაც ახასიათებს დანაშაულობის მიზეზების კონცეფციას, შეადგენს რა დანაშაულთა მიზეზების გამოკვლევის საწყის თეორიულ ბაზას, უდავოდ, მნიშვნელოვან როლს თამაშობს მოცემული პრობლემის გადაჭრაში. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ზოგადი თეორიის განვითარებამ ჯერ კიდევ არ მიაღწია იმ ზღვარს, რომელიც სრულად შეძლებდა უზრუნველყო

ანტისაზოგადობრივ გამოვლინებებთან ბრძოლის მრავალმხრივი ამოცანების კომპლექსური გადაჭრა; კერძოდ, შეიმჩნევა, რომ არ გაგვანჩია ზოგიერთი დებულების შინაარსის ერთიანი გაგება, რასაც პრინციპული მნიშვნელობა აქვს კრიმინოგენურ მოვლენებსა და პროცესებზე აქტიური ზემოქმედებისთვის. მიზეზობრიობის პრობლემის დამუშავება გართულებულია ისეთი ცნებების არასაკმარისად მკაფიო გამიჯნვით, როგორიცაა: „დანაშაულობის მიზეზები“, „დანაშაულთა ჩადენის ხელშემწყობი პირობები (გარემოებები)“, „დანაშაულებრივი ქცევის მიზეზები“, „სოციალური პროცესები (მოვლენები), რომლებიც გავლენას ახდენენ დანაშაულობაზე“, „კრიმინოგენური ფაქტორები“ და სხვ. იგრძნობა კრიმინოგენური ფაქტორების საკლასიფიკაციო სქემების სიმრავლე და დაუპირისპირებლობა. საკმარისად არ არის შესწავლილი კავშირები კრიმინოგენურ ფაქტორებს შორის. საკმაოდ ბუნდოვანია დანაშაულობისა და დანაშაულის მიზეზების თანაფარდობის დახასიათება, ასევე პიროვნებისეული ფაქტორისა და სიტუაციის როლის ახსნა დანაშაულობრივი ქცევის გენეზისში.

ზემოთქმული განაპირობებს კონცეპტუალური ხასიათის საკითხების შემდგომი ანალიზის გაგრძელების აუცილებლობას, პირველ რიგში კი იმ საკითხებისას, რომლებიც ახასიათებენ ანტისაზოგადობრივი ქცევის წარმოშობი მოვლენების ბუნებას. აქვე დავსძენთ, რომ ინდივიდუალური დანაშაულებრივი ქცევის მიზეზებად მიჩნეულია:

ა) გარკვეული წრის პირთა ანტისაზოგადობრივი შეხედულებები;

ბ) გარემოებები, რომლებიც აყალიბებენ ასეთ შეხედულებებს;

გ) ცხოვრებისეული სიტუაციები, რომლებიც პიროვნების პოზიციასთან ურთიერთქმედებაში იწვევენ დანაშაულებრივ ქმედებებს; რაც შეეხება დანაშაულობისა და დანაშაულის მიზეზების ურთიერთშეფარდების საკითხის სწორ გადაჭრას, მას არსებითი მნიშვნელობა აქვს მიზეზობრიობის კონცეფციის განვითარებაში. მხედველობაში გვაქვს ისეთი შემთხვევები, როცა ერთი ჯგუფის მოვლენებსა და პროცესებს იზილავენ სხვებთან კავშირის გარეშე, როცა მკვეთრად არ მიჯნავენ დანაშაულის მიზეზებს დანაშაულობის მიზეზებისგან.

დანაშაულობა, როგორც ცნობილია, ყველა ჩადენილი დანაშაულის უბრალო ჯგუფის იგივეობა როდია. დანაშაულობისა და დანაშაულის მიზეზები მოიცავს სხვადასხვა ელემენტს, რომლებიც ისეთ ურთიერთშეფარდებაში იმყოფებიან, როგორიცაა ზოგადისა და განსაკუთრებულის კატეგორიები. ამიტომ ის მოვლენები და პროცესები, რომლებსაც ისინი მოიცავენ, არ შეიძლება ყოველმხრივ ახსნილ და გაგებულ იქნას ერთმანეთისაგან მოწყვეტილად. სოციალურ და სამართლებრივ მეცნიერებებში ამჟამად დაგროვილი ცოდნის დონე საშუალებას იძლევა, რეალურად შევუდგეთ დანაშაულობისა და დანაშაულის მიზეზების, როგორც კრიმინოგენური მოვლენებისა და პროცესების ერთიანი კომპლექსის, განხილვას.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ სისხლის სამართალში მიზეზობრივი ჯგუფის ბოლოს მეტწილად ყოველთვის დანაშაულია. დანაშაულობის პირველადი „უჯრედი“. გარემოებები, ფაქტორები, მოვლენები, რომლებიც მიეკუთვნებიან დანაშაულობის ზოგადი მიზეზების კატეგორიას, ასეთებად გვევლინებიან არა იმიტომ, რომ ქმნიან დანაშაულობის არსებობის აბსტრაქტულ შესაძლებლობებს, არამედ იმის გამო, რომ კავშირში არიან დანაშაულთან და მონაწილეობენ დანაშაულებრივი ქცევის ჩამოყალიბებაში.

დანაშაულობის მიზეზების იერარქია არ შეიძლება აღვიქვათ როგორც მხოლოდ გარემოებების გარკვეული კატეგორიების არსებობა, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ერთობის ხარისხით და რომლებიც გვხვდება სოციალური ცხოვრების სხვადასხვა დონეზე. ურთიერთკავშირი, ურთიერთზეგავლენა, ურთიერთშენაცვლება, ურთიერთგანპირობებულობა და სხვ., მათი აუცილებელი თვისებებია. დანაშაულობისა და დანაშაულის მიზეზების ერთიანი სისტემური განხილვა საშუალებას იძლევა, უფრო ღრმად შევიძინოთ ანტისაზოგადოებრივი ქცევის დეტერმინანტები (მსაზღვრელები), სწორად შევაფასოთ თითოეული მათგანის როლი და ამის საფუძველზე უზრუნველვყოთ სამართალდარღვევების უფრო ეფექტური პროფილაქტიკა.

კრიმინოლოგების გამოკვლევებში კონკრეტული სახის დანაშაულობასთან ბრძოლის პრობლემა განხილულია, როგორც დანაშაულობის საერთო მიზეზის პრობლემის შემადგენელი ნაწილი. ამასთან დაკავშირებით მას აანალიზებენ დანაშაულობის მთავარი მიზეზების გათვალისწინებით. სხვანაირად თუ ვიტყვით კონკრე-

ტულ დანაშაულთა მიზეზების ახსნას საფუძვლად უნდა დაედოს ზოგადი მიზეზების გააზრება.

თამამად უნდა ითქვას, რომ ჩვენს ქვეყანაში დანაშაულობის შენარჩუნება და არსებობა დეტერმინირებულია მთელი რივი მიზეზებით, მათ შორის საზოგადოებაში არსებული ეკონომიკური ხასიათის წინააღმდეგობებით, რომ დანაშაულობის მიზეზები უნდა ვეძიოთ, უპირველეს ყოვლისა, ჩვენს საზოგადოებაში აღმოცენებულ და გადაულახავ წინააღმდეგობებში. ამასთან, ნეგატიურ მოვლენებზე ეფექტური ზემოქმედების მიზნით დიდი მნიშვნელობა აქვს იმ მამოძრავებელი ძალების ცოდნას, რაც იწვევს გადახრებს წინააღმდეგობების გადაჭრის ოპტიმალური წესიდან. აქ არსებით როლს თამაშობს წინააღმდეგობათა ორი პოლუსი. წინააღმდეგობა პირადსა და საზოგადოებრივს შორის, რაც წარმოშობს ნეგატიურ მოვლენებს და რასაც წამყვანი მნიშვნელობა ენიჭება მართლსაწინააღმდეგო ქცევის ჩამოყალიბებაში. განსახილველი პროცესების ცალმხრივად გაგების გამორიცხვა წარმოადგენს ანტისაზოგადოებრივ გამოვლინებებთან ბრძოლის ძალადი შედეგიანობის უმნიშვნელოვანეს პირობას.

უნდა აღინიშნოს, რომ წინააღმდეგობების გადალახვის პროცესი წარმოქმნის ნეგატიურ მოვლენებს, როგორც თანაპროდუქტს და არა როგორც სოციალური განვითარების გარდუვალ პროდუქტს. გარკვეულ პირობებში წინააღმდეგობების გადაჭრაში არსებულ ნაკლოვანებებს, რომელთა წარმოშობი მიზეზია სუბიექტივიზმი, შეუძლია გამოიწვიოს ნეგატიური მოვლენების შედარებით ინტენსიური კვლავწარმოქმნა, დროებითი გამოცოცხლება გარემოებებისა, რომლებმაც ფაქტობრივად თავისი დრო უკვე მოჰკაშეს. ამგვარი პირობები ჯერ კიდევ წარმოჩინდება უმთავრესად სამეურნეო მართვის უდაბლეს, ნაწილობრივ კი საშუალო რგოლებში.

მათი გადალახვის პროცესებისადმი მუდმივი ყურადღება აუცილებელი პირობაა დანაშაულობათა ჩადენის გამომწვევ ეფექტორებზე ეფექტური, მეცნიერულად დასაბუთებული ზემოქმედების ორგანიზაციისთვის. იგი საჭიროა მაშინაც, როდესაც წინააღმდეგობების გადალახვის პროცესი საბოლოოდ ნორმალურად მიმდინარეობს. თანამდევნი ნეგატიური მოვლენების წარმოქმნის მასშტაბების შემცირება მეტად მნიშვნელოვანია დანაშაულთა აღმოფხვრის ამოცანის გადასაჭრელად.

საზოგადოებაში არსებული წინააღმდეგობები, მათი გადალახვის პრაქტიკის ნაკლოვანებები და არასრულყოფილობა წარმოქმნის დანაშაულობათა მიზეზებს.

დანაშაულობათა შინაგანი და გარე მიზეზები ქმნის ურთიერთმოქმედი მოვლენებისა და პროცესების რთულ კომპლექსს, რომლებიც ურთიერთგავლენას ახდენენ ერთმანეთზე. ურთიერთმოქმედი კომპონენტების თვისებები აისახება დანაშაულთა ფორმირების პროცესის ხასიათსა და მიმართულებებზე, განსაზღვრავს მათი შედეგების წარმოშობის თავისებურებებს.

დანაშაულობის ზოგადი მიზეზები უმთავრესად მოქმედებს მაკროგარემოს დონეზე. საერთოდ, კრიმინოგენური მოვლენები, რომლებიც მოქმედებენ სხვადასხვა დონეზე, მათ მიერ წარმოქმნილი შედეგებითა და მთელი რიგი სხვა ნიშნებით ხარისხობრივად განსხვავებულია; მაგრამ, ამასთან, ურთიერთკავშირიც დამახასიათებელია დანაშაულობის მიზეზებისთვის; მაგალითად, მაკროგარემოში არსებული წინააღმდეგობები და ნაკლოვანებანი წარმოქმნიან ისეთ მოვლენებს, რომლებიც არ შეესატყვისება ვთქვით სამეწარმეო საქმიანობის განვითარებისა და მისი დაცვის ინტერესებს. ეს კი, თავის მხრივ, ნეგატიური მოვლენებისა და პროცესების აღმოცენების საფუძველია და განსაზღვრავს შესაბამისი კრიმინოგენური გარემოებების არსებობას, რაც იწვევს პიროვნების ანტისაზოგადოებრივი თვისებების ფორმირებასა და კრიმინოგენური სიტუაციების შექმნას. ყველა ამ შემთხვევაში მიზეზობრიობის მექანიზმში ობიექტური ფაქტორები, რომლებიც დეტერმინაციის ამოსავალ პუნქტს წარმოადგენენ, შეივსება და გასაშუალოვდება სუბიექტური გარემოებებით.

„სუბიექტური“ დეტერმინაციის რგოლებად, — აღნიშნავს **გ. გლეზერმანი**, — გვეკლინება: ადამიანთა მიერ იმ ინტერესების შემცენება, რომლებიც მათ უჩნდებათ თავიანთი ცხოვრების პირობების ზეგავლენით; საქმიანობის მიზნების განსაზღვრა; მისი განხორციელების საშუალებების არჩევანი; ინტერესების რეალიზაცია ან განუხორციელებლობა, როგორც საქმიანობის საბოლოო შედეგი¹.

¹ Глезерман Г. Е. Законы общественного развития: их характер и использование. М., 1979, с. 57.

სხვადასხვა დონეზე მოქმედი გარემოებების ურთიერთკავშირი ძალიან რთულია. ხაზგასასმელია, რომ მიზეზთა ერთი კატეგორია მეორეში გადადის არა ზოგადი ხასიათის ფაქტორებთან მექანიკური შეერთებით ან მათი ლეტალიზაციით, არამედ ზოგადის, განსაკუთრებულისა და ერთეულის კატეგორიებთან მჭიდრო კავშირისა და ურთიერთზემოქმედების საფუძველზე, რომლებიც ახასიათებენ მიზეზობრიობის სხვადასხვა დონის მოვლენებს.

კრიმინოგენური მოვლენების ურთიერთკავშირის დახასიათებისას საჭიროა, უპირველეს ყოვლისა, გამოიყოს ის ნიშნები, რომლებიც ხსნიან კრიმინოგენური კომპლექსების მექანიზმს დანაშაულებრივ ქცევასთან მიმართებაში.

გარემოებები, რომლებიც მიეკუთვნება ზოგადი მიზეზების კატეგორიას და, მნიშვნელოვანწილად, ფაქტორები, რომლებიც მოქმედებს მსხვილი სოციალური ჯგუფების დონეზე, უშუალოდ როდი იწვევს დანაშაულებს. ისინი უნდა გასაშუალოვდნენ შუალედური რგოლების მთელი სისტემით, რამაც საბოლოოდ უნდა განაპირობოს პიროვნების უარყოფითი თვისებების ფორმირების შესაძლებლობა და ისეთი სიტუაციების შექმნა, რომლებიც აუცილებელია მათ მიერ დასახული მიზნის განხორციელებისათვის. მათი ნეგატიური როლი იმაში გამოიხატება, რომ ისინი ქმნიან დანაშაულთა ჩადენის შესაძლებლობას, და რომ მათ გარეშე წარმოუდგენელია დანაშაულის რეალურობა. გარემოებებს, რომელსაც ვხვდებით მსხვილი სოციალური ჯგუფების დონეზე, არ შეუძლია არსებობა მისი ზოგადი სახის გარემოებების (მიზეზების) გარეშე. კრიმინოგენური ფაქტორები, რომლებიც მოქმედებენ მიკროგარემოსა და ცალკეულ ადამიანთა დონეზე, სხვადასხვა ხარისხისა და ხასიათისაა. მათი კავშირებიც ივივეობრივი როლია. პირდაპირი კავშირის გარდა, აქ, უეჭველად, არსებობს უკუკავშირიც. დაბალი დონის ფაქტორების არსებობის განპირობებულობა უფრო მაღალი დონეებით იმაზე მიუთითებს, რომ უფრო მაღალი რანგის ფაქტორების აღმოფხვრა გამოიწვევს დაბალი რანგის გარემოებების ლიკვიდაციას, თუმცა გარკვეული დროის განმავლობაში მათ კიდევ შეუძლიათ ფუნქციონირება ამოსავალი ბაზის არსებობის გარეშეც.

ზემოაღნიშნულ დებულებას, ჩვენი აზრით, დიდი მნიშვნელობა აქვს დანაშაულობათა მიზეზების აღმოფხვრის საქმიანობის მართვის პროცესის ორგანიზაციისათვის. სახელდობრ, შესაძლებელია

სწორად განისაზღვროს მისი წამყვანი მიმართულებები, დასახული ამოცანების გადაჭრის გზები და საშუალებები. კრიმინოგენურ მოვლენებს და პროცესებს შორის არსებული უკუკავშირის გათვალისწინება საშუალებას იძლევა უზრუნველყოთ მათი ურთიერთგანპირობებულობის მექანიზმის ღრმა და ყოველმხრივი ახსნა.

ამრიგად, კრიმინოგენური მოვლენებისა და პროცესების უწყვეტი კავშირი, რომლებიც ფუნქციონირებენ სოციალური ცხოვრების სხვადასხვა დონეზე, საშუალებას იძლევა განვიხილოთ ისინი როგორც იმ მოვლენებისა და პროცესების ერთიანი კომპლექსი, რაც შეადგენს დანაშაულობის მიზეზებს. ცხადია, კომპლექსის თითოეული რგოლი გარკვეული სპეციფიკით გამოირჩევა. მიზანშეწონილად მიგვაჩნია შევჩერდეთ იმ ფაქტორების მოკლე დახასიათებაზე, რომლებიც გვხვდება დიდ სოციალურ ჯგუფებში.

დიდი სოციალური ჯგუფები, დანაშაულობათა მიზეზების გამოკვლევის თვალსაზრისით, მოიცავს ადამიანთა ერთობას. ისინი გაერთიანებული არიან ისეთ მსხვილ სოციალურ წარმონაქმნებში, როგორცაა სოფლის მეურნეობის დარგი, მრეწველობის დარგი, ადმინისტრაციული ერთეული და სხვ. კრიმინოგენური გარემოებები, რომლებიც თავს იჩენენ დიდ სოციალურ ჯგუფებში, შეადგენენ შუალედურ რგოლს მაკროგარემოსა და მიკროგარემოს შორის. განისაზღვრებიან რა დანაშაულობათა ზოგადი მიზეზებით, ისინი, თავის მხრივ, გავლენას ახდენენ მიკროგარემოზე. ამავე დროს, გარემოებები, რომლებიც დიდ სოციალურ ჯგუფებს განეკუთვნებიან, თავის მხრივ, ექცევიან მიკროგარემოს კრიმინოგენური მოვლენების გავლენის ქვეშ და არსებობენ მათთან უშუალო კავშირში.

ზემოაღნიშნულიდან შეიძლება დავასკვნა:

1. დანაშაულობათა მიზეზების შესწავლას საფუძვლად უნდა დაედოს მიზეზობრიობისა და მიზეზობრივი კავშირის შესახებ ზოგადი ცოდნა;
2. დანაშაულობის მიზეზები და პირობები — ესაა კრიმინოგენური ფაქტორების ერთიანი კომპლექსი, რაც განაპირობებს დანაშაულობას როგორც სოციალური მოვლენის არსებობასა და კონკრეტული დანაშაულების ჩადენას;
3. დანაშაულობის შენარჩუნება და აქტივიზაცია განპირობებულია იმ წინააღმდეგობებით, რაც აღმოცენდება საზოგადოებრივი

ცხოვრების სხვადასხვა სფეროში, და იმ ნაკლოვანებებით, რასაც ადგილი აქვს მოქალაქეთა მატერიალურ დაკმაყოფილების, მომსახურებისა და მათი აღზრდის სფეროში.

4. დანაშაულობის კონკრეტულ მიზეზებად და ხელშემწყობ პირობებად უნდა ვაღიაროთ მძიმე ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა; ჩრდილოვანი ეკონომიკა; გარდამავალი პერიოდი თავისი ისეთი შედეგებით როგორიცაა: ორგანიზებული, ეკონომიკური, ძალადობითი დანაშაულები, რეკეტურობა, დატერორება, ომი, პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა; განათლებისა და კულტურის დაბალი დონე; საბაზრო ურთიერთობა მისი ისეთი ატრიბუტებით როგორიცაა: კაპიტალდაბანდებაში სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება; მოქმედებანი რაც ზიანს აყენებს პარტნიორებსა და აქციონერებს (ბუღალტრულ დოკუმენტებში და აქციებში სხვადასხვა მაქინაციები); უკანონო მოქმედება გაკოტრებისას; დანაშაულებრივი შეთანხმება ფასის დადგენაზე; მომხმარებლის უფლების დარღვევა (ცრუ რეკლამა, უხარისხო პროდუქციის გამოშვება, უპატიოსნო, ვაჭრობა); მოგების დამალვა; გადასახადთა გადახდისაგან თავის არიდება; კომერციული ქრთამი; კომპიუტერული დანაშაულობა; შიშმილი; ქაოსი; ლოთობა; ნარკომანია; სამართლებრივი ნორმების შესრულებისადმი გულგრილი დამოკიდებულება; მაფიოზური ვგუფების არსებობა და საქმიანობა; სამართალდამცავი ორგანოებისა და საზოგადოებრიობის პასიურობა დანაშაულობასთან ბრძოლის საქმეში და სხვ.

5. კრიმინოგენური ფაქტორები განსხვავდებიან თავიანთი გამოვლინების დონეებით, მხედველობაში გვაქვს მაკროგარემო (მთლიანად საზოგადოება), მსხვილი სოციალური ვგუფები, მიკროგარემო (შრომითი კოლექტივები, ოჯახური, უახლოესი საყოფაცხოვრებო გარემოცვა) და ინდივიდი. თითოეულ დონეზე მოქმედი ფაქტორები ერთმანეთთან იმყოფებიან ზოგადის, კერძოსა და ერთეულის სახით თანადაქვემდებარებაში. უფრო მაღალი დონის გარემოება განსაზღვრავს უფრო დაბალი დონის მოვლენისა და პროცესის არსებობას. გარდა ამისა სხვადასხვა დონის გარემოებებს შორის არსებობს უკუკავშირიც, რომლის გავლენაც აისახება მათი გამოვლინების გარეგნულ ფორმებსა და ინტენსიურობაში; გათვალისწინებული უნდა იქნეს სხვადასხვა დონის ფაქტორების ხარისხობრივი სპეციფიკაც.

თითოეულ დონეს გარკვეული ადგილი უკავია დანაშაულის გენეზისში. მაკროდონეზე ისინი იმ გარემოებების ელემენტებია, რომლებიც ქმნიან დანაშაულთა ჩადენის აბსტრაქტულ შესაძლებლობას; მსხვილი სოციალური ჯგუფების დონეზე მოქმედი გარემოებები ქმნის პიროვნების ნეგატიური თვისებების ფორმირებისა და კრიმინოგენური სიტუაციების წარმოქმნის შესაძლებლობას, რაც რეალიზდება მიკროგარემოს დონეზე. მიკროგარემოს დონეზე ნეგატიური ფაქტორები განაპირობებენ დანაშაულთა არსებობის თვით შესაძლებლობას. პიროვნებისა და სიტუაციის ურთიერთქმედება, რაც ხორციელდება ინდივიდუალურ დონეზე, როგორც ცნობილია, იწვევს დანაშაულის ჩადენას.

დანაშაულის ჩამდენი პირის ცნება



კრიმინოლოგიაში დანაშაულის ჩამდენი პირის პრობლემა დღემდე ერთ-ერთ ძირითად და შედარებით უფრო რთულ პრობლემად რჩება¹. დანაშაულობა, მისი წარმოშობი მიზეზები, ხელშემწყობი პირობები და განსაკუთრებით ინდივიდუალური დანაშაულებრივი ქცევის მექანიზმი, შეუძლებელია გამოკვლეულ იქნას დამნაშავის პიროვნების შესწავლის გარეშე. იმ მიზეზებისა და პირობების კვლევისას, რომლებიც ხელს უწყობენ ცალკეული სახის დანაშაულის ჩადენას, გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ყოველ კონკრეტულ მოვლენას, მიუხედავად იმისა, რომ იგი არის ზოგადი კანონზომიერების გამოვლენა, ყოველთვის აქვთ თავისი ინდივიდუალური თავისებურებანი.

დანაშაულის ჩამდენი პირი ანუ „დამნაშავის პიროვნება“ შენადგენი სიტყვაა, სახელდობრ, იგი წარმოქმნილია „პიროვნების“ ზოგადსოციოლოგიური და „დამნაშავის“ სოციალურ-იურიდიული ცნებებისაგან. სხვა სიტყვებით თუ ვიტყვით, დანაშაულის ჩამდენი პირი — ესაა ადამიანი, რომელიც ბრალეულია სისხლის სამართლის კანონით აკრძალულ მართლსაწინააღმდეგო ანუ საზოგადოებრივად საშიში ქმედობის ჩადენაში და რომელსაც ეკისრება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა.

პიროვნულ ნიშან-თვისებებზე დაკვირვება, აღწერა და მათი ურთიერთმიმართების დადგენა პიროვნების ფსიქოლოგიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა. ამასთან, ფსიქოლოგიური გაგებით, ადამიანის ყოველი ფსიქიკური პროცესი და მოქმედება პიროვნების უსული ბუნებისაა — პიროვნების შინაგანი ბუნების გამოვლინებას წარმოადგენს და მის თავისებურებათა და მდგომარეობათა დაღს ატარებს. ყოველთვის მოქმედებს და განიცდის რეალური, კონკრეტული ადამიანი — ინდივიდი, პიროვნება. ფსიქიკურ პროცესთა მიმდინარეობა დამოკიდებულია პიროვნების, როგორც მთელის,

¹ კრიმინოლოგიურ ლიტერატურაში დანაშაულის ჩამდენი პირის ნაცვლად იხმარება ტერმინი „დამნაშავის პიროვნება“, რაც არასწორად უნდა მივიჩნიოთ, რადგან ეს უკანასკნელი გულისხმობს რაღაც წინასწარ მოცემულს, მაშინ როცა სოციალური გარემო აყალიბებს პიროვნებას.

თავისებურებაზე, მის თვისებებზე, მდგომარეობაზე, იმაზე, თუ როგორ არის ეს პიროვნება განწყობილი; რა მოთხოვნები აქვს მას და ა. შ. ფსიქიკურ პროცესთა განვითარებაც არსებითად დაკავშირებულია პიროვნების განვითარებასთან.

როდესაც პიროვნების ფსიქიკურ თვისებებზე ვლაპარაკობთ, ვგულისხმობთ პიროვნების არა ყოველ თვისებას, არამედ იმ შედარებით მყარ, დისპოზიციონალური ხასიათის თვისებებს, რომლებიც პიროვნების ძირითად თვისებებს შეადგენენ და რომლებიც ვლინდებიან პიროვნების მოქმედებასა და განცდებში. ეს არის ძირითადად პიროვნების ხასიათი, ტემპერამენტი, ინტერესი, განწყობა და ნიჭი, რომლებიც რეალურად ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული და მთელ რიგ მომენტებში შეაპირობებენ ერთმანეთს.

პიროვნების ცნების გაგებასთან დაკავშირებით ხაზი უნდა გაესვას სამ მომენტს. პირველი: დაუშვებელია პიროვნების ცნების გაიგივება ინდივიდუალობის (ინდივიდუუმიის) ცნებასთან. ეს უკანასკნელი პირველ რიგში გულისხმობს ცოცხალი არსების განსაკუთრებულობას, მის განსხვავებას, „განუმეორებლობას“ სხვა ცოცხალი ორგანიზმებისგან. ინდივიდუალობა ყოველი ორგანიზმის, ყოველი ცოცხალი არსებისათვის არის დამახასიათებელი. ასეთი გაგება ახასიათებს ადამიანის პიროვნების ბიოლოგიურ კონცეფციას, რომელიც ვერ ხედავს არსებით სხვაობას ცხოველის ცალარსსა და ადამიანის, როგორც საზოგადოებრივი არსების, პიროვნებას შორის. ადამიანის პიროვნებას ცნობიერება, კერძოდ, მე-ს ცნობიერება ახასიათებს; მას გარკვეული მსოფლმხედველობა, ინტერესები აქვს, საზოგადოების წევრია და ა. შ. პიროვნება ადამიანის სპეციფიკაა; იგი სოციალური კატეგორიაა და არა ბიოლოგიური. ადამიანის პიროვნება კაცობრიობის ხანგრძლივი საზოგადოებრივ-ისტორიული განვითარების პროცესში ჩამოყალიბდა. პიროვნების გაიგივება ინდივიდის ცნებასთან ადამიანის სოციალური ბუნების უგულვებელყოფას ნიშნავს. პიროვნებას, როგორც ასეთს, აქვს ზოგადფსიქოლოგიური კანონზომიერებანიც, რაც არ არის ინდივიდის თავისებურება. მეორე: პიროვნება ყოველთვის კონკრეტული ადამიანია, რეალური ინდივიდია, რომელშიც ფსიქიკურის მოწყვეტა მისი ფიზიოლოგიური საფუძვლისგან შეუძლებელია; პიროვნება მთლიანია, ერთიანია. მაგრამ, ცხადია,

ყოველი ინდივიდუალური პიროვნება ადამიანის პიროვნების ზოგად სტრუქტურულ კანონზომიერებათა მატარებელიც არის. ყოველ ცალკე პიროვნებაში არის ზოგადიც, საზოგადოდ პიროვნებისთვის დამახასიათებელი, და ინდივიდუალურიც, ცალკე, ინდივიდუალური პიროვნებისთვის დამახასიათებელი. მესამე: ქართული ფსიქოლოგიური სკოლის წარმომადგენლები ემიჯნებიან პიროვნების თავისებურებათა იმ „ფაქტალისტურ“ გაგებას, რომელსაც ეს თავისებურებები შემკვიდრეობით მიღებულ თანდაყოლილ თვისებებად, პიროვნების დაბადებიდანვე მოცემულ კუთვნილებად მიაჩნია. სინამდვილეში პიროვნების ფსიქიკური თვისებები, მისი ხასიათი, ტემპერამენტი, ნიჭი იმთავითვე მოცემული კი არაა, არამედ პიროვნების მოქმედების პროცესში ვითარდება და საბოლოოდ ყალიბდება ცხოვრებაში. თანდაყოლილად, ე. ი. დაბადებიდან, მოცემულია გარკვეულ თვისებათა ნასახი — უმთავრესად ნერვული სისტემისა და ენდოკრინულ ჯირკვალთა სისტემის თავისებურებები. ისინი ერთგვარ „წინამძღვარს“ წარმოადგენენ იმ თვისებებისას, რომელთა ჩამოყალიბება ინდივიდის ცხოვრების პროცესში მიმდინარეობს. ეს ნასახი მხოლოდ პირობათაგანია მომავალი თვისების ჩამოსაყალიბებლად და არა მისი აუცილებელი წინასწარი განმსაზღვრელი. ნერვული სისტემის ფიზიოლოგიური თვისებებიც ცოცხალი არსების გარემოსთან ურთიერთობაში ყალიბდება. გარკვეული ნასახიდან შესაძლებელია დიდი დიაპაზონის განსხვავებულ თვისებათა ჩამოყალიბება. მაგრამ, მეორე მხრივ, გარკვეული ფსიქიკური თვისება რომ ჩამოყალიბდეს, ამის შესაძლებლობა ორგანიზმს ნასახის სახით მაინც უნდა ჰქონდეს. პიროვნების სხვადასხვა ფსიქიკური თვისება, მეტ-ნაკლებად, მჭიდროდაა დაკავშირებული ნასახთან და ცხოვრების პირობების გავლენასაც მეტ-ნაკლებად განიცდის. ტემპერამენტი¹, მაგალითად, უფრო მჭიდროდაა დაკავშირებული ენდოკრინული, განსაკუთრებით ნერვული სისტემის დაბადებიდან მოცემულ თავისებურებებთან,

¹ თანამედროვე ფსიქოლოგიაში ტემპერამენტი გაგებულია პიროვნების იმ თვისებად, რომელიც განსაზღვრავს ადამიანის უმთავრესად ემოციურობის ხასიათს — ემოციების აგზნებადობას, მათ სიცხველეს, ინტენსივობას, სიმტკიცეს, მათს გამოსახულებას და აგრეთვე ადამიანის მოძრაობების სიცხველეს, სისწრაფეს, თუ რამდენად მოძრავია ადამიანი და რამდენად იმპულსურია მისი ემოციების გამოსახულებითი მოძრაობები.

ვიდრე ხასიათი. ხასიათის ჩამოყალიბება უფრო აღზრდასა და ცხოვრების პირობებზეა დამოკიდებული, ვიდრე ტემპერამენტზე და ა. შ.

ადამიანის პირადი ცხოვრება დიდადაა დამოკიდებული იმ საზოგადოებრივ პირობებზე, რომლებშიც იგი ცხოვრობს, ცხადია, პიროვნების ფსიქიკური თვისებების ჩამოყალიბებაც დამოკიდებულია მისი ცხოვრებისა და მოქმედების საზოგადოებრივ პირობებზე. ადამიანის პიროვნების ძირითად გამოვლენას წარმოადგენს მისი დამოკიდებულება გარემოსთან, მისი პოზიცია გარემოს მიმართ.

ისმება კითხვა: რატომ ვხვდებით ერთსა და იმავე გარემოსა და ერთსა და იმავე საზოგადოებაში პიროვნების თავისებურებათა მრავალფეროვნებას? რატომ ვერ განასახიერებს ესა თუ ის პიროვნება სოციალური მთელის ყველა ნიშან-თვისებას, ხოლო ვინც განასახიერებს, არა ერთნაირი ძალით? საქმე ისაა, რომ თითოეული ადამიანი ვითარდება კონკრეტული გარემოს („მიკროგარემოს“) პირობებში, რომელშიც წარმოჩენილია სხვადასხვა სპეციალობა, საქმიანობის სახეობა, საწარმოსა თუ სხვა კოლექტივის თავისებურება, ოჯახი, „ქუჩა“ და ა. შ.

სავსებით გასაგებია: სწორედ „მიკროგარემო“ ის პრიზმა, რომელშიც გარდატყდება საერთო სოციალური გარემოს — ეკონომიკურ და სხვა საზოგადოებრივ ურთიერთობათა, საზოგადოების სულიერი ცხოვრების ადამიანზე ზემოქმედების სხივები. რამდენად მრავალფეროვანია „მიკროგარემოც“ და მეტიც, იმდენად მრავალფეროვანია „მიკროგარემოს“ შემადგენელი გარემოებანი, იმდენად მრავალფეროვანია პიროვნებებიც, თუმცა ისინი ცხოვრობენ და შრომობენ ერთსა და იმავე საზოგადოებასა და ერთსა და იმავე საერთო სოციალურ გარემოში.

ადამიანის პიროვნება მუდმივად იცვლება, ვითარდება სოციალური გარემოს ცვლილებებთან ერთად. განვითარების პროცესში იგი ერთ ნიშან-თვისებას, საარსებო გამოვლინებას კარგავს, მეორეს იძენს, მესამეს ავითარებს და განამტკიცებს. ამასთან, აუცილებლად გასათვალისწინებელია, რომ თვითონ სოციალური გარემოც როდია ერთგვაროვანი. მასში ყოველთვისაა აწმყოს საფუძვლები, წარსულის ნაშთები და მომავლის ჩანასახები. მაშასადამე, ადამიანი მოცემული გარემოს (სწორედ მას ეკუთვნის გადაწყვეტი რილი პიროვნების ნიშან-თვისების ჩამოყალიბებაში)

ისტორიაში გარდასული გარემოსა და აწმყოს შემცველი გარემოს საზოგადოებრივ გამოვლინებათა ერთობლიობაა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პიროვნება პირველ რიგში საზოგადოებრივ-ისტორიული კატეგორიაა. იგი არ შეიძლება გაგებული იქნეს როგორც თავის თავში მოქცეული, სოციალური სინამდვილისგან მოწყვეტილი არსება. მეორე მხრივ, პიროვნების ცნება არ დაიფვანება ადამიანის ფიზიკურ თვისებამდე. იგი თავის თავში აერთიანებს ადამიანის, როგორც საზოგადოების წევრის, მოქალაქის, განსაზღვრული კლასის, სოციალური ჯგუფის წარმომადგენლის ნიშნებსა და თვისებებს. პიროვნების ცნება განასახიერებს ტიპურ თვისებებს, რაც დამახასიათებელია მოცემული კლასის ან სოციალური ჯგუფის ადამიანებისათვის.

თითოეული ადამიანი არის პიროვნება, მაგრამ პიროვნებები არ არიან ერთნაირი და ტოლფასოვანი, ერთნი აქტიურად უწყობენ ხელს საზოგადოებრივ პროგრესს, მეორენი არანაკლებ აქტიურად აფერხებენ მას, შესაძენი პასიურ პოზიციას იკავებენ. ადამიანის პიროვნების ნამდვილი შემფასებელია არა მისი წარმოშობა, სოციალური მდგომარეობა, ცოდნა და ა. შ., არამედ მისი სოციალური პოზიცია, საზოგადოებრივი აქტიურობა, ღვაწლი, რაც ინდივიდს შეაქვს საერთო სოციალურ პროგრესში. ეს კი, თავის მხრივ, დამოკიდებულია პირის მიერ საზოგადოებრივი განვითარების ობიექტური კანონზომიერებებისა და მოთხოვნილებების შეცნობის ზარისხზე და მისი საზოგადოებრივი, კლასობრივი თვითშეგნების ღონეზე.

საზოგადოებრივი თვითშეგნება, ე. ი. საკუთარი საქციელის საზოგადოებრივი მნიშვნელობის გაგება, ესაა პიროვნების მნიშვნელოვანი ელემენტი, რის გარეშეც არ შეიძლება მსჯელობა ადამიანის სოციალურ არსზე. სწორედ შეგნება განასხვავებს ადამიანს ყველა სხვა ცოცხალი არსებისგან და იგი ახასიათებს მას, როგორც პიროვნებას.

ადამიანის შეგნება და მასთან ერთად მისი პიროვნების ყველა ნიშან-თვისება განისაზღვრება საზოგადოებრივ ურთიერთობათა მთელი ერთობლიობით — ეკონომიკური, პოლიტიკური, იდეოლოგიური, სამართლებრივი და სხვა მსგავსი ურთიერთობებით. ცხადია, ამ ურთიერთობათა ზემოქმედების შედეგად ყალიბდება ადამიანის პიროვნება.

იურიდიულ ლიტერატურაში ხშირად გვხვდება ისეთი ტერმინები, როგორიცაა: „პირი, რომელსაც ბრალი ედება დანაშაულის ჩადენაში“; „დანაშაულის სუბიექტი“; „ბრალდებული“; „დამნაშავის პიროვნება“ (ანუ დანაშაულის ჩამდენი პირი); „სამართალში მიცემული“; „მსჯავრდებული“; „პატიმარი“; „ბრალდებულის პიროვნება“; „მსჯავრდებულის პიროვნება“; „პატიმრის პიროვნება“ და სხვ. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ცნებები მჭიდრო ურთიერთკავშირშია ერთმანეთთან, მაგრამ მაინც არ შეიძლება მივიჩნიოთ იდენტურად, რამდენადაც გამოხატავენ დანაშაულის ჩამდენი პირის სხვადასხვა სოციალურ-სამართლებრივ მხარეებს, გამოვლინებებს, ხარისხსა და სხვ. მაგალითისათვის ავიღოთ ისეთი ცნებები, როგორიცაა: „დამნაშავის პიროვნება“ და „ბრალდებულის პიროვნება“. შეიძლება მოგვეჩვენოს, თითქოს ისინი თანაბარშიშვნილოვანი არიან, რამდენადაც ორივე შემთხვევაში საუბარია იმ ნიშნების, თავისებურებებისა და ხარისხის ერთობლიობაზე, რაც ახასიათებს ერთსა და იმავე სოციალურ ფიგურას, ე. ი. პირს, რომელმაც ჩაიდინა დანაშაული. მაგრამ აქ იგვევება გამორიცხულია, რადგან თითოეული ფიგურა სხვადასხვა კუთხით განიხილება, სახელდობრ, კრიმინოლოგიურითა და სისხლისსამართლებრივით.

დანაშაულის ჩამდენი პირი ფართო მნიშვნელობის ცნებაა. იგი გამოხატავს ასეთი პირის სოციალურ არსს. ესაა რთული კომპლექსი, რომელიც ახასიათებს მის თვისებას, გამოვლინებებს, კავშირებს, მის შინაგან ზნეობრივსა და სულიერ სამყაროს აღებულს მოძრაობაში, ასევე ავლენს ურთიერთკავშირებს ზოგადსოციალურ და ინდივიდუალურ ცხოვრებისეულ პირობებთან მიმართებაში, რაც, თავის მხრივ, ამა თუ იმ ზომით განსაზღვრავს დანაშაულის ჩადენას. ამასთან დაკავშირებით საჭიროა შევნიშნოთ, რომ დანაშაულის ჩამდენი პირი ყველაზე სრული სახით დანაშაულის ჩადენის მომენტში წარმოვვიდგება.

„ბრალდებულის პიროვნება“ უფრო ვიწრო ცნებაა. იგი უმთავრესად მოიცავს პიროვნების იმ თვისებებს, თავისებურებებსა და ნიშნებს, რომელთაც მნიშვნელობა აქვთ მისი პასუხისმგებლობის ხარისხის განსაზღვრისთვის. აქ ნაკლებადაა წარმოდგენილი პიროვნების „ისტორიული“ (ბიოგრაფიული) ასპექტი; მაგალითად, მისი ჩამოყალიბება-ფორმირების პირობები, მაგრამ სჭარბობს სტატიკური შეფასება. ტერმინი „ბრალდებულის პიროვნება“ მეტწილად იმ შემთხვევაში დომინირებს, როცა საუბარია პასუხისმგე-

ბლობის ინდივიდუალიზაციაზე, რაც მოითხოვს არა მარტო ქმედებას, არამედ მისი ჩამდენი პირის საზოგადოებრივი საშიშროების (მართლწინააღმდეგობის) ხასიათისა და ხარისხის დადგენასა და აღრიცხვას.

მნიშვნელოვანია საკითხი იმის შესახებ, თუ რა დამოკიდებულებაშია ერთმანეთთან ტერმინები „დამნაშავის პიროვნება“ და „დანაშაულის სუბიექტი“. ეს უკანასკნელი სამართლებრივი ცნებაა. იგი ვარაუდობს კანონით მკაცრად განსაზღვრული ნიშნების ერთობლიობას, რომელთა არსებობისას პირს ეკისრება სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობა თავისი მოქმედებისთვის, ე. ი. განიხილება როგორც დამნაშავე. სისხლის სამართალი „დანაშაულის სუბიექტის“ ცნებას არ მიაკუთვნებს აბსტრაქციას, იგი დანაშაულის სუბიექტის სამართლებრივ არსს უკავშირებს მის სოციალურ-პოლიტიკურ დახასიათებას, იმ პირის მორალურ სახეს, რომელიც დამნაშავეა. მოცემული ცნების შინაარსი და მიზნობრივი დანიშნულება იმითაა შემოფარგლული, რომ დანაშაულის სუბიექტად გამოდის მხოლოდ ფიზიკური, შერაცხადი პირი, რომელმაც მიაღწია გარკვეულ ასაკს. სწორედ ამის შემდეგ ეკისრება მას სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა იმ მოქმედების განხორციელებისთვის, რომელიც ეწინააღმდეგება კანონს. რაც შეეხება „დამნაშავის პიროვნებას“, იგი ცხადია, მოიცავს იმ ნიშნებსაც, რომლებიც კანონის თანახმად ახასიათებენ დანაშაულის სუბიექტს.

დასასრულ, „დამნაშავის პიროვნების“ ცნებაში საჭიროა ვიგულისხმოთ, სოციალური და სოციალურად მნიშვნელოვანი თვისებების, ნიშნების, კავშირების, ურთიერთობების ერთობლიობა, რომლებიც ახასიათებენ პირებს, რომელმაც ბრალეულად დაარღვიეს სისხლის სამართლის კანონი და რომლებიც სხვა პირობებთან და გარემოებებთან კავშირში გავლენას ახდენენ მათ ანტისაზოგადოებრივ ქცევაზე¹, როგორც ჩანს, „დამნაშავის პიროვნების“ ზოგადი

¹ დაწვრილებით დამნაშავის პიროვნებისა და მოსაზღვრე ცნებების ინტერპრეტაციაზე იხ. Курс советской криминологии. М., 1985, т. 1. с. 258-282; Криминология, М., 1979, с. 100-118; Криминология, М., 1966, с. 85-109; Криминология, М., 1976, с. 144-168; **Лейкина Н. С.** Личность преступника и уголовная ответственность. Изд-во Ленинградского университета, Л., 1968, с. 3-21; Личность преступника. Коллектив авторов, М., 1971, с. 3-53.

ცნება შემოიფარგლება იმ ნიშნების, თვისებებისა და ა. შ., ერთობლიობით, რაც ახასიათებს სისხლის სამართლის კანონის ყველა დამრღვევს. სხვანაირად რომ ვთქვათ, „დამნაშავის პიროვნება“, როგორც სახესხვაობა საზოგადოდ ადამიანის პიროვნებისა, უპირველეს ყოვლისა, მოიცავს ზოგად ნიშნებს. კრიმინოლოგიისთვის მათ მნიშვნელობა აქვს იმდენად, რამდენადაც დამნაშავის პიროვნების სტრუქტურაში ისინი განსაკუთრებულ შინაარსსა და მნიშვნელობას იძენენ.

უნდა დავძინოთ ისიც, რომ „დამნაშავის პიროვნება“ არ შეიძლება გავიგოთ, როგორც ვიღაც „დანაშაულებრივი პიროვნება“, შინაგანად განწყობილი დანაშაულებრივი როლისათვის, ისევე როგორც თვითონ დანაშაულობაც, რაც თავისი ბუნებით ერთობ სოციალური მოვლენაა, არ შეიძლება აიხსნას დამნაშავის პიროვნების მხოლოდ ინდივიდუალური თავისებურებებით.

დამნაშავის პიროვნებას კრიმინოლოგიურად ახასიათებს: 1. სოციალურ-დემოგრაფიული და სისხლისსამართლებრივი ნიშნები; 2. სოციალური როლი და დამოკიდებულება საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროსადმი; 3. ზნეობრივ-ფსიქოლოგიური თვისება და ღირებულებითი ორიენტაციები.

სოციალურ-დემოგრაფიულ ნიშნებს მიეკუთვნება სქესი, ასაკი, განათლება, სოციალური მდგომარეობა და საქმიანობის სახე, ოჯახური მდგომარეობა, ქალაქისა და სოფლის მოსახლეობაზე მიკუთვნება, მატერიალური მდგომარეობა, საბინაო პირობები და სხვ.

ამ ნიშნებს თავისთავად არა აქვთ კრიმინოლოგიური მნიშვნელობა, რამდენადაც ისინი ახასიათებენ ყოველ ადამიანს, ადამიანთა ყველა ჯგუფს.

დამნაშავეთა სქესის მონაცემები ახასიათებენ ქალთა და მამაკაცთა შედარებით კრიმინოგენურობას, მიგვითითებენ დანაშაულზე, რომელთა ჩადენაშიც ქალები უფრო აქტიურები არიან (ან პირიქით) და ა. შ.

დამნაშავეთა ასაკობრივი დახასიათება საშუალებას იძლევა ვიმსჯელოთ სხვადასხვა ასაკის ადამიანთა ანტისაზოგადოებრივი ქცევის განსაკუთრებულობაზე.

დამნაშავეთა განათლების შესახებ მონაცემები ხსნის იმას, თუ რა დამოკიდებულებაშია ანტისაზოგადოებრივი ქმედება განათლების დონესთან და ინტელექტუალურ განვითარებასთან.

არსებითი და მეტად მნიშვნელოვანია მონაცემები დამნაშავეის სოციალური მდგომარეობისა და საქმიანობის სახისადმი (მუშა, მოსამსახურე, კოლმეურნე, მოსწავლე, პენსიონერი). ეს მონაცემები გვიჩვენებს, საზოგადოებრივი ცხოვრების რომელ სფეროშია უფრო მეტად გავრცელებული ამა თუ იმ სახის დანაშაული.

რაც უფრო მეტადაა დაყოფილი ესა თუ ის ჯგუფი, მით უფრო სწორი დასკვნის გამოტანა შეიძლება მათ შესახებ. მაგალითად, სასარგებლოა მონაცემების ცოდნა არა მხოლოდ მუშებზე, არამედ მათ სხვადასხვა კატეგორიაზე (კადრის, არაკადრის, სეზონური, სამრეწველო, სამშენებლო, სოფლის მეურნეობის და სხვ.).

დიდი მნიშვნელობა აქვს ასევე იმ მონაცემებს, რაც უკავშირდება დამნაშავეთა საცხოვრებელ ადგილს (მაგ., ქალაქი, სოფელი, მუშათა დასახლება), მათ ოჯახურ მდგომარეობას, მატერიალურ დაკმაყოფილებასა და ა. შ.

დამნაშავეის პიროვნების სისხლისსამართლებრივი ნიშნები ფაქტობრივად ესაა მონაცემები ანტისაზოგადოებრივ მოქმედებათა ცალკეულ ან ჯგუფურ ხასიათზე, წარსულში ნასამართლობის ან ფაქტობრივი რეციდივის შესახებ და სხვ.

დამნაშავეის პიროვნების დასახასიათებლად არსებითია საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში მისი სოციალური როლისა და დამოკიდებულების გარკვევა.

სოციალური როლი არის მოცემული ადამიანისთვის დამახასიათებელი ფუნქციები, დამოკიდებულებები და საქციელის ტიპური ფორმები, განპირობებული მისი მდგომარეობით არსებულ საზოგადოებრივ ურთიერთობაში.

ყოველი ადამიანი ასრულებს მრავალმხრივ სოციალურ როლს, სამრეწველო სფეროში იგი შეიძლება იყოს კვალიფიციური მუშა ან დამწყები მოსწავლე, ხელმძღვანელი ან რიგითი მომუშავე. საოჯახო ურთიერთობის სფეროში იგი ან უცოლოა, ან მრავალშვილიანი ოჯახის თავკაცია, ან ერთადერთი შვილია მოხუცი მშობლებისა, ან თვითონ არის შრომისუნარი მშობელი. სხვადასხვაგვარი სოციალური როლი შეიძლება ჰქონდეს ადამიანს დაკისრებული საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და მომსახურების სფეროში: აქტიური საზოგადოებრივი მუშაკი, სახალხო რაზმელი, მოყვარული სპორტსმენი ან ქუჩის დებოშიორი, კოლექტიური ღრეობის, ქეიფის ორგანიზატორი და სხვ.

სწორედ შესრულებული სოციალური როლების ერთობლიობა ახასიათებს პიროვნებას. ამასთან, მსგავსი ერთობლიობა არ არის სტატიკური, პირიქით, მობილური, ცვალებადია. სხვადასხვა გარემოების გამო (მათ შორის საკუთარი შეხედულებებითა და აზრებით), ხშირად, პიროვნება ერთ როლს ცვლის მეორეზე. როცა ეს მასზეა დამოკიდებული, იმ როლზე ცვლის, რომელსაც იგი თავისთვის ხელსაყრელად მიიჩნევს. როლების ასეთი შეცვლა მეტად არსებითია საერთოდ პიროვნების, მათ შორის დამნაშავეის პიროვნების დასახასიათებლად. სახელდობრ, საინტერესოა რომელი როლი მიიღო, რომელი უკუაგდო, რატომ და ა. შ.

ყოველი სოციალური როლი დაკავშირებულია ადამიანის განსაზღვრულ სტატუსთან, ზოგიერთ უფლებებთან და მოვალეობებთან. საზოგადოება მთლიანად და ადამიანის გარემომცველი წრე (მაგ. ოჯახი, საწარმოო კოლექტივი, მომსახურების სფერო) ადგენენ თითოეულისთვის ქცევის გარკვეულ როლს, რომლის შესრულებასაც ისინი მოელიან პიროვნებისაგან; ესაა ვერეთ წოდებული „როლებრივი მოლოდინი“, რაც ნაწილობრივ განსაზღვრავს პიროვნების საქციელს, მაგრამ ისიც აღსანიშნავია, რომ დაკისრებული როლების შესრულების დაბალმა დონემ და, საერთოდ, უუნარობამ შეიძლება გამოიწვიოს კონფლიქტი, მათ შორის ისეთი, რომელიც მას მიიყვანს დანაშაულის ჩადენამდე. მაშასადამე, კონფლიქტის წყარო შეიძლება იყოს შეუსაბამო ფაქტობრივად შესასრულებელ სოციალურ როლსა და პიროვნების როლებრივ დაჩემებას შორის, ე. ი. რისი მიღწევაც სურს და რაზეც აცხადებს პრეტენზიას. ამრიგად, კონფლიქტი არ არის გამორიცხული, როცა დაკავებული სოციალური როლი პიროვნებას მისთვის არასაკმარისად ეჩვენება, ხოლო მისი როლებრივი დაჩემების დონე არ შეესაბამება მის ობიექტურ შესაძლებლობას და სუბიექტურ უნარიანობას; მაგალითად, ახალგაზრდა კაცი, რომელიც ჩაიჭრა უმაღლეს სასწავლებელში მისაღებ გამოცდებზე, არ კმაყოფილდება მუშის ან მოსამსახურის როლით, ხოლო დაჩემებული როლის („დიდი სპეციალისტის“ ან „პასუხისმგებელი მუშაკის“) განხორციელებაში მას ხელს უშლის შრომისმოყვარეობისა და ნებისყოფის არქონა და სხვ.

სოციალურ-დემოგრაფიული ნიშნები და სოციალური როლები არ იძლევა ამომწურავ წარმოდგენას დამნაშავეის პიროვნებაზე,

რამდენადაც ისინი ახასიათებენ ასეთი პიროვნების მხოლოდ გარე-
გან მხარეს შინაგანი შინაარსის გაუხსნელად. უკანასკნელი კი
უფრო მეტად ვლინდება დამნაშავეის პიროვნების ზნეობრივ თავისე-
ბურებებსა და ფსიქოლოგიურ განსაკუთრებულობაში, რისი გარკ-
ვევაც პასუხს იძლევა კითხვაზე, თუ რატომ ჩაიდინა პიროვნებამ
დანაშაული.

დამნაშავეის პიროვნების დასახასიათებლად ასევე ყურადღება
უნდა მიექცეს მის ინტელექტუალურ, ემოციურ და ნებულობის
განსაკუთრებულ თავისებურებებს.

ინტელექტუალურ თვისებებს მიეკუთვნება: გონებრივი განვი-
თარების დონე, ცოდნის მოცულობა, ცხოვრებისეული გამოც-
დილება, შეხედულებების სიფართოვე ან სივიწროვე, ინტერესების
შინაარსი, მისი სხვადასხვაობა და ა. შ.

პიროვნების ემოციური თვისებებია: ტემპერამენტი, გრძობების
დინამიკურობა, ალგზების ხარისხი, განსხვავებულ სიტუაციაში
რეაქციის ძალა და ტემპი სხვადასხვა გამღიზიანებელზე, განცდე-
ბის მუდმივობა ან ცვალებადობა და სხვ.

ნებისყოფის თვისება განხორციელებას პოულობს დასახული
მიზნების მიღწევის შესაძლებლობაში. ნათქვამი ვლინდება პიროვ-
ნების ისეთ თვისებებში, როგორცაა: მიზანსწრაფვა, თანამიმდევ-
რობა, საზრიანობა, აქტიურობა, ინიციატივა, ენერგიულობა და
ა. შ.

პიროვნების ზნეობრივი თავისებურების შეფასების მაჩვენე-
ბელსა და კრიტერიუმს წარმოადგენს პიროვნების საქციელი, მთე-
ლი მისი ცხოვრებისეული პრაქტიკა. ეს იმას ნიშნავს, რომ დამნა-
შავეის პიროვნების შესახებ მსჯელობას საფუძვლად უნდა დაედოს
არა მარტო დასაკითხი პირების ნათესავეების, ნაცნობების,
თანამშრომლების აზრი და შეფასება, არამედ პირველ რიგში გა-
მოსაკვლევე პირის ყოფაქცევის ფაქტები, რაც ერთობლივად უნდა
შეფასდეს გამოძიებლის, მოსამართლის, კრიმინოლოგისა და
სხვათა მიერ.

დამნაშავეის პიროვნების დასახასიათებლად ასევე ხაზი უნდა
გაესვას დანაშაულის ფაქტის მნიშვნელობას. ჩადენილი დანა-
შაული, მისი სიმძიმე, მოტივები და სხვ., ბრალდებულის პიროვნე-
ბისა და მისი საზოგადოებრივად საშიშროების ხარისხის შესახებ
მსჯელობის მნიშვნელოვანი კრიტერიუმია. რა თქმა უნდა შეცდომა

იქნებოდა დანაშაულის ფაქტის მნიშვნელობის აბსოლუტიზაცია დანაშავის პიროვნების შეფასებისას, ე. ი. ასეთი შეფასების აკება მხოლოდ დანაშაულის შესახებ მონაცემებზე. ასეთი მიდგომა პირდაპირ წინააღმდეგობაში აღმოჩნდებოდა კანონთან, რომელიც მოითხოვს, რომ დანაშავის პიროვნება დახასიათდეს ჩადენილი დანაშაულის ხასიათისა და საქმის მთელი გარემოებების გათვალისწინებით. ჩადენილი დანაშაული, მისი მოტივები და სხვა ნიშნები შეიძლება შეესატყვისებოდეს დანაშავის პიროვნების მტკიცე ზნეობრივ თვისებებს, მის მიმართულებებს, შეფასებით ორიენტაციებს და, პირიქით, არ შეესატყვისებოდეს მას და ატარებდეს შემთხვევით ხასიათს. იმის გარკვევა, თუ რამდენად ემთხვევა ან სცილდება ჩადენილი დანაშაული ბრალდებულის ნამდვილ ზნეობრივ არსს, არის ამ პიროვნების გამოკვლევისთვის მნიშვნელოვანი. მის სწორ გადაწყვეტაზე ბევრადაა დამოკიდებული ასევე ჩადენილი დანაშაულის მიზეზების სწორი განსაზღვრა.

აღნიშნული ნიშნები, რაც ახასიათებს დანაშაულის ჩამდენ პირს ანუ დანაშავის პიროვნებას, მჭიდრო ურთიერთკავშირსა და ურთიერთდამოკიდებულებაშია ერთმანეთთან. მაგალითად, პიროვნების სოციალურ-დემოგრაფიული ნიშნები გარკვეულწილად განსაზღვრავს მის სოციალურ როლს და ამ უკანასკნელთან კავშირში წარმოადგენს პიროვნების ზნეობრივი თვისებებისა და ფსიქოლოგიური თავისებურებების ფორმირებისა და განვითარების გადაწყვეტ ფაქტორს. თავის მხრივ, ზნეობრივ-ფსიქოლოგიური თვისებები უეჭველი ასახვაა იმისა, თუ როგორ აეწყო პიროვნების ცხოვრების სოციალური პირობები, როგორ გავლენასა და ზემოქმედებას დაექვემდებარა იგი და სხვ.

დასასრულს, დანაშაულის ჩამდენი პირის ცნებასთან დაკავშირებით, გვინდა დავაფიქსიროთ რამოდენიმე პრინციპული დებულება. დავიწყებთ იმით, რომ დანაშაულის ჩამდენ პიროვნებაში მეცნიერები ყოველთვის ამჩნევდნენ ადამიანთა პოპულაციიდან (ერთობლიობიდან) ამოვარდნილი პიროვნების განსაკუთრებულ ტიპს. ამასთან ერთნი დანაშაულებში ხელადა „კაენის“ ბეჭდით დალდას-

¹ კაენი (ებრ. קאინ), ბიბლიის მიხედვით, ადამისა და ევას უფროსი ძე, საკუთარი ძმის, აბელის მკვლელი. კაენს - იტყვიან კაცისმკვლელ, მოღალატე ადამიანზე.

მულ“ ადამიანებს (გავრცელებული თეოლოგიური კონცეფციების შესაბამისად). მეორენი, აღნიშნავდნენ დამნაშავეთა სისასტიკეს ან მათ მიდრეკილებას კონკრეტული დანაშაულებრივი საქმიანობის-ადმი (მაგალითად, ქურდობისადმი). იწყებოდა მიზეზების ძებნა ადამიანთა ბიოლოგიურ თავისებურებებში. დაწყებული ფრენოლოგების¹ მოძღვრებიდან ამ თვალსაზრისმა თავისი დასრულებული სახე მიიღო ლომბროზოსა და მისი მიმდევრობის თეორიებში და ხანგრძლივი დროის მანძილზე ბატონობდა. მესამენი, უარყოფდნენ რა ბიოლოგიურ მიდგომას, ქმნიდნენ დამნაშავეთა სპეციფიკურ სოციალურ ტიპს. მეოთხენი კომპრომისს ეძებდნენ პიროვნების მიმართ ბიოლოგიურ და სოციალურ მიდგომათა შორის, რაც ხშირად ეკლექტიკურ² ხასიათს იღებდა. ასეთი მიდგომა საკითხისადმი მეცნიერულად არაკორექტულად და მცდარად უნდა მივიჩნიოთ.

აღსანიშნავია ისიც, რომ „დაბადებით“ დამნაშავეთა და ადამიანის დანაშაულისადმი „მიდრეკილების“ თეორია საფუძვლად დაედო რასისტულ და მის მონათესავე თეორიებს, რამაც თავის მხრივ წარმოშვა თვითნებობა და უკანონობა პრაქტიკაში.

პრობლემის ღრმა შესწავლის საფუძველზე მრავალმა მეცნიერმა ეჭვქვეშ დააყენა „დამნაშავეთა პიროვნების“ ცნება, უარყო იგი და შეცვალა უფრო ზუსტი ცნებით – დანაშაულის ჩამდენი პიროვნება. ამ დასკვნამდე იმიტომ მივიდნენ, რომ ცნება „დამნაშავეთა პიროვნება“ გულისხმობს რაღაც წინასწარ მოცემულს (იქნება ეს ბიოლოგიური, თუ სოციალური), მაშინ როცა დანაშაული შეუძლია ჩაიდინოს ნებისმიერმა ადამიანმა. ამერიკელი კრიმინოლოგები, მაგალითად, ამბობენ, რომ ყოველმა ამერიკელმა ცხოვრებაში ერთხელ მაინც ჩაიდინა დანაშაული. რა ვუყოთ ამ შემთხვევაში ცნებას „დამნაშავეთა პიროვნება“? როდესაც ფრენოლოგები, შემდეგ კი ლომბროზო და მისი მიმდევრები ამუშავებდნენ დამნაშავეთა ბიოლოგიურ ტიპს (უზომავდნენ შუბლს, თავის ქალას, კიდურებსა და ა. შ.), ისინი ამოდიოდნენ იქიდან, რომ დამნაშავე უნდა მოიძებნოს საზოგადოების ქვედა ფენებში და რომ

¹ ფრენოლოგია – ანტიმეცნიერული თეორიაა, რომლის მიხედვითაც თითქოს ადამიანის ფსიქიკური და მორალური თვისებების გამოცნობა შეიძლება მისი თავის ქალის მოყვანილობის მიხედვით.

² ეკლექტიკა (ეკლექტიზმი) – სხვადასხვაგვარ შეხედულებათა, თეორიათა, იდეურ მიმართულებათა ნებისმიერი, უპრინციპო შერთება.

ისინი „ბუნების მიერ დაღვასმულნი“ არიან. გვირგვინოსან მკვლევლებსა და მოძალადეებს არ ზომავდნენ. ისინიც, ვინც იღვამ იმ პოზიციებზე, რომ დაძნაშავე სოციალური და არა ბიოლოგიური ტიპია, იმავე დროს ეძებდნენ ამ სოციალურ ტიპებს საზოგადოების გარკვეულ ფენებში, სახელდობრ, რომლებიც იღვან სოციალური კიბის დაბალ საფეხურზე. ერთნიც და მეორენიც, მართალია, შორს წავიდნენ თავიანთი „სიმართლის“ მტკიცებაში, რაც მათ მსგავს ნიშნად უნდა მივიჩნიოთ, მაგრამ მათ შორის განსხვავებაცაა, კერძოდ, ბიოლოგიზატორები ლაპარაკობდნენ თვით ადამიანის პიროვნების დანაშაულობაზე, ხოლო სოციალურ პოზიციებზე მდგომნი უფრო ჰუმანურები იყვნენ ადამიანებისადმი და მკაცრი საზოგადოების მიმართ. მათი აზრით სწორედ საზოგადოება უბიძგებდა ადამიანებს დანაშაულობისაკენ. რაც უფრო ღრმად მიმდინარეობდა დანაშაულობისა და დანაშაულის ჩამდენი პირის კვლევა, მით მეტი საფუძველი ეძლეოდათ მეცნიერებს „დამნაშავის პიროვნების“ ტიპის უარსაყოფად. საქმე იაშია, რომ თუ თავდაპირველად საზოგადოებრივი კიბის მაღალ საფეხურზე მდგომ „დამნაშავის პიროვნებაზე“ არაფერი არ იყო ნათქვამი (ყოველ შემთხვევაში მეცნიერულ კლასიფიკაციებში), კვლევის გაღრმავებასთან ერთად, კერძოდ, „თეთრსაყელოიანთა“ დანაშაულობაზე თეორიის გაჩენამ ეს ცნება გააფართოვა, რამაც, თავის მხრივ, ძირი გამოუთხარა წინანდელ თეორიათა არასწორ წარმოდგენებს წინასწარ მოცემულ დამნაშავის სოციალურ და მით უფრო ბიოლოგიურ ტიპებზე. ამრიგად „დამნაშავის პიროვნების“ ცნების უარყოფას საფუძვლად დაედო ამ ცნების გაფართოება, რაც ადრე, დოგმის სახით, ვიწრო ჩარჩოებში იყო წარმოდგენილი.

დაბოლოს, თუ ამოვალთ იმ დებულებიდან, რომ დანაშაულობა სოციალურ-სამართლებრივი მოვლენაა, მაშინ უნდა გვახსოვდეს, რომ ეს ცნება ცვალებადია. ის რაც დღეს მიანია კანონმდებელს დანაშაულად, ხვალ შეიძლება აღარ იყოს, და პირიქით. ცხადია, ასეთ შემთხვევაში „დამნაშავის პიროვნება“ გაქრება ან გამოჩნდება. რაც შეეხება დამნაშავეთა კონკრეტულ სოციალური ტიპების კლასიფიკაციის საკითხს, ამას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. საქმე იაშია, რომ მკვლევლები განსხვავდებიან ქურდებისაგან და წარმოდგენენ სპეციფიკური ტიპის პიროვნებებს; თაღლითები — თეთრსაყელოიანებისაგან“, თუმცა უკანასკნელთ შეუძლიათ გამოი-

ყენონ თაღლითობის მეთოდები; ქონების დამტაცებლები — სექსუალურ მოძალადეებისაგან და ა. შ. დანაშაულის ჩამდენ პირთა ტიპების შესასწავლად საჭიროა როგორც ზოგადი, ისე ინდივიდუალური ხასიათის მეთოდის შემუშავება, რაც მიმართული იქნება შემდგომში, მათი მხრივ, დანაშაულის თავიდან აცილებისაკენ. ყველაფერ ამასთან ერთად მხედველობაშია მისაღები „დამნაშავის პიროვნების“ მუნდირში ყოფნის „დროებითი ხასიათი“ (თორემ საჭირო აღარ იქნებოდა ლაპარაკი დამნაშავეთა გამოსწორებასა და აღზრდაზე, რადგან მათი „სტაბილური“ ყოფნა ამ წოდებაში გამორიცხავს ყველა საკითხს რაც დაკავშირებულია ადამიანის საზოგადოების სასარგებლო რიგებში დაბრუნებასთან). აქვე უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ თუ სისხლის სამართლისათვის დამნაშავეა ის, ვინც ჩაიდინა სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება და მიიღო კანონით გათვალისწინებული სასჯელი, კრიმინოლოგიისათვის „დამნაშავის პიროვნების“ ცნების განსაზღვრება ბევრად უფრო რთულ ამოცანას წარმოადგენს, რადგან დაკავშირებულია ადამიანის მიკუთვნებასთან გარკვეულ, საზოგადოების მიერ დაგმობილ, სტრატაზე¹. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ადამიანზე ბიოლოგიური მიდგომა ყოველთვის დამნაშავის პიროვნების დაღს ასვამდა ადამიანს, რაც მთელი მისი სიცოცხლის მანძილზე გრძელდებოდა. ცხადია, როდესაც ზოგიერთი მეცნიერი ამბობს, რომ პიროვნების ბიოლოგიური თავისებურებების აღრიცხვა მისაღმი ჰუმანური მიდგომაა, და რომ იგი მისი ბიოლოგიური თავისებურების „გათვალისწინების“ საშუალებას იძლევა, ეს სხვა არაფერია, თუ არა სპეკულაცია, რადგან სასამართლოს მიერ სასჯელის შემცირება ან გაზრდა, მისი ბიოლოგიური თავისებურებების გათვალისწინების შემთხვევაში, ადამიანს ტოვებს დამნაშავედ დაბადებულის ან დანაშაულის ჩადენისადმი მიდრეკილების მქონე პირის მდგომარეობაში. ცხადია, ამგვარ რამეს არ შეიძლება ეწოდოს ჰუმანური.

ადამიანს, როგორც სოციალურ არსებას, გააჩნია ბიოლოგიური თავისებურებები, რომლებიც პიროვნებას აყალიბებს ისეთად როგორც არის — ფიზიკურად ჯანმრთელს ან რაიმე დეფექტის

¹ სტრატა — ლათინური სიტყვაა და ნიშნავს ფენას. სოციოლოგიაში იგი აღნიშნავს საზოგადოებრივ ფენას, ადამიანთა ჯგუფებს, რომლებიც ერთმანეთთან გაერთიანებულია რაიმე საერთო სოციალური ნიშნით.

მქონეს. ფიზიოლოგიური მდგომარეობა აძლევს მას სოციალური პირობების აღქმის უნარს, რადგან ბიოლოგიურ არსებად დაბადებული ის პიროვნებად ჩამოყალიბდება სოციალური გარემოს აღქმის შემდეგ. ფსიქიკურად ავადმყოფი ადამიანი ვინაიდან უუნაროა ასეთი აღქმის მიმართ, იგი არ შეიძლება იყოს „დამნაშავეს პიროვნება“, როგორც ამას მიიჩნევდა, არც თუ დიდი ხნის წინ, საკმაოდ ბევრი მეცნიერი (განსაკუთრებით მედიკოსები). ამრიგად, ფსიქიკურად ავადმყოფი პირები მართალია სწადიან საზოგადოებრივად საშიშ, მართლსაწინააღმდეგო და ბრალეულ ქმედებას, მაგრამ იგი არ მიიჩნევა დანაშაულად. ავადმყოფობის აღრევა დანაშაულთან დასაშვები იყო მხოლოდ დანაშაულობის შესწავლისა და კრიმინოლოგიის განვითარების ადრეულ საფეხურზე. ამჟამად ასეთი რამ წარმოუდგენელია. როგორც ვხედავთ, ადამიანის ბიოლოგიური თავისებურებანი არის მხოლოდ ის ბაზა, რომლებიც ხელს უწყობს ადამიანის მიერ სოციალური ცხოვრების აღქმას და არავითარ შემთხვევაში მისი დანაშაულებრივი ქცევის მიზეზები. ამასთან გასათვალისწინებელია, რომ ბიოლოგიური ფაქტორები ერთად აღებული ვერ გახდებიან მოვლენას სოციალურს, რადგა ეს უკანასკნელი რეალური ცხოვრების სხვადასხვა სიბრტყეებშია განლაგებული.

ამრიგად, ადამიანში სოციალურისა და ბიოლოგიურის თანაფარდობის სწორი გაგებისათვის, პრინციპულია ის ფაქტი, რომ ბიოლოგიური თავისებურებანი გავლენას ახდენენ ადამიანის ფოფაქცევაზე (ასე მაგალითად, ქოლერიკი¹ ერთსა და იმავე ცხოვრებისეულ სიტუაციაში მოიქცევა სხვანაირად, ვიდრე ფლეგმატიკი² ან სანგვინიკი³, ესენიც სხვაგვარად ერთმანეთის მიმართ და ა. შ., თანაც გასათვალისწინებელია ის, რომ მათი საქციელი ნაკარნახევია სოციალური აღზრდის დონითაც), მაგრამ არ წარმოადგენენ მისი ქცევის (მათ შორის დანაშაულებრივი ქცევის) მიზეზს. დანა-

¹ ქოლერიკი — ლათინური სიტყვაა და ნიშნავს ქოლერიკული (ფიცხი) ტემპერამენტის მქონე ადამიანს.

² ფლეგმატიკი — ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს გულგრილ, უსიცოცხლო, აულელებელ ადამიანს.

³ სანგვინიკი — ლათინური სიტყვაა და ნიშნავს მეტისმეტად ხალისიან, სიცოცხლით სავსე ადამიანს, რომელიც გარეგნულად მკვეთრად გამოხატავს თავის ემოციებს.

შაულის ჩამდენი პირის შესწავლის სირთულე განისაზღვრება იმითაც, რომ საზოგადოების სოციალურ ფენებად დაყოფა დიდია, რომ საზოგადოების სხვადასხვა სტრატებს (ფენებს) გააჩნიათ სხვადასხვა ინტერესები და მოთხოვნები, მათ თავიანთი შეხედულება აქვთ საკუთარ მდგომარეობაზე საზოგადოებაში. რაც შეეხება სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებს, ისინიც განსხვავდებიან კულტურისა და განათლების დონით, შრომითი საქმიანობის ხასიათით, სქესით, ასაკითა და სხვ. ყოველივე ეს, თავის მხრივ, საფუძველია იმისა, რომ ღრმად შევისწავლოთ იმ ადამიანთა პიროვნებები, რომლებმაც დანაშაულის ჩადენა აირჩიეს ცხოვრების წესად, პროფესიად, ცხოვრების მატერიალური პირობების გაუმჯობესების საშუალებად და სხვ. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ასევე იმ პირების შესწავლას, რომლებმაც შემთხვევით ჩაიდინა დანაშაული (მაგალითად, ვიღაცის მიერ შემთხვევით იყო ჩათრეული დანაშაულებრივ საქმიანობაში და ა. შ.). ზემოაღნიშნულიდან აშკარად ჩანს იმის მნიშვნელობა, რასაც დამნაშავეთა სოციალური როლის კლასიფიკაცია, მათი ტიპოლოგია და დამნაშავეთა კონკრეტული სოციალური ტიპების გარკვევა ჰქვია. თუ დანაშაულობის მიზეზებისა და პირობების შესწავლა საშუალებას გვაძლევს ჩაწვდეთ ამ მოვლენის არსსა და იმასაც, თუ რატომ ადგებიან ადამიანები დანაშაულებრივ საქმიანობას, მაშინ კონკრეტული პიროვნების შესწავლა (ვინც სჩადის დანაშაულს), შესაძლებლობას იძლევა მოვნახოთ მათი გამოსწორების გზები, რაც დამყარებული იქნება მათი შინაგანი სამყაროს, ფსიქოლოგიის, ზნეობრივი განწყობის შესწავლასა და ყველაზე უფრო ტიპიურ, ინდივიდუალური მიზეზებისა და პიროვნების (რომლებიც უბიძგებდნენ ადამიანებს დანაშაულებრივი ქმედებისაკენ) გააზრებასთან.

ადამიანთა პიროვნებისა და მათი ბედისწერის მრავალგვარობა, რაც განისაზღვრება ადამიანის სოციალური ყოფის სირთულეთა მრავალფეროვნებით, განაპირობებს როგორც პიროვნების, ასევე იმ მიზეზებისა და პირობების შესწავლის აუცილებლობას, რომლებმაც ისინი ჩააყენა დანაშაულის ჩამდენი პირის მდგომარეობაში.

ამიტომ კრიმინოლოგიისათვის უცხო არ უნდა იყოს სოციოლოგია, ფსიქოლოგია და ადამიანის შემსწავლელი სხვა მეცნიერებანი (მათ შორის მედიცინა, განსაკუთრებით მისი ნაწილი —

ფსიქიატრია, რომელიც გვეხმარება იმაში, რომ არ მოხდეს ავად-მყოფობისა და დანაშაულობის ერთმანეთში აღრევა).

დანაშაულის ჩამდენი პირის სწორად გააზრების საკითხს, ასევე დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს ორი სხვადასხვა ხაზით: 1. ცალკეული დანაშაულისა და მისი ჩამდენი პირის შესწავლისა და 2. დამნაშავეთა სოციალური დახასიათებისათვის. ცალკეული დანაშაულის, მისი მიზეზებისა და ხელშემწყობი პირობების, აგრეთვე დამნაშავეის პიროვნების შესწავლა პირდაპირ გასათვალისწინებელია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით. იგი უნდა განხორციელდეს მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების სტადიაზე. ასევე საქმის სასამართლოში განხილვის დროს. დანაშაულის ჩამდენი პირის დახასიათებისას კრიმინოლოგია გამოდის იმ დებულებიდან, რომ გარეგანი პირობების გავლენა ხორციელდება არა მექანიკურად, არამედ ადამიანის ფსიქიკის, ხასიათისა და ტემპერამენტის მეშვეობით. უნდა იქნას გამოკვლეული ყველა კონკრეტული პირობები, გარემოებანი, რომლებმაც შეასრულეს გარკვეული როლი მოცემული პირის ყოფაქცევაში. დახასიათებული უნდა იქნეს დანაშაულის ჩამდენი პირი მთელი მისი ინდივიდუალობით. გარკვეული უნდა იქნას დანაშაულის ჩადენის მოტივები, პიროვნების საშიშროების ხარისხი, მისი წარსული, საყოფაცხოვრებო ჩვევები და სხვ. აქ მაშასადამე, დანაშაულის ჩამდენი პიროვნება შეისწავლება, როგორც თავისებური ნიშნებით გამოყოფილი ინდივიდუალურობა. მაგრამ საკითხს აქვს მეორე მხარე — დანაშაულის ჩამდენი პირი შესწავლილი უნდა იქნეს სოციოლოგიური თვალსაზრისითაც, რა დროსაც ხაზი უნდა გაესვას არა ინდივიდუალურს, ცალკეულს, შემთხვევითს, არამედ ზოგადს, აუცილებელსა და კანონზომიერს. ცხადია, უნდა უარვევოთ რეაქციული თეორიები „დანაშაულისადმი მიდრეკილების“ შესახებ და „დანაშაულობის ფესვების აღმოჩენის ცდა“ დანაშაულის ჩამდენი პიროვნების თავისებურებებში¹.

¹ დანაშაულის ჩამდენ პირზე იხ. Дубинин Н. П., Карпец И. И., Кудрявцев В. Н. Генетика. Поведение. Ответственность. М., 1989.

ლატენტური დანაშაულობის ცნება



„ლატენტური“ ლათინური სიტყვაა და ნიშნავს გამოუმჟღავნებელს, ფარულს.

ლატენტური დანაშაულობის პრობლემის გამოკვლევა უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს ამგვარი დანაშაულების თვით ცნების გარკვევას, რის გარეშეც შეუძლებელია როგორც მისი ყოველმხრივი ანალიზი, ასევე იმ გზების ღრმა კვლევაც, რაც მასთან ბრძოლის გაძლიერების საშუალებას იძლევა.

დანაშაულობასთან ბრძოლის საბოლოო მიზანია ამ უარყოფითი სოციალური მოვლენის აღმოფხვრა. მისი მიღწევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა არა მარტო ყველა რეგისტრირებული დანაშაულის სრულად და დროულად გახსნა, არამედ იმ დანაშაულების გამოვლენაც, რომელთა შესახებაც განცხადებები შესაბამის ორგანოებში არ შესულა.

დანაშაულობათა შესწავლით ვლინდება, რომ რეგისტრირებულ ქმედობებთან ერთად, არის ისეთი დანაშაულებიც, რომლებიც უცნობია როგორც დანაშაულობის წინააღმდეგ მოქმედი ორგანოების, ასევე თვით ამა თუ იმ საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელობისა და უშუალოდ დაზარალებული პირებისათვის.

ჩადენილ დანაშაულთა აბსოლუტური როდენობის რეგისტრაცია კი დანაშაულობასთან ბრძოლის ოპტიმალური სტრატეგიის შემუშავების აუცილებელ ლოგიკურ წინაპირობად უნდა მივიჩნიოთ. სამწუხაროდ, საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკის შესწავლა და განზოგადება მოწმობს, რომ არის დანაშაულის მნიშვნელოვანი რაოდენობა, რომლებიც სტატისტიკაში სხვადასხვა მიზეზების გამო არ რეგისტრირდება და არც აისახება, ამიტომ, ბუნებრივია, მისი ჩამდენი პირები სისხლის სამართლის პასუხისგებაში არ მიეცემათ.

კრიმინოლოგიურ ლიტერატურაში ლატენტური დანაშაულობის ცნებაზე გვხვდება მეცნიერთა სხვადასხვაგვარი მოსაზრებები.

ჯერ კიდევ 30-იან წლებში ა. გერცენზონი აღნიშნავდა: „სისხლის სამართლის სტატისტიკა არ მოიცავს სინამდვილეში ჩა-

დენილ ყველა დანაშაულს და იძულებულია შემოიფარგლოს მხოლოდ გამოვლენილი დანაშაულობის აღრიცხვით, ანუ იმ დანაშაულობით, რომელთა ჩადენის ფაქტიც ცნობილი ხდება ხელისუფლების ორგანოებისათვის¹⁴. ამ ფარგლებს გარეთ დარჩენილ ერთობლიობას იგი მიაკუთვნებდა ლატენტურ დანაშაულებს.

ნ. კონდრაშკოვის აზრით, ლატენტური დანაშაულები წარმოადგენენ: ჯერ ერთი, ყველა დანაშაულის გარკვეულ ნაწილს; მეორე, დანაშაულების იმ ნაწილს, რომელთა შესახებაც ინფორმაცია არ შესულა დანაშაულის მარეგისტრირებელ ორგანოებში; მესამე, დანაშაულთა ერთობლიობას, რომელთა შესახებ ცნობები შესაძლებელია შესულია დანაშაულის რეგისტრაციის უზრუნველყოფ ორგანოებში, მაგრამ ამა თუ იმ მიზეზების გამო არ არის ასახული სისხლის სამართლის სტატისტიკაში². ა. შლიაპონჩიკოვისა და გ. ზაბრიანსკის შეხედულებით, „ლატენტურად უნდა ჩაითვალოს დანაშაული, დაფარული ერთ-ერთი იმ ორგანოთაგან, რომლებსაც კანონით მინიჭებული აქვთ უფლება, გამოიძიონ და განიხილონ საქმეები ჩადენილი დანაშაულობის შესახებ. ასეთებს განეკუთნება პროკურატურა, სასამართლო, მილიცია, ამხანაგური სასამართლოები და არასრულწლოვანთა საქმეების კომისიები“³.

მოცემულ განსაზღვრებაში ლატენტურობის საზომად (ნიშანთვისებად) გამოყენებულია ის, რასაც პირობითად შეიძლება ეწოდოს „უცნობლობის“ კრიტერიუმი (დანაშაული ცნობილი არ არის არც ერთი ორგანოსათვის, რომლებსაც კანონით მინიჭებული აქვთ უფლება, გამოიძიონ და განიხილონ საქმეები ჩადენილი დანაშაულობის შესახებ). რაც შეეხება „ხელოვნურ ლატენტურობას“, იგი მოყვანილ განსაზღვრებაში მოხსენიებული არაა. მხედველობაში გვაქვს დანაშაულთა იმ ერთობლიობის შეფასება, რაც არ იყო ფარული პროკურატურის, სასამართლოსა და მილიციის ორგანოებისა და სახელმწიფო აპარატის სხვა სამართალდამცავი რგოლებისთვის. იგულისხმება ისიც, რომ სისხლის სამართლის

¹ Герцензон А. А. Курс судебной статистики. М., 1939, с. 82.

² Кондрашков Н. Н. Природа и характер статистических закономерностей, изучаемых в криминологии. Советское государство и право, 1966, № II, с. 79.

³ Шляпочников А. С., Забрянский Г. И. Выявление латентной преступности. Советское государство и право, 1971, № 5, с. 99.

საქმეები არ განხილულა დადგენილი წესით, ხოლო დამნაშავე პირები არ დასჯილან.

ამ კატეგორიის დანაშაული, რომელსაც ზოგიერთი ავტორი განსაზღვრავს როგორც „ხელოვნურად ლატენტურს“¹, თავისი ბუნებით (ხასიათით) განსხვავდება „უდავოდ ლატენტური“ დანაშაულისაგან და ღონისძიებაც, რომელიც მიზნად ისახავს მის აღკვეთას, სულ სხვაგვარ ხასიათს ატარებს.

კრიმინოლოგიურ ლიტერატურაში ლატენტური დანაშაულის მისაჩნვეად შემოთავაზებულია ორი კრიტერიუმი: რეგისტრირებული იყო თუ არა დანაშაულებრივი ქმედება (იმისდა მიუხედავად, ცნობილი იყო თუ არა მისი სუბიექტი) და ჰქონდა თუ არა ადგილი კომპეტენტური ორგანოს სათანადო რეაქციას. აქედან გამომდინარე ავტორთა ერთი ჯგუფი გვთავაზობს ფარულ დანაშაულებად მივიჩნიოთ საერთო დანაშაულობის ის ნაწილი გარკვეულ ტერიტორიებზე და დროის გარკვეულ პერიოდში, რომელთა შესახებ ცნობებსაც არ გამოუწვევია კანონით გათვალისწინებული უკუქმედება სამართალშემფარდებელი სისტემის მხრიდან (ფართო გაგებით) და ამიტომაც გარკვეულ მომენტში ვერ აისახა კრიმინალურ (სისხლის სამართლის) სტატისტიკაში. ისინი ხაზს უსვამენ იმასაც, რომ ტერიტორიული თვალსაზრისით ფარული დანაშაულობა შეიძლება განხილულ იქნას როგორც ერთი, ისე რამდენიმე დარგის სამეურნეო ორგანიზაციის ფარგლებში. აგრეთვე დანაშაულის შესაბამის სახეებისა და სხვა სტრუქტურული მარკენებლების მიხედვით².

ავტორთა მეორე ჯგუფმა ლატენტური დანაშაულისადმი კრიმინოლოგიური მიდგომა შეავსო კრიმინალისტიკურით. მათი აზრით, დანაშაულთა ლატენტური ხასიათის ერთ-ერთ განმაპირობებელ ფაქტორს წარმოადგენს დამნაშავეების მიერ მართლსაწინააღმდეგო

¹ Алексеев А. М., Роша А. Н. Латентная преступность и эффективность деятельности правоохранительных органов. Вопросы борьбы с преступностью. М., 1973, вып. 19, с.31.

² Байчо Панев. Общие теоретические и методические проблемы борьбы со скрытой преступностью. Выявление скрытых хищений методом экономического анализа, а также путем совершенствования деятельности контрольно-ревизионных аппаратов. М., Всесоюзный институт по изучению причин и разработке мер предупреждения преступности, 1978, с. 33-35.

ქმედების ჩადენის ახალი ხერხების გამოყენება. ამ ფაქტორის გათვალისწინებით ხაზი გაესვა იმას, რომ დანაშაული ლატენტურ სტადიაში იმყოფება მანამ, სანამ არ გამოძლეა და მასზე არ იქნება მთლიანად მიმართული საგამომიებო ორგანოების მთელი საქმიანობა¹.

ლატენტური დანაშაულობის ცნების განსაზღვრა მჭიდროდაა დაკავშირებული იმ მეცნიერებასთან, რომლის რაკურსშიც ის განიხილება. კრიმინოლოგიის პოზიციიდან გამომდინარე (რომელიც არკვევს სტატისტიკურ კანონზომიერებათა კავშირს დანაშაულობასთან მიმართებაში) სწორი იქნება თუ ვითყვით, რომ ლატენტური დანაშაულობაა იმ დანაშაულთა ერთობლიობა, რაც არ არის ჩართული დანაშაულის ანალიზის დროს სტატისტიკურ მონაცემებში.

ლატენტური დანაშაულობის საერთო სტრუქტურაში საჭიროა განვასხვავოთ: ბუნებრივი ლატენტურობა, „მოსაზღვრე სიტუაციები“ და ხელოვნური ლატენტურობა.

ბუნებრივი ლატენტურობისას დანაშაულის ფაქტის შესახებ არ იციან წარმოების, ორგანიზაციის წარმომადგენლებმა, ასევე ცალკეულმა პირებმა. ამ კატეგორიაში შედის სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების დატაცების ყველა შენიღბული ფორმა, მექრთამეობა, სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების ქურდობის ზოგიერთი სახე, ტყის უკანონო გაჩეხვა, ნათესების განადგურება და ა. შ.

„მოსაზღვრე სიტუაციების“ რიცხვს მიეკუთვნება შემთხვევები, როცა დანაშაულის ფაქტი აღმოჩნდება, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო (შემთხვევის სიტუაციის გაურკვეველობა, მისი ახსნა-განმარტების სხვადასხვაგვარობის შესაძლებლობა, არასწორი სამართლებრივი შეფასება და ა. შ.) იგი იმ პირის მიერ, ვინც ეს ფაქტი აღმოაჩინა, არ შეიმეცნება როგორც დანაშაულებრივი ქმედობა და, ბუნებრივია, მის შესახებ არ ხდება შეტყობინება. ამ ჯგუფში შევა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების ქურდობა, როცა ამა თუ იმ ნივთის უქონლობა (სასაქონლო-მატერი-

¹ Танасевич В., Шрага И., Орлов Я. Проблема выявления хищений социалистического имущества. Вопросы борьбы с преступностью, 1975, вып. 23, с. 50-51.

ალური ფასეულობის ცუდად დაყენებული აღრიცხვის გამო) აიხსნება მისი მართლზომიერი გამოყენებით და არა ქურდობით.

ასეთ შემთხვევებში დაზარალებულნი ძალიან იშვიათად მიმართავენ განცხადებით სამართალდამცავ ორგანოებს. ამის მიზეზი ნაწილობრივ, ალბათ, ისიცაა, რომ მათი შეტანის შემთხვევაშიც კი (დანაშაულის შემთხვევის შესახებ ინფორმაციის შეზღუდულობის გამო) ყოველთვის არის სისხლის სამართლის საქმის აღძვრავე უარის თქმის ფორმალური საფუძველი.

თავისი ხასიათით ყველაზე უფრო განსხვავებულია გარემოებები, რომელთაც მივყავართ ლატენტურობის არსებობამდე. მის სტრუქტურაში შეიძლება გამოიყოს მოტივები, განმსაზღვრელი როგორც დაზარალებულთა, ისე იმ პირთა ქცევისა, რომლებმაც გამოააშკარავეს დანაშაული. სხვანაირად რომ ვთქვათ, ხელოვნური ლატენტურობის შემთხვევაში ფაქტი დაზარალებულისა და სხვა პირთა მიერ შეიმეცნება, როგორც დანაშაულებრივი ქმედობა, მაგრამ მას არ ატყობინებენ შესაბამის ორგანოს შემდეგი მოტივების გამო: ა) გამოძიებადებულმა დანაშაულის ფაქტმა შეიძლება ზიანი მიაყენოს საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციისა და მისი ხელმძღვანელობის პრესტიჟს; ბ) გამოაშკარავებულმა ამა თუ იმ ფაქტმა შეიძლება გამოიწვიოს საწარმოს ხელმძღვანელთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა (მაგალითად, დაუდევრობის შემთხვევაში), მათდამი მატერიალური სანქციები და ორგანიზაციული ხასიათის ღონისძიებები (ხელფასიდან დაქვითვა, ზარალის გადახდევინება, თანამდებობიდან გადაყენება და ა. შ.); გ) თუ დაზარალებული თავისი ქცევით ობიექტურად ხელს უწყობდა დანაშაულის ჩადენას (მაგალითად, შზა პროდუქციის საწყობში დამნაშავეებთან ერთად სვამდა სპირტიან სასმელებს, პატივებდა შემთხვევით ნაცნობებს, უმეთვალყურეოდ ტოვებდა ნივთებს, არ კეტავდა საკეტით მატერიალური ფასეულობით სავსე საწყობს, თვითნებურად ტოვებდა სამუშაოს, სხვებს ანდობდა თავისი მოვალეობის შესრულებას და ა. შ.). ასეთ ვითარებაში დაზარალებულები, მიიჩნევენ რა თავიანთ თავს მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით დამნაშავეებად, სამართალდამცავ ორგანოებს არ მიმართავენ, მით უფრო, თუ ზემოაღნიშნული სახის მოქმედებით საწარმოზე უმნიშვნელო ზარალია მიყენებული; დ) თუ დაზარალებულის ქცევამ როგორც დანაშაულის ჩადენამდე წინა პე-

რიოდში, ისე მისი ჩადენის დროს, ზოგჯერ კი მის შემდეგაც შეიძლება მიიღოს უარყოფითი მორალური შეფასება გარემომცველ წრეში; მაგალითად, თაღლითობით კოლექტიური ან სახელმწიფო საკუთრების, ქონების დატაცებისას დაზარალებულები, ხშირად, ჩქმაღავენ თავიანთ დამოკიდებულებას თაღლითებთან, რადგან არ სურთ საჯარო ხასიათი მისცენ მეტი სმეტად მიმნდობლობას თაღლითების მიმართ; ასევე, როცა დაზარალებულები თაღლითებთან გარიგებაში შედიან და ცდილობენ ამით მიაღწიონ თავიანთ მიზანს, რომლის მიღწევაც არ შეუძლიათ კანონიერი გზით (დეფიციტური საქონლის რიგგარეშე შეძენა, გარკვეული შეღავათების მიღება, რისი უფლებაც არა აქვთ და ა. შ., ყოველივე ეს თავს აკავებინებს მათ, განაჯადონ ამ ფაქტების შესახებ); და, ბოლოს, დაზარალებულის უმოქმედობა განპირობებულია იმითაც, რომ ამა თუ იმ ფაქტის გახმაურებამ შეიძლება მორალური ტრავმა მიაყენოს როგორც მას, ასევე მის ახლობლებს (აქ მეტწილად მხედველობაშია სქესობრივი დანაშაულები; გარყვნილი ქმედება; სქესობრივად მოუშწიფებელ პირთან სქესობრივი კავშირი; ვენერიული სენის შეყრა და სხვ.).

სახალხო მეურნეობის ამა თუ იმ დარგში ჩადენილ დანაშაულობებთან დაკავშირებით, დაზარალებულის გადაწყვეტილებაზე შეიტანოს თუ არა განცხადება სათანადო ორგანოში, ხშირად, გავლენას ახდენს რამდენიმე მოტივი: სახელდობრ, საწარმოს სახელის შეუღახაობა; ხელმძღვანელ პირებთან დაუპირისპირებლობა; ქცევის უარყოფითი მორალური შეფასების შიში; უცხო პირებზე მეტისმეტი მიმნდობლობა; სახელის გამტეხი ნაცნობობა და ა. შ.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ დაზარალებულის მიერ გადაწყვეტილების მიღებას, აცნობოს თუ არა სამართალდამცავ ორგანოებს მომხდარი ფაქტის შესახებ, წინ უძღვის მოტივთა ჭიდილი, ანუ რთული ბრძოლა და იმარჯვებს ის, რომელიც დაზარალებულისთვის უფრო მისაღებია. ბუნებრივია, მოტივთა ბრძოლა ყოველთვის არ მთავრდება სათანადო ორგანოში განცხადების შეტანით. დაზარალებულები, სამართლებრივი შეგნების დაბალი დონის გამო, მათთვის ცნობილი სამართალდარღვევის შესახებ სათანადო ორგანოში არ აცხადებენ, რადგან: ა) არ სურთ დაუკავშირდნენ პოლიციას, პროკურატურას, სასამართლოს, მისცენ ჩვენება წინასწარ გამოძიებას, გამოვიდნენ სასამართლოზე და სხვ.; ბ) ავლენენ სი-

ბრალულისა და შეცოდების გრძნობას დანაშაულის ჩამდენ პირთა მიმართ (რა თქმა უნდა, შეცოდების ყალბად გაგებული გრძნობების გამო); გ) არ სჯერათ სამართალდამცავი ორგანოების ოპერატიული მუშაობისა, რომ დროზე აღმოაჩენენ დამნაშავეებს, აუნაზღაურებენ ზარალს და ა. შ. დაზარალებულის ქცევის მოტივებში ასევე გარკვეული ადგილი უკავია შურისძიების შიშის გრძნობას დამნაშავეთა, მათი ნათესავებისა და ნაცნობ-მეგობრების მხრიდან.

ლატენტურ დანაშაულთა არსებობას საბოლოოდ მივყავართ გარკვეული ფსიქოლოგიური გარემოს შექმნამდე, რაც ახალი დანაშაულის ჩადენის „მასაზრდოებელია“. გამოუმჟღავნებელი და არარეგისტრირებული დატაცებები ობიექტურად ხელს უწყობს დამნაშავეთა ჯგუფებისა და ცალკეული დამნაშავეების დაუსჯელობას ხანგრძლივი დროის განმავლობაში, ამ პერიოდში კი ისინი სპეციალდებიან დატაცებებზე ისეთი ხერხით, რომელთა დადგენაც სამართალდამცავ ორგანოებს უძნელდება. ეს გარემოება, თავის მხრივ, ქმნის მეტი რაოდენობით დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობას.

კრიმინალისტიკის პოზიციებიდან (რომელიც სწავლობს მტკიცებულების წარმოქმნის, შეგროვების, გამოკვლევისა და გამოყენების კანონზომიერებებს და მის შემეცნებაზე დაფუძნებულ სამართლო ძიებისა და დანაშაულების აღკვეთის საშუალებებსა და მეთოდებს), ლატენტური დანაშაულობის დადგენისა და თავიდან აცილების პრობლემა ასევე ლოგიკურადაა დაკავშირებული დანაშაულების გამოუმჟღავნების, გახსნის საშუალებებისა და მეთოდის სრულყოფაზე. აქედან გამომდინარე, ლატენტური დანაშაულობა კრიმინალისტიკურ ასპექტში უნდა გავიგოთ როგორც სათანადო სახელმწიფო ორგანოების მიერ თავის დროზე გამოუმჟღავნებელი და გაუხსნელი დანაშაულების ერთობლიობა.

ბუნებრივია, აღინიშნება აგრეთვე გამოსაკვლევი მოვლენის პროცესუალური ასპექტი, რაც საშუალებას იძლევა ლატენტური დანაშაულობა განისაზღვროს, როგორც დანაშაულების ერთობლიობა, რომელთა ჩადენას თავის დროზე არ მოჰყოლია იურიდიული შედეგები.

ლატენტურ დანაშაულთა ბუნების განხილვისას უნდა აღინიშნოს მათთვის ნიშანდობლივი აქტიური თვითმასტიმულირებელი ხასიათი, რაც არსებითად ზრდის ამდაგვარი ქმედობების საზო-

გაღობრივ საშიშროებას. უტყუარი ფაქტები უყარათობის, გამოუმჟღავნებელი დატაცებების, მუშაობაში ფორმალისმის გამოვლინებების, დამტაცებელთა დაუსჯელობის, არასაკმარისი სამართლებრივი მუშაობის შესახებ და სხვ., პიროვნებას, **ზმირად** „უბიძგებს“ გადაწყვეტილებისკენ, ჩაიღინოს დანაშაული დაუსჯელოდ დარჩენის ვარაუდით. სამართალდარღვევა, რაც მორალური და სამართლებრივი რეაგირების გარეშე რჩება, ასევე განაპირობებს მერყევი ხასიათის პირთა გადაწყვეტილებას, ჩაიღინონ სამართალდარღვევა.

ლატენტურობის მასტიმულირებელი ზეგავლენის დამადასტურებელია ზოგიერთი ბრალდებულის აღიარება, რომ ხელყოფის პირველი ეპიზოდი ჩაიღინა რაიმე არახელსაყრელი სიტუაციის ზეგავლენით და რომ იმ მომენტში მას ჰქონდა განზრახვა, უახლოეს მომავალში აენაზღაურებინა „ნასესხები“ თანხა. მაგრამ ჩადენილის დაფარვის შესაძლებლობა უბიძგებდა მას შეძღვომში კვლავ ჩაეღინა სულ ახალ-ახალი ხელყოფები.

ლატენტური დანაშაული თვითსტიმულირებას უკეთებს აგრეთვე ახალი მონაწილეობის ჩაბმას დანაშაულებრივი ჯგუფის კანონსაწინააღმდეგო საქმიანობაში.

დანაშაულის ჩადენის ზოგიერთი ხერხის გაცნობა პრაქტიკულად საინტერესოა, რადგან წარმოდგენას იძლევა ლატენტური დანაშაულის აღმოცენების „მექანიზმზე“; მაგალითად, საკუთრების საწინააღმდეგო დანაშაულები (ქურდობა, მითვისება ან გაფლანგვა და თაღლითობა) მეტწილად ჩადენილია ისეთი ხერხით, რაც დანაშაულის კვალს ნაკლებად ტოვებს; სახელდობრ, არ ჩანს მზა პროდუქციის საწყობში შეღწევისა და ხელის თითების კვალი; არ ფიქსირდება ვითარების დარღვევა და ა. შ., ე. ი. ასეთ შემთხვევაში არ იქმნება ისეთი თვალში საცემი გარემოება, რაც ობიექტურად მოწმობს დანაშაულის ჩადენას. თვით პროდუქციის (ნაწარმის) დანაკლისი კი შეიძლება აიხსნას მათი სათანადო რაოდენობის დაუმზადებლობით. აღნიშნული გარემოება, თავის მხრივ, იწვევს საქმის დაუსაბუთებელი არაღმძრის დადგენილების გამოტანას დანაშაულის შემთხვევის არარსებობის საფუძველზე.

გამოცდილი დამნაშავეები დანაშაულებრივ ქმედებებს დღის განმავლობაში არაერთხელ სჩადიან, რაც სამწუხაროდ ხანგრძლივი დროის განმავლობაში გამოუმჟღავნებელი რჩება. დანაშაულის ჩა-

დენის ეს ხერხები მათთვის იმდენად მიზიდველია, რომ საზოგადოებრივი ზემოქმედების, ადმინისტრაციული სახელის დონის ძიების გამოყენების, გასამართლებისა და სასჯელის მოხდის შემდეგაც, ხშირად, უბრუნდებიან თავიანთ დანაშაულებრივ საქმიანობას.

ამრიგად, დანაშაულობის მაღალი ლატენტურობა და, ბუნებრივია, სასჯელის მოხდის ნაკლები მოსალოდნელობა საკმაოდ ძლიერი სტიმულია დამნაშავეებისათვის ახალ დანაშაულთა ჩასადენად.

დანაშაულობათა ჩადენის ზემოაღნიშნული ხერხები და მოტივები სავსებით საკმარისია ლატენტურ დანაშაულთა უარყოფითი შედეგების დასამტკიცებლად. ამრიგად, ლატენტური დანაშაულობის შედეგად: ა) მახინჯდება სისხლის სამართლის სახელმწიფო სტატისტიკა, რის შედეგადაც იქმნება სერიოზული სიძნელეები დანაშაულობის დინამიკისა და სტრუქტურის მეცნიერული ანალიზის ჩასატარებლად და, ბუნებრივია, მასთან ბრძოლის ოპტიმალური პრაქტიკული მეთოდების შესაძულებლად; ბ) ჩნდება დაუსჯელობის რწმენა, რაც ახალი სამართალდარღვევებისკენ უბიძგებს დამნაშავეებს, რომლებიც არ აფიქსიან და უმაღლეს სიჩადიან დანაშაულს. მოკლე დროში მისი გამოუმტკავებლობით მათ შესაძლებლობა ეძლევათ ჩაიდინონ მეტი დანაშაული, რაც, საბოლოო ჯამში, ზრდის დანაშაულის საერთო რაოდენობას; გ) კარგი პირობები იქმნება დამნაშავეთა განსაზღვრული მტკიცე ჯგუფების ჩამოსაყალიბებლად, რომლებიც სპეციალდებიან დანაშაულთა ცალკეული სახეების სათანადო ხერხებით ჩადენაზე და ეწევიან პარაზიტულ ცხოვრებას. სწორედ ამ გარემოდან რეკრუტირდება (იკრიბება) ძირითადად დამნაშავე რეციდივისტები; დ) წარმოიშობა ეჭვი კერძო, კოლექტიური და სახელმწიფო საკუთრების (ქონების) სისხლისსამართლებრივი დაცვის ინტერესების აუცილებლობასთან დაკავშირებით, რაც, თავის მხრივ, იწვევს სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობის არასწორ შეფასებას იმ რაეურსით, რომ ყველა შემთხვევაში მონახონ და დასაჯონ დამნაშავენი; ე) რთულდება დანაშაულობათა თავიდან აცილების ტაქტიკის შემუშავება.

საკუთრების წინააღმდეგ დანაშაულებთან დაკავშირებული საკითხების გაშუქებისას ხშირად ვხვდებით ასეთ გამოთქმას: „დანაშაულობათა დონე ამ სფეროში დაახლოებით ერთი და იგივეა,

ზოგიერთი გადახრა კი თავისთავად არ ჩაითვლება არსებითად“. ცხადია, ამგვარი დასკვნისათვის უდავო საფუძველი არ არსებობს, რადგან ასეთი დასკვნა შესაძლებელია მხოლოდ ჩადენილი დანაშაულობისა და ლატენტურ დატაცებათა მთელი ერთობლიობის შესახებ არსებული მონაცემების საფუძველზე, მაგრამ რადგანაც ასეთი სრულყოფილი მონაცემები არ არსებობს, ამდენად სადღეისო მაჩვენებლები საკუთრების საწინააღმდეგო დანაშაულობათა მდგომარეობაზე, დინამიკასა და სტრუქტურაზე მიახლოებითად უნდა მივიჩნიოთ.

დანაშაულობათა რაოდენობრივ და თვისობრივ მაჩვენებლებზე არასრულყოფილი მონაცემები იწვევს მთელ რიგ ნეგატიურ შედეგებს, სახელობრ, საზოგადოებას არა აქვს მკაფიო წარმოდგენა დანაშაულობათა გავრცელებულობაზე, მის რაოდენობრივ და თვისობრივ მაჩვენებლებზე, არ გააჩნია უტყუარი ცნობები იმ პირობა რაოდენობაზე, რომლებიც მონაწილეობდნენ დანაშაულთა ჩადენაში; საზოგადოებამ ასევე ნაკლებად იცის იმ რეალური ზარალის ოდენობაზე, რაც დანაშაულთა ჩადენითაა მიყენებული და სხვ.

ამჟამად არსებული რეალური მონაცემები დანაშაულობის მდგომარეობაზე, შეიძლება მიეკუთვნოს დანაშაულთა მხოლოდ მცირე ჯგუფს, კერძოდ, მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულებს, რომელთა ლატენტურობა არცთუ ისე დიდია (მაგალითად, მკვლელობები და სხეულის მძიმე დაზიანებები). ისეთ დანაშაულებს, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილიც ლატენტური რჩება, ესაა, უპირველს ყოვლისა, საკუთრების საწინააღმდეგო დანაშაულები. მათი დინამიკის შესახებ ფაქტობრივი ცნობების გამოუქვეყნებლობა არ იძლევა საშუალებას, დამაჯერებლად ვადევნოთ თვალყური საკუთრების წინააღმდეგ დანაშაულობასთან ბრძოლის ინტენსიურობის ხარისხს. ხელს გვიშლის იმ ფაქტორების ყოველმხრივ გამოკვლევაში, რომლებიც განაპირობებენ საკუთრების საწინააღმდეგო დანაშაულთა დინამიკის ცვალებადობას, ზარალის მიყენებასა და სხვა¹.

¹ აუცილებლად მიგვაჩნია სისხლის სამართლის სტატისტიკური მონაცემების ყოველწლიური გამოქვეყნება სპეციალური ცნობარის სახით, რომელშიც უნდა აისახოს როგორც ჩვენი, ასევე სხვა ქვეყნების მონაცემები.

გასათვალისწინებელია, რომ ლატენტური დანაშაულების არსებობა თავის ნეგატიურ გავლენას ახდენს პროგნოზირების სიზუსტეზე.

საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა საკუთრებაზე ხელყოფის ლატენტური ხასიათი მეტწილად განპირობებულია როგორც ობიექტური გარემოებებით, ისე სუბიექტური ფაქტორებითაც.

ობიექტური მიზეზებიდან, რაც ამნელებს დანაშაულობის გახსნას, უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი; მას არსებითი ცვლილებები შეაქვს წარმოების საწარმოო საქმიანობის ხასიათში. სახელდობრ, იგი დაკავშირებულია წარმოების ტექნოლოგიური პროცესების, ფინანსური კავშირებისა და ურთიერთობების ცვლილებებსა და გართულებებთან. ამ პირობებში დამნაშავეები აღლოს უღებენ რა წარმოების სრულყოფას, ამავე დროს ართულებენ (სრულყოფენ) დანაშაულის ჩადენის ხერხებსა და მისი დაფარვის ელემენტებსაც. გამოძინარე იქიდან, რომ დანაშაულთა თვით ხასიათი განაპირობებს მათ ჩადენაში იმ პირთა მონაწილეობას, რომელთაც ამა თუ იმ დარგის საწარმოებში მუშაობის დიდი გამოცდილება აქვთ და ასევე ის, რომ მათ კარგად იციან ამ საწარმოთა წარმატებული საქმიანობის განმსაზღვრელი ობიექტური პირობები და მათთვის დამახასიათებელი ნაკლოვანებები, ყოველივე ამისდა შესაბამისად ისინი ირჩევენ გარკვეულ ხერხებს თავიანთი მიზნების მისაღწევად. სხვანაირად რომ ვთქვათ, დამნაშავეები იმ ნეგატიურ ფაქტორებს, რასაც ადგილი აქვს ამა თუ იმ საწარმოში მატერიალური ფასეულობების აღრიცხვის, ანგარიშგების, კონტროლის, ტექნოლოგიური პროცესების, ნედლეულისა და მასალების ხარჯვის სფეროში იყენებენ არა მარტო ფასეულობების ამოღების, არამედ ჩადენილი დანაშაულის დასაფარავდაც. ამგვარად, ობიექტურად არსებული ფაქტორების ერთობლიობა, ერთი მხრივ, წარმოქმნის იმ პირობების კომპლექსს, რომლებიც ხელს უწყობენ დანაშაულთა ჩადენას, ხოლო, მეორე მხრივ, — გარემოებას, რაც ხელს უშლის მათს დროულ გამომჟღავნებას.

მითითებულ ერთობლიობაში გარკვეული ადგილი უკავია მართვისა და განსაკუთრებით კი უშუალოდ საწარმოო პროცესში არსებულ ნაკლოვანებებს.

ამ ფაქტორებს განაპირობებს იმ დადგენილი წესების დარღვევა, რომელიც მოწოდებულია უზრუნველყოს ქმედითი კონტროლი საწარმოო და შიდასაწარმოო პროცესების ორგანიზაციებზე, მიწოდებასა და მომსახურების შესახებ ხელშეკრულებების დადებასა და შესრულებაზე, ფინანსური ფონდების გამოყენებაზე, მატერიალური სახსრების ბრუნვაზე, სათანადო ხარისხის ნაწარმის გამოშვებაზე, ინვენტარიზაციის ჩატარებაზე, სათანადო აღრიცხვისა და ანგარიშგების დაწესებაზე. მაგალითად, აღრიცხვისა და ანგარიშგების სისტემის დარღვევას შეიძლება მოჰყვეს განსკუთრებით მძიმე ნეგატიური შედეგები. სახელდობრ, ამგვარ სიტუაციებში გამორიცხულია არა მარტო სამეურნეო ოპერაციების ზუსტი ასახვა აღიციხვის მონაცემებში, არამედ ეფექტური ანალიზური საქმიანობაც (გამოშვებულ პროდუქციასა და დანახარჯებს შორის თანაფარდობის სწორად განსაზღვრა, დანაშაულის ჩადენით მიყენებული ზარალის ოდენობის რეალურად დადგენა და სხვ.).

მიზეზთა გარკვეული კომპლექსი, რომელთა გამოც დანაშაულები ლატენტური რჩება, წრმოიქმნება იმ ნაკლოვანებების შედეგად, რომლებიც დაკავშირებულია საზოგადოებრივი წინააღმდეგობების (საზოგადოებრივ მოთხოვნილებებსა და მათი დაკმაყოფილების შესაძლებლობებს შორის და ა. შ.) არსებობასთან. როდესაც ეს წინააღმდეგობები საკმაოდ ეფექტურად არ აღმოიფხვრება, არ არის გამორიცხული აზროვნებისა და ქცევის ისეთი ფორმების ჩამოყალიბება (საზოგადოებრივი ცნობიერების ნეგატიურ ელემენტებთან შერწყმით), რასაც საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა შემწყნარებლობისა და მათთან შეგნებულად შემრიგებლური დამოკიდებულებისკენ მიყვავართ. ლატენტურობის წარმოქმნელი ნაკლოვანებები იყოფა რამდენიმე ჯგუფად: პირველი ჯგუფი დაკავშირებულია საწარმოო და ეკონომიკური პროცესების შესახებ მონაცემების აღრიცხვის, დამუშავების, შემოწმების ანალიზისა და გადაგზავნის არასაკმარის რეგლამენტაციასთან. ამასთან, მეტწილ შემთხვევებში პასუხისმგებლობის სფეროები, მოვალეობის განაწილებისა და შრომითი ხელშეკრულების პირობები შესაბამისად როდია გამიჯნული. ყოველივე ამის გამოც ზოგჯერ ერთსა და იმავე პირს ევალება როგორც შესრულება, ისე საწარმოო დავალებების შერულებაზე კონტროლიც.

ნაკლოვანებების მეორე ჯგუფს მიეკუთვნება მოვალეობათა იგნორირების ფაქტები. სახელდობრ, იმ მოვალეობებისა, რამაც უნდა უზრუნველყოს შეუფერხებელი, ერთიანი და სინამდვილის ამსახველი აღრიცხვა, ყველა მატერიალური და ფინანსური სახსრებისა და პროცესების ზუსტი რეგისტრაცია. კონკრეტულად ეს ვლინდება საანგარიშგებო მონაცემების სისწორეზე არასაკმარისი კონტროლის დაწესებით; ეკონომიკური ხასიათის დოკუმენტებში ამა თუ იმ საწარმოო პროცესების ბუნდოვნად ასახვით; დოკუმენტების დამძუშავებელი ან მათი დამმოწმებელი (ხელისმომწერი) პირის არადამაკმაყოფილებელი კომპეტენტურობით; ხელმოწერებისა და სხვა რეკვიზიტების ნამდვილობის დასადასტურებლად გაწეული სუსტი კონტროლით. ასეთი დარღვევები ყველაზე მეტად გვხვდება საწყობებში მასალების, მზა პროდუქციის შეტანა-გამოტანისას, სავაჭრო ორგანიზაციების მიერ საქონლის (პროდუქციის) მიღებისა და გასაღებისას, საწარმოებში ნედლეულის, მასალებისა და საქონლის შიგასაწარმოო ბრუნვისას (არ ამოწმებენ, უტყუარია თუ არა დოკუმენტებში მითითებული დახარჯული ნედლეულის, მასალების რაოდენობა და ხარისხი, სწორადაა თუ არა განსაზღვრული მზა პროდუქციაზე ფასები და ა. შ.).

ამავე ჯგუფს მიეკუთვნება მოვალეობის შეუსრულებლობა და კერძოდ ის, რომ ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარონ ფაქტობრივს და განახორციელონ ანალიზური სამუშაოები ეკონომიკის დარგში. ასეთ სიტუაციაში არ არის განსაზღვრული სათანადო კორელაციები (ურთიერთდამოკიდებულება, შეფარდება) წარმოების პროცესში განხორციელებულ არც ერთ ანგარიშში (ძირითადი სახსრების, კაპიტალდაბანდებების, მომსახურების, გასაღლის და ა. შ.). ყოველივე ეს, თავის მხრივ, არ იძლევა საშუალებას, გამოვლინდეს არსებული წინააღმდეგობანი. ამგვარი მდგომარეობა განპირობებულია ზოგიერთ საწარმოში ანალიზური მუშაობის წესების უქონლობითა და მათი არადამაკმაყოფილებელი შესრულებით.

თავისი ნეგატიური ხასიათით ამ ჯგუფში შემავალი გარემოებანი ბევრად ალმატება წინა ჯგუფის დარღვევებს. საქმე ისაა, რომ ისინი არ იძლევიან ზარალის პერსონიფიცირების, ასევე იმის საშუალებას, რომ გამოიყოს აუცილებელი დანახარჯები იმ ხარჯებისგან, რითაც იფარება დანაშაულის ჩადენით გამოწვეული დანაკ-

დანაკლისები და სხვ. ყოველივე ამის გამო დამნაშავეთა მხილების შესაძლებლობა მინიმალურია ან სრულიადაც არ არსებობს, რაც, თავის მხრივ, როგორც ამას კრიმინოლოგიური გამოკვლევები ცხადყოფს, საკმაოდ მნიშვნელოვანი ფაქტორია დანაშაულის ჩადენის ფაქტის დასადგენად.

აღნიშნას საჭიროებს ისიც, რომ დამნაშავის საქმიანობა დანაშაულის ჩადენის მომენტში და მისი ჩადენის შემდეგ თავისი კომპეტენციის, თავისი ობიექტური და სუბიექტური შესაძლებლობების სფეროთი შემოიფარგლება. ეს შესაძლებლობები შეიძლება იყოს მუდმივი ან დროებითი, შემთხვევითი ან სპეციალურად შექმნილი ამ მიზნისთვის, მაგრამ ყველა შემთხვევაში ისინი უზრუნველყოფენ ისეთ მდგომარეობას, რომლის დროსაც დამნაშავის თვალსაზრისით მისი დანაშაულებრივი განზრახვა დაუბრკოლებლივ განხორციელდება. საერთოდ ლატენტურობის ეფექტი მით უფრო თვალშისაცემია, რაც მეტი პატივისცემით, ნდობითა და გავლენით სარგებლობს დამნაშავე. თანაც, ობიექტურ-სუბიექტური მიზეზების ძალით, ასეთი დამნაშავე თავს შედარებით უშიშრად გრნობს, რადგანაც, მისი ვარაუდით, დანაშაულის გახსნის ალბათობა, ისე როგორც დასჯისა, მეტისმეტად მცირეა.

სუბიექტურ ფაქტორებზე მსჯელობისას უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანის სწრაფვა, ჩაიღინოს დანაშაული, უპირველეს ყოვლისა, განპირობებულია საკუთარი პრინციპით, რომლის თანახმადაც ამ სახის ქმედება გამართლებულია. დამნაშავეები უარყოფით მორალურ ნორმებს ითვისებენ ცხოვრების გარკვეული პირობების ზეგავლენით, რომელთა შორის არსებითია, თუ რა ვითარება სუფევს მის გარემო წრეში, სამსახურში და ა. შ., კერძოდ, თუ საქმე ეხება უყაირათობას („სჯობს წაიღო, კიდრე დაიკარგოს“), ან როცა არ ზრუნავენ თანამშრომელთა სოციალურ მდგომარეობაზე და სხვ.

ახლა გვინდა ლატენტურ დანაშაულობაზე მსჯელობა გავაგრძელო იმ კონკრეტულ მასალებზე დაყრდნობით, რაც ჩვენი კვლევის საგანი იყო მრავალი წლის მანძილზე (ვეკულისხმობთ საკუთრების წინააღმდეგ დანაშაულებს).

ლატენტურობის შენარჩუნების ხელშემწყობ ფაქტორად უნდა მივიჩნიოთ ისიც, რომ ადამიანთა გარკვეულ ჯგუფს შემორჩენილი აქვს მოძველებული შეხედულებები, რომელთა თანახმადაც კოლექ-

ტიური და სახელმწიფო საკუთრება (ქონება) ჯერ კიდევ შეფასებულია, როგორც კონკრეტულ პატრონს მოკლებული „სახაზინო ქონება“, აგრეთვე ძვალსა და რბილში გამჯდარი რწმენა იმისა, რომ დატაცებები მნიშვნელოვანწილად გაუხსნელი დარჩება. ამავე ფაქტორთა რიცხვს განეკუთვნება დატაცებათა არასასიამოვნო შედეგებისადმი იმ პირთა უშიშროების გრძობა, რომელთაც სახელმწიფო ქონების მოვლა-პატრონობა ავალიათ.

ამგვარად, ერთობ ფართოა ლატენტურობის სუბიექტური მიზეზების სპექტრი, რაც შეიცავს სოციალური და ინდივიდუალური ფსიქოლოგიური მოვლენების ერთობლიობას.

ლატენტურ დატაცებათა სუბიექტური მიზეზები პირობითად შეიძლება ორ დიდ ჯგუფად დაიყოს: პირველს – შეუცნობელ და თვით არასასურველ ქცევამდე, ხოლო მეორეს – შეგნებულ, ლატენტურობის ხელშემწყობ მოქმედებამდე მივყავართ.

პირველ შემთხვევაში პირები, რომლებიც თავიანთი ქცევით ობიექტურად ხელს უწყობენ დატაცებათა ლატენტურობას, მეტწილად ან საერთოდ გამორიცხავენ აზრს ასეთ პირობებში დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობაზე ან ფიქრობენ, რომ მათი გავლენის სფეროში ასეთს ადგილი არ ექნება. დასაბუთებული ეჭვის, მით უფრო ხელყოფის უტყუარი ფაქტის არსებობისას ისინი ყველაფერს აკეთებენ, რათა აღკვეთონ დანაშაული და, ბუნებრივია, ამის შესახებ აცნობებენ სამართალდამცავ ორგანოებს.

მეორე შემთხვევაში პირებს, რომლებიც თავიანთი ქცევით ხელს უწყობენ ლატენტურობას, თუმცა ეჭვი აქვთ დანაშაულთა ჩადენაზე ან ზუსტად იციან მათ შესახებ, მაგრამ სხვადასხვა თვალსაზრისიდან, პოზიციიდან და მოტივიდან გამომდინარე, მაინც შეგნებულად ხელს უწყობენ ამ დანაშაულთა ჩადენას. ერთობ ფართოა აღნიშნული შეხედულებების, პოზიციების და მოტივების სკალა, რომელშიც შედის გულგრილობა, უპრინციპობა, შიში კონფლიქტისადმი, პირფერობა, გადამეტებული წარმოდგენა დამოკიდებულების ხარისხზე, სისხლისსამართლებრივი დევნის ნავარაუდვე წარუმატებლობა, მომხდარი ფაქტების შემცირების ტენდენცია და სხვ.

ზემოაღნიშნულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ კონკრეტული ვითარების ზეგავლენით და სუბიექტის ინტერესებიდან და მოთხოვნილებებიდან გამომდინარე, სახელმწიფო საკუთრებისადმი და-

მოკიდებულია ხასიათდება როგორც მდგრადობით, ისე ცვალებადობით.

დატაცებების ლატენტურობის სუბიექტური ფაქტორების დაწვრილებით და ღრმად შესწავლა არა მარტო კრიმინოლოგიის, არამედ კრიმინალისტიკის ამოცანაა, რადგან იგი წარმოადგენს კონკრეტული დანაშაულების ჩადენაზე უკუქმედების აუცილებელ წინაპირობას, აგრეთვე, შესაბამისი აღმზრდელობითი ღონისძიებების შემუშავების საფუძველს.

ჩვენს საზოგადოებაში მოქალაქეთა ნდობა ხელისუფლების ორგანოებისადმი და მათი მზადყოფნა, შეატყობინონ ყოველი ჩადენილი დანაშაული სამართალდამცავ ორგანოებს, უნდა შეფასდეს როგორც საზოგადოებრივი სიკეთე. უმოქმედობა, არაგულისხმიერება და უპრინციპობა შეტყობინების მიმართ არყვეს ამ ნდობას და გარდაუვლად ზრდის ქვეყანაში დანაშაულობის ლატენტურობას.

ლატენტურ დატაცებათა კვლევისას სარგებლობენ მთელი რიგი მეთოდებით. ერთ-ერთი მათგანია გარეგანი დაკვირვების მეთოდი, იგი გამოიყენება წვრილმანი (იგულისხმება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა სფერო), ოდენობით ჩადენილი დატაცებების რეალური რიცხვის განსასაზღვრავად სხვადასხვა საწარმოში.

აღნიშნული მეთოდი არაეფექტურია თანამდებობებისა და მატერიალურად პასუხისმგებელი პირების მონაწილეობით ჩადენილი სახელმწიფო ქონების დიდი ოდენობით დატაცების ლატენტურობის შესწავლისას. საქმე ისაა, რომ აღნიშნული პირები ალღოს უღებენ წარმოების ტექნოლოგიური პროცესის თავისებურებებს და ამისდა შესაბამისად იყენებენ დანაშაულის ჩადენის რთულ ხერხებს. ამგვარ სიტუაციებში დატაცებულის რეალიზაცია, დაფარვის ისეთი ხარისხით მიმდინარეობს, რაც მიუღწეველია სოციოლოგიური კვლევის ფარგლებში განსახორციელებული გარეგანი დაკვირვებისთვის. უკიდურესად შეზღუდულია ამ მეთოდის გამოყენების დიაპაზონიც. შედარებით მცირე რეგიონის პირობებშიც კი შეუძლებელია მოვიცვათ ქალაქის ყველა საწარმო, დატაცებულის გასაღების ყველაზე უფრო „აქტიური“ არხებიც – სავაჭრო ორგანიზაციები, საწარმოები, კერძო პირები და სხვ. ამგვარ დაკვირვებას არ ექვემდებარება არც ალურიცხავი პროდუქციისა და

არც დატაცებული ფასეულობის რეალიზაცია მეზობელ თუ შორეულ რეგიონებში და ა. შ.¹

ერთი საწარმოს ფარგლებში ფარული დატაცებების გამო-საკვლევად შეიძლება ანკეტური გამოკითხვის მეთოდის გამოყენება. ამ მეთოდის გამოყენებისას გამოსაკითხავ პირებთან არკვევენ მონაცემებს სხვა პირთა მიერ ჩადენილი და მათთვის ცნობილი დანაშაულების შესახებ. ამ მიზნით დამუშავებულია სპეციალური ანკეტები, რომლებსაც ავსებინებენ საწარმოს მუშაკებს; მაგალითად, ერთ-ერთ საწარმოში ასეთი გამოკითხვით მუშებმა მიუთითეს ფარული დატაცების სამ შემთხვევაზე, რაც შემდგომში მართლაც დადასტურდა, პროკურატურისა და შინაგან საქმეთა განყოფილების მიერ ჩატარებული შემოწმებებით.

რეგიონალურ მასშტაბებში ლატენტური დანაშაულის კვლევისას საგრძნობლად გავრცელდა საქსპერტო შეფასების მეთოდი (მას უწოდებენ აგრეთვე „ინფორმაციის შეგროვებისა და ანალიზის მეთოდს“, „ექსპერტიზის მეთოდს“²), რომლის არსია გამოაშკარავებულ და ფარულ დანაშაულებს შორის სააღბათო თანაფარდობის შესახებ სპეციალისტების აზრის გამორკვევა.

ექსპერტების მოსაზრებები დაფუძნებულია დანაშაულობასთან ბრძოლის მრვალწლიან გამოცდილებაზე და, აქედან გამომდინარე, სათანადო რეგიონში კრიმინოგენური ვითარების ყოველმხრივ ცოდნაზე.

პრაქტიკა ადასტურებს, რომ იმ პირებს, რომლებიც ხანგრძლივ პერიოდში ეწევიან დატაცებასთან ბრძოლას ოპერატიულ-სამძებრო მეთოდებით, ასევე, საგამომძიებო და საპროკურორო ზედამხედველობის ხაზით (გამომძიებლები, რომლებსაც დასახელებულ დანაშაულთა გამოძიების გამოცდილება აქვთ, პროკურორები, რომლებიც ახორციელებენ სისხლისსამართლებრივ დევნას, ზედამხედველობენ მოკვლევას და ა. შ., მოკვლევისა და გამოძიების ორგანოთა თანამშრომლები, რომლებიც მუშაობენ დატაცებების შესახებ შემოსული ცნობების და განცხადებების შემოწმებასა და გან-

¹ დაწვრილებით აღნიშნული მეთოდის დახასიათებაზე იხ. Шляпочников А. С., Забрянский Ш. И. Выявление латентной преступности. - Советское государство и право, 1971, № 5, с. 92-103.

² ამ მეთოდის დახასიათებაზე იხ.: Заботин Б. В. В основе-комплексный анализ. Советская милиция, 1980, № II, с. 11-13.

ხილვაზე და სხვ.), შეუძლიათ გააკეთონ საკმაოდ დასაბუთებული პროგნოზები სახალხო მეურნეობის ცალკეულ დარგებში ლატენტური დანაშაულების შეფარდებითი გავრცელებულობის შესახებ. მაგალითად, ჩვენს მიერ პროკურორებზე, გამოძიებლებზეა და შინაგან საქმეთა ორგანოების ოპერატიულ შემადგენლობაზე დარიგებული ანკეტებით (200 ცალი), რაც მიზნად ისახავდა აღნიშნულ პირთა აზრის გამოთქმას იმ დატაცებებზე, რომლებიც მსუბუქ მრეწველობაში ლატენტურები რჩებიან, დადგინდა, რომ მათი შეფასებით განსახილველ დარგში ლატენტური დატაცებების პროცენტი მაღალია.

ამრიგად, საქსპერტო შეფასება, მართალია, ექსპერტთა ინდივიდუალურ გამოცდილებასა და რეგიონში კრიმინოლოგიური ვითარების შესახებ სხვადასხვაგვარ ცოდნას ეყრდნობა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, იგი სასარგებლოა ლატენტურ დანაშაულთა კვლევის თვალსაზრისით.

ლატენტური დატაცებების კვლევის მიზანია, მოვიპოვოთ რაც შეიძლება უტყუარი ცნობები ფარულ დატაცებათა დონის განსაზღვრავად. ამგვარი ინფორმაციის ობიექტურ წყაროდ ამჟამად სულ უფრო ხშირად გვევლინება ის ცნობები, რომლებიც მოცემულია საკვლევ პერიოდთან დაკავშირებულ სარევიზიო აქტებში, უსაფუძვლოდ შეწყვეტილი სისხლის სამართლის საქმეებში, კომერციულ აქტებში, დანაშაულებათა მიერ შედგენილ „შავ“ ჩანაწერებსა და სხვ.

მთითებული წყაროები, რომლებიც შეიცავენ მდიდარ კრიმინოლოგიურ ინფორმაციას, გამოიყენება არა მარტო ფარული დანაშაულობის სამეცნიერო კვლევისათვის, არამედ სამართალდამცავ ორგანოების პრაქტიკულ საქმიანობაშიც.

ლატენტური დატაცებების უფრო ეფექტურ გამოკვლევას დიდად უწყობს ხელს დოკუმენტური ანალიზის მეთოდის გამოყენება, რომლის დროსაც მიზანმიმართულად შეისწავლება საკონტროლო-სარევიზიო მასალები, სისხლის სამართლის საქმეები და სხვა დოკუმენტები. მისი მიზანია გამოავლინოს ლატენტური დატაცებების

¹ ასეთი შეფასება შეიძლება არაზუსტი აღმოჩნდეს, ვინაიდან იგი სუბიექტურ აზრზეა დაფუძნებული. შეფასება უტყუარი რომ გავხადოთ, საჭიროა გავზარდოთ გამოსაკითხავ სპეციალისტთა რაოდენობა, რითაც, ცხადია, ამაღლდება მისი უტყუარობის აღბათობის ხარისხი.

ნიშნები, არარეგისტრირებული დანაშაულები და აგრეთვე ის ფაქტორები, რაც ხელს უწყობს დამნაშავეთა დაუსჯელობას; ამასთან, დიდი მნიშვნელობა ენიჭება სათანადო კითხვარების, ბარათებისა და ცხრილების შემუშავებას.

ფარული დატაცებების დადგენის შედეგიანი მეთოდი აგრეთვე სტატისტიკური რიგების ანალიზი, რაც ასახავს ამ სახის დანაშაულობის დინამიკას იმ მონაცემებთან შეფარდებით, რომლებიც ახასიათებენ სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობის აქტიუზაციას დანაშაულობასთან ბრძოლაში შესასწავლი პერიოდის განმავლობაში. ასეთი აქტიუზაციის შედეგად რეგისტრირებული დანაშაულებრივი ქმედობის რაოდენობის მკვეთრი ზრდა ფარული დანაშაულების მნიშვნელოვანი ნაწილის არსებობის უტყუარი მაჩვენებელია. თუ ამგვარი ზრდა მიუხედავად გატარებული ღონისძიებებისა, მაინც (მიღებული ზომების სისრულე, რეგისტრაციის სიზუსტე და ა.შ.) არ შეინიშნება, მაშინ შეიძლება ვიფიქროთ ფარული დანაშაულების შედარებით დაბალ დონეზე; მაგალითად, ჩვენ მიერ ჩატარებული გამოკვლევებით, გარკვეულ წლებში სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობის გააქტიურებას ლოგიკურად ლატენტური დანაშაულების შემცირება და რეგისტრირებული დანაშაულების ზრდა მოჰყვა. ამასთან უპირველეს ყოვლისა, გაიზარდა იმ დანაშაულთა რაოდენობა, რომლებიც ხასიათდებიან ლატენტურობის მაღალი ხარისხით.

სხვანაირად რომ ვთქვათ, დანაშაულობასთან ბრძოლის აქტიუზაციამ გამოიწვია იმ სახის დანაშაულთა გამოვლენის მატება, რომელთა წილიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ლატენტური დანაშაულების საერთო სტრუქტურაში.

ფარული დანაშაულების კვლევაში ფართოვდება გამოყენებული მათემატიკური მეთოდი, რაც ავსებს სხვა მეთოდებს და ხელს უწყობს უკვე შეგროვილი მონაცემების ღრმად დამუშავებას. ფარული დანაშაულების კვლევაში ასევე ფართოდ გამოიყენება სხვა მეთოდებიც.¹

¹ დაწვრილებით ლატენტურ დატაცებათა კვლევის მეთოდებზე იხ.: Выявление скрытых хищений средствами экономического анализа, а также путем совершенствования деятельности контрольно-ревизионных аппаратов (сборник научных трудов под редакцией В. Г. Танасевича). М., 1978; Грушин Б. А. Мнение о мире и мир мнений. М., 1967, Герцензон А. А. Основные положения и задачи советской науки уголовной статистики. Проблемы искоренения преступности. М., 1965; Звирбуль

განსახილველ დარგში ლატენტურ დატაცებათა პრობლემის განხილვისას შევხებით სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობის შეფასების კრიტერიუმებს.

როგორც ცნობილია, მართვის თეორიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრინციპია სისტემის მუშაობის შეფასების ისეთი კრიტერიუმების შემუშავება, რაც მაქსიმალურ სტიმულირებას აძლევს საქმიანობას, რომლისთვისაც შექმნილია და ფუნქციონირებს ეს სისტემა.

არცთუ ისე შორეულ წარსულში შინაგან საქმეთა ორგანოებისა და პროკურატურის საქმიანობის შეფასების ერთ-ერთ ძირითად კრიტერიუმად მიჩნეული იყო რეგისტრირებული დანაშაულის რაოდენობის კლება ან მატება, ე. ი. ამ ორგანოთა საქმიანობის შეფასება პირდაპირ დამოკიდებულებაში იყო მათ სამოქმედო ტერიტორიაზე დანაშაულობის მდგომარეობასთან.

„ეს მაჩვენებელი, აღენიშნავდით ჩვენ, სავსებით დამაკმაყოფილებელი იქნებოდა, „რეგისტრირებული დანაშაულის“ ცნება თავისი არსითა და მოცულობით „ჩადენილი დანაშაულის“ ცნებას რომ შეესატყვისებოდეს. როგორც ჩანს, მოცემული ცნებები ერთმანეთს არ შეესატყვისება და ფაქტობრივად ჩადენილ დანაშაულთა რაოდენობა სჭარბობს რეგისტრირებულს, ამის გამო საქმიანობის შეფასების ეს კრიტერიუმი არ შეიძლება მივიჩნიოთ სრულყოფილად, რადგანაც იგი არ ასტიმულირებს ჩადენილი ყველა სამართალდარღვევის გამოსავლენად მიმართულ მუშაობას. ამრიგად, დანაშაულობასთან ბრძოლის ამჟამად არსებული მუშაობის შეფასების სისტემაში (მხედველობაში გვაქვს რეგისტრირებულ დანაშაულთა კლება ან მატება) იქმნება დანაშაულობის მდგომარეობის მაჩვენებლების თვითნებური რეგულირების საშიშროება, მაგალითად, სისხლის სამართლის სამმებროს ხაზით (დაუსა-

В. К. Задачи и организация работы районного прокурора. Работа районного прокурора по борьбе с преступностью. М., 1965; **Панкратов В. В.** Косвенные методы изучения преступности. Вопросы борьбы с преступностью, М., 1967; **Булатов Г., Майоров Н.** Показательность данных уголовной статистики – вестник МГУ, серия XII, Право, 1969, №3; Выявление хищений экономико-криминалистическими средствами (под общ. ред. С. П. Голубятникова, Г. В. Дашкова, В. Г. Танасевича). Горький, 1983.

ბუთებლად უარის თქმა სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე; განცხადებებისა და შეტყობინებების დამალვა და სათანადო ეურნალში გაუტარებლობა) ლატენტურობის ხელოვნურად გადიდება.¹

დანაშაულობასთან ბრძოლის შეფასების სწორ კრიტერიუმად დანაშაულთა მაქსიმალური რაოდენობის გამოვლენა უნდა მივიჩნიოთ, მათ შორის, ისეთებიც, რომლებიც ობიექტური და სუბიექტური მიზეზების გამო აღმოჩნდებიან ლატენტურობის რიცხვში.² უნდა აღინიშნოს, რომ მომავალში სისხლის სამართლის სამმებროსა და საგამოძიებო აპარატის მუშაობის გაუმჯობესება საპროკურორო საქმიანობის ეფექტურობის ამაღლებასთან ერთად გარკვეულ ეტაპზე აუცილებლად გამოიწვევს ლატენტური დანაშაულის ფაქტების გამოვლენის გადიდებას და, ბუნებრივია, გაიზრდება რეგისტრირებულ დანაშაულთა რაოდენობა. სამართალდაცვის ორგანოების საქმიანობის შეფასებისას პარადოქსული დარჩება გამოთქმა: რაც უფრო უკეთესია მუშაობა, მით უარესია მაჩვენებლები.

ამრიგად, დანაშაულთა რაოდენობის შემცირებისა და, საზოგადოდ, დანაშაულობის ლოკალიზაციის ამოცანა მოითხოვს, გამოვლენილ და რეგისტრირებულ იქნას ყველა ან უმრავლესობა იმ დანაშაულებისა, რომელთაც სინამდვილეში ჰქონდა ადგილი. ყოველივე ეს, თავის მხრივ აუცილებლად გაადიდებს სტატისტიკურ მაჩვენებლებს, და, ბუნებრივია, გააუარესებს მუშაობის შეფასების ფორმალურ მაჩვენებლებს.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ შინაგან საქმეთა ორგანოებისა და პროკურატურის საქმიანობის შეფასების კრიტერიუმების შეუცვლელად ვერ განხორციელდება კანონიერების დაცვის ყველა მოთხოვნა. ყურადღება უნდა მიექცეს განცხადებებისა და შეტყობინებების რეგისტრაციის სისრულეს და მის სწორ გადაწყვეტას.

შინაგან საქმეთა ორგანოებისა და პროკურატურის მუშაობის პრაქტიკა მოწმობს, რომ სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე

¹ იხ. ზაურ წულაია. სოციალისტური ქონების დატაცებასთან ბრძოლის კრიმინოლოგიური საფუძვლები მსუბუქ მრეწველობაში. თბ., 1989, გვ. 135.

² ძალზე სასიამოვნოა და მოსაწონი ის ფაქტი, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი ბატონი კობა ნარჩემაშვილი ზემოაღნიშნული სახის პოზიციებს რომ იზიარებს, რაც თავის მხრივ, მისი საერთო ერუდიციისა და განსწავლულობის გამოვლენაა.

დაუსაბუთებელი უარის თქმის ფაქტები, ისე როგორც დანაშაულის ფაქტის დამაღვსა, მეტ-ნაკლებად (ე.ი. ხელოვნური ლატენტურობა), ყველგანაა. ბუნებრივია, ყოველივე ეს აყენებს მოთხოვნას, სტიმულირებულ იქნას სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობა ყველა ჩადენილი დანაშაულის გამოვლენისა და რეგისტრირებისთვის. ასეთი მოქმედებით, ბუნებრივია, გაიზრდება რეგისტრირებული დანაშაული, მაგრამ ეს გარემოება არ შეიძლება შეფასდეს, როგორც სამართალდამცავი ორგანოების მუშაობის გაუარესება.

საქმიანობის შეფასების კრიტერიუმების შეცვლა, რაც ხელს უწყობს კანონიერების განმტკიცებას, შესაძლებლობას იძლევა, უფრო ზუსტად განისაზღვროს პროფილაქტიკური მუშაობის მოცულობა ამა თუ იმ რაიონის, ქალაქის ტერიტორიაზე და სხვ.

ამჟამად დანაშაულობის შემცირების ერთ-ერთი ძირითადი მეთოდი, რასაც შინაგან საქმეთა ორგანოები იყენებენ, არის ზოგადი და ინდივიდუალური პროფილაქტიკა. მაგრამ დანაშაულობის მანქვინებლების შემცირება შეიძლება სხვა გზითაც. სახელდობრ, ხელოვნური ლატენტურობის გაზრდის ხარჯზე. ასეთია: სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე დაუსაბუთებელი უარი, დანაშაულთა შესახებ შეტყობინების დამალვა (ე.ი. აღრიცხვაზე აუყვანლობა), ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესუსტება დამნაშავეთა მოსავლინებლად და ა. შ.

ამრიგად, სტატისტიკური მანქვინებლების უზუსტობა, მათი შეუსაბამობა დანაშაულობის რეალურ მდგომარეობასთან შეუძლებელს ხდის ზუსტად განისაზღვროს პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გამოყენების სფერო და მათი ეფექტურობა.

სისტემატურად უნდა გაუმჯობესდეს მოსახლეობის ცოდნა გარკვეული სახის დანაშაულთა ჩადენის ხერხებზე, დამნაშავეთა ქცევაზე და სხვ. ყოველივე ეს ხელს შეუწყობს მათ გააქტიურებას ჩადენილ დანაშაულზე ინფორმაციის მიწოდებასთან დაკავშირებით და, თავის მხრივ, შეამცირებს სხვადასხვა სახის დანაშაულის ლატენტურობას, საბოლოოდ კი დამნაშავეობის შემცირებას.

სამართალდამცავი ორგანოების მუშაობაში მეტად მნიშვნელოვანია სამართლებრივი პროპაგანდის სრულყოფა. ამასთან, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მოსახლეობისთვის საგამოძიებო საიდუმლოების შენახვის საკითხთა ახსნა-განმარტებას.

ყოველივე ამან მოსახლეობაში უნდა წარმოშვას რწმენა, რომ სამართალდამცავი ორგანოებისთვის მათ მიერ მიწოდებული ცნობა არ განმარტდება და არ გამოიღებს მათთვის არასასურველ შედეგებს.

შეფასების კრიტერიუმების შეცვლით რეგისტრირებული დანაშაულის რაოდენობის დროებითი გადიდება და მისი მაქსიმალური დაახლოება ფაქტობრივად ჩადენილ დანაშაულთა რაოდენობასთან ქმნის აუცილებელ წინაპირობას, ზუსტად იქნეს შესწავლილი დანაშაულის ჩადენის მიზეზები და ხელშემწყობი პირობები, შემუშავდეს დანაშაულობასთან ბრძოლის ოპტიმალური მეთოდები და ამადლდეს მათი ეფექტურობა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ლატენტურ დანაშაულობათა გამოვლენა სახალხო მეურნეობის ამა თუ იმ სფეროში დანაშაულობასთან დასაბუთებული ბრძოლის ლოგიკური წინაპირობაა. ფარული დატაცებების შესწავლა ამა თუ იმ დარგში შესაძლებლობას იძლევა, დაახლოებით დადგინდეს მათი ფაქტობრივი მდგომარეობა, უფრო ღრმად გაანალიზდეს კრიმინოგენური ფაქტორები, დანაშაულის ჩადენის ხერხები და ყოველივე ამის საფუძველზე შემუშავდეს და განხორციელდეს საჭირო ხასიათის პროფილაქტიკური ღონისძიებები.

მეურნეობის სფეროში ჩადენილი ლატენტური დატაცებების გამოვლენა არა მარტო სამართალდაცვის ორგანოების, არამედ სახელმწიფო და სამეურნეო ორგანოების, უპირველეს ყოვლისა, თვით კონკრეტული სამრეწველო საწარმოებისა და შრომითი კოლექტივების ღვიძლი საქმეა.

შრომითი კოლექტივების მონაწილეობით საკითხის დამუშავება ლატენტურ დატაცებათა გამოვლენის საქმეში შეიძლება შეფასდეს, როგორც ოპტიმალური ხასიათის პროფილაქტიკური ღონისძიება.

უკანასკნელ წლებში ჩატარებული მუშაობა ლატენტურ დატაცებათა ნიშნების გამოძიებაზე ეკონომიკური ანალიზის მეთოდების გამოყენებით, მიმართულია სხვადასხვა ობიექტზე კრიმინოგენური ფაქტორების გამოვლენასა და სამართალდამცავი ორგანოების ძალთა გადაადგილებაზე, რათა დროულად აღიკვეთოს აღნიშნული სახის ფაქტორები ამა თუ იმ ობიექტზე.

რაც შეეხება სამრეწველო საწარმოებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, მათი ყურადღების ცენტრში უნდა იყოს ის

პირები, რომელთაც მიდრეკილება აქვთ სახელმწიფო ქონების დატაცებისადმი, ლოთობისადმი და სხვ.

ცნობილია, რომ გამოსაკვლევნი ობიექტების წრის შევიწროება, ასევე სახელმწიფო ქონების დაცვის საქმეში სუსტი რგოლების ცოდნა შესაძლებლობას აძლევს ამ ქონების მფლობელს (ადმინისტრაციას, საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და შრომით კოლექტივებს), უფრო საგნობრივად და კონკრეტულად განახორციელოს დატაცებათა თავიდან აცილების ღონისძიებანი.

სახალხო მურნობის ამა თუ იმ სფეროში ფარული დატაცებების გამოვლენამ ეკონომიკური ანალიზის საშუალებითა და საკონტროლო-სარევიზიო სამსახურების მონაწილეობით სისტემატური ხასიათი უნდა მიიღოს.

ვ. ტანასევიჩი სამართლიანად აღნიშნავდა, რომ ფარული დატაცებების გამოვლენისას მკვლევართა წინაშე დგას რთული ამოცანა: გამოყონ ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების შეთანხმებულიობის პრინციპის დარღვევა... და, შემდეგ, საწარმოებში, სადაც ადგილი აქვს სახელმწიფო ქონების დატაცებებს, რაც საწარმოს შემოსავლისა და გასავლის დოკუმენტებში უშუალოდ არ აისახება, სულ ერთია, იგი გარდაუვალად აისახება შესაბამის ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში. ეს დებულება შეიძლება გავრცელდეს მრეწველობის ნებისმიერ დარგში, რადგან პროდუქციის წარმოების ყოველგვარ პროცესს საფუძვლად უდევს სამი ძირითადი ელემენტის ურთიერთმიქმედება: შრომის მწარმოებელი, შრომის საშუალება და შრომის საგანი. ყოველი საწარმოს ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებელი აღნიშნულით განისაზღვრება.¹

ბუღალტრული აღრიცხვის მონაცემების გამოკვლევის მეთოდები ნაკლებად ქმედითია მსუბუქი მრეწველობის საწარმოებში ჩადენილ ფარულ დატაცებათა გამოსავლენად. საქმე ისაა, რომ ტექნოლოგიური პროცესების სიმრავლე და სირთულე არასრულყოფილს ხდის მატერიალურ ფასეულობათა აღრიცხვის კრიტერიუმებს, რაც ნაწარმის, ნახევარფაბრიკატის, ნედლეულის დატაცე-

¹ Танасевич В. Г. Некоторые проблемы активизации деятельности по выявлению латентных хищений социалистического имущества. В кн.: Выявление скрытых хищений средствами экономического анализа, а также путем совершенствования деятельности контрольно-ревизионных аппаратов. М., 1978, с. 12-13.

ბათა შესაძლებლობას იძლევა და, ბუნებრივია, საწარმოს ბალანსში არ აისახება.

შრომით კოლექტივებს, რომლებიც ყოველდღიურ საწარმოო საქმიანობას ეწევიან, უდავოა, დიდი შესაძლებლობები აქვთ გამოიყენონ ცალკეული დისპროპორციები, საწარმო პროცესების ნაკლოვანებები, მატერიალურ ფასეულობათა აღრიცხვაში დაუდევრობა, ქონების დაცვაში ხარვეზები და ა. შ.

ჩვენ მიერ ჩატარებული გამოკვლევებით¹ დადასტურებული იყო საქართველოს მსუბუქი მრეწველობის საწარმოებში ლატენტურ დატაცებათა დიდი მოცულობით არსებობა. მათზე პირდაპირ მიუთითებდა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და ადმინისტრაციის წარმომადგენელთა მონაწილეობით ჩატარებული რეიდების მასალები. რეიდების შედეგად:

ა. აღმოჩენილი იყო დასატაცებლად გამიზნული დამალული პროდუქცია; მაგალითად, 1985 წელს რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის საწარმოებში დასატაცებლად გადამალული პროდუქციის საერთო რაოდენობიდან 24,3% მარტის თვეში გამოვლინდა, თანხამ შეადგინა 24,1%;

ბ. დააკავეს დამტაცებლები საწარმოს ტერიტორიაზე, საკონტროლო-საშვებ პუნქტებში და საწარმოს ტერიტორიის გარეთ; მაგალითად, 1985 წლის პირველ ნახევარში რესპუბლიკის ერთ-ერთ წინდების ფაბრიკაში წვრილმანი დატაცებისათვის დააკავებული 24 პიროვნებიდან 6 რეიდების დროს გამოვლინდა. რეიდი, როგორც წესი, საშუალოდ ტარდებოდა ორ კვირაში ერთხელ. ეს, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, რომ სხვა დღეებში დამტაცებლები ნაკლები იყო. საქმე ისაა, რომ ისინი ნაკლები რაოდენობით მკლავდებოდა. ჩვენი აზრით, ლატენტურ დატაცებათა მოცულობის ზუსტი განსაზღვრისათვის საჭიროა იმ საშუალო დღეების გათვალისწინებაც, როცა რეიდები არ ჩატარებულა, ე. ი. დამტაცებელთა ან გამოვლენილ დატაცებათა რაოდენობას, აგრეთვე მათ მიერ მიყენებული ზარალის თანხას უნდა დაემატოს იმ საშუალო დღეების რაოდენობა, როცა რეიდები არ ჩატარებულა, ცხადია, ჩატარებული რეიდების დროს მიღებული საშუალო მონაცემების გათვალისწინებით.

¹ გამოკვლევები ჩატარდა 80-იან წლებში.

რეიდების ჩატარების სიხშირე ამკარად ამცირებს დამტაცებელთა რაოდენობას და, პირიქით, მისი ჩაუტარებლობა არსებითად ზრდის დატაცებათა შემთხვევებს. აქედან გამომდინარე, რეიდების სისტემატური ჩატარება მსუბუქი მრეწველობის საწარმოებში დიდი პრევენციული სახის საქმედ იყო მიჩნეული;

გ. დადგენილ იქნა წარმოების პროცესში დასამუშავებელი პროდუქციისა და მისი დეტალების დანაკლისები; მაგალითად, ქ. თბილისის ფეხსაცმლის ფაბრიკა „ისანში“ რეიდის ჩატარებით გამოვლინდა 120 წყვილი ფეხსაცმლისა და ასევე მისი ძირების (60 წყვილი) დატაცების ფაქტი (3360 მან. ოდენობით).

დ. გამოვლინდა პროდუქციის გაგზავნისას არასრულად დატვირთვა, დაუკომპლექტებლობა, უხარისხობა, არასტანდარტულობა და ზედმეტობა. ასეთი შემთხვევები ფართოდ იყო გავრცელებული ტრიკოტაჟის, ფეხსაცმლის, სამკერვალო, ტყავ-საგალანტერეო, საფეიქრო და სხვა საწარმოებში; მაგალითად, 1979 წლის ივნისის თვეში ქ. თბილისის წინდების საწარმოო გაერთიანება „კრწანისის“ ფაბრიკიდან წინდების გადატვირთვისას, რეიდის დროს, კონტინერში აღმოაჩინეს 22 ათასი მანეთის სხვადასხვა არტიკულის წინდების ზედმეტობა.

უნდა აღინიშნოს, რომ დატაცებათა ფაქტების მნიშვნელოვანი რაოდენობა, რაც გამოვლენილ იყო თვით საამქროში, საშუალო უბანზე, საწყობში, ბრიგადაში და ა. შ., მომუშავეთა მიერ ხშირად რეაგირების გარეშე რჩებოდა და აღრიცხვაზე არ აყვავდათ; მაგალითად, თბილისის ერთ-ერთ ტყავ-საგალანტერეო ფაბრიკაში ხელთათმანების დამზადების უბანზე გამოვლენილ დატაცებათა 10% აღრიცხვაზე არ აყვანილა. ასეთი მიდგომა მნიშვნელოვნად განპირობებული იყო შრომითი კოლექტივების მიერ პროფილაქტიკური საქმიანობის შეფასების უგულვებელყოფით, რაც ხელს უწყობდა ლატენტურ დანაშაულობათა ჩადენას და ზრდიდა მის მჩვენებლებს.

საერთოდ, მსუბუქი მრეწველობის საწარმოებში ლატენტურ დატაცებათა გავრცელებას ამტკიცებდა ჩვენ მიერ ამ სისტემის საწარმოებში ჩატარებული ანკეტური გამოკითხვის შედეგები. კითხვაზე, ჰქონდა თუ არა ადგილი მათ საწარმოში დატაცებებს, გამოვლინდა თუ არა მისი ჩამდენი პირები, თუ არ გამოვლინდა, რა რეაგირება მოჰყვა აღნიშნულ ფაქტს, მუშების უმრავლესობამ

ასე უპასუხა: მართალია, გვეშენია ჩადენილი დატაცებების შესახებ, მაგრამ მისი ჩამდენი პირები არ გამოვლენილა. მომხდარი ფაქტები, მართალია, იყო კოლექტივში მსჯელობის საგანი, მაგრამ მასალები მათ შესახებ საგამოძიებო ორგანოებზე არ გადაუციათ.

მსუბუქი მრეწველობის საწარმოებში ლატენტური წვრილმანი დატაცებები ქურდობის ფორმით შეიძლება ეპიზოდურად მოგვეჩვენოს, მაშინ როცა სინამდვილეში ადგილი აქვს განგრძობად დატაცებებს ერთი და იმავე წყაროდან; მაგალითად, მსჯავრდებულმა კ-მ აღნიშნა, რომ სამკერვალო ფაბრიკაში, სადაც იგი ხუთი წლის განმავლობაში მუშაობდა, სისტემატურად იპარავდნენ შხა ნაწარმს. თანაც, შეთანხმებით, ნაწარმი უნდა გაეტანათ იმ პირებს, რომლებიც ერთი წლის განმავლობაში შემწნეული არ იყვნენ ასეთ საქმიანობაში.

მსუბუქი მრეწველობის საწარმოებში ლატენტურ დატაცებათა აღბათობაზე ხშირად მიუთითებდა: ა) პროდუქცია, რომელიც თითქოსდა დაბრუნებული იყო სავაჭრო ორგანიზაციიდან სამრეწველო საწარმოში, როგორც დაწუნებული ან საბოლოოდ დასამუშავებელი; ბ) ნედლეულის ჩამოწერა — არა ფაქტობრივი, არამედ დადგენილი ნორმის ფარგლებში; გ) შხა პროდუქციის შემოსავალში გატარება არა ფაქტობრივი გამოსავლიანობის, არამედ დადგენილი ნორმატივების მიხედვით; დ) ტექნოლოგიური რეჟიმის დარღვევა, მაგალითად, დაზგების მუშაობის რეჟიმის შეცვლა ან პროდუქციის გამოშვება, რომლის პარამეტრები (სიგანე, სიგრძე) ნაკლებია დადგენილზე; ე) რეკლამაციები, რომლებიც მიმღები ორგანიზაციებიდან იყო გამოგზავნილი პროდუქციის ხარისხზე, არასტანდარტულობაზე, დანაკლისზე, უკომპლექტობაზე; ვ) ბუღალტრულ ანგარიშებში ისეთი საწარმოო ოპერაციების ასახვა, რაც მნიშვნელოვნად ზრდის ნახევარფაბრიკატებისა და მასალების დანაკარგებს, ვიდრე სინამდვილეში აქვს ადგილი; ზ) საწყობებში ზედმეტი ნედლეულისა და პროდუქციის, ასევე დანაკლისების აღმოჩენა; თ) სასაქონლო ზედღებულებსა და სპეციფიკაციებში სხვადასხვა სახის გადაკეთებები და სხვ.

ზოგიერთ მეთოდს, რასაც თავიანთ საქმიანობაში მსუბუქი მრეწველობის საწარმოთა ადმინისტრაცია და საზოგადოებრივი ორგანიზაციები იყენებდნენ, სიცხადე შეჰქონდა ლატენტურ დატაცებათა წარმოქმნის საკითხში. მაგალითად, ჩვენი რესპუბლიკის

მსუბუქი მრეწველობის ზოგიერთი საწარმოს საქმიანობით კლინდუ-
ბოდა, რომ ნაწარმის კომისიური წესით გაგზავნისას დანაკლისი
მიძღვრება მნიშვნელოვნად მცირდებოდა, ხოლო როცა ნაწარმის
მიღებას მიმწოდებლის წარმომადგენელი ესწრებოდა, ნაწარმის
ნაკლებობა პრაქტიკულად გამორიცხული იყო. ყოველივე ეს მოწ-
მობდა არა მხოლოდ დანაკლისის ნამდვილი მიზეზების დადგენისა
და ფარული დატაცებების პარამეტრების განსაზღვრის, არამედ
მათი აღმოფხვრის პრინციპულ შესაძლებლობებსაც.

შრომით კოლექტივებთან დაკავშირებით ჩვენ მიერ ჩატარე-
ბულ კვლევაში ხაზი გაესმის იმას, რომ: ა) უნარი შესწევთ უშუ-
ალოდ აღმოფხვრან კრიმინოგენური ფაქტორები; ბ) შეატყობინონ
აღმინისტრაციას კრიმინოგენური ფაქტორების შესახებ და კონ-
ტროლი გაუწიონ იმას, თუ რა ღონისძიებას გაატარებს იგი
შეტყობინებული კრიმინოგენური ფაქტორების თავიდან აცილების
მიზნით; გ) კოორდინაციას უწევდნენ პროფილაქტიკის მრავალ-
რიცხოვან სუბიექტთა საქმიანობას. რაც შეეხება ცნობებს ლატენ-
ტურ დატაცებათა შესახებ, რასაც მოიცავს სხვადასხვა დო-
კუმენტი და რაც ახასიათებს სამრეწველო საწარმოს საწარმოო
საქმიანობას, ისინი ინფორმაციის წყაროებს მიეკუთვნება. ყოველ-
გვარი ინფორმაციის შეკრება ლატენტურ დატაცებებზე და მის
პარამეტრებზე შრომითი კოლექტივების უპირველეს ამოცანად უნ-
და მივიჩნიოთ. საქმე ისაა, რომ ლატენტურ დატაცებათა პარამე-
ტრების ცოდნა, თუნდაც სააღბათო იყოს იგი, შესაძლებლობას
იძლევა ამ მოვლენათა უფრო დასაბუთებული პროგნოზირების,
პროფილაქტიკის მრავალრიცხოვან სუბიექტთა საქმიანობის კოორ-
დინაციის, სახელმწიფო ქონების დაცვის საქმეში არსებული
სუსტი რგოლების განსაზღვრისათვის და სხვ.¹

ლატენტურ დატაცებათა გამოვლენისა და აღმოფხვრის საქ-
მეში დიდია კონტროლის პალატის, საქართველოს შს სამინის-
ტროს კორუფციასთან და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის
მთავარი სამმართველოსა და პროფკავშირული ორგანიზაციის რო-
ლი. დადგენილია, რომ მრეწველობის იმ საწარმოში, სადაც გავრ-
ცელებული იყო დატაცებები (დაწყებული წვრილმანით და დამ-

¹ ზაურ წულაია. სოციალისტური ქონების დატაცებებთან ბრძოლის კრიმი-
ნოლოგიური საფუძვლები მსუბუქ მრეწველობაში. თბ., 1989, გვ. 142.

თავრებული დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობით), საზოგადოებრივი კონტროლის ორგანოები იმჟამად (იგულისხმება საბჭოთა პერიოდი - ზ. წ.) ფაქტობრივად არ ფუნქციონირებდა, ხოლო თუ ფუნქციონირებდა, იგი ფორმალურ ხასიათს ატარებდა.

დასასრულ, მსუბუქ მრეწველობაში ლატენტურ დატაცებებთან დაკავშირებით ვაკეთებთ შემდეგი ხასიათის დასკვნებს:

1. სტატისტიკური მონაცემები მიახლოებით ხსნის დატაცებათა ერთობლიობის განვითარების ძირითად ტენდენციებს;

2. მსუბუქ მრეწველობაში ლატენტური დატაცებები ხასიათდება გავრცელების მაღალი ხარისხით; ასეთია, სახელდობრ, სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების წვრილმანი დატაცებები (იგულისხმება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 50-ე მუხლი); სახელმწიფო ქონების დატაცებები ჩადენილი ქურდობის ფორმით (სსკ 177-ე მუხლი); დატაცებები ჩადენილი მითვისებით ან გაფლანგვით (სსკ 182-ე მუხლი). დატაცებათა სხვა ფორმები გავრცელების დაბალი ხარისხით გამოირჩევა.

3. ლატენტურობის მაღალი ხარისხის შენარჩუნების მიზეზად მიჩნეული უნდა იქნეს მისი წარმომშობი ფაქტორების სტაბილურობა; ამასთან, ძირეული ხასიათის ცვლილებები პროფილაქტიკური საქმიანობის გასაუმჯობესებლად ნაკლებად შეიძინევა სამართალდამცავი ორგანოებისა და შრომითი კოლექტივების საქმიანობაში (ჩვენი გამოკვლევებით, ოდნავადაც არ ამალღებულა შრომითი კოლექტივების პროფილაქტიკური საქმიანობის შედეგიანობა - მათ მიერ საშუალოდ გამოვლენილია საერთო დამტაცებელთა 5,5%);

4. მსუბუქ მრეწველობაში წვრილმანი დატაცებების ლატენტურობის პროცენტი მაღალია, მნიშვნელოვან, დიდ და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ჩადენილ დატაცებებთან შეფარდებაში. ჩვენი მონაცემებით, წვრილმანი დატაცებები სხვა სახის ყველა დატაცებასთან შეფარდებაში 72,3%-ს შეადგენს; ამასთან, მისი ცალკეული ფაქტები წარმოებას თითქოსდა შესამჩნევ ზარალს არ აყენებს;

5. მსუბუქ მრეწველობაში თანაფარდობა გამოაშკარავებულ და ფარულ დატაცებებს შორის ჩვენ მიერ შესწავლილ მასალებზე დაყრდნობით (ანკეტური გამოკითხვა, საკონტროლო-სარევიზო აქტები და სხვ.) ასე გამოიყურება: წვრილმანი დატაცებები - 1:5; დატაცებები, ჩადენილი ქურდობის ფორმით - 1:3; დატაცებები,

ჩადენილი მითვისებით, გაფლანგვითა და სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით - 1:2; დატაცებები განსაკუთრებით დიდი ოდენობით - 1:1;

6. სასამართლო სტატისტიკური მასალების შესწავლის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ მსუბუქ მრეწველობაში ქურდობით ჩადენილი დატაცებები უფრო ადვილად ვლინდება, ვიდრე სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით, რაც ზოგჯერ წლობით გრძელდება და ვლინდება მხოლოდ დიდი დროის გასვლის შემდეგ, თანაც, ქურდობით ჩადენილი დატაცებისას დამტაცებელთა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემას ხშირად საფუძველად უდება დატაცების მხოლოდ ერთხელ ჩადენის ფაქტი (ყოველივე ეს არ გამორიცხავს, თითქოსდა მას წინ არ უძლოდა მთელი რიგი ასეთივე დატაცებები). სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით დატაცებათა ჩადენის გამოვლენის სირთულე განპირობებულია იმით, რომ დამტაცებელთა საქმიანობა ამ შემთხვევაში ერწყმის საწარმოთა საქმიანობის თავისებურებებს (წარმოების ტექნოლოგიას, აღრიცხვას, ნორმირებასა და ა. შ.);

7. მსუბუქ მრეწველობაში რეგისტრირებული დატაცებებით განსაზღვრული ზარალი ლატენტური დატაცებებით მიყენებულ ზარალს ეფარდება, როგორც 1:8 (მაგრამ ეს სრულიადაც არაა მისი უმაღლესი ზღვარი);

8. სამართალდამცავი ორგანოების წარმატებული საქმიანობის შეფასების კრიტერიუმად უნდა მივიჩნიოთ მეტი რაოდენობით დატაცებების გამოვლენა. რეგისტრირებული დატაცებების სიმრავლე ლატენტურ დატაცებათა გავრცელების მაღალი დონისა და მისი შეძირების ტენდენციის ამსახველია.

ვიქტიმოლოგია (დანაშაულის მსხვერპლი)

კრიმინოლოგიის საგანში ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილის სახით შედის დანაშაულის მსხვერპლის პრობლემა, რომელსაც ვიქტიმოლოგიას უწოდებენ. ცხადია, თუ არსებობს დანაშაულობა როგორც მოვლენა, დანაშაული როგორც მთლიანის ნაწილი, დამნაშავე როგორც პიროვნება, რომელმაც რეალურად ჩაიდინა დანაშაული, არის ასევე დანაშაულისაგან დაზარალებულიც (დანაშაულის მსხვერპლი). კაცობრიობა და მეცნიერება უძველესი დროიდან იჩენდა ინტერესს დანაშაულის მსხვერპლისადმი.

გამოკვლევები ცხადყოფს, რომ დამნაშავეს ქცევა, ხშირად, განპირობებულია მისი მსხვერპლის ქცევითა და განსაკუთრებული თვისებებით, ასევე არსებული კონფლიქტური ურთიერთობებით. სხვანაირად თუ ვიტყვით, დანაშაული არცთუ ისე იშვიათად პროვოცირებულია დაზარალებულის უარყოფითი მოქმედებით. ყოველივე ეს განსაკუთრებით აშკარად ჩანს ისეთ დანაშაულებში, სადაც გვაქვს პიროვნებათშორისი მტრული ურთიერთდამოკიდებულებანი. რიგი მკვლევარის მონაცემებით 29 პროცენტამდე დანაშაული ან პროვოცირებულია დაზარალებულის მიერ ან ჩადენილია მისი მეშვეობით.

დაზარალებულთა პროვოცირებული ქცევა, ხშირად ქმნის დანაშაულობის ისეთ ცრუ შემადგენლობებს, რომლის საფუძველზეც აღმოცენდება ფსევდოდანაშაულები, რომლებისთვისაც, სამწუხაროდ, სასამართლოს მიერ ზოგჯერ დანიშნულია სასჯელი. ასეთი რამ მეტწილად ხდება გაუპატიურების შემთხვევაში, რომელთა დიდი ნაწილი პროვოცირებულია ან მოიცავს ცრუ ბრალდებებს. საქმეში გაურკვეველი მოსამართლეები კი თავიანთი განაჩენით უდანაშაულო ადამიანებს, განსაკუთრებით კი ახალგაზარდებს, ცხოვრებას უმახინჯებენ. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ არის ადამიანთა გარკვეული კატეგორია, რომელთა მიმართაც დამნაშავენი იჩენენ გაძლიერებულ ინტერესს. ასეთ ადამიანებს, სამწუხაროდ, სხვადასხვა მიზეზის გამო არ შეუძლიათ ჯეროვანი წინააღმდეგობა გაუწიონ დამნაშავეებს. ესენია: ბავშვები, მოზარდები, მოხუცები, ასევე ადამიანები, რომლებსაც გააჩნიათ ფიზიკური ან ფსიქიკური

ნაკლი და ა. შ., თანაც ეს ადამიანები სოციალურად ნაკლებად არიან დაცული საზოგადოებაში და კერძოდ, დამნაშავეებისაგან. ადამიანის მდგომარეობა, რომელიც გამოიჩნევა მომეტებული (მეტისმეტი) სისუსტით იმ თვალსაზრისით, რომ ადვილად შეუძლია გახდეს დანაშაულის მსხვერპლი, ეწოდება ვიქტიმურობა. როგორც ლ. ფრანკლი წერს. „ვიქტიმურობა არის სუბიექტურ და ობიექტურ გარემოებათა გამო დანაშაულებრივი ხელყოფის სამიზნედ გახდომის გაძლიერებული უნარი“¹. ვიქტიმოლოგია არის რა გასაფრთხილებელ ღონისძიებათა დაშუშავების ბაზა, სწორედ ამასია მისი როგორც კრიმინოლოგიის დარგის განსაკუთრებული მნიშვნელობაც.

დაზარალებული, ერთი მხრივ, შეიძლება იყოს ინდივიდი, რომელიც შეისწავლება როგორც პიროვნება და, რომელსაც ძალა შესწევს თავისი ქცევით იმოქმედოს დამნაშავის განზრახვაზე, რათა მან არ ჩაიდინოს დანაშაული, ხოლო, მეორე მხრივ, დაზარალებულები მსხვერპლთა ერთობლიობაა (დანაშაულით მათთვის მიყენებული ზიანის გამო)².

დანაშაულის მსხვერპლის ცნებას ყურადღებას უთმობს სისხლის სამართლის პროცესი, სისხლის სამართალი და კრიმინოლოგია. კრიმინოლოგიის პოზიციებიდან დანაშაულის მსხვერპლის ვიქტიმოლოგიური ცნება მოიცავს განზოგადებულ მონაცემებს დაზარალებულთა კონტინგენტზე მთლიანად.

ვიქტიმოლოგიურ თეორიაში არსებით ფაქტორად წარმოგვიდგება „დაზარალებულის ბრალის“ დადგენა დანაშაულში, რის შედეგადაც იგი თავადვე დაზარალდა. სისხლის სამართალში არსებობს დებულება, რომლის თანახმად დაზარალებულის ბრალის არსებობა დამნაშავის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საზღვრებს ამცირებს ჩადენილ დანაშაულში. ცხადია, „დაზარალებულის ბრალზე“ (თუ ამოვალთ სისხლის სამართლის თეორიიდან), შეიძლება ვილაპარაკოთ მხოლოდ პირობითად. ბრალი და „დაზარალებულის ბრალი“ ახლოსმდგომი, მაგრამ არაიდენტიური ცნებებია. დაზარალებულის არასწორ ქცევას, არაფერი საერთო არა აქვს ბრალის ცნებასთან. მაგრამ კრიმინოლოგიის საჭიროე-

¹ Франк А. В. Виктимология и Виктимность. Душанбе, 1972, с. 73.

² Курс советской криминологии. М., 1985, том 1, с. 177.

ბისათვის შეიძლება პირობითად ვილაპარაკოთ „დაზარალებულის ბრალის“ შესახებ, რადგან აქ საუბარია დანაშაულის ერთ-ერთი „მონაწილის“ ქცევის საკვებით განსაზღვრულ ფორმებზე და არა მის პასუხისმგებლობაზე სისხლისსამართლებრივი თვალსაზრისით.

დაზარალებულის ქცევა შეიძლება იყოს არა მხოლოდ არასწორი, არამედ უზნეოც. დაზარალებულის უზნეობა დანაშაულობის (კონკრეტული დანაშაულის) მიზეზთა პრობლემისა და დანაშაულებრივი ქცევის მექანიზმის გარკვევის გასაღებია. ნათქვამი არ ხსნის თვით დამნაშავეს ანტისოციალურობის პრობლემას. აქვე გასათვალისწინებელია კრიმინოლოგების მიერ დადგენილი კანონზომიერება: რაც უფრო მნიშვნელოვანია (პროვოკაციულია) დაზარალებულის როლი კონკრეტულ დანაშაულში, მით მეტი ყურადღებით უნდა შეფასდეს დანაშაულის ჩამდენის პიროვნება (სისხლის სამართალში ამ გარემოებამ შეიძლება გამოიწვიოს პირისათვის სასჯელის შემსუბუქება ან სასჯელისაგან განთავისუფლება). ზემოაღნიშნული კანონზომიერება, მეტნაწილად, ისეთ დანაშაულებში ვლინდება, რომელიც პიროვნების წინააღმდეგაა მიმართული.

ვიქტიმოლოგიის განვითარებამ წარმოშვა ტერმინი „ვიქტიმიზაცია“. კრიმინოლოგიის კურსის ავტორთა აზრით, „ვიქტიმიზაცია დანაშაულობის ცნების შემადგენელი ნაწილია და ასახავს, როგორც კონკრეტული პირის, ასევე ადამიანთა გარკვეული ერთობის დანაშაულის მსხვერპლად გადაქცევის (გარდაქმნის) პროცესს. ვიქტიმიზაცია დანაშაულობისაგან იმით განსხვავდება, რომ იგი წარმოადგენს სხვადასხვა ხასიათის ტიპის ადამიანების მსხვერპლად ჩამოყალიბების პროცესების ერთობლიობას“².

ვიქტიმოლოგიის ისტორიასთან დაკავშირებით უნდა შევნიშნოთ, რომ ვიქტიმოლოგიური იდეების გაჩენა რამდენიმე ათასწლეულს ითვლის. პოტენციური მსხვერპლის თვითდაცვისა და დაცვის საკითხი ტრადიციულად დანაშაულობაზე ზემოქმედების ძირითად ხერხად განიხილებოდა. სამართლებრივ სისტემათა უმრავლესობაც, როგორც წესი, შეიცავდა აუცილებელი მოგერიების

¹ სამოქალაქო სამართალში გვაქვს დაზარალებულის ბრალის ცნება, რაც სამართლებრივი კატეგორიაა და მისი მნიშვნელობა ამ დარგისათვის დიდ მტკიცებას არ საჭიროებს.

² Курс советской криминологии. М., 1985, том 1, с. 182.

უფლებას, რაც წარმოადგენდა პოტენციალური მსხვერპლის სამართლებრივ მხარდაჭერას.

XX საუკუნეში მეცნიერული მიმართულების — „ინტერნაციონალიზმის“ — წარმომადგენლებმა ჩაატარეს დანაშაულობის ყველა ფაქტორის რევიზია. მათ მხედველობიდან არ გამოჩენიათ მსხვერპლის მნიშვნელოვანი როლიც პიროვნების კრიმინალიზაციის პროცესში. დანაშაულის გენეზისში მსხვერპლის როლის ფრაგმენტული გამოკვლევები წამოიწყო არაერთმა მეცნიერმა და მწერალმა. „კრიმინოლოგიის“ სახელმძღვანელოში ე. სატერლენდმა მესამე თავი მიუძღვნა დანაშაულთა მსხვერპლის ანალიზს. მის მიერ მოტანილი სტატისტიკური მონაცემებიდან ჩანს, რომ მკვლელობის მსხვერპლად გახდომის ყველაზე დიდი ალბათობა გააჩნიათ 25-30 წლის პირებს, მათი სქესისა და რასის მიუხედავად. ამასთან დანაშაულის მსხვერპლად გახდომის ალბათობა 100-ჯერ მეტი აქვთ აშშ-ს ზანგებს, ვიდრე სხვა ეროვნების წარმომადგენლებს¹.

იტალიელმა მწერალმა ანი ვიკანტიმ თავის ერთ-ერთ მოთხრობაში მოგვცა სერიული მკვლელის პიროვნების მოტივაციური ანალიზი. კერძოდ, მან აღწერა მკვლელის (მანიაკის) ცხოვრებიდან ერთი ისეთი ეპიზოდი როდესაც მსხვერპლის ოპტიმალურმა ქცევამ დაიხსნა ის სიკვდილისაგან. საქმის ფაბულა შემდგომში მდგომარეობდა: მანიაკმა შეიტყუა ქალი აგარაკზე და მოემზადა მის მოსაკლავად, მაგრამ სწორედ ამ მომენტში ქალმა თვითონ სთხოვა მას, რომ მოეკლა იგი (ინტუიციამ უკარნახა მას, რომ ეს გადარჩენის ერთადერთი გზა იყო). ქალის ასეთმა უჩვეულო ქცევამ თავგზა დაუბნია მანიაკს, რომელსაც სიამოვნებას გვრიდა მოცახცახე მსხვერპლის დანახვა, — სწორედ ამან გადაარჩინა დაზარალებული².

1941 წელს გერმანელმა კრიმინოლოგმა ჰერბერტ ფონ ჰენტიგმა, რომელიც ემალებოდა გერმანულ ფაშისტებს აშშ-ში, გამოაქვეყნა საინტერესო წერილი „შენიშვნები დამნაშავესა და მსხვერპლს შორის ინტერაქციის შესახებ“³. შვიდი წლის შემდეგ

¹ იხ. Sutherland E. Criminology. Philadelphia, 1924. P. 63-64.

² იხ. Ривман Д. В. Виктимологические факторы и профилактика преступлений. Л., 1975. с. 102.

³ იხ. Hentig H. Remarks on the interaction of Perpetrator and Victim, The Journal of Criminal Law and Criminology 1941. V.31. P. 303-309.

მან გამოაქვეყნა მონოგრაფია „დამნაშავე და მისი მსხვერპლი“ (გამოკვლევა დანაშაულობის სოციოლოგიის თაობაზე)¹. პ. ჰენტიგი, რომელიც გატაცებული იყო ინტერაქციონისტული მიდგომით, განიცილდა გერმანული ბიოფსიქიური კრიმინოლოგიური სკოლის ძლიერ გავლენას. ვიქტიმოლოგიურ პრობლემებს თავის წიგნში მან მიუძღვნა მხოლოდ ბოლო ნაწილი, რომელსაც ერქვა „მსხვერპლი“ (პირველ ნაწილში ის იკვლევდა სხეულის აგებულებას როგორც დანაშაულობის ფაქტორს; მეორე ნაწილში იხილავდა დანაშაულის სოციოლოგიურ ელემენტებს; მესამეში კი დანაშაულობის გეოგრაფიის პრობლემებს).

ვიქტიმოლოგიურმა იდეებმა შემდგომში მთელ რიგ მეცნიერთა ყურადღება მიიპყრო. მათ აქტიური მხარდაჭერა გამოუცხადეს ახალ მეცნიერულ მიმართულებას. მათ შორის იყო ზ. მენდელსონი². ამრიგად, პ. ჰენტიგის მიმდევართა რიცხვი თანდათან მატულობდა. ყოფილ საბჭოთა კავშირში ვიქტიმოლოგიურ საკითხებზე მუშაობდა ლ. ფრანკი, რომელმაც 1972 წელს მონოგრაფია გამოსცა³.

ვიქტიმოლოგიური პროფილაქტიკის არსსა და ძირითად მიმართულებებთან დაკავშირებით უნდა შევნიშნოთ, რომ ვიქტიმოლოგიების ძირითადი იდეები შემდეგში გამოიხატება:

1) მსხვერპლის ქცევა არსებით გავლენას ახდენს დანაშაულებრივი ქცევის მოტივაციაზე. მას შეუძლია მისი შესუბუქება, დამძიმება და პროვოცირებაც. ოპტიმალურად დადებით ქცევას შეუძლია შეუძლებელი გახადოს დანაშაულებრივი ხელყოფა (ან დაიყვანოს მისი ალბათობა მინიმუმამდე ან, ყოველ შემთხვევაში, თავიდან აიცილოს კრიმინალის (დანაშაულის) სერიოზული უარყოფითი შედეგები);

2) დანაშაულის მსხვერპლად გახდომის ალბათობა დამოკიდებულია განსაკუთრებულ ფენომენზე — ვიქტიმოზაზე. ყოველი პიროვნება შეიძლება შეფასდეს იმის გათვალისწინებით, თუ რამდენად დიდია მისი დანაშაულის მსხვერპლად გახდომის

¹ იხ. Hentig H. The criminal and His Victim (Studies in the Sociobiology of Crime). N.Y., 1948.

² იხ. Mendelsohn B. Vn horison nouveau dans. La science biopsych social: La victimologie. Bucharest, 1947.

³ იხ. Франк Л. В. ВИКТИМОЛОГИЯ И ВИКТИМНОСТЬ. Душанбе, 1972.

აღბათობა. ეს აღბათობა განსაზღვრავს ადამიანის ვიქტიმობას (რაც მეტია აღბათობა, მით უფრო ღიღია ვიქტიმობა);

3) ვიქტიმობა ეს გარკვეული პიროვნების სოციალური როლის ან სოციალური სიტუაციის თვისებაა, რომელიც პროვოცირებს ან აადვილებს დანაშაულებრივ ქცევას. შესაბამისად გამოიყოფა პიროვნული, როლური და სიტუაციური ვიქტიმობა;

4) ვიქტიმობა დამოკიდებულია რიგ ფაქტორებზე: ა) პიროვნულ მახასიათებლებზე; ბ) თანამდებობის პირის სამართლებრივ სტატუსზე, მისი სამსახურებრივი ფუნქციების სპეციფიკაზე, მატარიალურ უზრუნველყოფასა და დაცულობის დონეზე; გ) სიტუაციის კონფლიქტურობის ხარისხზე, ადგილისა და დროის თავისებურებაზე, რომელშიც ვითარდება ეს სიტუაცია;

5) ვიქტიმობის სიდიდე შეიძლება იცვლებოდეს. მისი ზრდის პროცესი განისაზღვრება როგორც ვიქტიმიზაცია, ხოლო დაწვევის (კლების) პროცესი დევიქტიმიზაციად. საზოგადოებას ვიქტიმობის ფაქტორებზე ზეგავლენით შეუძლია მისი კლება და ამით ზემოქმედება დანაშაულობაზე.

აქვე უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ ვიქტიმოლოგიების მიერ ჩატარებულმა გამოკვლევებმა გამოავლინა ანტიკრიმინალური ზემოქმედების ახალი ობიექტი და მიზანი: ობიექტი – ვიქტიმობაა, ხოლო მიზანი – დანაშაულის მსხვერპლთა და საერთოდ, უარყოფით შედეგთა რიცხვის შემცირება.

ვიქტიმოლოგიის განვითარებამ მოიცვა: ა) პიროვნების მომზადება კრიმინოგენურ სიტუაციებში მისაღები ოპტიმალური ქცევის გამოსავლენად; ბ) თანამდებობის პირთა დაცვის დონის ამაღლება, რომელთა სამსახურებრივი ფუნქციები დაკავშირებულია გარკვეული რისკის გაწვევასთან; გ) ვიქტიმოლოგიური სიტუაციების მინიმუმამდე დაყვანა, მათი აღმოფხვრა და აღკვეთა, მოქალაქეთა ინფორმირება ვიქტიმოგენურ „სიტუაცია-მახეთა“ შესახებ, რათა შეძლებისდაგვარად თავი აარიდონ მათ; დ) დანაშაულისაგან დაზარალებულთა დაცვა და რეაბილიტაცია.

6. ჩერნიხის აზრით, ვიქტიმოლოგიურ გამოკვლევათა მთავარ ობიექტს წარმოადგენს ინდივიდუალური და ჯგუფური უსაფრთხოება. ფაქტორებს, რომლებზედაც დამოკიდებულია უსაფრთხოების დონე, ის მიაკუთვნებს: ინფორმაციულ, ორგანიზა-

ციულ, ფსიქოლოგიურ, ფსიქოფიზიოლოგიურ, ზნეობრივ, იდეოლოგიურ, სტატუსისა და მატერიალურ ფაქტორებს¹.

დანაშაულობაზე ზემოქმედების ვიქტიმოლოგიური მიმართულება არის ერთ-ერთი ყველაზე ჰუმანური და პერსპექტიული. ეს არ მოითხოვს სერიოზულ მატერიალურ დანახარჯებს და, ყველა ადამიანისთვის დამახასიათებელ თავდაცვისკენ სწრაფვაზე დაყრდნობით, მას გააჩნია განვითარების რაღაც შინაგანი წყაროები. ამ მიმართულებამ მეტად არსებითი მხარდაჭერა ჰპოვა მეცნიერებისა და საზოგადოების მხრიდან. გაჩნდა პოპულარული წერილები და დამხმარე სახელმძღვანელოები თემაზე: „როგორ დავიცვათ თავი, საკუთარი ოჯახი, ბინა და საკუთრება დანაშაულებრივი ხელყოფისგან“².

კალიფორნიელმა პროფესორმა დაიანა რასელმა ჩაატარა მეტად შთამბეჭდავი გამოკვლევა გაუპატიურების პრობლემების თაობაზე. მან დაადგინა, რომ ამ სახეობის დანაშაულთა ლატენ-ტურობის დონე საკმაოდ მაღალია. მისი აზრით, დაზარალებულთა 85% არ აცხადებს მომხდარის შესახებ, რადგან ეშინიათ, რომ მათ არ შეარქვან გაუპატიურებული ქალის იარლიყი. ის შეეცადა დამაჯერებელ მაგალითებზე დაყრდნობით დაეზრია საზოგადოებაში გავრცელებული ის მცდარი აზრი და მიუღებელი შაბლონური სტერეოტიპი რომლის მიხედვითაც:

– „წესიერ ქალებს და ქალიშვილებს არ აუპატიურებენ“;

– „თუ ქალი არ მისცემს ნებას, ვერავინ შეძლებს მის გაუპატიურებას“;

– „ნაცნობ ადამიანს ან ახლო მეგობარს არ შეუძლია ქალის გაუპატიურება“.

– „გაუპატიურებას სწადიან მხოლოდ მამაკაცები ფსიქიკური გადახრებით“ და ა. შ., და რასაც, როგორც წესი, სავალალო შედეგები მოჰყვება.

დ. რასელი აღწერს გაუპატიურებათა სხვადასხვა სიტუაციებს (წიგნში 80-ზე მეტი შესაბამისი მაგალითია) და აანალიზებს დაზარალებულთა შეცდომებს. ის გამოთქვამს იმედს, რომ ამ

¹ იხ. Черных К. С. Виктимологическая практика и культура общества (Преступность и культура). М., 1999, с. 24.

² იხ. Lipman I. How to protect yourself from crime. N.Y., 1975.

დარგში ცოდნის გაღრმავება დაეხმარება ბევრ ქალს იმაში, რომ არ გაიმეორონ ანალოგიური შეცდომები და თავი აარიდონ მოკლენათა ტრაგიკულ განვითარებას.¹

ბევრ ქვეყანაში გამოდის სპეციალური ვიქტიმოლოგიური ცენტრები, გაჩნდა რადიო და ტელევიზორული პროგრამები და ზარალბულთა და მოწმეთა დაცვის სახელმწიფო პროგრამები სისხლის სამართლის საქმეებზე. რიგ ქალაქში სტიქიურად ჩამოყალიბდა გარკვეული სახის დანაშაულისგან (გაუპატიურებისაგან, თაღლითობისაგან) დაზარალბულთა, დაზარალბულ ბავშვთა მშობლებისა და ა. შ., დაცვის ასოციაციები.

რიგ სახელმწიფოში ჩამოყალიბდა ვიქტიმოლოგიური საზოგადოებები, ხოლო 1979 წელს საერთაშორისო კონგრესზე დაარსდა ვიქტიმოლოგთა მსოფლიო საზოგადოება. ამ საზოგადოების ამოცანაა სხვადასხვა ქვეყნების მეცნიერთა საქმიანობის კოორდინაცია დანაშაულთა ვიქტიმოლოგიური პროფილაქტიკის ღონისძიებათა შემუშავების თვალსაზრისით.

ვიქტიმიზაციის ანალიზმა შესაძლებელი გახდა დანაშაულობის სტატისტიკის დახუსტება ლატენტურ დანაშაულთა მნიშვნელოვანი რაოდენობის გამოვლენის ხარჯზე². მოსახლეობის რეგულარული გამოკითხვა იმის თაობაზე, ხომ არ ყოფილა გამოსაკითხი პირი რაიმე დანაშაულის მსხვერპლი, მტკიცედ დამკვიდრდა მრავალი ქვეყნის პრაქტიკულ საქმიანობაში. აშშ-ში, მაგალითად, 1972 წლიდან წელიწადში ორჯერ ტარდება ადამიანთა ჯგუფების გამოკითხვა (ჯგუფი მოიცავს 60 ათას ოჯახს).

ვიქტიმოლოგიურმა ორგანიზაციებმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა დანაშაულობაზე ზემოქმედების პრაქტიკის თვალსაზრისით. ვიქტიმოლოგთა მიერ პრაქტიკაში დანერგილი რეკომენდაციების ნუსხა საკმაოდ დიდია. ერთ-ერთი მთავარი ვიქტიმოლოგიური იდეა, რომელმაც საკმაოდ მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა დანაშაულთა თავიდან აცილების პროცესზე, იყო საზოგადოებრიობის ძალთა გაერთიანების აუცილებლობა. ბევრ ქვეყანაში გაჩნდა მიკრორაიონების, დაბებისა და დასახლებების მცხოვრებთა, ასევე მშობელთა, უფროს ძმათა და ა. შ., ასოციაციები. მათ მიერ

¹ იხ. **Bussel D.** The politics of Rape: The victim's Perspective N. Y., 1975.

² იხ. **Ennis P.** Criminal victimization, 1967.

განხორციელებულ სამოქალაქო პატრულირებას, აღმზრდელობით და პროპაგანდისტულ კამპანიებს, შედეგად მოჰყვა დანაშაულობის შემცირება, კერძოდ, დანაშაულის სამომავლო მსხვერპლთა გადარჩენა. ასოციაციების ეფექტურად მუშაობის ფონზე მრავალ ქვეყანაში საზოგადოებრივი ფსიქოლოგიის ელემენტი გახდა უცხო სახლების კარებთან მიახლოების არ სურვილი, რამეთუ, უცხო პირის მიახლოება სხვის საცხოვრებელ სახლთან საფუძველი იყო იმისა, რომ გამოეძახებინათ პოლიცია და დაეკავებინათ უცხო პირები.

სახელმწიფომ ყოველმხრივ უნდა შეუწყოს ხელი მოსახლეობას დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლის გასახორციელებლად. ყოველგვარი ინიციატივა და მოწინავე გამოცდილება უნდა გაავრცელოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით. საზოგადოებრიობის საქმიანობის უზრუნველყოფაში მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს ასევე საყოველთაო ტელეფონიზაციამ და პოლიციის შესაბამისმა მითითებებმა, რომლის მიზანიც იმაში უნდა გამოიხატოს, რომ ყურადღებისა და შესაბამისი რეაგირების გარეშე არ დარჩეს არც ერთი სიგნალი დანაშაულის შესახებ.

საზღვარგარეთის ზოგიერთ ქვეყნებში ვიქტიმოლოგებს აქტიურად უწყობდენ ხელს არქიტექტორები (გაჩნდა ეგრეთ წოდებული არქიტექტორული კრიმინოლოგიური თეორიები ანუ სივრცის თეორიები). ქალაქის, რაიონებისა და დაბების პროექტირებისას არქიტექტორები ცდილობდნენ მინიმუმამდე დაიყვანონ დახურული, ვიქტიმოგენური ადგილები, რაც მნიშვნელოვნად გაამწივებდა მოქალაქეებზე თავდასხმას. დაბებში სახლები ისე იქნა განლაგებული, რომ შესასვლელებსა და ფანჯრებს კარგად ხედავდნენ მეზობლები.

ვიქტიმოლოგთა ინიციატივით ბევრ ქვეყანაში მიღებული იქნა კანონები დანაშაულისგან დაზარალებულთათვის სახელმწიფოს მიერ მატერიალური ზიანის ანაზღაურების შესახებ (იმის და მიუხედავად, დაკავებულ იქნა დამნაშავე თუ არა).

მეტწილ ქვეყნებში, სადაც აკრძალულია იარაღის შენახვა და ტარება, კანონმდებლის მიერ დაშვებულია გაზის პისტოლეტების, აეროზოლის ბალონების, ელექტრომაშოკირებელი და შუქის პისტოლეტების ტარება და გამოყენება; მათ გამოყენებას შეუძლია დროებით მწყობრიდან გამოიყვანოს თავდამსხმელი და შესაძლებლობას აძლევს მსხვერპლს მიიღოს თავდაცვის ზომები.

ლექციებს გამოყენებით ვიქტიმოლოგიაში კითხულობენ პრაქტიკულად ყველა სასწავლო დაწესებულებაში (დაწყებითი სკოლიდან უმაღლეს სასწავლებლამდე). საბავშვო ბაღებშიც კი ბავშვები გადიან პირველად ვიქტიმოლოგიურ ინსტრუქტაჟს, კერძოდ, ერთობ მარტივ დონეზე ბავშვებს აწვდიან მეტად სასარგებლო რეკომენდაციებს, რაც იმაში გამოიხატება, რომ არ ჩაუჯდნენ ავტომობილში უცხო ადამიანებს; არ შევიდნენ უცნობი ადამიანების სახლში; თავი აარიდონ უცხო პიროვნებებთან ერთად ლიფტში შესვლას და ა. შ. სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში მსურველებს შეუძლიათ მოისმინონ ლექციები არა მარტო ვიქტიმოლოგიაში, არამედ გაიარონ სპეციალური ტრენინგი¹: აითვისონ თავდაცვის ილეთები. ავტომატიზმამდე დაამუშაონ ინდივიდუალური თავდაცვის საშუალებების გამოყენების მეთოდები და სხვ.

ზემოაღნიშნულის გააზრების საფუძველზე საჭირო ხდება გავაკეთოთ ისეთი დასკვნა, რომელიც უშუალოდ უკავშირდება დანაშაულის ვიქტიმოლოგიური მექანიზმის ახსნას. სახელდობრ, იმისათვის, რომ ობიექტურად გამოვიკვლიოთ კონკრეტული დანაშაულის ვიქტიმოლოგიური მექანიზმი, საჭიროა შევისწავლოთ არა მხოლოდ დამნაშავე, არამედ მისი მსხვერპლიც. მეტწილი დანაშაული გვიწვევებს მსხვერპლის იმდენად მნიშვნელოვან წვლილს იმაში, რაც მას შეემთხვა, რომ დანაშაული წარმოვიდგება როგორც წყვილის – დამნაშავეისა და მსხვერპლის – მოქმედების შედეგი.

თუ დანაშაული ჩადენილია კონკრეტული ფიზიკური პირის წინააღმდეგ, რომელსაც ადგება მორალური, ფიზიკური და მატერიალური ზიანი, მაშინ ეს პირი ვიქტიმიზირდება (ე. ი. ხდება როგორც მსხვერპლი). ვიქტიმიზაცია არა მხოლოდ პროცესი, არამედ მსხვერპლის ვიქტიმურ პოტენციათა რეალიზაციის შედეგია.

დანაშაულის მსხვერპლი დანაშაულისწინა ანუ წინადანაშაულებრივ სიტუაციაში ჩნდება უკვე როგორც გარკვეული პიროვნული თვისებების მატარებელი, რომელსაც ყოველ ცალკეულ შემთხვევაში, კონკრეტული სიტუაციის გარემოებათა მიხედვით, შეუძლია პოზიტიურად ან ნეგატიურად განსაზღვროს დანაშაულის ვიქტიმოლოგიური ქცევის მიმართულება. მაშასადამე, ვიქტიმიზა-

¹ ტრენინგი – ინგლისური სიტყვაა და წვრთნას, წვრთნის რეჟიმს ნიშნავს.

ცია უნდა განვიხილოთ არა მხოლოდ სიტუაციის წარმოქმნის, რომელიც უშუალოდ წინ უძღვის დანაშაულს, არამედ თვისებათა ჩამოყალიბებისა და გამოვლინების მოქმეტიდან, რომლებიც შეადგენენ ვიქტიმურობის პოტენციას. სხვანაირად რომ ვთქვათ, გარკვეული პოტენციური ვიქტიმურობის მქონე მსხვერპლის „გაჩენა“ შეიძლება მნიშვნელოვნად მოშორებული იყოს ვიქტიმიზაციის ბოლო ეტაპისაგან, კეროდ, დანაშაულისაგან. სწორედ ეს პროცესი შეადგენს ვიქტიმოლოგიური სიტუაციის შინაარსს.

დანაშაულის მექანიზმის ვიქტიმოლოგიური შემადგენელები ანუ ატრიბუტები საკმაოდ რთული და მრავალგვარია. დანაშაულის მექანიზმში დამნაშავისა და მსხვერპლის როლი ხშირად ისე უცნაურადაა ერთიმეორეში გადახლართული, რომ საერთოდ გვიხდება იმ ფაქტის კონსტატირება, რომ მათ შორის თვით სხვაობა მეტად პირობითია, რამეთუ მხოლოდ შემთხვევა წყვეტს თუ ვინ გახდება დამნაშავე და ვინ მსხვერპლი. ამასთან ამ როლებს შეუძლიათ ურთიერთშეცვლა და შეთავსება ერთ პიროვნებაში. მაგალითად, ისეთ სიტუაციებში, რომლებიც დაკავშირებულია ჩხუბთან, თავდასხმასთან და ა. შ., რა დროსაც მხარეები ერთმანეთს აყენებენ ზიანს, ძნელი შესამჩნევი ხდება ესა თუ ის ნიუანსი. ეს განპირობებულია იმით, რომ ამ დროს ადგილი აქვს როლების სწრაფ ინვერსიას (მონაცვლეობას).

მთლიანად კი მსხვერპლის როლი კრიმინოლოგიურ მექანიზმში შეიძლება იყოს სხვადასხვაგვარი, სახელდობრ, დანაშაულის ჩადენაზე სრულიად ნეიტრალურიდან მაქსიმალურად მაპროვოცირებლამდე.

მსხვერპლის ქცევა შეიძლება დაკავშირებული იყოს ხელმოყოფის (ზიანის მიმყენებლის) ძალმომრეობით მოქმედებასთან. ეს უკანასკნელი კი არის მაპროვოცირებელი ბიძგური ქცევა, რომელიც გარკვეულ გარემოებებში წარმოადგენს დამნაშავის ქცევისათვის გადამწყვეტ ელემენტს.

მსხვერპლის ნეგატიური როლი დანაშაულის მექანიზმში შეიძლება რეალიზებული იყოს მსხვერპლსა და ზიანის მიმყენებელს შორის რაიმე კონფლიქტის გარეშეც. ეს ისეთი შემთხვევაა, როცა ზიანის მიმყენებელი მოქმედებს მსხვერპლის დაჟინებული თხოვნითა და დავალებით და რომლისთვისაც ეს ზიანი სხვადასხვა გარემოებებიდან გამომდინარე სასარგებლოა და აუცილებელი. ჩვენ

ვხედებით ასეთ თავისებურ თანამშრომლობას დანაშაულის ჩადენის პროცესში, მაგალითად, სიბრალოლის მოტივით მკვლელობის, უკანონო აბორტის, ასოთდამშავებლობისა და სხვ., სიტუაციებში არც თუ დიდი ხნის წინ (1971 წ.) სასამართლო პრაქტიკაში აღინიშნა ისეთი შემთხვევა, როცა მსხვერპლმა დაიქირავა ორი პირი, რომლებმაც შეუკვეთა საკუთარი მკვლელობა, რაც შესრულებულ იქნა¹.

მსხვერპლისთვის ზიანის მიყენება შესაძლებელია წინდაუხედავი მოქმედების, სიტუაციის არასწორი შეფასებისა და აქედან გამომდინარე არასწორი (არამართლზომიერი) ქცევის საფუძველზე. სიტუაციებს, რომლებშიც მსხვერპლის ქცევა ქმნის დანაშაულის ჩადენის ობიექტურ შესაძლებლობას, უნდა მივაკუთვნოთ აგრეთვე წინააღმდეგობის გაუწევლობის შემთხვევები, აუცილებელი რეაქციის არქონა დანაშაულებრივ და სხვა ნეგატიურ მოქმედებებზე, ყველაფრის პატიება, რასაც ადგილი აქვს ახლო ნათესავების ურთიერთობებში. მსხვერპლის როლი დანაშაულის შექმნაში შეიძლება მდგომარეობდეს ზიანის თვითმიყენებაში (მაგალითად, თვითმკვლელობამდე მიყვანის სიტუაციაში).

ვიქტიმოლოგიური მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს მსხვერპლის დადებით ქცევას. ის შეიძლება გამოიხატოს ვინმეს დაცვაში, სამსახურებრივი ან საზოგადოებრივ მოვალეობათა შესრულებაში და ა. შ. ცხადია, მსხვერპლს, რომ არ ემოქმედა გარკვეული სახით, ის არ გამოიწვევდა დანაშაულის საპასუხო ძალმომრეობით რეაქციას.

მსხვერპლთა ქცევითი რეაქციების მთელი სხვადასხვაგვარობის მიუხედავად, შესაძლებელია გამოვყოთ მათში რაღაც ტიპობრივი და განმეორებადი ნიშნები და მოვახდინოთ სიტუაციათა კლასიფიცირება, რომლებშიაც მსხვერპლნი გამოვლენ როგორც მნიშვნელოვანი კრიმინოლოგიური თვისების მატარებლებად. სიტუაციათა ვიქტიმოლოგიური კლასიფიკაციის საფუძველად, უწინარეს ყოვლისა, უნდა მივიჩნიოთ კონფლიქტურობის ხარისხი, რომელიც განისაზღვრება მსხვერპლისთვის ტიპობრივი ქცევის „სიმწვავეთ“. სხვანაირად რომ ვთქვათ, როდესაც სიტუაციების კლასიფიცირებას ვაწარმოებთ, ჩვენ გამოვდივართ უწინარეს ყოვლისა მსხვერპლის

¹ Франк Л. В. Виктимология и виктимность. Душанбе, 1972, с. 92.

ქცევის ინტეგრალურ¹ (მთლიან, განუყოფელ) ფორმათა კლასიფიკაციიდან.

მსხვერპლის ქცევის მიხედვით სიტუაციები უნდა დაიყოს შემდეგ სახეობებად:

1) ბიძგური ხასიათის სიტუაციები მსხვერპლის ნეგატიური ქცევით, რომლებიც ობიექტურად პროვოცირებენ, უბიძგებენ დამნაშავეს დანაშაულის ჩასადენად. რეალიზაციის შემთხვევაში ისინი გამოდიან დანაშაულის ჩადენის საბაბის სახით. ამ სიტუაციებში მსხვერპლის ქცევა გამოიხატება: თავდასხმაში, შეურაცხყოფაში, წყენინებაში, დამცირებაში, პროვოკაციაში, წაქეზებაში, თხოვნაში, მუქარასა და ა.შ.

2) ბიძგური ხასიათის სიტუაცია მსხვერპლის დადებითი ქცევით. ის არ პროვოცირებს დანაშაულის ჩადენას, მაგრამ დაკავშირებულია მსხვერპლზე დამნაშავეს ძალმომრეობით მოქმედებების შერჩებასა და აღკვეთასთან, რა დროსაც იგი ზიანდება (მაგალითად, პოლიციის მუშაკის მოქმედება, რომელიც დაზარალდა მესამე პირის დაცვის დროს).

3) სიტუაციები, რომლებშიც მსხვერპლის ქცევა ქმნის დანაშაულის ჩადენის ობიექტურ შესაძლებლობას, თუმცა არა აქვს ბიძგითი ხასიათი. ასეთ სიტუაციებს უნდა მივაკუთვნოთ, მაგალითად, მსხვერპლის ისეთი მოქმედებები, რომლებმაც შექმნა ავარიული ვითარება ტრანსპორტზე; ყოვლისშემწყნარებლობა, რაც საშუალებას აძლევს დამნაშავეს გააგრძელოს დანაშაულებრივი საქმიანობა; გულუბრყვილო მიმდობლობა ამა თუ იმ პირზე, ურომლისოდაც შეუძლებელი იქნებოდა თაღლითობის ჩადენა, ხოლო უფრო შორეულ პერსპექტივაში – სიტუაციათა წარმოქმნა, რომელიც აყალიბებს მსხვერპლის ნეგატიურ განწყობას ზიანის მიმყენებლებზე.

4) ჩაკეტილი სიტუაციები, რომლებშიც მსხვერპლის მოქმედებები მიმართულია საკუთარი თავისთვის ზიანის მიყენებისკენ, სხვა პირთა უშუალო ჩარევის გარეშე (მაგალითად, საკუთარი თავისთვის დასახინრების მიყენება სამხედრო სამსახურისათვის

¹ ინტეგრალი – ესაა მთელი სიდიდე, რომელსაც განიხილავენ როგორც თავის უსასრულოდ მცირე ნაწილების ჯამს.

თავის არიდების მიზნით, საკუთარი ქონების განადგურება დაზღვევის მისაღებად და ა. შ.).

5) სიტუაციები, რომლებშიც მსხვერპლის ქცევა სრულად ნეიტრალურია დამნაშავეის ქცევის, გავლენისა და ზიანის მიყენების თვალსაზრისით.

მაშასადამე, გვაქვს საფუძველი გამოვყოთ მსხვერპლის ქცევის შემდეგი სახეობები: 1) ნეგატიური, ე. ი. დანაშაულის ასე თუ ისე მაპროვოცირებელი ან ისეთი, რომელიც ქმნის მისთვის ობიექტურად ხელშემწყობ სიტუაციას; 2) დადებითი, რომელიც გამოიხატება დამნაშავეისთვის წინააღმდეგობის გაწევაში, საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულებაში და სხვ; 3) ნეიტრალური, რომელიც არანაირად არ უწყობდა ხელს დანაშაულის ჩადენას. ასე მაგალითად, განზრახ მკვლელობებში მსხვერპლის ნეგატიური ვიქტიმური ქცევა შეადგენს 70%, სხულის შიძმე დაზიანებებში - 61,8%, გაუპატიურებებში - 52,3%, ვენერიული სენის შეყრის შემთხვევებში - 86,7%, ხოლო უკანონო აბორტებში იგი 100%-მდეა.

ნეგატიური ვიქტიმური ქცევა დამახასიათებელია თაღლითობათა მსხვერპლის 74%-სთვის, რაც ჩადენილია ტრადიციული ხერხებით. ამათთან ერთად გაჩნდა ყოველგვარი „პირამიდების“, ფონდებისა და ა. შ., ასი ათასობით გულუბრყვილო მსხვერპლი, მაგრამ ესენი მსხვერპლია არა მხოლოდ თაღლითებისა, არამედ ცხოვრების პირობებისაც, რომლებმაც გადააჩვია ადამიანები სიტუაციის კრიტიკულად შეფასებას.

ვიქტიმური ქცევის კრიმინოლოგიური თავისებურებანი, საკმაოდ დამახასიათებელია რა დანაშაულთა მრავალი მსხვერპლისათვის, ყოველივე ეს მათი გარკვეული კლასიფიკაციის შესაძლებლობას იძლევა. ასე მაგალითად, დანაშაულთა მსხვერპლის კლასიფიკაციის საფუძველი შეიძლება იყოს სქესი, ასაკი, პროფესიული კუთვნილება, პიროვნების ზნეობრივ-ფსიქოლოგიური თავისებურებები (რაც პიროვნულ-ვიქტიმოლოგიური ტიპოლოგიის შედგენის საშუალებას იძლევა) და სხვ.

კლასიფიკაცია სქესის მიხედვით მნიშვნელოვანია არ მხოლოდ იმიტომ, რომ ზოგიერთ დანაშაულთა მსხვერპლი შეიძლება იყოს მხოლოდ ქალები ან მამაკაცები, არამედ გარკვეული ელემენტებისა და ქცევის ხასიათის ძალითაც, რაც ტიპურია იმ სიტუაციისათვის რომელშიაც ხდება ზიანის მიყენება.

კლასიფიკაცია ასაკის მიხედვით საჭიროა იმიტომ, რომ არასრულწლოვანთა და ხანდაზმულთა მომატებული ვიქტიმურობა მოითხოვს ვიქტიმოლოგიური პროფილაქტიკის სპეციალურ ღონისძიებათა შემუშავებას.

თანამდებობრივმა მდგომარეობამ და პროფესიულმა საქმიანობამ ასევე შეუძლია განაპირობოს მომეტებული ვიქტიმურობა, ამასთან კლასიფიკაციის ეს საფუძველი სულ უფრო აქტუალური ხდება. საკმარისია ვთქვათ, რომ ბოლო წლებში ტრადიციულად მიჩნეულ მომეტებულ ვიქტიმურობის მქონე პროფესიებს მიემატა, მაგალითად, ისეთი როგორიცაა ბიზნესი.

ვფიქრობთ აზრი აქვს მსხვერპლთა კლასიფიკაციას ზიანის მიმყენებლისადმი მათი დამოკიდებულებისა და უწინარეს ყოვლისა, ზნეობრივ-ფსიქოლოგიურ თავისებურებათა ნიშნების მიხედვით. ამ ნიშანთა სპექტრი საკმაოდ ფართოა და მოიცავს ისეთ გამოვლინებებს, როგორიცაა: სქესობრივი გარყვნილება; ალკოჰოლისა და ნარკოტიკულ საშუალებათა გამოყენებისადმი მიდრეკილება; სიზარბე და დესპოტიზმი; აგრესიულობა და სისასტიკე; უხეშობა და სიმხდალე; სიამაყე და სიკეთე; წინდახედულობა და არაკრიტიკულობა; ეჭვიანობა და პასიურობა; გონიერულობა და ზრდილობა; გულადობა და მშიშრობა; ფიზიკური ძალა და სისუსტე და ა. შ. ცხადია, ყველა ზემოაღნიშნული სახის ნიშნები ვლინდება ადამიანის ქცევაში და მათ გარკვეულ ვითარებაში შეუძლიათ ხელი შეუწყონ ან ხელი შეუშალონ დანაშაულის ჩადენას. მსხვერპლთა კლასიფიკაცია ზნეობრივ-ფსიქოლოგიური ნიშან-თვისებების მიხედვით საჭიროა, პირველ რიგში, დანაშაულთა კატეგორიების დახასიათებისთვის, რომლებშიაც მსხვერპლთა პიროვნების აღნიშნული ნიშან-თვისებები შეადგენენ დანაშაულის ჩადენის ხერხის შერჩევის საფუძველს ან გამოდიან დანაშაულის ჩადენის საბაბის როლში.

მსხვერპლთა პიროვნული თვისებები აქტუალიზებულია გარკვეული სიტუაციური ფაქტორებით, რაც მათი შესაბამისი კლასიფიკაციის საფუძველს იძლევა. მსხვერპლთა სახეებში შეიძლება გამოვყოთ:

1. აგრესიული მსხვერპლი, რომლის ქცევა დაკავშირებულია თავდასხმასთან ზიანის მიმყენებელზე ან სხვა პირებზე ან იმავე ხასიათის მოქმედებებთან (შურაცხყოფასთან, ცილისწამებასთან, აბურად აგდებასა და სხვ.). ამ ტიპის მსხვერპლთათვის დამახ-

ასიათებელია კონფლიქტური სიტუაციის განზრახ შექმნა (ქივი შეიძლება იყოს დანაშაულებრივი), ადმინისტრაციულად დასჯადი ან მხოლოდ ამორალური).

2. აქტიური მსხვერპლი. ეს ისეთი მსხვერპლია, რომლის ქცევა, არ არის რა დაკავშირებული თავდასხმასთან ან ბიძგთან კონფლიქტური კონტაქტის ფორმით, თუმცა ამისდა მიუხედავად აქტიურად უწყობს ხელს საბოლოო ანგარიშით ზიანის მიყენებას (მიმართავენ თხოვნით ზიანის მიყენების ან ისეთ მოქმედებათა ჩადენის შესახებ, რომლებიც ობიექტურად იწვევენ ზიანის მიყენებას ან სხვაგვარად იწვევენ ასეთი ხასიათის მოქმედებებს, ან თვითონვე აყენებენ ზიანს საკუთარ თავს).

3. ინიციატივიანი მსხვერპლი, ეს ისეთი მსხვერპლია, რომლის ქცევა დადებითი ხასიათისაა, მაგრამ მაინც იწვევს ზიანის მიყენებას.

4. პასიური მსხვერპლი. ეს ისეთი მსხვერპლია, რომელიც არ უწევს წინააღმდეგობას დანაშაულს ობიექტური და სუბიექტური მიზეზების გამო.

5. არაკრიტიკული მსხვერპლი. ეს ისეთი მსხვერპლია რომლისთვისაც დამანასიათებელია წინდაუხედაობა, სასიცოცხლო სიტუაციის სწორი შეფასების უუნარობა და სხვ.

6. ნეიტრალური მსხვერპლი, ეს ისეთი მსხვერპლია, რომელიც არანაირად არ უწყობდა ხელს მის წინააღმდეგ დანაშაულის ჩადენას.

მსხვერპლთა ეს კლასიფიკაცია საჭიროა არა მხოლოდ მათ შესასწავლად, არამედ უმეტესად გამაფრთხილებელი მუშაობის სპეციალური მიმართულების ვიქტიმოლოგიური პროფილაქტიკის ორგანიზაციისათვის. რაც შეეხება თვით ვიქტიმოლოგიურ პროფილაქტიკას, მისი თავისებურებები შემდეგში ვლინდება:

1. მას გააჩნია საკუთარი დამოუკიდებელი პოზიტიური ზემოქმედების ობიექტი. ესაა დანაშაულის რეალური და პოტენციური მსხვერპლი.

2. მას აქვს ვიქტიმოლოგიური პროფილაქტიკის ინფორმაციული უზრუნველყოფა; რაც, მისთვის საჭირო საერთო ინფორმაციის წაყროს მიღება-სარგებლიანობასთან ერთად, დაკავშირებულია მისი ობიექტების გამოვლენის სპეციალური სქემების გამოყენებას-

თან (კერძოდ, იგულისხმება მსხვერპლთა და ვიქტიმოსაში სიტუაციათა კლასიფიკაციის ამსახველი სქემების გამოყენება).

3. ვიქტიმოლოგიური პროფილაქტიკა სათანადო მეთოდების გამოყენებისა და რწმენის საფუძველზე ხორციელდება.

4. საერთო და ინდივიდუალური ვიქტიმოლოგიური პროფილაქტიკის განხორციელებაში მოსახლეობის ფართო მასები მონაწილეობს.

5. ვიქტიმოლოგიური პროფილაქტიკა ხორციელდება საშიშ სიტუაციათა ნეიტრალიზაციის გზით, რომლებშიაც ჯერ არ წარმოჩენილან ზიანის შესაძლო მიმყენებლები. მაგრამ თუ ასეთ სიტუაციებს დავტოვებთ უყურადღებოდ, ისინი აუცილებლად წარმოშობენ ზიანის მიმყენებლებს.

ვიქტიმოლოგიური პროფილაქტიკის ამოცანაა ვერტწოდებული „ინვერსიულ დანაშაულთა“ აღდგენა, რომლებშიც ხდება როლების გადასმა, შეცვლა, (ჩანაცვლება) „დაშნაშვე — მსხვერპლის“ პოტენციურ მსხვერპლზე ზემოქმედების გზით.

დანაშაულთა ვიქტიმოლოგიურ პროფილაქტიკას გააჩნია ორგანიზაციული თავისებურებები, რაც დაკავშირებულია სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა სპეციალურ მომზადებასთან, ვიქტიმოლოგიურად სუსტი ობიექტების აღრიცხვასთან, შინაგან საქმეთა ორგანოების სპეციალურ ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური სამსახურის ორგანიზაციასთან და სხვ.

ვიქტიმოლოგიურ პროფილაქტიკაში, ისევე როგორც საერთოდ მთელ სპეციალურ კრიმინოლოგიურ პროფილაქტიკაში, უნდა გამოვეყნოთ გამაფრთხილებელ ღონისძიებათა ორი მიმართულება, რომელთა ობიექტია: ა) ვიქტიმოლოგიური სიტუაციები (მის ყველა ეტაპზე — მომატებული ვიქტიმური თვისებების მქონე პიროვნების ჩამოყალიბებიდან ვიქტიმოგენურ წინაკრიმინალურამდე); ბ) უშუალოდ პოტენციური და რეალური მსხვერპლი როგორც ინდივიდუალურ (ინდივიდუალური ვიქტიმოლოგიური პროფილაქტიკა), ასევე ჯგუფურ დონეზე (საერთო ან ინდივიდუალურ-ჯგუფური ვიქტიმოლოგიური პროფილაქტიკა).

პირველი მიმართულების რეალიზაციის დროს სათანადო ყურადღება უნდა დაეთმოს ღონისძიებებს, რომლებიც მიმართულია ვიქტიმურად საშიშ სიტუაციათა აღმოფხვრისაკენ (აქ იგულისხმება პატრულირების, დაცვითი დანიშნულების ტექნიკური მოწყო-

ბილობების, საგზაო მოძრაობის წესების სრულყოფა — გაუმჯობესება, მოსახლეობის მობილიზაცია პიროვნული და კოლექტიური უსაფრთხოების ამოცანათა გადაწყვეტისათვის და ა. შ.).

მეორე მიმართულების რეალიზაციის შემთხვევაში უნდა განხორციელდეს აღმზრდელიობითი ზემოქმედების ღონისძიებები. სახელდობრ, პროფესიული სწავლება, სამართლებრივი პროპაგანდა, პოტენციურ მსხვერპლთა პიროვნული აქტივიზაცია, მოსახლეობის უზრუნველყოფა სპეციალური საშუალებებით და ა. შ. ამასთან ერთად უგულვებელყოფილი არ უნდა იყოს გამაფრთხილებელი სამედიცინო ხასიათის ღონისძიებები, რამეთუ პოტენციურ მსხვერპლთა შორის გარკვეულ ნაწილს შეადგენენ პირები ფსიქიკური გადაზრებით.

ვიქტიმოლოგიურ რეკომენდაციებთან დაკავშირებით უნდა შევნიშნოთ, რომ ვიქტიმოლოგთა გამოკვლევებში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი რეკომენდაციებს ექსტრემალურ სიტუაციაში ოპტიმალურ ქცევათა გამომქლავების რაკურსით. ყველაზე უფრო გავრცელებულ რეკომენდაციათა რიცხვს მიეკუთვნება შემდეგი:

— თავი აარიდონ იმ ადგილებში გამოჩენას, სადაც ხალხის ნაკლებობაა და საერთოდ არ გამოჩნდნენ ქუჩაში გვიან ღამით;

— საშიშ სიტუაციაში ქალები უფრო მეტად უნდა ენდონ საკუთარ ინტუიციას და თუ დაინახეს საეჭვო მამაკაცი, საჭირო არაა გაქცევა და ნაბიჯების თანდათანობით აჩქარება, პირიქით, საჭიროა ფსიქოლოგიურად განაწყონ საკუთარი თავი გაბედული მოქმედებისთვის. შინაგანი გაბედულება და თავისი თავის მტკიცე რწმენა მჟღავნდება გარეგნობაში, სიარულში. ზოგჯერ ეს გარეგნული ნიშნები საკმარისია იმისთვის, რომ ღამნაშავემ მიიღოს გადაწყვეტილება, რომ თავდასხმისთვის შეარჩიოს სხვა ობიექტი;

— ადამიანები გაბედულად უნდა მოიქცნენ თავდასხმის მომენტშიც. საქმე იმაშია, რომ უმეტეს შემთხვევაში წინააღმდეგობა საგონებელში აგდებს თავდამსხმელებს, რომლებიც მიჩვეული არიან შეშინებულ მსხვერპლთა ხილვას. ხმამაღალი ყვირილი, თავდამსხმელზე გაწევა, დარტყმების მიყენება, დაკაწვრა, დაკბენა და ა. შ., მსხვერპლს მეტ შანსს აძლევს გამოვიდეს შექმნილი სიტუაციიდან უმცირესი დანაკარგით. ხელჩართული ბრძოლის იდე-

თების, იარაღის ან თავდაცვის სხვა საშუალებების გამოყენება ასევე მიზანშეწონილია ასეთ მომენტში;

— არასასურველია თავდაცვის საშუალებების გამოყენება (გაზის ბალონი, პისტოლეტი), თუ პირი (მსხვერპლი) დარწმუნებული არაა მათ ვარგისიანობასა და ეფექტურობაში (ნებისმიერი დაცვითი საშუალებების გამოყენება მოითხოვს სისტემატურ ვარჯიშს და მათი ხარისხის რეგულარულ შემოწმებას). მათი გამოყენების ფუჭი ცდა მნიშვნელოვნად ზრდის თავდასხმელთა აგრესიულობას;

— იარაღისა და თავდაცვის სხვა საშუალებების გამოყენების წინ დამნაშავეებზე შეიძლება შეთავაზებულ იქნას ფული, ხელჩანთა, საფულე და ა. შ., რაც მათ ყურადღების გადატანას იწვევს აღნიშნულ საგნებზე და რაც, თავის მხრივ, კარგ საშუალებას აძლევს მსხვერპლს გამოიყენოს მოულოდნელობის ეფექტი კონტრიერიშისათვის;

— თავდაცვის ერთ-ერთ მისაღებ (მაგრამ ძნელად მისაღწევ) საშუალებას წარმოადგენს თავდასხმელებთან ემოციური კონტაქტის დამყარების ცდა. ემოციური კონტაქტის დამყარების საშუალებათა რიცხვს შეიძლება მივაკუთვნოთ მათი გულის აჩუყების ცდა ავადმყოფი ნათესავების, ბავშვების, საკუთარი მძიმე ავადმყოფობის (მათ შორის ვენერიული) მოხსენიებითა და ა. შ.

— თუ თავდასხმის აღკვეთა ვერ მოხერხდა, მაშინ უნდა შესრულდეს თავდასხმელთა ყველა მოთხოვნა და ამასთან უნდა მოხდეს მათი გარეგნობის დამახსოვრება (სახის ნაკეთების, ტანის, ტანსაცმლის და სხვათა) განსაკუთრებული ნიშნების მიხედვით).

ვიქტიმოლოგთა რეკომენდაციები დაეხმარა მრავალ მოქალაქეს უკეთ დაეცვათ თავი შესაძლო კრიმინალური ხელყოფისაგან. ვიქტიმოლოგების მიერ დამუშავებულ ღონისძიებათა დანერგვა პრაქტიკაში საშუალებას იძლევა მივიღოთ დანაშაულობაზე ზემოქმედების მეტად საგრძნობი დადებითი ეფექტი.

80-იანი წლების დამლევს ევროპის რიგ ქვეყნებში განიხილებოდა საკითხი რათა დაზარალებულისათვის, დამნაშავესთან შერიგების შემთხვევაში, მიეცათ სასამართლო დევნის შეწყვეტის უფლება (მოუხედავად დანაშაულის სიმძიმისა). მაგრამ ეს არ იქნა რეალიზებული. საქმე იმაშია, რომ ანალოგიურმა ექსპერიმენტებმა, რომლებიც ჩატარდა აშშ-სა და კანადაში არ გამოი-

ლო დადებითი შედეგები. კერძოდ, ერთი დანაშაულის ჩადენის შემდეგ დანაშაულებები ხელახლა ემუქრებოდნენ თავიანთ მსხვერპლს და მოითხოვდნენ მათი მხრიდან შერიგებასა და სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტას.

ვიქტიმოლოგებმა შეიმუშავეს პასიური და აქტიური დაცვის კონცეფციები. პასიურ დაცვას მიაკუთვნეს ჯავშნიანი ავტომობილების გამოყენება; ციხე-სიმაგრის მსგავსი სახლების აშენება; მცველების დაქირავება, რომლებიც წარმოადგენენ ცოცხალ ფარს; ჯავშანილეუტები და სხვ. აქტიური დაცვა გაგებული იყო როგორც თავდაცვა და სხვა ადამიანების მიერ განხორციელებული დაცვა (თავდასხმის აღკვეთა). ვიქტიმოლოგების რეკომენდაციით ცხოვრება ნაკლებად პროვოზირებადი უნდა გახადო, რაც გააძნელებს თავდასხმის მომზადებას.

გერმანელი ვიქტიმოლოგების გამოკვლევებმა აჩვენა, რომ ჩხუბისა და ცემის მსხვერპლი უპირატესად მამაკაცები არიან (მათი წილი შეადგენს 62%-დან 70%-მდე). საწინააღმდეგო სურათია ყაჩაღობის, ძარცვის, ან ძარცვის მცდელობის ჩადენის შემთხვევებში. აქ მსხვერპლად გახდომის ალბათობა მეტი აქვთ ქალებს. დაზარალებულთა ყველაზე დიდი წილი მოდის 21 წლიდან 30 წლამდე ასაკის პირებზე. საინტერესოა, რომ სწორედ ამ ასაკის პირებს ნაკლებად აქვთ შიში იმისა, რომ დანაშაულისაგან დაზარალებიან. 21 წელზე ნაკლები ასაკის ახალგაზრდებსა და 40 წელს გადაცილებულ პირთა შორის ვიქტიმიზაციის წილი შედარებით მცირეა. დანაშაულთა სახეობის მიხედვით სახეს იცვლის ყველაზე უფრო სწორად მიჩნეული ვიქტიმური ასაკიც. ასე მაგალითად, გატეხვით ქურდობის ჩადენისას მსხვერპლად გახდომის ალბათობა უფრო დიდია იმ პირთა შორის, რომელთა ასაკია 60 წელი და მეტი. 21 წლიდან 30 წლამდე ასაკის პირები ყველაზე უფრო ხშირად მსხვერპლი ხდებიან სექსუალური იძულების, თავდასხმისა და მუქარის¹.

ვიქტიმოლოგიური პროფილაქტიკის სახელმწიფო მხარდაჭერა გამოიხატა, ერთი მხრივ, მოქალაქეებისათვის სპეციალური ინფორმაციის მოწოდებაში; მეორე მხრივ, მოქალაქეების დანაშაულობისა-

¹ იხ. Кури Х. Исследование проблем виктимизации в Германии (Криминологические исследования в мире). М., 1995, с. 121-124.

გან დამატებითი დაცვის უზრუნველყოფის სპეციალური პროგრამების დაფინანსებაში. მეტად ეფექტური იყო ევროპის ქვეყნებში სატარებული პროპაგანდისტული კამპანია „საიმედო კარები“, რომელშიაც მონაწილეობდა როგორც სახელმწიფო სტრუქტურები, ასევე საზოგადოებრივი ორგანიზაციები.

ამერიკელ მეცნიერთა ვიქტიმოლოგიური გამოკვლევები შეიცავს სხვადასხვა სახის რეკომენდაციებს. ასე მაგალითად, იმ მოქალაქეებს, რომლებიც ჩავიდნენ უცხო ქალაქში მოუწოდებენ შემდეგს: „თუ თქვენ აპირებთ გამოხვიდეთ ოტელიდან (სასტუმროდან) საღამოთი, უკეთესია გამოიძახოთ ტაქსი. უცხო ქალაქში მგზავრობისას არ უნდა ჩაიკვათ მკვეთრად თვალისმომჭრელი ტანსაცმელი, რომელიც მიიპყრობს დამნაშავეთა ყურადღებას. ქალებმა ძვირფასი ნივთები უნდა ატარონ არა ჩანთით, არამედ კაბის ჯიბეებით (შესაბამისად სასურველია კაბას ჰქონდეს ჯიბეები). მამაკაცებმა ისეთი ჰალსტუხი, საათი და ბრასლეტი (სამაჯური) უნდა გაიკეთონ, რომლისგანაც ადვილია განთავისუფლება, თუ დამნაშავე უცრად სწვდა მათ წასართმევად.

უცხო ქალაქში ფეხით სიარული ყოველთვის მიზანდასახული და მიზანმიმართული უნდა იყოს. არ უნდა ხდებოდეს ქუჩებში გარკვეული მიზნის გარეშე ხეტიალი. ეს ყოველთვის იპყრობს დამნაშავეთა ყურადღებას.

თავდაცვის კარგ იარაღად შეიძლება გამოდგეს პატარა ფანარი, რომელსაც აქვს შუქის ძლიერი სხივი და მაშინვე ჭრის თვალს თავდამსხმელს. ანალოგიურად ამისა შეიძლება პორტატიული (პატარა ზომის, თან სატარებლად მარჯვე, ადვილად გადასატანი) ფოტომნათის გამოყენება.

თუ ადამიანი მთვრალია, მაშინ მნიშვნელოვნად იზრდება დამნაშავეთა თავდასხმის ალბათობა. დამნაშავეთა თავდასხმის ალბათობა მნიშვნელოვნად მცირდება, თუ თქვენ დადიხართ ორნი ან ჯგუფურად¹.

ამერიკელმა ვიქტიმოლოგებმა ყურადღების მიღმა არ დატოვეს სხვადასხვა ქვეყნის ტურისტები და ემიგრანტები და მათთვისაც

¹ იხ. Некоторые рекомендации по мерам личной безопасности гражданам, гражданам пребывающим в незнакомом городе (Борьба с преступностью за рубежом). М., 1993, № 5, с. 21.

შეიმუშავეს ქვევის სპეციალური წესები. კერძოდ, ნიუ-იორკის ტიპის მსხვილ და არამშვიდ ქალაქებში, ისინი მოქალაქეებს აძლევენ ასეთი სახის რეკომენდაციებს:

– არ უნდა ისეირნო საღამოს ნიუ-იორკში;

– არ იმეზავრო რვა საათის შემდეგ მეტროთი, განსაკუთრებით დაშორებულ რაიონებში;

– ერთი ვერსის დაშორებით შემოუარეთ პარლემს (ესაა ზანგების რაიონი ნიუ-იორკში, სადაც კრიმინოგენური მდგომარეობა სავალალო დონეზეა), ხოლო ცენტრალ-პარკს დღე-ღამის ნებისმიერ დროს;

– არ უწოდოთ ზანგს ზანგი (შაკანინისათვის ეს საშინელი შეურაცხყოფაა, უკეთესია იხმართ ტერმინი „აფროამერიკელი“;

– არ ეკამათოთ ქუჩის მძარცველებს, მიეცით პირველი მოთხოვნისთანავე ყველაფერი, რასაც ისინი მოითხოვენ;

– მუდმივად გქონდეთ თან ხუთი დოლარი (ამდენი ღირს ნარკოტიკის პორცია და ბოროტგანმზრახველთა გამოჩენისას მაშინვე შესთავაზეთ ეს თანხა, ფულის უქონლობამ შეიძლება მიგიყვანოთ ტრაგიკულ დასასრულამდე);

– არ გაუსწოროთ თვალი, თუ დაჟინებით გიყურებენ, განსაკუთრებით ზანგები და პუერტორიკანელები.

რეკომენდაციები მთავრდება შემდეგი სიტყვებით: „ამ მოთხოვნათა მხოლოდ ზუსტ შესრულებას შეუძლია მოგცეთ პირადი უსაფრთხოების რაღაც მინიმალური გარანტიები“¹.

ვიქტიმოლოგიური პროფილაქტიკისათვის სასარგებლოდ უნდა მივიჩნიოთ მოქალაქეთა ინფორმირება კონფლიქტის განვითარების საბაბთა შესახებ და აგრეთვე იმ პირთა ნიშანთვისებების შესახებ, რომლებსაც აქვთ მომატებული მიდრეკილება კონფლიქტებისადმი. მაგალითად, ფსიქოლოგებმა დაადგინეს, რომ მეტად ხანგრძლივი მხედველობითი კონტაქტის დროს გარკვეულ პირთან, ადამიანს შეუძლია მოახდინოს მასზე ზედმეტი თავდაჯერებულობის შთაბეჭდილება და ეს შეიძლება გაგებული იყოს როგორც გამომწვევი ქცევა. თუ ადამიანი ძალიან გაბრაზებული და გამძვინვარებულია, მისი თვალისგუგები ვიწროვდება. ამრიგად, ადამიანის თვალის

¹ იხ. Хонштейн А. Путешествие в мертвую зону (Московский комсомолец). 1996, 28 марта.

გუგების უცარი შევიწროება ეს იმის ნიშანია, რომ მის მხრიდან მოსალოდნელია საშიშროება, ამიტომ, ასეთ შემთხვევაში პირი ყოველთვის უნდა იყოს მზად წინააღმდეგობის გასაწევად. თუ ადამიანს თავი ოდნავ წინდაზრილი აქვს და ამასთან ის გიყურებს ეს აგრესიის ნიშანია. როდესაც ადამიანი ეშადება საბრძოლველად, მისი სუნთქვა უფრო ღრმაა.

ვიქტიმოლოგთა რეკომენდაციები მიმართულია პიროვნული და როლური ვიქტიმების შემცირებისკენ. სპეციალისტების რჩევები ხელს უწყობს ვიქტიმოგენურ სიტუაციათა თავიდან აცილებას. საზოგადოების ვიქტიმოლოგიური კულტურის ამაღლება, ვიქტიმოლოგიური აზროვნების განვითარება საშუალებას აძლევს ადამიანს დამოუკიდებლად შეიმუშაოს დამნაშავეებისგან თავის დაცვის საკმაოდ ეფექტური ღონისძიებები. ვიქტიმოლოგიური პროფილაქტიკა შესაძლებლობას იძლევა არ მარტო შემცირდეს დანაშაულთა რიცხვი, არამედ მისი საზოგადოებრივი საშიშროება და დანაშაულობის ნეგატიური შედეგებიც.

საბოლოოდ ვიქტიმოლოგიასთან დაკავშირებით დასკვნის სახით გვინდა შევნიშნოთ შემდეგი: ვიქტიმოლოგია კრიმინოლოგიის ნაწილია და მოიცავს მოძღვრებას დანაშაულის მსხვერპლის შესახებ. იგი წარმოდგარა ლათინური სიტყვისაგან „victima“, რაც ნიშნავს მსხვერპლს. ვიქტიმოლოგია შეისწავლის მსხვერპლის პიროვნებას, ურთიერთობას დამნაშავესა და მსხვერპლს შორის, ასევე დაზარალებულის ქცევასა და მის როლს დანაშაულობისა და დანაშაულის მიზეზების წარმოშობაში. ყოველივე ამის საფუძველზე ვიქტიმოლოგია შეიმუშავებს თეორიებს, რომლებიც პროგნოზირებას უკეთებს დანაშაულის მსხვერპლად გახდომის ალბათობას და მსხვერპლთან მუშაობის მეთოდებს. იგი იძლევა ინფორმაციას პოტენციურ მსხვერპლთა დაცვის მეთოდების შესახებ. რაც შეეხება ვიქტიმურ ქცევას – ესაა დაზარალებულის ქარაფშუტული, უზნეო ან მართლსაწინააღმდეგო ქცევა, რაც დანაშაულის ჩადენის საბაბი ხდება.

დანაშაულობის თავიდან აცილების ცნება



დანაშაულობისადმი როგორც სოციალურ-ნეგატიური მოვლენისადმი მიდგომა გულისხმობს მასთან ბრძოლის შესაბამის სტრატეგიას, რომლის მთავარ მიმართულებას წარმოადგენს ზემოქმედება მის წარმოშობა მიზეზებზე.

იდეა იმის შესახებ, რომ დანაშაულობის თავიდან აცილებას უნდა გააჩნდეს პრიორიტეტი სახელმწიფოს დასჯითი პოლიტიკის საწინააღმდეგოდ, გამოთქმული იყო შორეულ წარსულში, კერძოდ, მე-4 საუკუნეში ჩვენს ერამდე პლატონის მიერ. მაგრამ მისი პრაქტიკული განხორციელება არცთუ დიდი ხანია რაც მოხდა. ამ იდეის სამართლებრივი არგუმენტაცია მოცემულია სისხლის სამართლის კლასიკური სკოლის იურისტთა შრომებში (XVIII ს.), რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს დანაშაულობასთან ბრძოლის ახალ პოლიტიკას. მისი არსი განმტკიცებულია მოკლე ფორმულაში: „ბრძენი კანონმდებელი თავიდან აიცილებს დანაშაულს, რათა არ გახდეს იძულებული მისთვის დასაჯოს ვინმე“.

დანაშაულობის თავიდან აცილების შემდგომი თეორიული დასაბუთება მოცემულია კრიმინოლოგიის ფარგლებში, რომელიც გამოვიდა როგორც სისხლის სამართლის მეცნიერების ალტერნატივა თანამედროვე პირობებში დანაშაულობასთან ბრძოლის ძირითადი მიზნების, ამოცანებისა და ღონისძიებათა შემუშავების თვალსაზრისით. ამჟამად დანაშაულობის თავიდან აცილება – სახელმწიფოსი და საზოგადოების საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა ამ სოციალურ-ნეგატიურ მოვლენასთან ბრძოლაში.

თუ სისხლისსამართლებრივი დასჯა გავლენას ახდენს დანაშაულობაზე დამნაშავის პიროვნებაზე ზემოქმედების მეშვეობით, რაც შეეხება თავიდან აცილების ღონისძიებებს, იგი მიმართულია დანაშაულობის წარმოშობი მიზეზებისა და პირობების აღმოფხვრისა ან ნეიტრალიზაციისკენ. აქედან გამომდინარე თავიდან ასაცილებელი საქმიანობა თავისი შინაარსით, ღონისძიებათა მასშტაბებითა და მასში მონაწილე სუბიექტების რაოდენობით, მნიშვნელოვნად უფრო ფართოა, ვიდრე სისხლისსამართლებრივი დასჯის გამოყენების პრაქტიკა.

„თავიდან აცილების“ ტერმინთან ერთად იყენებენ ისეთებსაც, როგორიცაა: „პროფილაქტიკა“, „აღმოფხვრა“, „აღკვეთა“ და „პრევენცია“. კრიმინოლოგიურ ლიტერატურაში ეს ტერმინები ზოგჯერ განიხილება როგორც დამოუკიდებელი, რომლებიც აზრობრივად განსხვავებულია ერთმანეთისაგან და რომ, მათი მნიშვნელობა დაკავშირებულია განსახილველი საქმიანობის სხვადასხვა დონესთან და სახეობებთან (გ. ავანესოვი, ვ. უსტინოვი). ვფიქრობთ, ამდგვარ გამოყენას პირობითი ხასიათი აქვს, რასაც ადასტურებს ზემოაღნიშნული ტერმინების ეტიმოლოგიური მსგავსება, ამიტომ მათი გამოყენება შეიძლება როგორც ტოლმნიშვნელოვანისა და ურთიერთშემცვლელის.

დანაშაულობის თავიდან აცილების პოლიტიკა უნდა ემყარებოდეს გარკვეულ პრინციპებს. პროფილაქტიკა, რომელიც წარმოადგენს საქმიანობის განსაკუთრებულ სახეობას სოციალური მართვის სფეროში, როგორც წესი, დაკავშირებული არ არის კონკრეტულ პირთათვის თავისუფლების აღკვეთისა და უფლებათა შეზღუდვის მიყენებასთან. ის მიმართულია საზოგადოებრივ ურთიერთობათა სრულყოფისკენ, რომელთა წიაღში ფესვგადგმულია დანაშაულობის მიზეზები. ამ აზრით პროფილაქტიკა („თავიდან აცილება“) პასუხობს ჰუმანიზმისა და რაციონალობის პრინციპებს.

პროფილაქტიკური საქმიანობა შეუძლებელია კრიმინოლოგიური გამოკვლევების გარეშე, რომელთა მეშვეობით შეისწავლება დანაშაულობის მდგომარეობა და ტენდენციები, მიზეზები და პირობები, ასევე დანაშაულობის თვისობრივი მახვენებლები ტერიტორიების მიხედვით და სხვა. ასეთი გამოკვლევების დახმარებით ხდება პროფილაქტიკის ამოცანებისა და ობიექტების, თავიდან აცილების ზემოქმედების ძირითადი მიმართულებებისა და საშუალებების, მათ შესრულებაზე პასუხისმგებელ პირთა წრის განსაზღვრა, პროგნოზირებადი მიზნების მიღწევათა უზრუნველყოფელი მატერიალური რესურსების დაკონკრეტება და სხვა. ამასივე, ე. ი. კრიმინოლოგიურ გამოკვლევებში ვლინდება მეცნიერული დასაბუთების პრინციპებიც.

პროფილაქტიკური საქმიანობის ოპტიმიზაციისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს კანონიერების პრინციპს. დანაშაულობის პროფილაქტიკის სამართლებრივი საფუძვლები უნდა რეკლამირებოდნენ მის ძირითად მიმართულებებსა და ფორმებს, სუბიექტების

კომპეტენციას, საფუძვლებს ინდივიდუალურ-პროფილაქტიკური ზემოქმედების ღონისძიებათა გამოსაყენებლად, აგრეთვე უნდა ითვალისწინებდნენ იმ პირთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის გარანტიებს, რომელთა მიმართ ისინი ხორციელდება.

ამგვარად, დანაშაულობის თავიდან აცილება განიხილება, ჯერ ერთი, როგორც საზოგადოებრივ ურთიერთობათა სოციალური რეგულირების მნიშვნელოვანი საშუალება; მეორე, როგორც სოციალურ-ეკონომიკური, საორგანიზაციო-სამართლებრივი და აღმზრდელობითი ხასიათის ღონისძიებათა ურთიერთმოქმედება; მესამე, როგორც დანაშაულობის თავიდან აცილების სხვადასხვა ღონის შეთავსება, რომლებიც განსახიერებულა არაერთგვაროვანი სუბიექტების საქმიანობაში.

ზემოაღნიშნულზე დაყრდნობით, შეგვიძლია შემდეგი ამოსავალი ცნების ფორმულირება. დანაშაულობის თავიდან აცილება არის სახელმწიფოსა და საზოგადოების საქმიანობა, მიმართული დანაშაულობის წინააღმდეგ მისი სოციალურად მოსათმენ ღონეზე შენარჩუნების მიზნით მისი წარმომშობი მიზეზების აღმოფხვრისა ან ნეიტრალიზაციის მეშვეობით.

დანაშაულობის თავიდან აცილების სისტემასთან დაკავშირებით უნდა შევნიშნოთ, რომ იგი წარმოადგენს სისტემას, რომელიც შეიცავს: პროფილაქტიკის ობიექტებს; მის ძირითად ღონესა და ფორმებს; თავიდან ასაცილებელი ზემოქმედების ღონისძიებებს; ამ საშუალოს განმახორციელებელ სუბიექტებს.

დანაშაულობის თავიდან აცილების ობიექტებს მიეკუთვნება სხვადასხვა სახის პროცესები და მოვლენები. მათ რიცხვს უნდა მივაკუთვნოთ პირველ რიგში, ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური, ფსიქოლოგიური და სხვა ფაქტორები, რომლებიც განაპირობებენ დანაშაულობის მდგომარეობასა და დინამიკას. ზემოაღნიშნული ფაქტორთა კავშირის ხარისხი დანაშაულობასთან შეიძლება იყოს სხვადასხვაგვარი. მისი შესწავლა კრიმინოლოგიური ანალიზის მეშვეობით განსაზღვრავს პროფილაქტიკური საქმიანობის მასშტაბებსა და ეფექტურობას. მეორე, ობიექტთა რიცხვს უნდა მივაკუთვნოთ ადამიანთა საქმიანობა, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს სამართლისა და სოციალური ურთიერთმოქმედების ნორმებს. ამასთან საქმიანობის ხასიათი შეიძლება იყოს სულ სხვადასხვანაირი: პროფესიული, ადმინისტრაციულ-მმართველობითი

თი, ტექნოლოგიური და ა. შ. და შესაბამე პროფილაქტიკური საქმიანობის ობიექტებს შეიძლება მივაკუთვნოთ დანაშაულის ჩამდენი პირი („დამნაშავის პიროვნება“) რაც გავგებულა როგორც მისი კრიმინოგენურად მნიშვნელოვანი თვისებებისა და ფორმირების სოციალური პროცესი.

დანაშაულობის მიზეზებისა და პირობების იერარქიის მიხედვით გამოყოფენ მისი აცდენის სამ ძირითად დონეს: საერთო-სოციალურს, სპეციალურად კრიმინოლოგიურს, ინდივიდუალურს.

საერთო-სოციალური დონე (საერთო პროფილაქტიკა) შეიცავს სახელმწიფოს, საზოგადოების, მათი ინსტიტუტების საქმიანობას, მიმართულს წინააღმდეგობის აღმოფხვრისაკენ ეკონომიკის, სოციალური ცხოვრების, ზნეობრივ-სულიერ სფეროში და ა. შ. მას აზორციელებენ სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოები, ასევე საზოგადოებრივი ფორმირებები, რომლებისტვისაც დანაშაულობის თავიდან აცილების ფუნქცია არ არის მთავარი ან პროფესიული საქმიანობა. პროფილაქტიკური ეფექტი მიიღწევა სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის გატარებით. ამ აზრით შეიძლება ვთქვათ, რომ როგორცაა ეს პოლიტიკა, ისეთივეა დანაშაულობის თავიდან აცილების საერთო-სოციალური მდგომარეობა საზოგადოებაში.

სპეციალურ-კრიმინოლოგიური დონე (კრიმინოლოგიური პროფილაქტიკა) გამოხატულებას პოულობს კრიმინოგენურ ფაქტორებზე მიზანმიმართულ ზემოქმედებაში, რომლებიც დაკავშირებულია დანაშაულებრივი ქცევის ცალკეულ სახეობებთან და ჯგუფებთან (მაგალითად, ძალმომრეობით ან ეკონომიკურ დანაშაულობასთან). დანაშაულებრივი ქცევის სპეციფიკურ მიზეზთა და პირობათა ასეთი კომპლექსების აღმოფხვრა ან ნეიტრალიზაცია ხორციელდება იმ შესაბამისი სუბიექტების საქმიანობის პროცესში, რომლებისტვისაც პროფილაქტიკური ფუნქციის გატარება წარმოადგენს მათ მთავარ ამოცანას.

ინდივიდუალური დონე (ინდივიდუალური პროფილაქტიკა) შეიცავს საქმიანობას კონკრეტულ პირთა მიმართ, რომელთა ქცევა კონფლიქტშია სამართლებრივ ნორმებთან. დამნაშავის პიროვნების გენეზისის სტადიის მიხედვით დანაშაულთა ინდივიდუალური პროფილაქტიკა ოთხი სახეობისაა, კერძოდ: 1) ადრეული პროფილაქტიკა; 2) უშუალო პროფილაქტიკა; 3) პენიტენციალური

პროფილაქტიკა; 4) პოსტპენიტენციალური პროფილაქტიკა¹. ზოგი ავტორი გამოყოფს დანაშაულთა ინდივიდუალური პროფილაქტიკის უფრო მეტ რაოდენობას, მაგალითად გ. მინკოვსკი გეთავაზობს შვიდ სახეობას (ეტაპს)².

დანაშაულობის თავიდან აცილებისადმი ღონებრივი მიდგომა აისახება ამ საქმიანობის განმახორციელებელი ორგანოებისა და ორგანიზაციების სტრუქტურის აგებაში. პროფილაქტიკის (გასატარებელ ღონისძიებათა) ღონის სწორ განსაზღვრაზე საბოლოო ანგარიშით დამოკიდებულია მისი ეფექტურობა.

პროფილაქტიკური საქმიანობა ხორციელდება შესაბამისი ფორმებით, რომელთა ხასიათი დამოკიდებულია დანაშაულობის მდგომარეობაზე და თვით შესაბამისი სუბიექტების პრაქტიკულ მიზნებზე.

საერთო-სოციალურ პროფილაქტიკას ცხოვრებაში ატარებენ ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმების მეშვეობით. უკანასკნელ დრომდე ასეთ გეგმებს ადგენდნენ რეგიონალურ დონეზეც. გეგმის პროფილაქტიკური მნიშვნელობა იმაშია, რომ მასში გათვალისწინებულია ქვეყნის ან რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია და ტაქტიკა (ცხადია, მასში დომინირებს კონკრეტულ კრიმინოგენურ შედეგთა თავიდან აცილებაც). გეგმის მეშვეობით მიიღწევა დანაშაულობის საერთო-სოციალურ მიზეზებზე გასატარებელი ზემოქმედების ღონისძიებათა ერთიანობა (იგულისხმება ეკონომიკური, სოციალური, იდეოლოგიური, კულტუროლოგიური, მმართველობითი და ტექნოლოგიური).

სპეციალურ-კრიმინოლოგიური პროფილაქტიკა ხორციელდება დანაშაულობასთან ბრძოლის გაძლიერების გეგმების (პროგრამების) ფორმით. მათში გათვალისწინებულია ღონისძიებათა სისტემა, მიმართული დანაშაულობის კონკრეტული სახეობებისა და ჯგუფების და მთლიანად დანაშაულობის პროფილაქტიკისკენ განსაზღვრულ ტერიტორიაზე (ქვეყანა, რეგიონი). პროგრამით გათვალისწინებულ ღონისძიებათა უზრუნველყოფა მიიღწევა პროფილაქტიკის სხვადასხვა სუბიექტების მუშაობის კოორდინირებითა და ურთიერთ-

¹ Бурлаков В. Н., Орехов В. В. Индивидуальное предупреждение преступлений. Вопросы теории и практики. Изд-во ЛГУ, Л., 1988, зб. 32-36.

² Криминология (Под ред. Н. Ф. Кузнецовой, Г. М. Миньковского). М., 1994, зб. 162-163.

შეთანხმებულობით (ეს უკანასკნელი შეეხება როგორც ურთიერთ-დაკავშირებულ, ასევე იმ სუბიექტებსაც, რომლებიც არ იმყოფებიან ერთმანეთთან იერარქიულ ურთიერთდამოკიდებულებაში). ეჭვს ვარეშვა, რომ დანაშაულობის თავიდან აცილების წარმატება დამოკიდებული იქნება დანაშაულობასთან ბრძოლის პროგრამის შეთანხმებულობაზე ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმის კონცეფციასთან.

ინდივიდუალური პროფილაქტიკის რეალიზება, როგორც წესი, ხდება ორი ფორმით. თუ ლაპარაკია მიზეზებისა და პირობების აღმოფხვრაზე (რომლებიც ხელს უწყობენ კონკრეტულ დანაშაულთა ჩადენას), რომლებიც გამოვლენილია სპეციალური სუბიექტების საქმიანობის პროცესში, ამ შემთხვევაში წინა პლანზე წამოიწევა მოთხოვნები საორგანიზაციო-მმართველობითი, ეკონომიკურ-ტექნოლოგიური და იდეოლოგიური ხასიათის ღონისძიებათა ჩატარების შესახებ და რომლებიც ასახვას პოულობენ ისეთ განსაკუთრებულ საპროცესო აქტებში, როგორიცაა: პროკურორისა და გამომძიებლის წარდგინება (მიწერილობა) და სასამართლოს კერძო განჩინება. ხოლო როცა ლაპარაკია კონკრეტული დანაშაულის პიროვნებაზე, მაშინ გამოიყენება სამართალდამრღვევი ქცევის ინდივიდუალური კორექციის (შესწორების) პროგრამები. კერძოდ, მათში ასახვას პოულობს პიროვნების ვრცელი პორტრეტი, მისი ნეგატიური ნიშან-თვისებების ფორმირების მიკროგარემოს ძირითადი ფაქტორების დახასიათება, გათვალისწინებულია პროფილაქტიკური ზემოქმედების დიფერენცირებული ღონისძიებები და მათი გამოყენების ეფექტურობის კრიტერიუმები.

დანაშაულობის სოციალური ლეტერმინაციის ხასიათის მიხედვით პროფილაქტიკურა, ზემოქმედების ღონისძიებები იყოფა საერთო-სოციალურ და სპეციალურ (კრიმინოლოგიურ) ღონისძიებებად. მათ შორის განსხვავება იმაშია, რომ პირველი მიმართულია მთელი სოციალურ-ეკონომიკური სისტემის პოზიტიური განვითარებისაკენ და ამით ხელს უწყობს დანაშაულობის შემცირებას, მაშინ როცა მეორე უშუალოდ ზემოქმედებენ იმ მიზეზებსა და პირობებზე, რომლებიც განაპირობებენ დანაშაულობის არსებობას ცალკეულ (კონკრეტულ) ობიექტებზე, გაერთიანებებსა და ბლოკებში. ამ შემთხვევაში სპეციალური ღონისძიებები მიზნად ისახავს

დანაშაულობის მიზეზებისა და ხელშემწყობი პირობების აღმოფხვრას, ნეიტრალიზაციასა და შეზღუდვას.

დანაშაულობის თავიდან აცილების ღონისძიებები თავისი კონკრეტული შინაარსის მიხედვით კლასიფიცირდება როგორც ეკონომიკური, სოციალური, იდეოლოგიური, ტექნიკური, საორგანიზაციო და სამართლებრივი. როგორც საერთო, ასევე სპეციალურად კრიმინოლოგიური ღონისძიებებიც შეიძლება დაიყოს ასეთივე კლასიფიკაციის შესაბამისად.

დანაშაულობის თავიდან აცილების ეკონომიკური ღონისძიებები მიმართულია ეკონომიკური სფეროს ფუნქციონირების კრიმინოგენურ შედეგთა ნეიტრალიზაციისაკენ და ამჟღავნებენ თავის მნიშვნელობას როგორც მაკროდონეზე (მაგალითად, ქვეყნის ეკონომიკის გაჯანსაღება; მოსახლეობის ნაკლებად უზრუნველყოფილი ფენების ეკონომიკური დაცვა სასიცოცხლო მინიმუმის მეცნიერულად დასაბუთებული დონის შემოღების მეშვეობით), ასევე მიკროდონეზეც (მაგალითად, კრიტიკულ სიტუაციაში მყოფ კონკრეტული პირებისათვის შეღავათები და დახმარება).

პროფილაქტიკის სოციალური ღონისძიებები მოწოდებულია პოზიტიური ზემოქმედება მოახდინოს სხვადასხვა სოციალურ ინსტიტუტებზე (ოჯახი, კოლექტივი, საზოგადოებრივი ორგანიზაციები და ა. შ.). მნიშვნელოვან პროფილაქტიკურ პოტენციალს შეიცავს ასევე ღონისძიებები, რომლებიც ხელს უწყობენ ოჯახის კულტის შექმნას, ადგილობრივი თვითმმართველობის საზოგადოებრივი საფუძვლების შექმნას და ა. შ.

პროფილაქტიკის იდეოლოგიური ღონისძიებები მოწოდებულია: საზოგადოების წევრებს ჩამოუყალიბოს მორალურ-ზნეობრივი შეგნება ზოგადსაკაცობრიო ფასეულობათა ბაზაზე; შეზღუდოს ადამიანთა ქცევაზე მასობრივი კულტურის სტანდარტების ნეგატიური გავლენა მისდამი დიფერენცირებული მიდგომის საფუძველზე (მაგალითად, ეროტიკული შინაარსის ფილმების ჩვენება უნდა მოხდეს სახელმწიფო და კერძო არხების მეშვეობით გვიან საღამოთი); გამოასწოროს სამართალდამრღვევთა ზნეობრივი დეფორმაციები ინდივიდუალური აღმზრდელითი მუშაობის დახმარებით (იგულისხმება ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური და სამართალშემზღუდველი ღონისძიებები).

პროფილაქტიკის ტექნიკურ ღონისძიებებს მიეკუთვნება სხვადასხვა ტექნოლოგიები, წესები, საშუალებები და მოწყობილობები, რომლებიც ხელს უშლიან საზოგადოებრივად სამიმ შედეგთა დადგომას ადამიანთა სოციალური საქმიანობის პროცესში, აგრეთვე დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევათა ჩადენას (მაგალითად, ტექნოლოგიები, რომლებიც გამორიცხავენ ავარიულობას წარმოებაში; საგზაო მოძრაობის წესები; დამცავი სიგნალიზაციის საშუალებები; ჩამკეტი მოწყობილობები და ა. შ.).

დანაშაულობის თავიდან აცილების ორგანიზაციული ღონისძიებები მოწოდებულია ხელი შეუწყოს არაპროფესიული საორგანიზაციო-მმართველობითი საქმიანობის კრიმინოგენურ შედეგთა ნეიტრალიზაციას ან მინიმიზაციას. ასეთ ღონისძიებებს მიეკუთვნება მაგალითად, ქვეყნის მოსახლეობის მმართველი მიგრაციის პროცესების სრულყოფის ღონისძიებები; თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან განთავისუფლებულ პირთა სოციალური ადაპტაციის ქმედითი და მატერიალურად უზრუნველყოფელი მექანიზმების შემუშავების ღონისძიებები; სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობის ეფექტურობის სწორი კრიტერიუმების ჩამოყალიბება, რომლებიც არ სტიმულირებენ „სტატისტიკასთან თამაშს“ სისხლის-სამართლებრივ დანაშაულობასთან ბრძოლის შეფასებასთან დაკავშირებით – იგულისხმება დანაშაულთა აღრიცხვისაგან დამალვა, მათი გახსნის პროცენტის მომატება. საკონტროლო საშუალებები პუნქტების მუშაობის გაუმჯობესება, იმ ნაკლოვანებათა აღმოფხვრა, რაც შეიძინევა საკუთრების (ქონების) დაცვის საქმეში ამა თუ იმ კონკრეტულ ობიექტზე (საწარმოში, ორგანიზაციაში და დაწესებულებაში), კადრების შერჩევისა და განაწილების ღონისძიებები და სხვ.

დანაშაულობის თავიდან აცილების სამართლებრივი ღონისძიებები შინაარსის მიხედვით იყოფა: 1) ღონისძიებებად, რომლებიც ხელს უწყობენ კონკრეტულ დანაშაულთა ჩადენის პირობების ნეიტრალიზაციას (ესენი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვადასხვა დარჯის ნორმებია: რომლებიც ზღუდავენ ალკოჰოლიკების (ლოთების) ქმედუნარიანობას; არეგულირებენ მშობლის უფლების ჩამორთმევას; რეგლამენტირებენ იარაღის შეტენისა და შენახვის წესსა და ა. შ.); 2) ღონისძიებებად, რომლებიც სტიმულირებენ დანაშაულის ჩადენის ხელისშემშლელ და აღმკვეთ მოქმედებებს (ამას მიეკუთვნება სისხლის სამართლის ნორმები, რომლებიც დაკავშირებულია დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის

აღებასთან, აუცილებელ მოგერიებასთან, დამნაშავეის შეპყრობასა და სხვ.); 3) ღონისძიებებად, რომლებიც რეგლამენტირებენ დანაშაულთა თავიდან აცილების პროცესს.

ამჟამად დანაშაულობის თავიდან აცილების პროცესს არ გააჩნია დამოუკიდებელი სამართლებრივი ბაზა. არსებული სამართლებრივი ნორმები გაფანტულია კანონმდებლობის სხვადასხვა დარგებს შორის, რაც ხშირად ფრაგმენტულია, ურთიერთშეუთანხმებელი და, ცხადია, ხელს უშლის სხვადასხვა სუბიექტების პროფილაქტიკური საქმიანობის კონსოლიდაციას. ვფიქრობთ, კარგა ხანია მომწიფდა საკითხი დანაშაულობის თავიდან აცილების შესახებ კანონმდებლობის (ცალკე კოდექსის სახით) შექმნასა და მიღებასთან დაკავშირებით. მასში გათვალისწინებულ უნდა იქნეს დანაშაულობის თავიდან აცილების მთელი სისტემის სამართლებრივი რეგლამენტაცია, მათ შორის პროფილაქტიკური მუშაობის ჩატარების საფუძვლები, გამაფრთხილებელ ზემოქმედებათა საშუალებები და ღონისძიებები, სუბიექტთა კომპეტენცია, მათ საქმიანობაზე კონტროლი და სხვ.

დანაშაულობის თავიდან აცილების სუბიექტები იყოფა სამ ძირითად ჯგუფად. პირველი ჯგუფი მოიცავს საერთო პროფილაქტიკის სუბიექტებს, რომლებსაც მიეკუთვნება ხელისუფლებისა და მმართველობის ცენტრალური, რეგიონალური და ადგილობრივი ორგანოები, აგრეთვე საზოგადოებრივი ფორმირებები, რომლებიც არ ასრულებენ უშუალო სამართალდამცავ ამოცანებს (აქ იგულისხმება ზოგადად სამინისტროები შინაგან საქმეთა და უშიშროების სამინისტროების გამოკლებით, ადგილობრივი მმართველობის ორგანოები, პარტიები, პროფკავშირები, ეკლესია და ა. შ.).

მეორე ჯგუფში შედიან სპეციალურად კრიმინოლოგიური პროფილაქტიკის სუბიექტები, ესენია: 1) სახელმწიფო ორგანოები, რომლებიც ასრულებენ სამართალდამცავ ფუნქციებს (შსს, უშიშროების სამსახური (სამინისტრო), პროკურატურა, საგადასახადო პოლიცია, სასამართლო და სხვ.); 2) სახელმწიფო-საზოგადოებრივი ორგანოები, რომლებიც ასრულებენ სამართალდამცავ ფუნქციებს (მაგალითად, ადგილობრივი მმართველობის ორგანოთა არასრულწლოვანთა საქმეთა კომისიები და სხვ.); 3) კერძო და საზოგადოებრივი სტრუქტურები, რომლებიც ხელს უწყობენ სამართალდამცავი ამოცანების შესრულებას (კერძო დაცვითი საწარმოები და სხვ.).

მესამე ჯგუფი აერთიანებს სუბიექტებს, რომლებიც ახორციელებენ ინდივიდუალურ პროფილაქტიკას. მათ მიეკუთვნებათ სახელმწიფო სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლები (მაგალითად, უბნის ინსპექტორები, არასრულწლოვანთა სამართალრღვევების თავიდან აცილების განყოფილების ინსპექტორები და ა. შ.), სხვა სახელმწიფო დაწესებულებათა მუშაკები (მაგალითად, სპეციალური სასწავლო დაწესებულებების მუშაკები, რომლებიც კონტროლს ახორციელებენ არასრულწლოვან სამართალდამრღვევთა ქცევაზე); ცალკეული მოქალაქეები (მაგალითად, საზოგადოებრივი აღმზრდელები, მილიციის შტატგარეშე თანამშრომლები და სხვ.).

რა თქმა უნდა, სუბიექტების ასეთი დაყოფა მაინც პირობითად უნდა მივიჩნიოთ. საქმე იმაშია, რომ ინდივიდუალური, სპეციალურად კრიმინოლოგიური და საერთო-სოციალური პროფილაქტიკის ცალკეული ასპექტები ყოველი ზემოდასახელებული ჯგუფის სუბიექტების საქმიანობაშია. გარდა ამისა, ყველა ჩამოთვლილი სუბიექტი ურთიერთმოქმედებაშია.

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად დანაშაულობის თავიდან აცილების საქმიანობის კოორდინაციის ამოცანა ეკისრება პროკურატურის ორგანოებს, ამასთან უნდა ვაღიაროთ, რომ პროკურატურას თავის შემადგენლობაში არ გააჩნია სპეციალური ქვედანაყოფი, რომელიც შესძლებდა ამ სამუშაოს ორგანიზაციულ უზრუნველყოფას.

ბოლო წლებში გაჩნდა დანაშაულობასთან და კორუფციასთან ბრძოლის უწყებათაშორისი კომისიები, ნარკომანიასთან და ნარკობიზნესთან ბრძოლის საკოორდინაციო საბჭოები. ამ კომისიებსა და საბჭოებს, რომელთა შემადგენლობაში შედიან სამართალდამცავი და სხვა ორგანოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელები, სათავეში უდგას მმართველობის რეგიონალური ორგანოების ხელმძღვანელები.

ამჟამად, როდესაც საქართველოში დანაშაულობის თავიდან აცილების სისტემა ჩამოყალიბების სტადიაშია („პერესტროიკის“ წლებში ის ფაქტობრივად დაიშალა), რეალური პროფილაქტიკური მუშაობის ძირითადი ტვირთი ეკისრება შინაგან საქმეთა ორგანოების სამსახურებსა და მის ქვედანაყოფებს¹.

¹ დანაშაულობის თავიდან აცილების ცნებაზე იხილეთ: Саркисов Г. С. Теоретические основы индивидуальной профилактики преступлений.



დანაშაულობის პროგნოზირების ცნება და მნიშვნელობა
დანაშაულობასთან ბრძოლის დახმავება

§ 1. დანაშაულობის პროგნოზირების ცნება და მნიშვნელობა

დანაშაულობის პროგნოზირება — ესაა დანაშაულობის ტენდენციებისა და კანონზომიერებათა შესაძლებელი ცვლილებების სამომავლო განჭვრეტა.

დანაშაულობის პროგნოზირების ცნება არ შეესატყვისება „კრიმინოლოგიური პროგნოზირების“ ცნებას, რამეთუ უკანასკნელი შეიცავს არა მხოლოდ დანაშაულობის, არამედ სხვა ანტისაზოგადოებრივი მოვლენების, სამართალდამცავი ორგანოების, დასჯითი პრაქტიკის, დანაშაულობის თავიდან აცილებაში მონაწილე ორგანოთა სისტემის განვითარების ტენდენციების, კანონზომიერებებისა და სხვათა გათვალისწინებას.

დანაშაულობის პროგნოზირების ძირითადი მიზანია იმ საერთო მაჩვენებლების დადგენა, რომლებიც დაახასიათებენ მომავალში დანაშაულობის განვითარებას (ცვლილებას), მის უარყოფით და დადებით ტენდენციებს, რაც თავის მხრივ საფუძვლად დაედება იმას, რომ გამაფრთხილებელი საქმიანობა წარიმართოს სახელმწიფოსა და საზოგადოებისათვის საჭირო მიმართულებით.

დანაშაულობის პროგნოზი ამჟღავნებს (აშკარავებს) მოსალოდნელი მოვლენების შესაძლო სურათს. დანაშაულობის პროგნოზის ალბათობის ხარისხი დამოკიდებულია სხვადასხვაგვარ ფაქტორებზე, რომლებიც გათვალისწინებულ უნდა იქნეს პროგნოზირების დროს. ეს იმას ნიშნავს, რომ პროგნოზირების დროს საჭიროა გა-

Автореф. дисс. доктора юрид. наук. М., 1985; Карпец И. И. Современные проблемы уголовного права и криминологии. М., 1976; Портнов И. П. Профилактика преступлений в милицейской практике. Журнал “Государство и право”, 1995, № 10; Трубников В. М. Понятие социальной адаптации освобожденных от наказания. Журнал “Правоведение”. 1984, № 1; Зудин В. Ф. Социальная профилактика преступлений. Изд-во Саратовского университета, 1983.

ვითვალისწინოთ და შევისწავლოთ დანაშაულობისა და დანაშაულის ჩამდენ პირთა შესახებ არა მხოლოდ სტატისტიკური მონაცემები, არამედ ის მონაცემებიც, რომლებიც ახასიათებენ სხვა სოციალური მოვლენებისა და პროცესების განვითარებას (ცვლილებას) და რაც ასე თუ ისე გავლენას ახდენს დანაშაულობაზე. ამ ფაქტორთა (სოციალურ მოვლენათა და პროცესთა) რიცხვი, რომლებიც უშუალოდ ან გაშუალებულად გავლენას ახდენენ დანაშაულობაზე, მეტად მნიშვნელოვანია. დანაშაულობის პროგნოზირების დროს ასევე გასათვალისწინებელია ისეთი ფაქტორები, როგორცაა: საკუთრების ახალი ფორმების გაჩენა, მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდისა და დაცემის დონე, მოსახლეობის შეძლებულ და ღარიბ ფენებად დაყოფა, უმუშევრობა, მიგრაცია, ზნობრივი მდგომარეობა, მოსახლეობის დამოკიდებულება სამართლის ნორმებისადმი, სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობისადმი და სხვ.

მნიშვნელოვან გარემოებას, რომელიც გავლენას ახდენს დანაშაულობის პროგნოზზე, წარმოადგენს ის ცვლილებები, რომლებიც შეაქვთ სისხლის სამართლის კანონმდებლობაში. პროგნოზის დროს ყურადღება უნდა მიექცეს დანაშაულობის ხასიათსა და სახეობებს საზღვარგარეთის ქვეყნებში, რომლებიც გარკვეულწილად გავლენას ახდენენ დანაშაულობაზე და მის ხასიათზე როგორც მთლიანად ქვეყანაში, ასევე მის ცალკეულ რეგიონებში.

დანაშაულობის პროგნოზირების დაკავშირების აუცილებლობა სხვა სოციალურ ფაქტორებთან განპირობებულია თვით პროგნოზირების ობიექტის – დანაშაულობის მრავალგვარი კავშირებითა და ურთიერთდამოკიდებულებით. ასეთ ვითარებაში მეტიმეტად ძნელია და რთული მიაღწიო აბსოლუტურად ზუსტ პროგნოზს ამა თუ იმ დარგში, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მიზანშეუწონელია დანაშაულობის პროგნოზის შედგენა. ის პროგნოზიც კი, რომელიც ნაწილობრივ მართლდება, საჭიროა და სასარგებლო. ლიტერატურაში სწორად იყო აღნიშნული, რომ ცუდი პროგნოზი სჯობს კარგ გაურკვეველობას.

დანაშაულობის პროგნოზირების სიძნელეთა გადალახვისა და პროგნოზის ალბათობის ხარისხის ამაღლების საფუძვლად უნდა მივიჩნიოთ იმ ფაქტორების შესწავლა და აღმოფხვრა, რომლებიც დანაშაულობის არსებობას განაპირობებენ. სამწუხაროდ, ამჟამინ-

დელი კვლევა-ძიება ამ მიმართულებით ნაკლებად ეფექტურია, რის მიზეზადაც უნდა მივიჩნიოთ ფაქტორთა არაკომპლექსური შესწავლა. ყველა მკვლევარი, რომელიც სწავლობს დანაშაულობის მიზეზებს, აღნიშნავს გარკვეულ კავშირს მხოლოდ ცალკეული სოციალურ-ეკონომიკურ ფაქტორებსა და დანაშაულობას შორის. მიუხედავად ამისა, ამ გამოკვლევებით მიღებული შედეგები (მონაცემები) არ კარგავენ არც შემეცნებით, არც დიდ პრაქტიკულ მნიშვნელობას დანაშაულობის თავიდან აცილების სოციალური დაგეგმვისა და დანაშაულობასთან ბრძოლის სტრატეგიისა და ტაქტიკის შემუშავების თვალსაზრისით.

სიძნელეები, რომლებსაც აწყდებიან მეცნიერები და პრაქტიკოსები დანაშაულობაზე ურთიერთდაკავშირებულ ფაქტორთა შესწავლისას, აიძულებს მათ მიმართონ ძირითადად შინაარსობლივ (თვისობრივ) ანალიზს და გამოყონ ყველაზე მნიშვნელოვანი, გადამწყვეტი ფაქტორები.

დანაშაულობის ანალიზი ამა თუ იმ რეგიონში (რაიონში, ქალაქში, მხარეში და ა. შ.), პროფესიული გამოცდილება და სოციალური სინამდვილის განვითარების შესწავლა საშუალებას იძლევა გამოვაკლინოთ და გარკვეული ზომით შევაფასოთ ყველაზე არსებითი კონკრეტული ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ დანაშაულობის დინამიკასა და სტრუქტურაზე, მის ხასიათსა და ყველა სახეობაზე, და ამით მნიშვნელოვნად გავზარდოთ პროგნოზის ალბათობის ხარისხი.

დანაშაულობის პროგნოზირება შეიძლება ხორციელდებოდეს: მთლიანად დანაშაულობის დონეზე; დანაშაულობის გარკვეული კატეგორიის დონეზე (რეციდიული, ანგარებითი, სატრასნსპორტო და ა. შ.); დანაშაულთა ცალკეული სახეობების დონეზე (გამოძალვა, მკვლელობა, ბანდიტიზმი და ა. შ.).

პროგნოზირება შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა სოციალური ჯგუფის ფარგლებში, რასაც საფუძვლად უნდა დაედოს ისეთი ნიშნები, როგორიცაა: განათლება, ოჯახური მდგომარეობა, ასაკი, პროფესია და ა. შ. დანაშაულობის გავცელებულობის პროგნოზირებას აწარმოებენ ასევე რაიონის, ქალაქის, მხარისა და რესპუბლიკის მასშტაბით.

პროგნოსტიკული პერიოდის ხანგრძლივობის მიხედვით დანაშაულობის პროგნოზი შეიძლება იყოს: მოკლევადიანი, საშუალო-

ვადიანი და გრძელვადიანი, როგორც ვ. კუდრიაეცევი აღნიშნავს: „გრძელვადიანი პროგნოზები განსაზღვრავენ დანაშაულობასთან ბრძოლის „სტრატეგიას“. ამ ბრძოლის ყოველდღიური „ტაქტიკისათვის“, დანაშაულის თავიდან აცილების უფრო ეფექტური ღონისძიებების შესამუშავებლად კი საჭიროა უფრო კონკრეტული და შედარებით ხანმოკლე პროგნოზები“¹ (იგულისხმება ანტისაზოგადოებრივი მოვლენების შესახებ მდგომარეობის, სტრუქტურისა და დინამიკის პროგნოზირება — ზ. წ.).

მოკლევადიანი პროგნოზი მოიცავს სამ წელს. ამ ფარგლებში მომავალი დანაშაულობის შეფასება უფრო ცალსახა ხდება, რადგან ამ პერიოდის განმავლობაში საზოგადოებაში რაიმე არსებითი ცვლილებების გატარება ეჭვს იწვევს.

შინაგან საქმეთა ორგანოების პრაქტიკაში გავრცელდა რეციდივული დანაშაულობის შესაძლო ღონის საშწლიანი პროგნოზი. ეს ვადა შერჩეულია იმასთან დაკავშირებით, რომ ახალ დანაშაულთა უმრავლესობას პირები სწადიან სასჯელის მოხდიდან პირველი სამი წლის განმავლობაში.

საშუალოვადიანი პროგნოზირების ყველაზე მიზანშეწონილ სახეობას ვალების მიხედვით წარმოადგენს ხუთწლიანი პროგნოზი. დანაშაულობის გრძელვადიან პროგნოზს შეიძლება მივაკუთვნოთ პროგნოზი 15-20 წლის ვადით. სწორედ ამ პერიოდის განმავლობაში ნაწილობრივ მთავრდება როგორც დემოგრაფიული ციკლი, რომელიც მოიცავს მოსახლეობის კლავწარმოების გარკვეულ პერიოდს, ასევე პიროვნების ზნეობრივი და პროფესიული ჩამოყალიბებისა და მეურნეობის განვითარების ტექნიკური ციკლიც.

დანაშაულობის დინამიკის სამომავლო პროგნოზირების მოსახდენად შეიძლება ნებისმიერი დასახელებული კრიტერიუმების ან კრიტერიუმთა ერთობლიობის გამოყენება, რომლებიც უზრუნველყოფენ პროგნოზების კომპლექსურობასა და მრავალმხრივობას.

დანაშაულობის საერთო პროგნოზირების გარდა, დამოუკიდებელი მნიშვნელობა აქვს ინდივიდუალურ პროგნოზირებას. ინდივიდუალური დანაშაულებრივი ქცევის პროგნოზირება, საერთოდ

¹ იხ. Кудрявцев В. Н. Социальное и индивидуальное прогнозирование в криминологии. Вопросы научного прогнозирования. Вып. 2. М., 1968, с. 52.

დანაშაულობის პროგნოზირებისაგან განსხვავებით, თეორიულად არასაკმარისად არის დაშუშავებული, ხოლო გამოყენებითი თვალსაზრისით იგი არსებითად მხოლოდ მცდელობის დონეზეა.

ადამიანის ქცევის პროგნოზირების შესაძლებლობათა მეტოდოლოგიური დასაბუთება დაკავშირებულია ქცევის დეტურმინისტულ კონცეფციასთან, რომელიც განიხილება როგორც პიროვნების, გარემოსა და კონკრეტული სასიცოცხლო სიტუაციის რთული ურთიერთმოქმედების შედეგი. უდავოა, რომ ადამიანის რთული სოციალური ბუნება და მისი სხვადასხვა თვისებები განაპირობებენ ქცევის შემეცნების მეთოდოლოგიისა და პროგნოზირების სიძნელეებს, ართულებენ მათ პრაქტიკულ განხორციელებასა და ა. შ., მაგრამ შეუძლებელს არ ხდის მათი შემეცნების შესაძლებლობასა და სიძნელეების დაძლევას.

დანაშაულებრივი ქცევის ინდივიდუალური პროგნოზირების გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ იმ პირთა მიმართ, რომლებმაც წარსულში უკვე ჩაიდინეს დანაშაული ან სხვა ანტისაზოგადობრივი ქცევა. დანაშაულებრივი ქცევის ინდივიდუალური პროგნოზირების როლი სწორედ იმაშია, რომ აღნიშნულ პირთა კონტინგენტიდან განისაზღვროს ისინი, რომელთა მიმართაც აუცილებელია ინდივიდუალური გამაფრთხილებელი (პროფილაქტიკური) მუშაობის ჩატარება, რათა მათი მხრიდან კვლავ არ მოხდეს დანაშაულის ჩადენა.

პრაქტიკაში შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოების გამოცდილი მუშაკები ხშირად საკმაოდ გარკვევით აკეთებენ პროგნოზს ამა თუ იმ პირთა მიმართ, რომლებმაც სახელი გაიტყუეს ანტისაზოგადობრივი ყოფაქცევით. იციან რა ამ პირთა თვისებები და ის გარემო წრე, რომელშიაც ისინი იმყოფებიან, აღნიშნული პირები დროულად ატარებენ პროფილაქტიკურ მუშაობას და ამით თავიდან იცილებენ მათი მხრიდან დანაშაულის ჩადენას.

დანაშაულობასთან ბრძოლის ეფექტურობის ამაღლების ამოცანა განაპირობებს დანაშაულობის დასაბუთებული პროგნოზირების მნიშვნელობას. ცნობილია, რომ დანაშაულობის პროგნოზი, უწინარეს ყოვლისა, ესაა ინფორმაცია პრაქტიკის საჭიროებისათვის; ამასთან ისეთი ინფორმაცია, რომლის საფუძველზეც განისაზღვრება და ფასდება დანაშაულობასთან ბრძოლის შესაძლებლობები

მომავალში ყველა არსებული ძალებისა და საშუალებების გათვალისწინებით.

დანაშაულობის პროგნოზი არსებითად წარმოადგენს დანაშაულობასთან ბრძოლის ორგანიზაციის საფუძველს, რასაც ახორციელებენ არა მხოლოდ სახელმწიფო ორგანოები, არამედ საზოგადოებრივი ორგანიზაციებიც. ეს არის დანაშაულობასთან გვერდობითი ბრძოლის მნიშვნელოვანი ეტაპი, რადგან მხოლოდ პროგნოზის საფუძველზე შეიძლება მოხდეს წინასწარი გადაწყვეტილებების მიღება დანაშაულობის მიზეზებისა და ხელშემწყობი პირობების მოქმედებასთან დაკავშირებით. პროგნოზირება, ასევე ხელს უწყობს იმ ორგანოთა სისტემის კოორდინაციას, განმტკიცებასა და განვითარებას, რომლებიც ახორციელებენ დანაშაულობასთან ბრძოლას. ამავ დროს, პრაქტიკულ ორგანოებს პროგნოზირების მონაცემებზე დაყრდნობით (აფასებენ რა დანაშაულობის დონეს, სტრუქტურას, დინამიკასა და სხვა მახასიათებლებს დღევანდლობისა და მომავლის პოზიციებიდან), შეუძლიათ დასვან საკითხი კანონმდებლის წინაშე, რათა სათანადო ცვლილებები და დამატებები იქნეს შეტანილი მოქმედ სისხლის, სისხლის სამართლის საპროცესო, ადმინისტრაციულ, სასჯელაღსრულებით და სხვ., კანონმდებლობაში.

ამგვარად, დანაშაულობის პროგნოზირება უზრუნველყოფს არა მხოლოდ დანაშაულობასთან ბრძოლის სფეროში სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოების ორგანიზატორული საქმიანობის მეცნიერულად დასაბუთებული სტრატეგიისა და მისი ამაღლების ღონისძიებათა ოპტიმალური ვარიანტის განსაზღვრას, არამედ მასთან ბრძოლის ტაქტიკისა და მეთოდის შემუშავებას.

დანაშაულობის პროგნოზირება მჭიდროდ არის დაკავშირებული დანაშაულობასთან ბრძოლის დაგეგმვასთან, თუმცა ისინი განსხვავდებიან მიზნებითა და ამოცანებით. პროგნოზირების მიზანია გამოავლინოს მომავალში დანაშაულობის ცვლილებების ის შესაძლო ვარიანტები და გარემოებანი, რომლებსაც შეუძლიათ ხელი შეუწყონ დანაშაულობის შემცირებას (ან, პირიქით, გაზრდას); ხოლო გვერდობითი პროგნოზირების მიზანია განსაზღვროს, რა ვადებში უნდა მოხდეს მისი განხორციელება, რა რესურსები და შესაძლებლობებია ამისათვის საჭირო

და სხვ. დანაშაულობის პროგნოზირება წინ უსწრებს გვემის ფორ-
მირებას დროში, განსაზღვრავს მის არსსა და შინაარსს.

პროგნოზირება წარმოადგენს მეცნიერულ საფუძველს დანა-
შაულობასთან ბრძოლის გეგმების შესადგენად. ამასთან არსებობს
პირდაპირი კავშირი პროგნოზის სანდოობისა და გვემის დასაბუთე-
ბას შორის: რაც უფრო ზუსტია პროგნოზი, მით მეტია გვემის
ოპტიმალობის უზრუნველყოფის საფუძველი.

§ 2. დანაშაულობასთან ბრძოლის დაგეგმვის (პროგნოზირების) თეორიული საფუძველები

დანაშაულობასთან ბრძოლის ეფექტურობა მნიშვნელოვანწი-
ლად განისაზღვრება მასზე როგორც სოციალურ მოვლენაზე ზე-
მოქმედების საშუალებებისა და ხერხების განსაზღვრითა და შეკ-
რებით. მოუფიქრებელმა, ეპიზოდურმა და მატერიალურ-ტექ-
ნიკურად არასაკმარისად უზრუნველყოფილმა ზემოქმედებამ დანაშა-
ულობასა და მის ხელშეწყობ ფაქტორებზე შეიძლება მოგვცეს
მხოლოდ მოჩვენებითი და ხანმოკლე შედეგი.

ამიტომ დანაშაულობასთან ბრძოლის ღონისძიებათა შემუშავე-
ბისას საჭიროა მათი ეფექტურობის რიგი პირობების არსებობის
უზრუნველყოფა. ასეთ პირობებს მიეკუთვნება: 1) პრობლემის
დასაბუთება; 2) მისი გადაწყვეტის არსებული შესაძლებლობების
დასაბუთება; 3) პრობლემური მოვლენის როგორც განსახილველი
საქმიანობის სავარაუდო ობიექტის შეცნობა; 4) ამ პრობლემურ
მოვლენაზე ზემოქმედების ხერხების შემუშავება; 5) ასეთი ზემო-
ქმედების სავარაუდო (მოსალოდნელი) შედეგების განსაზღვრა.

დანაშაულობასთან ბრძოლის პრობლემათა დასაბუთებამ უნდა
მოიცვას: ა) დანაშაულობის მიზეზებისა და პირობების; ბ) სა-
ზოგადოებისათვის ამ მოვლენის არსებობისა და განვითარების
არასასიკეთო შედეგების; გ) დამნაშავეობასთან ბრძოლის აქამდე
გამოყენებულ ღონისძიებათა არასაკმარისი ეფექტურობის მიზეზე-
ბის; დ) დანაშაულობასთან ბრძოლის სუბიექტთა საქმიანობის
გაუმჯობესების შესაძლებლობების აღნიშვნა.

დანაშაულობასთან ბრძოლის გასატარებელი ღონისძიებების
დადგენის პროცესში ჩაბმულ უნდა იქნან მაღალკვალიფიციური

სპეციალისტები, რომლებსაც შეუძლიათ შეასრულონ შეკვეთები კრიმინოლოგიური ექსპერტიზის ჩასატარებლად. მათი კომპლექსური დასკვნები შესაძლებლობას მისცემს შემდგომში კრიმინოლოგებსა და დაინტერესებულ პირებს, რათა ორიენტაცია აიღონ დანაშაულობასთან ბრძოლის მიზნებზე, ამოცანებზე, მიმართულებებზე, შესასწავლი ობიექტების დადგენაზე და სხვ. (ცხადია, ეს უნდა მოხდეს დანაშაულობასთან საბრძოლველად ოპტიმალური ოდენობის თანხებზე დაყრდნობით).

დანაშაულობასთან ბრძოლის პრობლემათა გადაწყვეტის შესაძლებლობათა არსებობაზეა დამოკიდებული სასურველი შედეგების მიღება. ასეთ შესაძლებლობათა აღრიცხვის ჩამონათვალმა უნდა მოიცვას: მოცემული საქმიანობის სუბიექტები; მათი ფუნქციები — დანაშაულობასთან ბრძოლის გასატარებელ ღონისძიებებთან დამოკიდებულებაში; დაფინანსების წყაროები და აღნიშნული საქმიანობის უზრუნველყოფის სხვა საშუალებები; დანაშაულობასთან ბრძოლის სავარაუდო ღონისძიებათა რეალიზაციის მექანიზმების დახასიათება.

არსებული შესაძლებლობების გარეშე დასახული ღონისძიებები აღმოჩნდება რეალურ საფუძველს მოკლებულად და გადაიქცევა განუხორციელებელ სურვილად.

პრობლემატური მოვლენის შეცნობა აუცილებელია: კრიმინოლოგიური ზემოქმედების მიმართულების დასადგენად; ასეთი ზემოქმედების ობიექტების დასაკონკრეტებლად; ობიექტების ამთვისებლობის უნარის დასადგენად; შესაძლო ცვლილებების გასათვალისწინებლად; იმ თანხების განსაზღვრისათვის, რომლებიც უზრუნველყოფენ დასახული შედეგების მიღწევას; დანაშაულობაზე ზემოქმედების საშუალებათა განსაზღვრისათვის და სხვ.

თავის მხრივ მოვლენის შეცნობას საფუძველად უნდა დაედოს: ა) ინფორმაციის შეგროვება დანაშაულობის გავრცელების შესახებ; ბ) მიღებული ინფორმაციის დამუშავება (განზოგადება, სისტემატიზაცია); გ) ინფორმაციის ანალიზი (დასკვნები, რომლებიც ახასიათებენ დანაშაულობას რაოდენობრივ და თვისობრივ მაჩვენებლებს); დ) ვარაუდები, რომლებსაც შეუძლიათ დაახასიათონ დანაშაულობის განვითარების ტენდენციები მომავალში და თანაც კონკრეტული დროის ფარგლებში (პროგნოზი); ე) დანაშაულობასთან ბრძოლის ღონისძიებების ეფექტურობის გათვალისწინება.

დანაშაულობასთან ბრძოლის სფეროში ყველაზე დიდ შედეგს იძლევა კრიმინოლოგიური დაგეგმვა. დანაშაულობის თავიდან აცილების დაგეგმვა ნიშნავს სახელმწიფო ხელისუფლების საქმიანობას ღონისძიებათა კომპლექსის დამუშავებისა და დანერგვის მხრივ, რომლებიც მიმართულია პოზიტიურ ობიექტურ და სუბიექტურ პირობათა შექმნასა და განვითარებისაკენ, რაც გამორიცხავს ან ანეიტრალებს იმ პირთა ქცევას, რომლებიც სისტემატურად არღვევენ სისხლის სამართლის კანონმდებლობას. ვ. ორეხოვის მიერ მოცემული ამგვარი განსაზღვრა ყველაზე ზუსტად ასახავს კრიმინოლოგიური დაგეგმვის არსს.¹

დანაშაულობასთან ბრძოლის თანამედროვე გეგმა წარმოადგენს მართვის განსახორციელებელ დოკუმენტს, რომელმაც უნდა მოიცვას შემდეგი რეკვიზიტები:

1. პრობლემის დასაბუთება (ამან უნდა მოიცვას დანაშაულებრივი პრობლემის აღწერა); საზოგადოებისათვის მისი საშიშროების აღნიშვნა; პრობლემის გადაუღებლობისა და მისი დროულად გადაჭრის ახსნა; მოსახლეობისათვის ახსნა-განმარტების პერიოდული მიცემა როგორც გეგმის განხორციელების მსვლელობაზე, ასევე თანხების ხარჯვაზე.

2. ცნობები მთლიანად დანაშაულობის ან მისი ცალკეული კატეგორიების შესახებ (აქ უნდა შევიდეს კრიმინოლოგიური ინფორმაცია და მისი მიღების წყაროები); დანაშაულობის რაოდენობრივი და თვისობრივი მაჩვენებლების ანალიზი — მათ შორის დასკვნები საზოგადოებისთვის მისი არასახარბიელო მდგომარეობის შესახებ.

3. დანაშაულობის რაოდენობრივი და თვისობრივი მაჩვენებლების გათვალისწინება მომავალში (პროგნოზი).

4. იმ ღონისძიებათა ჩამოთვლა, რაც აუცილებელია დანაშაულობის მნიშვნელოვნად შემცირებისათვის (ცხადია, დასახული ამოცანების შესაძლებლობების ფარგლებში).

5. რეალიზაციის ვადები (აქ იგულისხმება მთლიანი გეგმისა და ცალკეულ ღონისძიებათა შესრულების ვადები).

¹ იხ. **Кримнология. Учебник.** Под ред. В.В. Орехова. СПб., 1992, с. 158.

6. შემსრულებელთა ჩამოთვლა, რომლებიც პასუხისმგებელი არიან როგორც გვემის მთლიან, ასევე მის კონკრეტულ ღონისძიებათა შესრულებაზე.

7. გვემის რეალიზაციის მექანიზმი. მან უნდა მოიცვას: სარესურსო უზრუნველყოფა მთელი გვემისა და ცალკეულ ღონისძიებათა მიმართ; დაფინანსების წყაროებზე მითითება; ღონისძიებათა შესრულებაზე პასუხისმგებელ პირთა დასახელება; შემსრულებელთა ურთიერთმოქმედებისა და მათი ძალისხმევის კოორდინაციის უზრუნველყოფის წესი; სარეზერვო ძალებსა და თანხებზე მითითება დანაშაულობის მოულოდნელ, მკვეთრად არასასურველ ცვლილებებზე რეაგირებისათვის (ეგრეთ წოდებული „სამანევრო ფონდი“).

8. გვემის რეალიზაციის პროცესში მოსალოდნელი ცვლილებებისა და მისგან გამომდინარე მოსალოდნელი შედეგების აღნიშვნა.

საჭიროა დაგვემის უფექტურობის დამოუკიდებლობის გათვალისწინება პროგნოზირების ხარისხზე; რაც უფრო ზუსტია პროგნოზი, მით მეტია შესაძლებლობა დაგვემით ღონისძიებათა შესრულების ოპტიმიზაციისთვის.

დანაშაულობასთან ბრძოლის ღონისძიებათა დაგვემა უნდა ითვალისწინებდეს აპრობაციულ¹ მოქმედებებსაც, რომლებიც, როგორც წესი, წინ უნდა უსწრებდეს გვემის შედგენას. დაგვემისას გასატარებელ მოქმედებათა აპრობაცია უზრუნველყოფილ უნდა იქნეს მოქმედებათა კომპლექსური მოდელის შედგენისა და მოსალოდნელი შედეგების გააზრების საფუძველზე. თანაც გასატარებელ მოქმედებათა შედეგიანობის განსაზღვრას საფუძველად უნდა დაედოს როგორც წინასწარი ექსპერიმენტების ჩატარება, ასევე ექსპერტთა დასკვნები. აპრობირების წესით უნდა გადაწყდეს გამოსადეგი (გამოსაყენებელი) ღონისძიებების დადგენა; მათი იერარქიის განსაზღვრა (მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი მიმართულებების, პრიორიტეტული და დამხმარე ღონისძიებების სახით); ღონისძიებათა რეალიზაციის თანამიმდევრობა (უპირველესი და შემდგომი) და სხვ. აქვე უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ დანაშაულობასთან ბრძო-

¹ აპრობაცია – ლათინური სიტყვაა და ნიშნავს მოწინავეს, დადასტურებას წინასწარი შემოწმების შედეგად.

ლის დაგეგმვის წესს 90-იანი წლების შუა პერიოდამდე გააჩნდა რიგი ნაკლოვანი მხარეები, რომლებიც საკმაოდ უშლიდა ხელს დანაშაულობის თავიდან აცილების ამოცანათა გადაწყვეტას. ასეთ ნაკლად შეგვიძლია დავასახელოთ შემდეგი:

1) დაგეგმვა ხორციელდებოდა დანაშაულობის ოპტიმისტური განწყობილების საფუძველზე და არა რეალური სინამდვილის ფაქტებზე დაყრდნობით. სახელდობრ, დანაშაულობის შესახებ მონაცემების შეკრებისას და ანალიზისას გათვალისწინებული არ იყო ლატენტური დანაშაულობის რეალური სურათი, ესე იგი ადვილი ჰქონდა მის შესახებ სტატისტიკური მონაცემების ხელოვნურად გაზრდასა და შემცირებას.

2) დანაშაულობასთან ბრძოლის გეგმებს და ამ გეგმებიდან გამომდინარე გასატარებელ ღონისძიებათა შესრულების ვადებს არ ჰქონდა კონკრეტული ხასიათი. უფრო მეტიც მათი შესრულებისთვის პასუხისმგებელი თანამდებობის პირთა შორის, რომლებიც სხვადასხვა უწყებებს წარმოადგენდნენ არ ჰქონდათ ურთიერთმოქმედების წესის განმსაზღვრელი რეგლამენტაცია. ყოველივე ამის გამო დანაშაულობასთან ბრძოლის დაგეგმვა არა მარტო აბსტრაქტულ ხასიათს ატარებდა, არამედ იწვევდა როგორც დუბლირებასა და უთანხმოებას სამსახურებს შორის, ასევე გაუმართლებელ დანახარჯებს.

3) სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლები მუშაობდნენ ტიპობრივი გეგმების მიხედვით, რომლებიც ნაკლებად განსხვავდებოდნენ ერთიმეორესაგან ქვეყნის სხვადასხვა რეგიონებში (ქალაქებში, რაიონებში). ეს გარემოება დაგეგმვას აქცევდა ფორმალისებულ საქმიანობად, რაც ეფექტური ზემოქმედების საშუალებას არ იძლეოდა მუდმივად ცვალებად მოვლენასთან, სახელდობრ, დანაშაულობასთან ბრძოლის საქმეში.

4) დაგეგმვაში დიდი ყურადღება ეთმობოდა დადგენილ დროში გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ საინფორმაციო-ანალიტიკური ანგარიშების პერიოდულ წარდგენას, რაც მოვალეობის მოხდის მიზნით ტარდებოდა და მოკლებული იყო ყოველგვარ შემოწმებას, გადამოწმებასა და ანალიზს.

ცხადია, ასეთი დაგეგმვა, რომელიც დამყარებული იყო არასწორ და დამახინჯებულ მონაცემებზე, იწვევდა როგორც გაანგარიშების არასწორ შედეგებსა და მცდარ პროგნოზებს დანაშაულო-



ბის ტენდენციების შესახებ, ასევე მთლიანობაში დანაშაულობასთან ბრძოლის გეგმების შესრულებლობას, რაც განპირობებული იყო დაგეგმვის პრობლემისადმი ფორმალური მიდგომით.

დანაშაულობასთან ბრძოლის სრულყოფის ინტერესებიდან გამომდინარე აუცილებელი ხდება დაგეგმვიდან მის პროგრამირებაზე გადასვლა. გეგმასა და პროგრამას შორის აზრობრივ განსხვავებათა არარსებობის მიუხედავად, პრაქტიკაში ამ ტერმინთა გამოყენებას გააჩნია არსებითი განსხვავება. გეგმა გულისხმობს მოფიქრებულ და სავსებით განხორციელებად ღონისძიებათა ჩამონათვალს, რომელთა შესრულებაც დაკისრებული აქვთ გარკვეულ სუბიექტებს. პროგრამა საშუალებას აძლევს მისი რეალიზაციის მონაწილეებს ნათლად (მკაფიოდ) წარმოიდგინონ (წარმოაჩინონ) საკუთარი როლი და შეეგრძნონ ურთიერთმოქმედების არსის აუცილებლობა და მნიშვნელობა პროგრამულ ღონისძიებათა გატარებისას სხვა შემსრულებლებთან ერთად.

პროგრამაში მიზანშეწონილია იმ ცნობების შეტანაც, რომელთა საფუძველზეც მოხდა შესასწავლი მოვლენის ანალიზი და განხორციელდა მისი პროგნოზირება და რაც, თავის მხრივ, უკავშირდება პროგრამული ღონისძიებების გატარებას. ამ უკანასკნელის გატარების პროცესში, ხშირად ვლინდება გასატარებელ ღონისძიებათა დაბალი ეფექტურობის მიზეზები და კერძოდ კი, პროგნოზების შეუსაბამობა რეალური ვითარებისადმი.

ამრიგად, დანაშაულობასთან ბრძოლის სწორი პროგნოზირება და რეალური პროგრამების შედგენა სამართალდაცვის ორგანოებს შესაძლებლობას აძლევს დადგენილ ვადაში მიაღწიონ სასურველ შედეგებს. სამართალდამცავი ორგანოების მიერ შედგენილი დანაშაულობასთან ბრძოლის პროგრამების შესწავლითა და განხორციელებით დგინდება, რომ მათში, როგორც წესი, გათვალისწინებულია: ა) დანაშაულობასთან ბრძოლის ღონის თვისებრივი ამაღლება, პირადი და ქონებრივი უსაფრთხოების დაცვა, საზოგადოებრივი უშიშროების განმტკიცება; ბ) გარკვეული დროის მანძილზე დანაშაულობის ღონის სტაბილიზაციის შენარჩუნება, ხოლო პერსპექტივაში - მისი ღონის დაწვევა და უარყოფითი შედეგების შემცირება; გ) სამართლებრივი კულტურისა და მართლწესრიგის განმტკიცების მიზნით გასატარებელი ღონისძიებები; დ) სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობისათვის ნორმალური პირობების უზრუნველყოფა და მისი ეფექტურობის ამაღლება.

დასახელებულ ღონისძიებათა ზოგადი ხასიათი და არაკონკრეტულობა იმას მოწმობს, რომ პროგრამის შედგენას წინ არ უსწრებდა ღრმა და ყოველმხრივ მოფიქრებული კვლევითი მუშაობა ინფორმაციის შეგროვების, განზოგადების, სისტემაში მოყვანისა და დანაშაულობის სამომავლო ტენდენციების გათვალისწინების თვალსაზრისით.

სახსრების საერთო ოდენობის განაწილების მყარი სისტემის არარსებობაც, კონკრეტულ პროგრამულ ღონისძიებათა განხორციელების მიმართულებისა და სუბიექტების მიხედვით, იწვევს გამოყოფილი სახსრების ხარჯვას არადანიშნულებისამებრ. სახელდობრ, თანამდებობების პირები, რომელთა გამგებლობაშიც შედის თანხების განკარგვა, სრულიად დაუსაბუთებლად ახდენენ ერთი ღონისძიების ჩატარებისათვის სახსრების გადიდებული ოდენობით გამოყოფას, მეორესათვის (არანაკლები მნიშვნელობის მქონე ღონისძიების გატარებისათვის) შემცირებული ოდენობით. მთელ რიგ პროგრამებში, პროგრამის რეალიზაციის მექანიზმის ჩაუდებლობა (უქონლობა), როგორც წესი, აძნელებს ცალკეულ დებულებათა განხორციელებას, ბუნდოვანს ხდის პრიორიტეტული ღონისძიებების გატარების მნიშვნელობას, შემსრულებელთა კომპეტენციასა და მათ შორის ურთიერთმოქმედების ხასიათს. პროგრამებში ასევე გათვალისწინებული არ არის გასატარებელ ღონისძიებათა რეალიზაციის თავისებურებები ცალკეული რეგიონების ადგილობრივ სპეციფიკასთან შეფარდებაში, რამეთუ მთელი ქვეყნის მასშტაბით დანაშაულობასთან ბრძოლის პროგრამების საფუძველზე უნდა მუშავდებოდეს რეგიონალური პროგრამები.

ამრიგად, დანაშაულობასთან ბრძოლის ყოველი ახალი მიზნობრივი პროგრამა უნდა შედგეს წინა პროგრამის რიგი ნაკლოვანებების გათვალისწინების საფუძველზე და მასში ასახვა უნდა ჰქონდეს: ა) კრიმინოგენური სიტუაციის ანალიზმა, რომელიც წინ უძღვოდა პროგრამის დამუშავებას; ბ) დანაშაულობის ძირითადმა ტენდენციებმა; გ) გამოსაყენებელმა პროგრამული მეთოდების დასაბუთებამ; დ) დანაშაულობასთან ბრძოლის წინა პერიოდის პროგრამის უარყოფითი მხარეების ანალიზმა, რამაც განაპირობა ადრე შემუშავებული პროგრამის შეუსრულებლობა ან ნაწილობრივი შესრულება; ე) დაფინანსების კონკრეტულ წყაროებზე მითითებამ და სხვ.

დანაშაულობასთან ბრძოლის პროგრამულ ღონისძიებათა სისტემაში აუცილებლად გამოყოფილ უნდა იქნას შემდეგი მიმართულებები:

ა) მოქალაქეთა სიცოცხლის, ჯანმრთელობის, თავისუფლებისა და ღირსების დაცვა; დანაშაულთა მოკვლევისა და გამოძიების ეფექტურობის ამაღლება;

ბ) სახელმწიფოს კონსტიტუციური წესწყობილების, მისი მთლიანობისა და უშიშროების დაცვა; ბრძოლა ტერორიზმთან, უკანონო შეიარაღებულ ფორმირებებთან, ორგანიზებულ დანაშაულობასა და კორუფციასთან;

გ) სახელმწიფოს ეკონომიკური უსაფრთხოების დაცვა (იგულისხმება: კერძო, სახელმწიფო, მუნიციპალურ და სხვა სახის საკუთრებაზე ხელყოფის დაუშვებლობა);

დ) ჩრდილოვან ეკონომიკასთან და, კერძოდ, დანაშაულებრივი გზით მიღებულ შემოსავალთა ლეგალიზაციასთან (ფულის გათეთრებასთან) ბრძოლა;

ე) ქუჩებში, ტრანსპორტსა და საზოგადოებრივი თავშეყრის სხვა ადგილებში მართლწესრიგისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფა;

ვ) სამართალდარღვევათა თავიდან აცილების ძირითადი მიმართულებები, რომელმაც უნდა მოიცვას როგორც საერთო – პროფილაქტიკური ღონისძიებები, ასევე დანაშაულთა თავიდან აცილების სპეციალური ღონისძიებები. ეს უკანასკნელი კი მიმართული უნდა იყოს სამხედრო მოსამსახურეების, მაწანწალების, მათხოვრების, ნარკომანების, არასრულწლოვანთა და ახალგაზრდული ასაკის პირთა მხრიდან დანაშაულთა ჩადენის თავიდან ასაცილებლად;

ზ) დანაშაულობასთან ბრძოლაში საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება და განმტკიცება;

თ) სამართალდამცავი სისტემის ფინანსური, მატერიალურ-ტექნიკური და საკადრო უზრუნველყოფა.

ყოველი კონკრეტული საპროგრამო ღონისძიების შესრულება უნდა დაეკისროს რამდენიმე პასუხისმგებელ სუბიექტს, თანაც ღონისძიებათა დაფინანსების განსაზღვრული ვადების, საჭირო ზუსტი თანხებისა და მათი დამფინანსებლების დასახელების საფუძველზე.

ღონისძიებათა შემსრულებელთათვის სათანადო ვადების დადგენა ამაღლებს მათ პასუხისმგებლობას დავალებათა დროულად შესრულების თვალსაზრისით. რაც შეეხება პროგრამის სტრუქტუ-

რაში სამართალდარღვევათა პროფილაქტიკის შესახებ თავებისა და პარაგრაფების არსებობა იგი შესაძლებლობას იძლევა: ა) თავიდან იქნეს აცილებული პრიორიტეტული ხასიათის გასაფრთხილებელ ღონისძიებათა დარღვევა; ბ) არ მოხდეს პროფილაქტიკისათვის გამოყოფილი სახსრებისა და ძალების არადანიშნულებისამებრ გამოყენება; გ) განხორციელდეს, პროგრამის შესაბამისად, პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გატარებაზე მუდმივი კონტროლი; დ) ფსიქოლოგიური ზემოქმედება მოახდინონ სამართალდაცვის ორგანოთა იმ კონსერვატორ თანამშრომლებზე, რომელთაც მიაჩნიათ, რომ მთავარია დანაშაულის მოკვლევა და გამოძიების დასრულება; ხოლო შემდგომ, დარჩენილი დროისა და ფინანსების ფარგლებში, ზრუნვა დანაშაულის თავიდან აცილებაზე (ასეთი შეხედულება მცდარია, რადგან მოკვლევისა და გამოძიების პარალელურად უნდა ტარდებოდეს პროფილაქტიკური ხასიათის ღონისძიებები).

ზემოაღნიშნული სახის პროგრამას შეუძლია ხელი შეუწყოს დანაშაულობასთან ბრძოლის ამაღლებას მხოლოდ მისი რეალიზაციის სათანადო მექანიზმის შემუშავებისას. ასეთი მექანიზმების პრაქტიკული გამოყენებისათვის კი, სამართალდამცავი ორგანოებისა და სხვადასხვა უწყებების მიერ, აუცილებელია რიგი ღონისძიებების შესაბამისი დეტალიზაცია (თუ რაში გამოიხატა ეს უკანასკნელი, იგი უნდა აისახოს პროგრამის შესრულების ანგარიშში).

დანაშაულობასთან ბრძოლის გაძლიერების პროგრამის გარდა, ამჟამად შემუშავებულია რეგიონალური პროგრამებიც, რომლებიც ითვალისწინებენ ღონისძიებათა კომპლექსს, მიმართულს დანაშაულობასთან საბრძოლველად რეგიონის მასშტაბით. ამ სახის პროგრამებში დომინირებს ისეთი პრობლემები, როგორცაა: კანონიერებისა და მართლწესრიგის, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლების დაცვა და სხვ. ცხადია, ეს პროგრამები ითვალისწინებენ დანაშაულობის ადგილობრივ სპეციფიკას და მასზე იღებენ ორიენტაციას.

დანაშაულობასთან ბრძოლის რეგიონალური პროგრამები საკმაოდ ვრცლად რეგლამენტირებენ სამართალდარღვევათა პროფილაქტიკას და გამოყოფენ მას ცალკე თავებად. რეგიონალურ პროგრამათა ძირითადი ღონისძიებების სტრუქტურა და შინაარსი მიმართულია დანაშაულობასთან ბრძოლის საერთო სრულყოფისკენ, რაც მოიცავს ახალი სუბიექტების ჩაბმისა და საერთო ძალისხმევის გაერთიანების პროცესს.

რეგიონალური პროგრამები უნდა შექმნავდეს მთელი ქვეყნი-
სათვის შექმნაებული პროგრამების, ხოლო რაიონული - რე-
გიონალური პროგრამების საფუძველზე. რეგიონალურ და რაიონ-
ულ დონეზე დანაშაულობასთან ბრძოლის დაფინანსება უნდა გან-
ხორციელდეს ზემდგომი ორგანოებისა და ადგილობრივი ბიუჯეტი-
დან გამოყოფილი თანხების საფუძველზე. ასეთი ფინანსური უზ-
რუნველყოფა უდავოდ დადებით შედეგებს გამოიღებს დანაშაულო-
ბასთან ბრძოლის საქმეში.



§ 1. კრიმინოლოგიის ისტორიის პერიოდიზაცია

დანაშაულობისა და მასთან ბრძოლის პრობლემის მეცნიერულმა გააზრებამ მეტ-ნაკლებად სისტემატური ხასიათი მიიღო XVIII საუკუნის მეორე ნახევარში. კრიმინოლოგიის როგორც მეცნიერების აღმოცენება, რომელსაც ჯერ კიდევ არ ჰქონდა მიღებული თავისი დასახელება, უკავშირდება სისხლის სამართლის კლასიკურ სკოლას.

კრიმინოლოგიის განვითარებაში შეიძლება გამოიყოს სამი პერიოდი: პირველი (კლასიკური) გრძელდებოდა XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან XIX საუკუნის ბოლო მესამედამდე; მეორე (პოზიტივისტური) – XIX საუკუნის ბოლო მესამედიდან XX საუკუნის 20-იან წლებამდე; მესამე (თანამედროვე ანუ პლურალისტური) – XX საუკუნის 30-იანი წლებიდან დღემდე.

კრიმინოლოგიის კლასიკური პერიოდი უშუალოდ გამომდინარეობს ფეოდალიზმიდან კაპიტალიზმში (XVII-XVIII სს.) გარდამავალი ეპოქის განმანათლებლობის იდეური მიმდინარეობიდან. ის წინ უძღვის და შემდეგ თანსდევს სახელმწიფო, საზოგადოებრივი და სულიერი ცხოვრების გარდაქმნებს, რომლებიც განხორციელდა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციების შემდეგ ევროპაში. ამ პერიოდში მეცნიერება ჩამოშორდა დანაშაულის როგორც „სულიერი დაცემის“ ადრე გაბატონებულ თეოლოგიურ განმარტებას, რაც განიხილებოდა მხოლოდ როგორც ზებუნებრივ ძალთა მოქმედების შედეგი. წამოწყებული იყო რაციონალური, წმინდა თეორიული ხასიათის ახსნა-განმარტებები იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ სჩადიან ადამიანები დანაშაულს. მუშავდებოდა ბევრად უფრო ჰუმანური მიდგომა დანაშაულობისადმი, სისხლისსამართლებრივი სასჯელის ღონისძიებებისადმი და სახელმწიფოს დასჯითი ორგანოების საქმიანობისადმი. კლასიკური კრიმინოლოგიის გამოჩენილი წარმომადგენლები იყვნენ ჩ. ბეკარია (1738-1794) და ი. ბენტამი (1748-1832).

პოზიტივისტურ პერიოდს წანამძღვრად ჰქონდა, ერთი მხრივ, ევროპის ქვეყნებში დანაშაულობის საგრძნობი ზრდა XIX საუკუნის მეორე ნახევარში, ხოლო მეორე მხრივ – საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მკვეთრი განვითარება. დანაშაულობის უფრო ღრმა გაგების გაზრდილ მოთხოვნილებას პასუხობდა კვლევის ახალი მეთოდების წარმოჩენაც. იმ მეცნიერებებში, რომლებიც შეისწავლიდნენ ადამიანს, ინერგებოდა ზუსტი მეცნიერებისაგან ნასესხები ხერხები, რამაც, კერძოდ, მიგვიყვანა ანთროპოლოგიის, სოციოლოგიისა და სტატისტიკის წარმოშობამდე (გაჩენამდე).

პოზიტივისტური პერიოდის კრიმინოლოგიური მოძღვრების მეთოდოლოგიურ საფუძველს შეადგენს პოზიტივიზმის ფილოსოფია. ის წარმოიშვა XIX საუკუნის პირველ მესამედში და ცდილობდა შეეგროვებინა დადებითი, რაოდენობრივად განსაზღვრული მასალა საზოგადოების ცხოვრების სხვადასხვა მხარეების შესახებ. ოგიუსტ კონტის პოზიტივიზმს უწოდებენ საშუალო დონის ფილოსოფიას, რამეთუ მისი ავტორი უარყოფდა მსოფლმხედველობით პრობლემატურობამდე ამალღების აუცილებლობას. აქვე მოკლედ შევჩერდებით მის პოზიტივისტურ შეხედულებათა დაზასიათებაზე. ო. კონტი (1798-1857) იყო ფრანგი ფილოსოფოსი. იგი მიჩნეულია პოზიტივიზმისა და ბურჟუაზიული სოციოლოგიის ერთ-ერთ ფუძემდებლად. მან სახელი გაითქვა ნაშრომით „პოზიტიური ფილოსოფიის კურსი“. კონტის მიხედვით, მეცნიერებამ და ფილოსოფიამ მოვლენათა მიზეზები კი არ უნდა ეძიოს, არამედ კითხვა უნდა დასვას მხოლოდ იმის შესახებ, თუ როგორ წარმოიშობიან ისინი. ამის შესაბამისად, მეცნიერება შეიმეცნებს არა არსს, არამედ მხოლოდ ფენომენს. იგი კაცობრიობის ინტელექტუალურ ევოლუციას სამ სტადიად ჰყოფს და დასძენს, რომ: თეოლოგიურ სტადიაზე ყველა მოვლენა აიხსნება რელიგიურ წარმოდგენათა საფუძველზე; მეტეფიზიკურ სტადიაზე ზებუნებრივ ფაქტორებს ცვლის ბუნების ახსნა არსითა და მიზეზებით; პოზიტიურ ან მეცნიერულ სტადიაზე წარმოიშობა საზოგადოების რაციონალური ორგანიზაციის ხელშეწყობი მეცნიერება საზოგადოების შესახებ.

კონტის სოციოლოგია იყოფა სოციოლოგიურ სტადიად, რომელიც იკვლევს ნებისმიერი საზოგადოების არსებობის უცვლელ

(„ბუნებრივ“) პირობებს და იყოფა, ასევე, სოციოლოგიურ დინამიკად, რომელიც სწავლობს ნებისმიერი საზოგადოების განვითარების (მყარ „ბუნებრივ“) კანონებს.

კონტი მოღვაწეობის უკანასკნელ წლებში განიმსჭვალა რელიგიისა და მისტიციზმის სულისკვთებით. იგი სოციოლოგიას უწოდებს „სოციალურ ფიზიკას“, რომელმაც ერთმანეთს უნდა შეუთანხმოს „წესრიგისა“ და „პროგრესის“ რესტავირებული ტენდენციები. ამგვარი სოციოლოგია კი მისი სიტყვებით არის საკაცობრიო „პოზიტიური მორალი“, ახალი „საკაცობრიო რელიგია“.

კონტის პოზიტივისტურმა იდეებმა დიდი პოპულარობა მოიპოვა XIX საუკუნის ბუნებისმეტყველთა შორის (აქ ვგულისხმობთ ფრანგ ე. ლიტრესა და ინგლისელებს ჯ. მილსა და ჰ. სპენსერს).

პოზიტივიზმთან დაკავშირებით კვლავ ხაზს ვუსმავთ იმ გარემოებას, რომ იგი მიმართულებაა ფილოსოფიასა და სოციოლოგიაში, რომელიც სპეციალურ მეცნიერებათა მსგავსად, ფილოსოფიისაგან მოითხოვს მხოლოდ დადებით ცოდნას. პოზიტივიზმის მიხედვით, ფილოსოფია უნდა გახდეს მეცნიერული. ამისათვის იგი უნდა შეიზღუდოს ისეთი პრობლემების კვლევით, რომელიც ერთმნიშვნელოვნად გადაწყდება სპეციალურ მეცნიერებათა მეთოდებით.

თავის ძირითად თეზისს პოზიტივიზმი ამართლებს შემდეგი მოსაზრებით: სინამდვილის შემეცნება განაწილებულია სპეციალურ მეცნიერებებს შორის. ამ მხრივ ფილოსოფიას არაფერი რჩება გასაკეთებელი. ამიტომ მან უნდა შეაჯამოს და განაზოგადოს სპეციალურ მეცნიერებებში მოცემული ცოდნა, ან გამოიკვლიოს შემეცნების ფსიქიკური პროცესი, ან გააანალიზოს მეცნიერებების ლოგიკური სტრუქტურა. პოზიტივიზმი უარყოფს ფილოსოფიას, როგორც მეცნიერებათა მეცნიერებას, რომელსაც თავისი კვლევის განსაკუთრებული საგანი და მეთოდი აქვს. თუ ფილოსოფია მეცნიერებაა, იგი უნდა იყოს ერთ-ერთი სპეციალური მეცნიერების გვერდით. არ არსებობს ზეემპირიული რეალობა, რომელიც ფილოსოფიის შესწავლის საგანი იქნებოდა, არც სპეციფიკური ფილოსოფიური მეთოდი არსებობს. ფილოსოფიამ უნდა ისარგებლოს სპეციალურ მეცნიერებათა მეთოდებით. პოზიტივიზმის მიხედვით, ცოდნა ან სინთეზურ-ემპირიულია, ან ანალიზურ-აპრიორული. იგი უარყოფს სინთეზურ-აპრიორული ცოდნის შესაძლებლობას. პოზიტივიზმი ცდილობს დადგეს მატერიალიზმსა

და იდეალიზმზე მალლა. იგი თვლის, რომ ეს მოძღვრება არამეცნიერულია, ცილებიან ცდის საზღვრებს, ამიტომ მათი შინაარსი არც ჭეშმარიტია და არც მცდარი. ისინი მეტაფიზიკურ, ზემოპირიულ და მეცნიერულ საზრისს მოკლებული თეორიებია.

ამგვარად, პოზიტივიზმს სამი ძირითადი ნიშანი აქვს: 1. ფილოსოფიის დაყვანა სპეციალურ მეცნიერებებზე; 2. ემპირიზმი, ე. ი. ცდის მიჩნევა შემეცნების ერთადერთ წყაროდ; 3. ტრადიციული ფილოსოფიის, როგორც მეტაფიზიკის, უარყოფა. პოზიტივიზმის პირველი ფორმა იყო სკეპტიციზმი ძველ საბერძნეთში. ახალ დროში იგი დასაბამს იღებს დ. იუმის ფილოსოფიიდან. მისი თანამედროვე ნაირსახეობებია: მახიზმი, ემპირიოკრიტიციზმი და ნეოპოზიტივიზმი.

კლასიკური პერიოდის გონებაჭვრეტით მეცნიერებასთან შედარებით პოზიტივისტური კრიმინოლოგია განსხვავდება ჩადენილ დანაშაულთა შესახებ სტატისტიკური და სხვა ფაქტობრივი მონაცემების ფართო გამოყენებით.

პოზიტივისტური კრიმინოლოგია ვითარდებოდა ბიოლოგიური და სოციოლოგიური მიმართულებით. მიუხედავად ამ ორი ძირითადი მიმართულების წარმომადგენლების აზრთა სხვადასხვაობისა, მათ შორის განსხვავების ზღვარი რამდენადმე წაიშალა და შესამჩნევი გახდა ურთიერთგაგება, რაც გამოიხატება კრიმინოლოგიაში ფსიქოლოგიური თეორიების გაჩენით.

ბიოლოგიური მიმართულება — ანთროპოლოგიური (ტურინის) სკოლა, რომლის ფუძემდებელია ჩ. ლომბროზო (1835-1909), წარმოიშვა იტალიის ქალაქ ტურინში. შემდგომში ამ მიმართულების თეორიები შეივსო რიგი სხვა თეორიებით, რომელთა შორის შეიძლება გამოვყოთ სამიში მდგომარეობის თეორია და სხვადასხვა ბიოლოგიურ მიდრეკილებათა (კონსტიტუციონალური, ენდოკრინული, გენეტიკური) თეორია.

ამ მიმართულების კრიმინოლოგიურ თეორიებში დანაშაულებრივი ქცევა (მთლიანად ან მნიშვნელოვანი ზომით) აიხსნება ადამიანის სხვადასხვა ბიოლოგიური თავისებურებებით, რომლებიც წინასწარ განაწყობენ მას დანაშაულის ჩასადენად. გამონაკლისი არ არის არც აზრი (მსჯელობა) დანაშაულისადმი თანდაყოლილი მიდრეკილების აღმოუფხვრელობის შესახებ დამნაშავეთა გარკვეულ კატეგორიებში. ბიოლოგიური მიმართულების ზოგიერთი წარმო-

მადგენელი მართალია სთავაზობდა ასეთ პირთა მიმართ ისეთი ღონისძიებების გამოყენებას, რომელიც შესაძლებლობას იძლეოდა, რომ აღმოფხვრილიყო საშიში ქცევა, მაგრამ, იგი ამჟამად ეწინააღმდეგებოდა ჰუმანურობის პრინციპს.

სხვადასხვა დროს ცალკეული ავტორების მიერ შემოთავაზებული იყო ისეთი ზომები, როგორიცაა: სამულამო იზოლაცია, კასტრაცია, სიცოცხლის მოსპობა. ამასთან მათი გამოყენების საფუძვლად წამოყენებული იყო არა დანაშაულის ჩადენა, არამედ ასეთისადმი მიდრეკილების არსებობა. ამასთანავე, ბიოლოგიური მიმართულების ყველა კრიმინოლოგი არ იყო ასეთი მკაცრი გამაფრთხილებელი ზომების მომხრე. ზოგიერთი მათგანი თვლიდა, რომ, რამდენადაც დანაშაულისადმი ბიოლოგიური მიდრეკილების მქონე პირი პასუხს არ აგებს თავის ყოფაქცევაზე, იმდენად საზოგადოება უნდა მოექცეს მას ისევე ჰუმანურად, როგორც მძიმე ავადმყოფს.

სოციოლოგიური მიმართულება მომდინარეობს სისხლის სამართლის სოციოლოგიური სკოლიდან, რომელმაც იდეურ საფუძვლად გამოიყენა ო. კონტის სოციოლოგია. ამ სკოლის გამოჩენილი წარმომადგენლები არიან ფ. ლისტი (გერმანია), ე. ფერი (იტალია), მ. ლუზოვსკოი, ი. ფონინციკი, ს. პოზდნიშევი (რუსეთი). ამ მეცნიერებმა წამოაყენეს დანაშაულებრივი ქცევის სოციალური შეპირობების იდეა, რომელიც არ უარყოფს ბიოლოგიურ ფაქტორთა მნიშვნელობას.

უკვე XIX საუკუნის ბოლოს კრიმინოლოგიაში იყენებენ სოციოლოგიური კვლევის მეთოდებს. მრავალ ქვეყანაში შეისწავლებოდა როგორც დანაშაულის, ასევე დამნაშავეების მიმართ გამოყენებულ სასჯელთა სტატისტიკა, კეთდებოდა დამნაშავეთა კონტინგენტისთვის დამახასიათებელ მონაცემთა ანალიზი, იყო დამნაშავეობის მიზეზების ჩამონათვალთა შედგენის, მათი არსის გამოკვლევისა და რაოდენობრივი შეფასების ცდები. სხვადასხვა ქვეყნებში ჩადენილ დანაშაულთა რიგის დინამიკურ მწკრივთა და დანაშაულთა ცალკეული სახეობების განხილვამ შესაძლებელი გახადა დანაშაულობის პირველი პროგნოზების განხორციელება.

ადრეულ ეტაპზე დანაშაულობის სოციოლოგიური შესწავლისათვის დამახასიათებელი იყო ფაქტორების რაც შეიძლება მეტი რაოდენობით დადგენა, რომლებიც განაპირობებდა დანაშაულს

(ფაქტორთა სიმრავლის თეორია). ერთი გამოკვლევიდან მეორე გამოკვლევაში ამ ფაქტორთა რიცხვი მატულობდა და შესაძლებელი ხდებოდა დანაშაულებრივი აქტიურობის ხელშემწყობი სულ ახალ და ახალ გარემოებათა მონახვა. ფაქტორთა ხსენებული თეორიისთვის დამახასიათებელი იყო დანაშაულობის მიზეზთა განხილვა რაიმე კონცეფციის გარეშე, რომელიც შეუძლებელს ხდიდა მათგან ყველაზე არსებითის გამოყოფას.

დანაშაულებრივი ქცევის სოციოლოგიური კონცეფციები რამდენადმე მოგვიანებით ჩნდება. მათი ერთი ნაწილი ემყარება საკუთრივ სოციოლოგიას (სოციალური დეზორგანიზაციის, სტრატეფიკაციის თეორია), ხოლო მეორე ნაწილი – სოციალურ ფსიქოლოგიას (დიფერენციალური კავშირების, დამდის დასმის თეორია).

თანამედროვე კრიმინოლოგიაში დანაშაულების მიზეზებს ზოგჯერ აყენებენ პირდაპირ დამოკიდებულებაში საზოგადოებრივი მოწყობის ნაკლთან, ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ პრობლემებთან. ეს ტენდენცია განსაკუთრებით გაძლიერდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. ეგრეთ წოდებული კრიტიკული კრიმინოლოგია დანაშაულობას უკავშირებს სიღატაკს, უმუშევრობას, მოსახლეობის ცალკეულ ჯგუფთა ფაქტობრივ უთანასწორობას.

§ 2. სისხლის სამართლის კლასიკური სკოლის კრიმინოლოგიური იდეები

როდესაც ვლაპარაკობთ კრიმინოლოგიის კლასიკურ სკოლაზე, ჩვენ, მხედველობაში გვაქვს დანაშაულთა შესახებ იდეებისა და მათთან ბრძოლის სისტემა, რომელიც ჩამოყალიბდა ეგრეთ წოდებული სისხლის სამართლის კლასიკური სკოლის ფარგლებში. მისი დამაარსებელი იყო მილანში მცხოვრები აზნაური ჩ. ბეკარია. თავისი მოძღვრების ძირითადი დებულებები მან ჩამოაყალიბა ცნობილ წიგნში „დანაშაულისა და სასჯელის შესახებ“¹, რომელიც პირველად გამოქვეყნდა ფრანგულ ენაზე 1765 წელს.

¹ Бекария Ч. О Преступлениях и наказаниях. М., 1939.

ბეკარიამ, რომელიც ვერდნობოდა მონტესკიესა და XVII-XVIII საუკუნეების სხვა დიდ განმანათლებელთა იდეებს, შექმნა თავისი დროისათვის პრინციპულად ახალი თეორია. ის აღვა იმ დროს პოპულარული „საზოგადოებრივი ხელშეკრულების“ პოზიციას და თვლიდა, რომ „არსებობს ზნეობრივ და პოლიტიკურ საწყისთა სამი წყარო, რომლებიც მართავენ ადამიანებს: ღვთაებრივი გულახდილობა, ბუნებრივი კანონები და ნებაყოფლობითი საზოგადოებრივი ურთიერთობები“. მოხსენიებული წიგნის ფურცლებზე გადმოცემული დანაშაულებრივი ქცევის მიზეზთა ღრმა გაგება დღესაც აქტუალურად ჟღერს მიუხედავად იმ კოლოსალური ცვლილებისა, რომლებიც გასულ დროში განიცადეს საზოგადოებრივმა სტრუქტურებმა.

ბეკარია დანაშაულთა წყაროს ხედავს „ადამიანთა ვნებების საყოველთაო ბრძოლაში“, კერძო ინტერესების შეჯახებაში. მისი აზრით, „სახელმწიფოს საზღვრების გაფართოებასთან ერთად იზრდება მისი მოუწყობლობა; იმავე ზომით სუსტდება ეროვნული გრძნობა; შეგულიანება დანაშაულის ჩასადენად იზრდება გამორჩენის თანაზომიერად, რომელსაც იღებს ყოველი თავისთვის საზოგადოებრივი მოუწყობლობიდან“.

კრიმინოლოგიისთვის მნიშვნელობა აქვს ბეკარიას პროგნოსტიკულ შეხედულებას სახელმწიფოს შხრივ დანაშაულობის აღმოფხვრის პერსპექტივებზე. ამ დასკვნას არ გააჩნია დაუსაბუთებელი ოპტიმიზმი, ის რეალისტურია: „შეუძლებელია ყველა ბოროტების თავიდან აცილება“. შემდეგ ავტორი აკეთებს არსებით შენიშვნას იმის შესახებ, რომ დანაშაულთა რიცხვი იზრდება მოსახლეობის ზრდისა და აქედან კერძო ინტერესთა მზარდი შეჯახების თანაზომიერად. განსაკუთრებულ მნიშვნელობას ბეკარია ანიჭებდა იდეებს სახელმწიფოს რეაგირების მეთოდების შესახებ ჩადენილ დანაშაულებთან მიმართებაში. ეს იდეები დიდ გავლენას ახდენდნენ და ახლაც ახდენენ სისხლის სამართლის თეორიაზე და პენიტენციალური სამართლის სრულყოფაზე. კერძოდ, მათი გავლენით სხვადასხვა სისტემების მქონე ქვეყნებში გაჩნდა დანაშაულთა სოციალური პროფილაქტიკა როგორც სახელმწიფო საქმიანობის ერთ-ერთი მიმართულება.

ბეკარია პრინციპული წინააღმდეგი იყო სასჯელის სისასტიკის, რადგან მიაჩნდა, რომ იგი შორს იყო სასურველი შედეგის

მიღწევისა და „საზოგადოებრივი ხელშეკრულების ბუნებისაგან“. სასტიკი სასჯელის უსარგებლობასთან დაკავშირებით იგი წერდა შემდეგს: „იმ დროში და იმ ქვეყნებში სადაც იყო ყველაზე სასტიკი სასჯელი, იქ სწრაფად იყვნენ ყველაზე სისხლისმღვრელ და არაადამიანურ მოქმედებებს, რამეთუ იგივე მხეცური ჟინი, რომელიც აწერიებდა კანონმდებელს მკაცრ სასჯელს, მართავდა მაძიმკვლელისა და ყაჩაღის ხელსაც“. ბეკერია თავისი მკაცრი (შეუბრალებელი) დროის პირობებში გამოვიდა სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ, რაც უდავოდ მოქალაქეობრივი სიმამაცის ტოლფასი იყო.

ბეკარიამ დასვა საკითხი სისხლისსამართლებრივი სასჯელის შესახებ და შესთავაზა მისი ისეთი გადაწყვეტა, რომელიც დღესაც არის ასახული მრავალი ქვეყნის კანონმდებლობაში. „სასჯელის მიზანია, — წერდა იგი, — არა ადამიანის გვემა და ტანჯვა და არა ის, რომ არარსებული გახადოს უკვე ჩადენილი დანაშაული. სასჯელის მიზანი მხოლოდ იმაშია, რომ ხელი შეუშალოს დამნაშავეს ხელახლა მიაყენოს ვნება საზოგადოებას და შეაკავოს სხვები ასეთივე ხასიათის ქმედებისაგან... უნდა გამოიყენებოდეს მხოლოდ ისეთი სასჯელი, რომელიც დანაშაულთან თანაზომიერების შენარჩუნებასთან ერთად მოახდენენ ადამიანებზე ყველაზე ძლიერ და ყველაზე ზანგრძლივ შთაბეჭდილებას და ნაკლებად მტანჯველი იქნება დამნაშავეის სხეულისათვის“.

კლასიკური სკოლა მოითხოვდა, რომ სასჯელის ოდენობა დამოკიდებული ყოფილიყო მხოლოდ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეზე. ეს პრინციპი უდევს საფუძვლად სასჯელის თეორიებსაც. კლასიკური სკოლის მიმდევართა უმრავლესობა სასჯელს განიხილავს როგორც მისაგებელს, ე.ი. როგორც დანაშაულის პროპორციულ საზღაურს. ბეკარიას თანაზომიერება დანაშაულსა და სასჯელს შორის მიაჩნდა სამართლიანობის გამოვლინებად. მისი აზრით სამაგიეროს მიზლვა წარმოადგენს დამნაშავეისათვის ჩადენილი დანაშაულის გამოსყიდვას. როგორც ვხედავთ, ჩ. ბეკარია სასჯელს სამართლიანობის საწყისად მიიჩნევს.

კლასიკურმა სკოლამ ჩამოაყალიბა მთელი რიგი დასჯითი პრინციპი და პირველ რიგში სასჯელის დაუფოვნებლობა, ასევე დანაშაულის სიმძიმესა და სასჯელს შორის თანაფარდობისა და, ბოლოს, სასჯელის აუცილებლობის პრინციპი. სწორედ ბეკარიამ

განსაზღვრა ეს პრინციპი ამდაგვარად: „დანაშაულის შემაკავებელ ერთ-ერთ ყველაზე ქმედით საშუალებას წარმოადგენს არა სასჯელთა სისასტიკე, არამედ მათი აუცდენლობა“.

ბეკარია უნდა ჩაითვალოს კრიმინოლოგად, ხოლო სისხლის სამართლის კლასიკური სკოლა — შესაბამისად კრიმინოლოგიის სკოლადაც. ბეკარიას ნაშრომში „დანაშაულსა და სასჯელის შესახებ“ რამდენიმე კარი საგანგებოდ ეძღვნება დანაშაულთა თავიდან აცილების საკითხებს. სწორედ ამ ავტორს ეკუთვნის სიტყვები იმის შესახებ, რომ „დანაშაულის დასჯას ჯობს მისი თავიდან აცილება. ამაშია ყველაზე კარგი კანონმდებლობის მთავარი მიზანი“.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ კლასიკური სკოლა დანაშაულის თავიდან აცილებას უკავშირებს თავისუფლებასა და განათლებას. „დამონებული ადამიანები ყოველთვის უფრო ავხორციები, გარყვნილები და სასტიკები, ვიდრე თავისუფლები“ — აღნიშნავენ ამ სკოლის წარმომადგენლები. ბეკარია წინააღმდეგი იყო საგანგებო აკრძალვებისა და სისხლის სამართლის კანონის სფეროს გაუმართლებელი გაფართოების.

დანაშაულის თავიდან აცილების ყველაზე მართებულ საშუალებად ბეკარიას მიაჩნდა სრულყოფილი აღზრდა.

კლასიკური სკოლის იდეები ნაყოფიერი აღმოჩნდა. მათ ხელი შეუწვევს სისხლის სამართლის კანონმდებლობის ძირეულ „ბურჟუაზიულ“ რეფორმას, რომელიც გახდა უფრო ჰუმანური და მიზანშეწონილი. მაგრამ ამ სკოლამ აშკარად ვერ შეაფასა პიროვნების თავისებურებანი, რომლებიც გარკვეულ როლს თამაშობდა დანაშაულის ჩადენაში, არ ჩათვალა საჭიროდ მათი გათვალისწინება სასჯელისა და დანაშაულის თავიდან აცილების განხორციელებაში. კლასიკური სკოლა, რომელიც წარმოადგენდა „წმინდა გონების“ თეორიას, ნაკლებად უყრდნობოდა პრაქტიკასა და ფაქტობრივ მასალას დანაშაულობის შეშეცნებასა და მისი მიზეზების ახსნაში.

ამრიგად, კლასიკური სკოლის მეთოდოლოგიური წინამძღვარი იყო იურიდიული მსოფლმხედველობა. კლასიკური სკოლის თვალსაზრისით, სისხლის სამართლის მეცნიერების საგანია დანაშაული და სასჯელი როგორც განყენებული სამართლებრივი ცნებები, რომლებიც უნდა შეისწავლონ ფორმალურ-იურიდიული (დოგ-

მატური) მეთოდის საშუალებით. აქედან გამომდინარე, ცხადია, კლასიკური სკოლა წყვეტდა ერთმანეთს ფორმასა და შინაარსს, აფეტიშებდა სისხლის სამართლის კანონს და განიხილავდა დანაშაულსა და სასჯელს ისტორიული და სოციალური პერსპექტივის გარეშე; ამით იგი ამ ცნებებს მიაკუთვნებდა სამარადისო და ლოგიკურ კატეგორიებს, რომელთა არსებობა არ არის დაკავშირებული საზოგადოების ეკონომიკურ ფორმაციასთან. იგი არ სვამდა საკითხს დანაშაულობის გამომწვევი მიზეზების შესახებ. მანკიერი მეთოდოლოგიის გამო კლასიკურმა სკოლამ სრული უშეწობა გამოამჟღავნა დანაშაულობის ზრდის ახსნაში, ვერ შეძლო დაესახა მასთან ბრძოლის რადიკალური ზომები. ყველა ამ საკითხის წინა პლანზე წამოწევა წილად ხვდა კრიმინოლოგთა შემდგომ თაობებს.

§ 3. პოზიტივიზმი¹ კრიმინოლოგიაში

კრიმინოლოგიაში პოზიტივიზმის ფუძემდებლად ითვლება ჩ. ლომბროზო, რომელმაც 1876 წელს იტალიაში გამოაქვეყნა თავისი შრომა: „დამნაშავე ადამიანი“. ის იყო ციხის ექიმი ქ. ტურინში, მან გამოიკვლია პატიმართა მნიშვნელოვანი რაოდენობა მათი გარეგნობის გაზომვისა და აღწერილობის ანთროპოლოგიური მეთოდების გამოყენებით. დაკვირვებათა საფუძველზე მან გააკეთა დასკვნა, რომ ტიპობრივი დამნაშავეის შეცნობა შესაძლებელია განსაზღვრული ფიზიკური ნიშან-თვისებების მიხედვით. კერძოდ ისეთისა, როგორიცაა: ჩაზნექილი შუბლი, დაგრძელებული ან განუვითარებელი ყურის ბიბილოები, სახის ნაოჭები, თმის მეტისმეტი ტალღისებურება ან ხვეულობა, მელიოტი თავი, ტკივილისადმი ძლიერი ამტანობა, სხეულზე შეხებისას სუსტი მგრძობელობა და სხვ.

მან შეიმუშავა დამნაშავეთა კლასიფიკაცია, რომელმაც მოიცვა შემდეგი ჯგუფები: 1) დაბადებითი დამნაშავეები; 2) სულით ავადმყოფი დამნაშავეები; 3) ვნებიანი (აღზნებული) დამნაშავეები,

¹ პოზიტივიზმი — წარმოდგარია ლათინური სიტყვისაგან „positivus“ და დადებითს ნიშნავს. იგი მიმართულებაა ფილოსოფიასა და სოციოლოგიაში. ვინაიდან მის შესახებ უკვე გეჰქონდა საუბარი, ამდენად მის დახასიათებაზე არ შევჩერდებით.

რომლებსაც ლომბროზო „პოლიტიკურ მანიაკებსაც“ მიაკუთვნებდა; 4) შემთხვევითი დამნაშავეები¹.

ლომბროზო დაბადებითი დამნაშავეების არსებობას ატავიზმით ასახულებს. კერძოდ, მისი აზრით ცივილიზებულ ადამიანთა შრავალი თაობის შემდეგ შეიძლება დაიბადოს პირველყოფილი წინაპრების თვისებათა მქონე ადამიანი, ველური, რომელსაც ორგანულად არ ძალუძს შეეგუოს თანამედროვე ცივილიზებული საზოგადოების ქცევის წესებს. მისი გამოკვლევებით დანაშაულის ჩადენის ერთი შესაძედი ისეთ პატიმრებზე მოდის, რომლებსაც ატავისტური ნიშან-თვისებები გააჩნიათ. **ლომბროზოს** შეხედულებათა მცდარობა შემდგომში დაადასტურა არაერთმა გამოკვლევებმა. ასე მაგალითად, პათოლოგოანატომი **დ. ზერნოვი** საგანგებოდ ჩატარებულ შესამოწმებელ გამოკვლევათა საფუძველზე იმ დასკვნამდე მივიდა, რომ „დამნაშავედ დაბადებული“ არ არსებობს, რომ ანატომიის დარგში კვალიფიციური ძიებით მისი არსებობა ვერ დამტკიცდა. **დ. ზერნოვი** აღნიშნავდა, რომ დამნაშავეთა შორის გვხვდება ადამიანები დეგენერაციის ნიშნებით, ისევე როგორც ადადამნაშავე ადამიანებს შორის. მათი რაოდენობა, ალბათ, ერთნაირია როგორც დამნაშავეთა, ასევე არადამნაშავეთა შორის და ამიტომაც საშუალო რიცხვიც ერთნაირია.

მიუხედავად, **ლომბროზოს** დებულებათა მცდარობისა დამნაშავედ დაბადებულთა ნაირსახეობის არსებობის შესახებ, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ მისი წვლილი კრიმინოლოგიის განვითარებაში. სწორედ **ლომბროზომ** დაიწყო ფაქტობრივ მასალებზე დაყრდნობით გამოკვლევები, დააყენა საკითხი დანაშაულებრივი ქცევის მიზეზობრიობისა და დამნაშავის პიროვნების შესწავლის აუცილებლობის შესახებ, განმარტა რომ მიზეზი — ურთიერთდაკავშირებულ მოვლენათა ჯაჭვია.

მოგვიანებით გამოცემულ შრომებში ლომბროზომ მოახდინა საკუთარი თეორიის მოდიფიკაცია, ასევე გააანალიზა ფაქტორთა დიდი რაოდენობა, რომლებიც გავლენას ახდენენ დანაშაულობაზე. ასე მაგალითად, მის ძირითად თხზულებაში „დანაშაული“ ის განიხილავს დანაშაულობის დამოკიდებულებას მეტეოროლოგიურ,

¹ იხ. **Зернов Д.** Критический очерк анатомических оснований криминологической теории Ломброзо. М., 1901, с. 75.

კლიმატურ, ეთნიკურ, კულტუროლოგიურ, დემოგრაფიულ, ეკონომიკურ, აღმზრდელობით, მემკვიდრეობით, ოჯახურ და პროფესიულ მდგომარეობასთან კავშირში. ამ შრომაში მემკვიდრეობას არ ენიჭება გადაჭარბებული მნიშვნელობა, ის მოიხსენიება დანაშაულობის ფაქტორთა გრძელ ჩამონათვალის მხოლოდ ბოლოში. მის როლზე ავტორი საკმაოდ ბუნდოვნად წერს: „ორგანიზმის განვითარების ტიპი უცვლელად გადაიცემა მემკვიდრეობით. თვით ბავშვები საკმაოდ მნიშვნელოვან მონაწილეობას იღებენ მემკვიდრეობის გამოვლენაში“.

მტკიცებას დანაშაულისადმი მემკვიდრეობითი მიდრეკილების შესახებ შეიძლება შევხვდეთ თანამედროვე შრომებშიც, მაგრამ ამ შემთხვევაში ავტორთა აქცენტი გადატანილია ტემპერამენტის ტიპის, სქესობრივი და ასაკობრივი მახასიათებლების, სხვა ბიოფსიქოლოგიური თავისებურებებისა და თვით ანომალიების დახასიათებაზე, რაც უპირობოდ ვლინდება ადამიანის ქცევაში. გარემოს საზოგადოებასთან ურთიერთობაში ისინი განაპირობებენ ადამიანის ქცევასა და გარკვეულ ვითარებაში შეიძლება გახდეს დანაშაულის ჩაღვნიის ერთ-ერთი წინაპირობა. ამგვარად, ბიოლოგიური გზით შეიძლება მემკვიდრეობით მიიღებოდეს დანაშაულებრივი ქცევის ცალკეული წინაპირობა.

გერმანელმა ფსიქიატრმა ე. კრენშერმა (1888-1964) და მისმა ამერიკელმა მიმდევრებმა კრიმინოლოგთა წრიდან დაადასტურეს კავშირი ადამიანის აღნაგობის ტიპსა და ხასიათს შორის. საბოლოო ანგარიშით, ამ სპეციალისტთა აზრით, ეს კავშირი შეიძლება გამოვლინდეს განსაზღვრული სახეობის დანაშაულის ჩაღვნიაშიც. ასეთ მიდგომას უწოდეს კონსტიტუციური მიდრეკილების თეორია. ამის გარდა გაჩნდა ენდოკრინული და ქრომოსომული მიდრეკილების თეორიები. პირველი თეორიის თანახმად, ემოციური მერყეობა, რაც შეინიშნება დამნაშავეთა ნაწილში როგორც მათი აქტიურობის მამოძრავებელი ძალა, ახსნილია შინაგანი სეკრეციის ჯირკვლების მოქმედების დარღვევით; მეორე თეორია კი, ცალკეულ დანაშაულში გამოვლენილ ზეაგრესიულობას

უკავშირებს დამნაშავეს გენეტიკურ ნაკრებში ზედმეტი მამრობითი ორბიტის არსებობას.¹

ჯერ კიდევ ლომბროზოს სიცოცხლეში მის მიერ გამოთქმული თეორიული დებულებები დაზუსტებული და შევსებული იყო მისი მოწაფეების ე. ფერისა და რ. გაროფალოს მიერ, რომლებიც უარყოფდნენ კლასიკური სკოლის მოძღვრებას თავისუფალი ნების შესახებ. ფერის მიერ შეთავაზებული იყო სასჯელის ინსტიტუტისთვის მიეკათ წმინდა დაცვითი ან დამცველი ხასიათი. იგი ასევე წინადადებას იძლეოდა, რომ დანაშაულობა იდეალში განეხილათ როგორც ავადმყოფობა, ხოლო დასჯითი სისტემა როგორც კლინიკა.² ფერი და გაროფალო გარკვეულ მნიშვნელობას ანიჭებდა დანაშაულის ბიოლოგიურ განპირობებულობას.

ამასთან ერთად ფერი საკმაოდ ფუნდამენტურ დახასიათებას აძლევს სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ფაქტორთა გავლენას დანაშაულობაზე, ხოლო გაროფალო ჩაეფლო დანაშაულებრივი ქცევის ფსიქოლოგიურ ახსნაში. ასე ჩაეყარა საფუძველი შემდგომში შესაბამისად სოციოლოგიურ და ფსიქოლოგიური საკითხების დამუშავებას. ტურინის სკოლის გავლენა კრიმინოლოგთა შემდგომი თაობების ზოგიერთ მკვლევარზე წარმოჩნდა, კერძოდ, დამნაშავეს მორალური პასუხისმგებლობის პრინციპისა და სასჯელის როგორც მისაგებელის გაგების უარყოფაში.

ადრეულ ეტაპებზე სოციოლოგიური მიმართულება ძირითადად განხორციელდა სოციალური დეზორგანიზაციისა და დიფერენციული კავშირის თეორიებში.

სოციალური დეზორგანიზაციის თეორია იძლევა დანაშაულობის ახსნა-განმარტებას სოციალურ დონეზე, დამნაშავეს ფსიქოლოგიას ხდის დამოკიდებულს საზოგადოების ფუნქციონირების პროცესებზე. ეს თეორია დღემდე მსოფლიო კრიმინოლოგიის ყველაზე მნიშვნელოვანი თეორიული მიღწევაა. მასში, კერძოდ, მოხერხებულად შეთავსებულია აბსტრაქტული კონცეფცია კონკრეტული მასალის კვლევასთან. მისი ფუძემდებელია ფრანგი სოციოლოგი ე. დიურკჰეიმი (1858-1917), რომლის იდეები წარმატებით

¹ იხ. Яковлев А. М. Теория криминологии и социальная практика. М., 1985, с. 54.

² იხ. Ферри Э. Уголовная социология. СПб., 1900, с. 135.

იყო განვითარებული და შევსებული ამერიკელი რ. მერტონის მიერ. ამ თეორიის მეთოდოლოგიურ საფუძველს შეადგენს სოციალოლოგია.

დიურკჰეიმში ამტკიცებდა, რომ ინდივიდი განიცდის „სოციალურ ფაქტორთა“ გავლენას, რომლებსაც, კერძოდ, მიეკუთვნება მასთან მიმართებაში გარეშე აზრთა, მოქმედებათა და მგრძნობელობათა წყობა. ამასთან ის გამოდიოდა იქიდან, რომ კოლექტიური მიდრეკილებანი არ დაიყვანება ინდივიდის მიდრეკილებამდე, ისინი წარმოადგენენ რაღაც სხვაგვარს, ვიდრე ცალკეულ ადამიანთა შეხედულებების ჯამი. ასე მაგალითად, მისი აზრით საზოგადოებრივი მორალი ყოველთვის უფრო მკაცრი და უკომპრომისოა, ვიდრე ინდივიდუალური მორალი. საზოგადოების მორალი უკარნახებს კონკრეტულ ადამიანებს ქცევის წესებს. როცა დიურკჰეიმში ახსნა-განმარტებას აძლევს სოციალურ ნორმებიდან გადახრილ ქცევას (დევიანტურს), იგი ყველაზე დიდ ყურადღებას ამახვილებს თვითმკვლელობებსა და მკვლელობებზე. ამასთან ის სარგებლობს ორი მეცნიერული კატეგორიით: სოციალური დარაზმულობისა (შემჭიდროებულობისა) და ანომიით.

წარმატებით ფუნქციონირებად საზოგადოებაში, დიურკჰეიმის აზრით, ყოველთვის დიდი დარაზმულობაა, რაც გამოიხატება იმაში, რომ უძრავლესობა სოლიდარულია იდეალებსა და წარმოდგენებთან მიმართებაში. პერიოდულად საზოგადოებრივი წონასწორობის დარღვევის შემთხვევებში, რაც შეიძლება მოხდეს როგორც ეკონომიკური უბედურების, ასევე ქვეყნის კეთილდღეობის მკვეთრი ზრდის შედეგად, ადამიანებს შორის დარაზმულობა სუსტდება და საზოგადოება განიცდის დეზორგანიზაციას.

სოციალური დეზორგანიზაცია, კერძოდ, გამოიხატება ანომიის მოვლენაში. თეოლოგიური ლექსიკონიდან ნასესხები ეს ტერმინი სიტყვა-სიტყვით ითარგმნება როგორც „უნორმატიულობა“. ანომია დიურკჰეიმს ესმის როგორც სოციალური ფაქტი, როგორც საზოგადოების ისეთი მდგომარეობა, როდესაც არსებითად სუსტდება მორალის შემაკავებელი მოქმედება და საზოგადოებას რაღაც დროის განმავლობაში არ შესწევს უნარი შემოქმედება იქონიოს ადამიანზე. დეზორგანიზაციის, ანუ ანომიის, საერთო მდგომარეობა ძლიერდება იმით, რომ ვნებები ყველაზე ნაკლებად ემორჩილება დისციპლინას სწორედ მაშინ, როდესაც ეს ყველაზე საჭიროა.

ამგვარად, დიურკჰეიმმა გამოავლინა თავისი ხასიათით ნორმატიული ფენომენი – „ანომია“, რაც, მისი აზრით, დანაშაულობის ძირითადი მიზეზია.

ამ სოციოლოგის მრწამსის თანახმად, დანაშაულობის მთავით არსებობა ნორმალურია იმ პირობით, რომ ის აღწევს, მაგრამ არ აღემატება დონეს, რომელიც დამახასიათებელია გარკვეული ტიპის საზოგადოებისათვის. „ამ დონის, – წერს დიურკჰეიმი, – დადგენა შესაძლოა, ე. ი. შეუძლებელი არ არის“¹.

ანომიას დიურკჰეიმის მიმდევრები განიხილავენ ორი ასპექტით: 1) როგორც საზოგადოების დამახასიათებელ და 2) როგორც ცალკეული ადამიანის დამახასიათებელ მოვლენას. მერტონმა შეავსო დიურკჰეიმის მოძღვრება თეზისით იმის შესახებ, რომ ანომიის მიზეზი შეიძლება იყოს წინააღმდეგობა მიზნებსა (რომელსაც პროპაგანდას უწევს საზოგადოება) და მოწონებულ საშუალებებს შორის (რომლებიც მიღებულია ამ საზოგადოებაში). ამერიკულ საზოგადოებაში საყოველთაოდ მიღებული პირადი წარმატებისა და კეთილდღეობის მიზნების პროპაგანდას უპირისპირდება ამ წარმატების მოპოვების, სახელდობრ – განათლების, პროფესიის, სიძიდრისა და ა. შ., ხელმისაწვდომობის შეზღუდულობა. აქედან გამომდინარე საზოგადოების დაბალი ფენებისათვის პრაქტიკულად მხოლოდ ერთი გამოსავალია რჩება – სამართლებრივი ნორმების დარღვევა. დებულება მიზნებისა და საშუალებების შესახებ ითვლება მერტონის ძირითად თეზისად, რითაც მან გაამდიდრა სოციალური დეზორგანიზაციის თეორია².

დიფერენციალური კავშირის თეორიასთან დაკავშირებით უნდა შევნიშნოთ, რომ იგი ემყარება ფრანგი მეცნიერის გ. ტარდის მიერ (1843-1904) შექმნილ კონცეფციას. იგი თავის წიგნში „მიბაძვის კანონები“, ლომბროზოს ბიოლოგიური მიდგომისაგან განსხვავებით, დანაშაულებრივი ქცევისადმი მიჩვენებს ხსნის მიბაძვის ფსიქოლოგიური მექანიზმების არსებობით.

დიფერენციალური კავშირის თეორიის შესახებ დაწერილებითაა საუბარი ამერიკელ ედ. სატერლენდის წიგნში „კრიმინოლო-

¹ იხ. Дюркгейм Э. Развитие общественного труда. Метод социологии. М., 1990, с. 21.

² იხ. Merton R. Social Structure and Anomi/American Sociological Review. 1938, № 3. P. 672-682.

გვის პრინციპები“. ამ წიგნის მეთოდოლოგიურ ბაზას შეადგენს სოციალური ფსიქოლოგია, ე. ი. მეცნიერება პატარა სოციალური ჯგუფების შესახებ. მასში მოცემულია ნეგატიური ქცევის მოდელთა ათვისების მექანიზმის ახსნის ცდები.

სატერლენდის თეორია მიმართულია ინდივიდუალური სისტემატიური დანაშაულებრივი ქცევის ახსნაზე. სატერლენდი, ეხება რა დანაშაულობას მთლიანად, ეყრდნობა სოციალური დეზორგანიზაციის თეორიას. სწორედ სოციალური დეზორგანიზაცია, აღმოცენებული მობილურობის, კონკურენციისა და კონფლიქტის სოციალური პროცესების შედეგად, მისი აზრით, წარმოადგენს დანაშაულობის ძირითად მიზეზს. ის წარმოშობს კულტურათა კონფლიქტს, რომელსაც მიყვება „დიფერენცირებულ კავშირამდე“.

ამ თეორიის თანახმად, დანაშაულებრივი ქცევა წარმოიშვება ცალკეული ადამიანებისა ან ჯგუფების კავშირის შედეგად, თანაც თუ მათში დომინირებს სამართალდარღვევათა ჩადენის მიდრეკილება. რაც უფრო ხშირი და მტკიცეა ეს კავშირები, მით მეტია იმის ალბათობა, რომ ინდივიდი დამნაშავე გახდება. სატერლენდი და მისი მიმდევრები უარყოფენ მიდრეკილებათა ბიოლოგიურ მემკვიდრეობას. მათ მიაჩნიათ, რომ დანაშაულებრივი ქცევის ათვისება და შესწავლა უმთავრესად ხდება ჯგუფებში, თანაც ურთიერთობის პროცესში. ბევრი რამ დამოკიდებულია კონტაქტების სიხშირეზე, ხანგრძლივობაზე, რიგითობასა და ინტენსიურობაზე. დანაშაულებრივი ქცევის სწავლება არაფრით არ განსხვავდება ნებისმიერი სხვა სწავლებისაგან¹.

დიფერენცირებული კავშირის თეორიას მაღალი შეფასება მიეცა მსოფლიო და განსაკუთრებით ამერიკულ კრიმინოლოგიაში. ამასთან ამ თეორიას გააჩნია ნაკლოვანებები. არ შეიძლება, რასაკვირველია, იმის თქმა, ვითომ ადამიანის მიერ დანაშაულის ჩადენის ყველა მექანიზმი ამოწურულია იმით, რაც აღწერილია „კრიმინოლოგიის პრინციპებში“. დანაშაულს ყოველთვის არ სჩადიან ურთიერთობის გავლენით. ზოგჯერ ეს არის იდეათა შედეგი, ამოღებული წიგნებიდან, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებიდან

¹ დიფერენციალური კავშირის თეორიაზე დაწერილებითაა საუბარი კრიმინოლოგიის სახელმძღვანელოში (იხ.: Криминология, М., 1997, Под редакцией А. И. Долговой, с. 407-424).

და სხვ. ზოგჯერ კი დანაშაული წარმოადგენს პროტესტს იმის წინააღმდეგ, რაც გახდა ნორმა ანუ ქცევის წესი ინდივიდის უშუალო გარემოცვაში.

დიფერენცირებული კავშირის თეორიის დებულებათა საფუძველზე ვერასგზით ვერ ავხსნით, თუ რატომ, მაგალითად, დამნაშაებებთან გაზრდილი ზოგიერთი ადამიანი არასდროს არ სჩადის დანაშაულს და, პირიქით, რატომ გამოდის დამნაშავე კანონმორჩილ კეთილზნიან გარემოდან. დანაშაულებრივი ქცევის სწავლების შესახებ თეზისები არ გამოდგება სიტუაციური დამნაშავეებისათვის, აგრეთვე დამნაშავეებისათვის, რომლებიც აღიზარდნენ მათ ცნობიერებაში ღრმად ფესვგადებული (უფრო ხშირად ანგარებითი ან პოლიტიკური) იდეის ნიადაგზე. დიფერენცირებული კავშირის თეორია იგნორირებს პიროვნების ინდივიდუალურ თავისებურებებსა და აგრეთვე ადამიანისთვის დამახასიათებელი ქცევის არჩევითობას (თავისუფალ ნებას).

კრიმინოლოგიის პოზიტივისტური მიმართულების ფარგლებში იყო ფსიქოლოგიური მიდგომებიც (ეს უკანასკნელი მოდის რ. გაროფალოდან). დანაშაულებრივი ქცევის შემსწავლელი რიგი კრიმინოლოგი აქცენტს აკეთებდა დამნაშავეს პიროვნებაზე და თანაც მიუთითებდა ფსიქოლოგიის ნაკლებ წვლილზე კრიმინოლოგიაში. მათი აზრით, ფსიქოლოგიურ გამოკვლევათა დაბალი პროდუქტიულობა აიხსნებოდა ფსიქოლოგების გადაჭარბებული გატაცებით სოციალური, მათ შორის მათემატიკური მეთოდებით.

არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ ფსიქოლოგიამ ბევრი რამ მისცა კრიმინოლოგიას მეთოდისა და აგრეთვე ფსიქოდიავნოსტიკური და ფსიქომეტრული მეთოდების შემუშავების ხაზით. დამნაშავეების შესწავლისას უდავოდ დიდი სარგებლობა მოაქვს სპეციალური ტესტების შემუშავებასა და გამოყენებას. აშშ-ში ომის შემდგომ პერიოდში აღინიშნება საზოგადოებაში დანაშაულობის კვლავწარმოების სოციოლოგიურ თეორიული აღწერილობიდან თანამედროვე ფსიქოლოგიის მეთოდების პრაქტიკულ გამოყენებაზე გადასვლა. ეს მეთოდები გამოიყენება დანაშაულის ჩამდენ პირთა გამოკვლევისას და გამიზნულია ამ ადამიანების ნორმალურ საზოგადოებრივ ცხოვრებასთან შეფუძვლის ოპტიმალური გზების განსაზღვრისათვის.

ამერიკელი, ფრანგი და სხვა სპეციალიტების მიერ შემუშავებული ტესტები სამართალდამრღვევთა შესწავლისა და მათზე ინდივიდუალური ზომების მიღების საშუალებას იძლევა. ტესტირების საშუალებით განსაზღვრავენ ადამიანის მიდრეკილებას, მისი გონებრივი განვითარების დონესა და კლინიკურ გადახრებს. ესე იგი მათ მიერ შემუშავებული სხვადასხვა სახის სკალები გვეხმარება გამოსაკვლევ პირთა უნარის შეფასებაში. ინდივიდუალურ ტესტებთან ერთად გამოიყენება აგრეთვე ჯგუფური ტესტები, რომლებიც ინდივიდის ირგვლივმოფობთან (გარემოწრესთან) ურთიერთმოქმედების თავისებურებათა გაგების საშუალებას იძლევა.

ფსიქოლოგიური თეორიების გამოყენება გარდა ზემოაღნიშნულისა, ასევე ხდება მსჯავრდებულთა ქცევაში ეტაპობრივი კორექციის (შესწორების) გატარების აუცილებლობის დასაბუთებისათვის. ასე მაგალითად, რ. კენედის სახელობის ახალგაზრდულ ცენტრში მორგანტაუნში (აშშ) ხორციელდება „მოდულიკაციის“ მეთოდიკა, რომლის საფუძველს წარმოადგენს ანაზღაურებათა სისტემა, რომელიც მოწოდებულია მსჯავრდებულის ქცევაში მოახდინოს დადებითი ძვრების განმტკიცება.

საშიში მდგომარეობის თეორია, დანაშაულთა თავიდან აცილების რაკურსით, იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ შეიქმნას კლინიკური კრიმინოლოგიის თეორიულად დასაბუთებული კომპლექსური მეთოდიკა. ამ მიმართულებით პირველი წიგნი „საშიში მდგომარეობის კრიტერიუმები“ 1880 წელს გამოაქვეყნა რ. გაროფალომ. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ამ თეორიის გამოჩენილი წარმომადგენელია ფრანგი კრიმინოლოგი ჟან პინატელი. ეს თეორია საკმაოდ ფართოდ არის გავრცელებული აშშ-შიც, სადაც მას ეწოდა კლინიკური კრიმინოლოგია.

საშიში მდგომარეობის თეორიის თანახმად, რიგ შემთხვევაში დანაშაული წარმოიშობა გარკვეული ფსიქოლოგიური მდგომარეობის საფუძველზე, რომელიც წინ უსწრებს დანაშაულის ჩადენას და რომელიც წინასწარ განაწყობს ადამიანს კონფლიქტისადმი და სხვადასხვა სოციალური ნორმებისადმი მიუღებლობით. საშიში მდგომარეობა ჩვეულებრივ დროებითია, ის შეესაბამება შინაგან კრიზისს, რომელსაც ცვლის ემოციური გულგრილობა, რასაც მო-

პყვება ეგოცენტრიზმი¹, შემდეგ ლაბილურობა (მერყეობა), რომელიც კვლავ შეიძლება იქცეს კრიზისად. სპეციალისტები ახორციელებენ საშიში მდგომარეობის დიაგნოსტიკას. ამასთან დიდ როლს ასრულებს პიროვნების გამოკვლევის შედეგთა შეპირისპირება სიტუაციის მონაცემებთან, რომელშიც ის იმყოფება. სიტუაციის შეფასებისას, კერძოდ, ითვალისწინებენ მატერიალურ პირობებს, გარემოს გავლენას, ფსიქოტრამვირებად ფაქტორთა არსებობას და სხვ. დიაგნოზი წინასწარ განსაზღვრავს, თუ რა სახის ინდივიდუალურ-პროფილაქტიკური ზომების გატარება მოგვეცემს დადებით ეფექტს.

ამასთან ერთად დიდი მნიშვნელობა ენიჭება გამოსაკვლევი პირის ძალიან რთულ და არა ყოველთვის შეცნობად სტრესულ რეაქციებს, რომლებიც ხშირად საშიში მდგომარეობის წყაროა. არსებული წარმოდგენები შიდა სულიერ კონფლიქტებთან მიმართებაში სათავეს იღებს ზ. ფროიდის ფსიქოანალიტიკური მოძღვრებიდან კომპლექსების შესახებ, რომლებიც ასახავენ ცნობიერების ბრძოლას ქვეცნობიერის წინააღმდეგ.

კრიმინოლოგიურად მნიშვნელოვან რეაქციათა ვრცელი ჩამონათვალი, რომლებსაც ჩვეულებრივ უწოდებენ დამცველ მექანიზმებს, შეიმუშავა დ. კოულმენმა, ხოლო შემდგომ იგი შეავსო ვ. ფოქსმა. სპეციალისტთა მუშაობა საშიში მდგომარეობის დაძლევაზე მდგომარეობს იმაში, რომ თავისი კონსულტაციებით დახმარება გაუწიონ ადამიანებს, რომლებიც განიცდიან სტრესებს, მოახდინონ მათი ქცევის ჩაყენება სოციალურად მისაღებ ფარგლებში, დაეხმარონ მათ პრობლემების გაგებასა და გადაწყვეტაში, უსაფრთხოების შეგრძნებაში, მხარში ამოუდგნენ მათ და გამოამყლან მათდამი პატივისცემა, გაგება, მოწონება და შემწეობა. ზედმეტი ემოციების მოცილებას კი უდავოდ დიდი მნიშვნელობა ენიჭება. რაც შეეხება სხვადასხვა სახის სტაციონ-

¹ ეგოცენტრიზმი - ესაა ფილოსოფიური და ეთიკური პრინციპი, რომლის მიხედვით ინდივიდუმი, „მე“ არის სამყაროს ცენტრი. ფილოსოფიაში ეგოცენტრიზმს მიჰყვაროთ სუბიექტურ იდეალიზმად, რომლის წარმომადგენლები ან უარყოფენ ობიექტური სამყაროს არსებობას, ან იგი მიანნიათ სუბიექტის აქტივობის შედეგი. სხვანაირად თუ ვიტყვით ეგოცენტრიზმი - ეგოიზმისა და ინდივიდუალიზმის გამოვლენის უკიდურესი ფორმაა; საკუთარი პიროვნებით გატაცება და წარმოდგენა, რომ იგი ქვეყნიერების ცენტრია.

აღურ დაწესებულებებს, აქ დახმარებას უწევენ პირებს საშიში კრიზისული მდგომარეობიდან გამოსაყვანად. რაც შეეხება კრიმინოლოგიურ ექსპერტიზას, იგი როგორც ინდივიდუალური ქცევის პროგნოზი, მხედველობაში მიიღება ჩადენილი დანაშაულისათვის სასჯელის განსაზღვრისა და აგრეთვე სასჯელისაგან განთავისუფლების შესახებ საკითხის გადაწყვეტისას.

§ 4. თანამედროვე კრიმინოლოგია

მსოფლიო კრიმინოლოგია დიურკჰეიმისა და სატერლენდის შემდეგ, არ შევსებულა პრინციპულად ახალი თეორიული მსჯელობებით. თუმცა ამის მოთხოვნილება დღესაც უდავოდ არის, მხედველობაში გვაქვს მასშტაბური ხასიათის სოციალური წინააღმდეგობანი, ეკოლოგიური კატასტროფები, ტერორისტული აქტები და სხვ. დანაშაულობა, ვინაიდან სოციალური მოვლენაა და თანაც ბოროტებათა გამოვლენა, ამდენად საჭიროა მას მიეცეს ფილოსოფიური და პრაქტიკული თვალსაზრისით ახლებური დახასიათება. სახელდობრ, მასში უნდა აისახოს: სტრატეფიკაცია და კულტურათა კონფლიქტი; ინტერაქციონიზმი; სტიგმატიზაცია და სხვ.

სტრატეფიკაციის კონცეფცია გაჩნდა სოციოლოგიის გავლენით, რომლის საშუალებითაც ღრმავდება წარმოდგენა თანამედროვე საზოგადოების სტრუქტურაზე. საზოგადოება შედგება არა მხოლოდ კლასებისაგან, არამედ სხვა მრავალი სოციალური ჯგუფისაგან, რომლებიც იქმნება სხვადასხვა საფუძველზე (პროფესიული, ეროვნული, ასაკობრივი, იდური, სქესობრივი და სხვ.). ამ ჯგუფებს (სტატიებს) შორის არსებობს წინააღმდეგობები, წარმოიქმნება კონფლიქტები, რაც ხდება უკმაყოფილების წყარო, ხოლო რიგ შემთხვევაში — ბიძგი კანონის დასარღვევად. კერძო შემთხვევას წარმოადგენს კულტურათა კონფლიქტი, რაც განსაკუთრებით შესამჩნევი ხდება მიგრანტების მაგალითზე, რომლებიც განიცდიან ძირითადი მოსახლეობის მიერ ჩამოყალიბებული საცხოვრებელი პირობებისადმი ადაპტაციის სიძნელეებს. როგორც ცნობილია, აშშ-ში, მაგალითად, ახალი მიგრანტების წილი დამა-

შავთა შორის მნიშვნელოვნად აღემატება ადგილობრივი მოსახლეობის დანაშავეთა წილს.

სტრატეგიკაციისა და კულტურათა კონფლიქტის კონცეფციის რაციონალური მეთოდები სასარგებლოა ეროვნულ ნიადაგზე წარმოშობილ დანაშაულთა და აგრეთვე იმ დანაშაულებრივ ქმედებათა ბუნების შესაცნობად, რომლებიც გამოძლინარებენ მრეწველთა სხვადასხვა ფენებს შორის წარმოშობილი წინააღმდეგობებიდან. კულტურათა კონფლიქტის თეორიის გამოჩენილი წარმომადგენელია ტ. სელინი.

ინტერაქციონიზმი (მოძღვრება ურთიერთმოქმედებათა შესახებ) დანაშაულთა მიზეზების უბრალო ჩამოთვლის შემდეგ ნაბიჯის წინ გადადგმის საშუალებას იძლევა. ეს კონცეფცია დანაშაულობის მიზეზების გარკვეულ სქემას აგებს. კონცეფციის ბირთვს წარმოადგენს პოსტულატი იმის შესახებ, რომ დანაშაულებრივი ქცევა — პიროვნებისა და გარემოს ურთიერთმოქმედების შედეგია. უნდა აღვნიშნოთ, რომ კრიმინოლოგია გარკვეულწილად გამდიდრდა ინტერაქციონისტური მსჯელობებით და უწინარეს ყოვლისა ეს შეეხება კონკრეტული დანაშაულის ჩადენის მექანიზმის არსს, რომლის მიხედვითაც დანაშაული იწვევს ნევატიური მიდრეკილებების მქონე ადამიანის შეჯახებას არაკეთილსასურველ ცხოვრებისეულ სიტუაციებთან.

„სტიგმატიზაცია“ (დამღის დასმა) — ეს ტერმინი აღნიშნავს ადამიანის დანაშაულზე გამოცხადების ფსიქოლოგიურ და სოციალურ საფუძვლებს. ადამიანს მსჯავრდების შედეგად, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც მას დანიშნული აქვს სასჯელი თავისუფლების აღკვეთის სახით, თითქოსდა ენიჭება მისთვის სამარცხვინო მორეზარისზოვანი პირის დამლა, რაც შემდგომში მისდამი უარყოფით დამოკიდებულებაში კლინდება. თავის მხრივ ყოველივე ეს უბიძგებს მას დანაშაულებთან და მათი ცხოვრების წესთან დაახლოებას. „დამლადამულ“ პირებთან მუშაობაში დადებით ეფექტს იძლევა ფსიქოლოგიური ზემოქმედება, რაც უმტკიცებს იმის რწმენას, რომ ჩვეულებრივი ადამიანები არიან და შეუძლიათ დაუბრუნდნენ ნორმალურ შრომით ცხოვრებას.

სტიგმატიზაციის კონცეფციას, მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ არ არის შეფასებული სრულყოფილად, მაინც დადებითი შეფასება უნდა მიეცეს. დიდია მისი მნიშვნელობა არა მხოლოდ

თეორიისათვის, არამედ სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის ჩამოყალიბებისა და განსაკუთრებით თანამოქალაქეთა მნიშვნელოვანი ნაწილის სამართლებრივი შეგნების დონის ამაღლების რაკურსით. რამდენადაც ჩვენს საზოგადოებაში ფართოდ არის გავრცელებული შურისძიების იდეა, და, რომ ბევრი ხედავს დამნაშავეში არა საზოგადოების წაბორძიკებულ წევრს არამედ მტერს, ამდენად იმის ახსნა-განმარტება, რომ ამგვარი შეხედულებები ზრდიან დამნაშავეთა რიცხვს, უნდა გახდეს სამართლებრივი პროპაგანდის განუყოფელი ნაწილი.

60-იანი წლებიდან მოყოლებული დასავლეთის ქვეყნებში ფართო გავრცელებას პოულობს გამოყენებითი კრიმინოლოგიური გამოკვლევები. ასე მაგალითად, გაჩნდა რამდენიმე მიმართულება, რომელიც სწავლობს ახალგზარდობის დანაშაულს, ოჯახში ჩადენილ დანაშაულს, ორგანიზებულ „თეთრსაყვლოიანთა“ დანაშაულობასა და სხვ. შესაბამის გამოკვლევათა ორგანიზაცია და დაფინანსება ხორციელდება არა მხოლოდ სახელმწიფოს მიერ, არამედ სხვადასხვა ბიზნესით დაკავებული გაერთიანებების, საქველმოქმედო და სხვა ორგანიზაციების მიერ. ყოველივე ეს ადასტურებს როგორც დანაშაულობის დიდ მასშტაბურობას, ასევე მასთან ბრძოლის სრულყოფის სურვილს.

ქართული კრიმინოლოგიის განვითარებასთან დაკავშირებით უნდა შევნიშნოთ, რომ იგი ორგანულად უკავშირდება საბჭოთა კრიმინოლოგიის განვითარებას. საქმე იმაშია, რომ საქართველო საბჭოთა კავშირის შემადგენელი ნაწილი იყო და ყველანირი კვლევები მოკავშირე რესპუბლიკებში საბჭოთა კავშირის სახელთან იყო შერწყმული.

საერთოდ, ქართული კრიმინოლოგიის ჩამოყალიბება და განვითარება ცალკე კვლევის საგანია და კარგი იქნება თუ ამ საკითხების კვლევით დაინტერესდებიან ქართველი კრიმინოლოგები. წინასწარ შევნიშნავ, რომ ამ დარგში დიდი წვლილი აქვს შეტანილი პროფ. ანზორ გაბიანს, იგი ქართული კრიმინოლოგიის მამამთავარადაც კი შეიძლება მოვინათლოთ.

საბჭოთა კრიმინოლოგიის განვითარებასთან დაკავშირებით გვინდა აღვნიშნოთ, რომ კრიმინოლოგია როგორც მეცნიერება საბჭოთა კავშირში 1961 წლამდე ვითარდებოდა არასათანადოდ. დანა-

შაულობის შესწავლასა და გამოკვლევას, რომელიც ხდებოდა სსრ კავშირში საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში პრაქტიკულ ორგანოებისა და სამეცნიერო დაწესებულებების მეშვეობით, არ მოუპოვებია სათანადო განვითარება და არ ყოფილა საჭირო დონეზე მეცნიერულად განზოგადებული. სახელდობრ, დანაშაულობის შესწავლა თავდაპირველად ხდებოდა სისხლის სამართლის სამმხედრო ორგანოებში, ხოლო შემდეგ მილიციის ორგანოებში, რომლებთანაც გაერთიანდა სისხლის სამართლის სამმხედრო ორგანოები.

1918 წელს შეიქმნა სახელმწიფო სტატისტიკის სისტემა, რომელმაც მოიცვა სისხლის სამართლის სტატისტიკა. ციფრობრივი მონაცემები დანაშაულობაზე მუშავდებოდა რსფსრ-ს ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მორალური სტატისტიკის განყოფილებაში. ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო გამოსცემდა სისხლის სამართლის სტატისტიკის მასალებს კრებულებისა და სტატიების სახით თითქმის ათი წლის განმავლობაში. 1920 წელს გამოქვეყნდა კრებული „მოსკოვის დანაშაულებრივი სამყარო“. ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მიერ 1922 წელს შემუშავებულ იქნა გასამართლებულის ბარათი, რომელიც მოიცავდა ცნობებს დამნაშავეის შესახებ.

დანაშაულობის შესწავლამ განსაკუთრებული გაქანება ჰპოვა 1925-1926 წლებში, რსფსრ ახალი სისხლის სამართლის კოდექსის მომზადებასა და მის მიღებასთან დაკავშირებით. ამავე წლებში ჩამოყალიბდა დანაშაულობისა და თვით დამნაშავეთა შესწავლის მიზნით კაბინეტები, სადაც ახდენდნენ როგორც სისხლის სამართლის საქმეების, ასევე დამნაშავეთა შესწავლას და სხვ.

1925 წელს რსფსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან ჩამოყალიბდა „დანაშაულობისა და დამნაშავეთა შესწავლის სახელმწიფო ინსტიტუტი“. თემატიკის მრავალმხრივობით, კვალიფიციური კადრებით და საერთაშორისო ხასიათით ეს ინსტიტუტი განიხილებოდა როგორც კრიმინოლოგიის ცენტრი. ამ ინსტიტუტში მოქმედებდა ოთხი სექცია: 1. სოციალურ-ეკონომიკური; 2. პენიტენციარული; 3. ბიოფსიქოლოგიური და 4. კრიმინალისტიკური.

საბჭოთა კრიმინოლოგიის მეთოდოლოგიის განვითარებაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა დისპუტს „დანაშაულობის შესწავლის

შესახებ სსრ კავშირში“, რომელიც 1929 წელს იქნა ორგანიზებული კომუნისტური აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის სექციის მიერ. სექცია და მისი ბეჭდვითი ორგანო ჟურნალი „რევოლუცია და სამართალი“ ამ დისპუტზე მკაცრად იქნა გაკრიტიკებული. აღინიშნა, რომ კრიმინოლოგების მუშაობაში მთავარი ნაკლი მდგომარეობდა დანაშაულობისა და დამნაშავეთა უპერსპექტივო შესწავლაში, სახელდობრ, ხაზი გაესვა იმას, რომ დანაშაულობისა და დამნაშავეთა შესწავლა ხდებოდა ბიოფსიქოლოგიური და ბიოსოციოლოგიური კონცეფციების პოზიციებიდან. ამ დესპუტზე გააკრიტიკეს ასევე ის მეცნიერები, რომლებიც დანაშაულობის შესწავლისას ამოდიოდნენ ადამიანის ფსიქიკაში პათოლოგიური გადახრების დადგენიდან, რაც მათი აზრით განსაზღვრავდა დამნაშავეთა ანტისაზოგადოებრივ ქცევას.

დასკვნები, რომლებიც გაკეთდა დისპუტზე, იმაში მდგომარეობდა, რომ სოციალური მოვლენები რომელსაც მიეკუთვნება დანაშაულობა, არ შეიძლება აიხსნას ბიოლოგიური მეცნიერების მეთოდებით და კერძოდ ფსიქიატრიულით. ამის გამო ყოველგვარი მცდელობა იმის მტკიცებისა, რომ დანაშაულობა აიხსნება მექანიკური თუ ადამიანის ბიოლოგიური კონსტიტუციური უარყოფილ იქნა. აღინიშნა ასევე, რომ ამ პერიოდის გამოკვლევებმა ცოტა რეკომენდაციები მისცა პრაქტიკას. ამ ნაკლოვანებათა მიზეზებად აღინიშნა მეთოდოლოგიური ბაზის სისუსტე. კადრების პოლიტიკური მოუმზადებლობა, ინსტიტუტის მოწყვეტა ამავე მიმართულებით მომუშავე სხვა დაწესებულებებისაგან და ა. შ.

1930-იანი წლები საბჭოთა კავშირში ხასიათდება კრიმინოლოგიური გამოკვლევების ჩაკელობით. ამ პერიოდში „დანაშაულობისა და დამნაშავეთა შესწავლის სახელმწიფო ინსტიტუტი“ რეორგანიზებულ იქნა, ხოლო ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოში ლიკვიდირებულ იქნა მორალური სტატისტიკის განყოფილება. ამრიგად არ დარჩენილა ერთიანი ცენტრი, რომელიც შეისწავლიდა და ანალიზს გაუკეთებდა დანაშაულობის საკითხებს მთელი ქვეყნის მასშტაბით.

დანაშაულობისა და დამნაშავეთა შესწავლის საკითხი კვლავ დღის წესრიგში დგება სტალინის სიკვდილის შემდგომ პერიოდში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობიდან მოყოლებული დანაშაულობის თავიდან აცილება და პროფილაქტიკა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გენერალური ხაზი ხდება დანაშაულობასთან ბრძოლის საქმეში. განსაკუთრებით კი ამის შესახებ აღინიშნა სკკპ პროგრამაში (მიღებულ იქნა 1961 წელს), სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1964 წლის 16 ივნისის („იურიდიული მეცნიერების შემდგომი განვითარებისა და იურიდიული განათლების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“), 1967 წლის აგვისტოს („საზოგადოებრივ მეცნიერებათა შემდგომი განვითარებისა და კომუნისტურ მშენებლობაში მათი როლის ამაღლების ღონისძიებათა შესახებ“), სკკპ ცკ-ის, სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს 1966 წლის ივლისის („დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიების გაძლიერების შესახებ“) დადგენილებებში, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საქართველოს კომპარტიის XXIV ყრილობებზე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1971 წლის 27 ივლისის დადგენილებაში („სამართალდარღვევთა თავიდან აცილება და პროფილაქტიკა დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლის გენერალური ხაზია“), საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1972 წლის ნოემბრისა და 1973 წლის თებერვლის პლენუმებზე და სხვ.

„კომუნიზმის მშენებელ საზოგადოებაში, — ნათქვამი იყო სკკპ პროგრამაში — არ უნდა იყოს სამართლის დარღვევა და დანაშაულობა. მაგრამ სანამ არის დანაშაულობის გამოვლინებანი, უნდა მივიღოთ სასტიკი ზომები იმ პირთა დასასჯელად, რომლებმაც ჩაიდინეს საზოგადოებრივად საშიში დანაშაულობანი, დაარღვიეს სოციალისტური საერთო ცხოვრების წესები, არა სურთ ეზიარონ პატიოსან შრომითს ცხოვრებას. მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს დანაშაულის თავიდან აცილებას“.

სწორედ ეს უკანასკნელი ფრაზა დაედო საფუძვლად იმას, რომ 1963 წელს შექმნილიყო დანაშაულობის მიზეზებისა და მათი თავიდან აცილების ღონისძიებათა შემქმნაველი ინსტიტუტი. ამჟამად ამ ინსტიტუტს ჰქვია რუსეთის ფედერაციის გენერალურ პროკურატურასთან არსებული კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცების ინსტიტუტი. ამ პერიოდისათვის უკვე ჩამოყალი-

ბებული იყო სსრ კავშირის პროკურატურის კრიმინალისტიკის საკავშირო სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი (1957 წელი); მილიციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი (არსებობდა რსფსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროსთან), რომელმაც დაიწყო დანაშაულობის შესწავლა 1958 წლიდან; სსრ კავშირის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტში – დანაშაულობის შესწავლისა და თავიდან აცილების სექტორი და სხვა სამეცნიერო ცენტრები.

მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე საბჭოთა კრიმინოლოგიის საფუძვლების სწავლება დაიწყო 1964 წლიდან.



§ 1. პროფესიული დანაშაულობის ცნება

ორგანიზებული დანაშაულებრივი სამყაროს არსებობას კრიმინოლოგია ოფიციალურად არ სცნობდა მრავალი წლის მანძილზე ვითომცდა მისი სიმცირისა და გაუვრცელებლობის გამო. მაგრამ სინამდვილეში საქმე სულ სხვანაირად იყო. კერძოდ, მთელ რიგ ქვეყნებში სახელმწიფო ხელისუფლების ოფიციალურ სტრუქტურებთან ერთად არსებობდა და ამჟამადც არსებობს კიდევ ერთი, არანაკლებ უფრო ორგანიზებული სტრუქტურა — დანაშაულებრივი სამყარო. ამ სამყაროს გააჩნია თავისი საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება, თავისი ეკონომიკური სტრუქტურები, სამართალდამცავი ორგანოები, საგარეო-ეკონომიკური ორგანიზაციები, საკუთარი ენა, სიმბოლიკა, მორალი, რომელიც მეტად შორსაა საყოველთაოდ მიღებულისგან.

ნებისმიერი სახელმწიფოს საფუძველი ეკონომიკაა. დანაშაულებრივი სამყაროს ეკონომიკურ ძლიერებას ქმნის ათასობით „მშრომელი“ — ქურდები, თაღლითები, გამოძძალკელები და დამტაცებლები, ე. ი. უწინარეს ყოვლისა სხვადასხვა ღონისა და სახეობის პროფესიული დამნაშავენი.

პროფესიული დანაშაულობის ცნება პირველად მოხსენიებულ იქნა 1897 წელს კრიმინალისტიკის საერთაშორისო კავშირის ჰეიდელბერგის ყრილობაზე. თავდაპირველად ამ ცნებას უკავშირებდნენ დანაშაულთა მუდმივ, სისტემატურ ჩადენას, უწინარეს ყოვლისა საკუთრების სფეროში. ცხადია, ასეთი გაგება ძალზე ვიწროა.

პროფესიული დანაშაულობა დანაშაულობის შედარებით დამოუკიდებელი სახეობაა, რომელიც შეიცავს დანაშაულთა ერთობლიობას, ჩადენილს პროფესიული დამნაშავეების მიერ, რომელთა საქმიანობას სპეციალური ცოდნის, გამოცდილებისა და ჩვევების საფუძველზე აქვს მყარი ხასიათი და წარმოადგენს მათი არსებობისა და შენარჩუნების წყაროს.

ზოგიერთი კრიმინოლოგი ამ განმარტებას უმატებს იმას, რომ პროფესიულ დამნაშავეებს მიაკუთვნებს შედარებით კარნაკტილ და იერარქიზირებულ კრიმინალურ სტრუქტურას.

ბევრ შემთხვევაში ეს მართლაც ასეა, მაგრამ სავალდებულო ნიშნად იგი არ შეიძლება მივიჩნიოთ. მაგალითად, არიან ქურდები „ჩუქმუშელები“, რომლებიც ეწევიან განსაკუთრებით გულჩათხრობილ ცხოვრებას და ისინი კონტაქტში არ შედიან სხვა დამნაშავეებთან.

შეიძლება გამოვყოთ კრიმინალური პროფესიონალიზმის ოთხი ძირითადი ნიშანი:

- 1) დანაშაულებრივი ხელობა — დანაშაულებრივი საქმიანობის მუდმივი ხასიათი;
- 2) სპეციალიზაცია — ერთგვაროვან დანაშაულთა ჩადენა, თავისებური „შრომის განაწილება“;
- 3) კვალიფიკაცია — გარკვეულ ცოდნისა და ჩვევების არსებობა;
- 4) მუდმივი შემოსავალი — დანაშაული როგორც არსებობის საშუალებათა წყარო.

როგორც წესი, პროფესიული დამნაშავეები თავიანთ პირველ დანაშაულს სწადიან არასრულწლოვნობის ასაკში. მაგალითად, ა. მიღერის მონაცემებით, ჯიბის ქურდების 60%-მა ქურდობა დაიწყო 16 წლის ასაკში პროფესიული ქურდების ხელმძღვანელობითა და გავლენით. როდესაც ქურდები ხდებიან თავისუფლების აღკვეთის ადგილებში, პირველ რიგში ისინი ერთვებიან დანაშაულებრივი გარემოს ორბიტაში, საიდანაც გამოსვლა პრაქტიკულად შეუძლებელია. დანაშაულის ჩადენა კი მათთვის ხდება როგორც საერთო (ერთიანი) საქმე, ასევე ხელობა.

დანაშაულებრივი სამყაროს საქმიანობის შესახებ ლაპარაკობს სპეციალური რეციდივის მაჩვენებელი, რომელიც ა. გუროვის მიერაა დადგენილი. ა. გუროვის კვლევის მონაცემების მიხედვით, ჯიბის ქურდების სპეციალური რეციდივი შეადგენს 80%, ბინის ქურდებისა — 66%-ს, მძარცველების — 80%-ს, ყაჩაღების — 60%-ს. აღსანიშნავია ისიც, რომ პროფესიულ დამნაშავეებს შორის მეტად მნიშვნელოვანია იმ პირთა რიცხვი, რომლებიც სისტემატურად სწადიან დანაშაულს, მაგრამ არ არიან მიცემული სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში. მისივე კვლევის მონაცემებით,

ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფების 800 შესწავლილ მონაწილეთაგან 60% არ იყო ნასამართლავი, თუმცა ისინი სისტემატურად სჩადიდნენ დანაშაულს. ნასამართლობის არმქონეთა ყველაზე დიდი რაოდენობა — ბანქოს თაღლითებს, ყალბი ფულის მკეთებელთა და გამოძმაღველებს შორისაა. რაც შეეხება კრიმინალური საქმიანობის სტაჟს იგი ასე გამოიყურება: ყველაზე ხანგრძლივი სტაჟი აღმოაჩნდათ ბანქოს თაღლითებს — 10 წელი, ჯიბის ქურდებს — 3-4 წელი, ბინის ქურდებს — 2-3 წელი, ყველაზე ხანმოკლე — ყაჩაღებსა და ქიღერებს (წელიწადნახევარი).

მცდარად უნდა მივიჩნიოთ აზრი იმასთან დაკავშირებით, რომ პროფესიულ დამნაშავეებს თითქოსდა მიეკუთვნებიან მხოლოდ ისინი, რომლებიც არ მუშაობენ და აკეთებენ მხოლოდ იმას, რომ სჩადიან დანაშაულს, მაგრამ ეს რომ მთლად ასე არაა იქედან ჩანს, რომ დანაშაულის დაფარვისათვის აუცილებელია, პირი რაიმე საქმეზე მაინც ირიცხებოდეს; მეორეც, დანაშაულის მრავალი სახეობის ჩადენა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პირი მუშაობს გარკვეულ სფეროში და გარკვეულ თანამდებობაზე (მაგალითად, თაღლითობა საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროში). აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ პროფესიულ დამნაშავეთა საკმაოდ დიდი რაოდენობა უმუშევრებზე მოდის: მაგალითად, ჯიბის ქურდებს შორის — 60%, ბინის ქურდებს შორის — 40%, ბანქოს თაღლითებს შორის — 70%, რეკეტებს შორის — 80%.

პროფესიულ დამნაშავეთა შორის არსებობს შრომის მკაფიო განაწილება ქურდებზე, თაღლითებზე, მძარცველებზე, გამოძმაღველებზე და სხვ. ისინი მისდევენ უმთავრესად არჩეულ სპეციალიზაციას, რადგან ახალზე გადასვლა მათგან მოითხოვს სრულიად ახალ ჩვევებსა და გამოცდილებას. ერთი სპეციალიზაციიდან მეორეზე გადასვლა ხდება ან ექსტრემალურ გარემოებათა შემთხვევაში (როდესაც, მაგალითად, სამართალდამცავი ორგანოები აძლიერებენ ბრძოლას დამნაშავეთა გარკვეულ კატეგორიებთან), ან ავტორიტეტების ზემოქმედებით დანაშაულებრივ ჯგუფებში (მაგალითად, ბრძანების წესით გამოძმაღლავი ხდება მძარცველი, ხოლო მძარცველი — მკვლელი, ქიღერი).

პროფესიული დანაშაულებრივი საქმიანობა განსხვავდება სხვა მართლსაწინააღმდეგო საქმიანობისაგან იმით, რომ გამოუმუშავებს მის მატარებელს გარკვეულ ცოდნას, პრაქტიკულ ჩვევებს, ზოგ-

ჯერ ავტომატიზმადღე დაყვანილს, რომლებიც უზრუნველყოფენ მიზნის ოპტიმალურ მიღწევას მხილების უმცირესი რისკით. სწორედ ამით აიხსნება კრიმინალური ხერხებისა და საშუალებების გამუდმებული სრულყოფა. კრიმინალური ცოდნისა და ჩვევების შექმნა ხდება როგორც უშუალოდ სწავლების პროცესში პროფესიონალთა ხელმძღვანელობით (რაც დამახასიათებელია ხულიგნებისა და ჯიბის ქურდებისათვის), ასევე ჩატარებული დანაშაულებრივი ოპერაციებისა და დაშვებული შეცდომების საფუძველზე. აქვე აღნიშნავს საჭიროებს ის გარემოება, რომ „მოსწავლეთა“ 45% ცოდნასა და ჩვევებს იძენს თავისუფლების აღკვეთის ადგილებში. არსებობს მონაცემები, რომ კოლონიაში ახალგაზრდა დამნაშავეთა დიდი რაოდენობის მისვლისას იქ მიღის გამოცდილი დამნაშავე — დამრიგებელი („Козлятник“). კოლონიაში იქმნება „კვალიფიკაციის ამაღლების კურსები“ იმათთვის, ვისაც სურს დამატებითი ჩვევების მიღება, სისხლის სამართლის კანონის შესწავლა და სხვ. სწავლების გავლა თავისუფლების აღკვეთის ადგილებში ნიშნავს „აკადემიის დამთავრებას“.

ორგანიზებული გაერთიანებების დანაშაულებრივი საქმიანობის შესწავლისას, დამნაშავეთა მხრიდან ვლინდება დანაშაულის ჩადენის არა უბრალოდ ყოველი კონკრეტული ხერხის შესწავლის ტენდენცია, არამედ მოქმედებათა მთელი პროგრამისა, რაც მიზნად ისახავს დანაშაულებრივი ქმედების წარმატებით განხორციელებას. დამნაშავენი სარგებლობენ კონსულტანტების, ადვოკატების, სამართალმცოდნეების, მედიკოსების, კრიმინალისტებისა და სხვათა მომსახურებით.

დამნაშავის როლში შესვლა, ესე იგი დამნაშავედ ჩამოყალიბება სულ უფრო ორგანიზებულ და მიზანმიმართულ ხასიათს იძენს. დამნაშავეებს აინტერესებს დანაშაულის ამა თუ იმ სახეობის ჩადენის არა მხოლოდ ხერხები, არამედ ის შეცდომებიც, რომლებმაც ისინი მიიყვანა მხილებამდე. შემდგომში მუშავდება შესაბამისი რეკომენდაციები დაშვებული შეცდომების თავიდან ასაცილებლად. საჭირო შემთხვევებში ორგანიზებულია პრაქტიკული მეცადინეობა, მაგალითად, სხვადასხვა ობიექტების მაკეტების დამზადება და უხმაუროდ შიგ შეღწევის ვარიანტების დამუშავება, ხელჩართული ბრძოლის სწავლება, ბანქოსი და სხვა სახის თაღლითობის სწავლება და ა. შ. უფრო მეტიც, უკანასკნელ

წლებში პროფესიულ დამნაშავეთა შორის გვხვდება პირები, რომლებმაც უკვე მიიღეს შესაბამისი ცოდნა ან სპეციალობა სამოქალაქო ცხოვრების პირობებში და ყოველივე ამას იყენებენ კრიმინალური მიზნებისათვის. მაგალითად, ზოგიერთი ქილერი ადრე მუშაობდა რა შინაგან საქმეთა სამინისტროს ან ყოფილ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის სპეცდანიყოფებში, თავის საქმიანობას უკავშირებს ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფების საქმიანობას.

პროფესიული დამნაშავეებისათვის დანაშაულის ჩადენა წარმოადგენს საარსებო წყაროს. ამასთან მათი შემოსავალი მნიშვნელოვნად დიდია ჩვეულებრივ მოქალაქეთა შემოსავალზე. მაგალითად, ჯიბის ქურდი დღეში, „გამოიშუშავებს“ იმდენს, რამდენსაც ზოგი მუშა ვერ ღებულობს მთელი თვის მანძილზე. დამნაშავეები ვალდებულნი არიან ყველა შემოსავლიდან გადაიხადონ გადასახადი. ფული მიდის საერთო სალაროში, ეგრეთ წოდებულ „ობშჩაკში“. ფულის ძირითადი ნაწილი მიდის „აპარატის“ ფუნქციონირების მხარდასაჭერად, კაპიტალის დაბანდებაზე, ხელმძღვანელების ხელფასებზე, ღონისძიებათა დაფინანსებაზე, მოსყიდვაზე და ა. შ. დამნაშავეებს გააჩნიათ სოციალური უზრუნველყოფაც, რომელიც მოიცავს მძიმეპირობებიანი ზონიდან ზოგიერთი პატიმრის მისთვის სასურველ ზონაში გადაყვანასა და სხვ.

§ 2. კრიმინალური პროფესიონალიზმის დახასიათება

სამართალდამცავი და კერძოდ, შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით არსებობს 100-ზე მეტი კრიმინალური სპეციალობა. ეს რიცხვი, 20-იან წლებთან შედარებით თითქმის 2-ჯერ გაიზარდა. ამასთან შენარჩუნებულია წარსული ათწლეულების სპეციალიზაციის თითქმის ყველა სახეობა და მუშავდება სრულიად ახალი, თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკური სამართლებრივი და სხვა ფორმებით განპირობებული სპეციალიზაციები.

სპეციალიზებული დანაშაულებრივი საქმიანობის დადგენისას, უწინარეს ყოვლისა, გათვალისწინებულ უნდა იქნეს კონკრეტული დანაშაულებრივი საქმიანობის ხასიათი, რადგან დამნაშავეთა სპეციალიზაცია და კვალიფიკაცია სხვადასხვაა.

კრიმინალური საქმიანობის მიმართულებისდა მიხედვით პროფესიული ქურდების, გამომძაღველების, მძარცველების, თაღლითებისა და სხვათა საქმიანობა შეიძლება ასეთნაირად დახასიათდეს:

პროფესიული ქურდები. ესენი დამნაშავეთა ყველაზე მრავალრიცხოვანი კატეგორიაა და დიფერენცირებული არიან მრავალსხვადასხვა სპეციალობაზე. ოფიციალურად არსებობს მათი 25 სახესხვაობა, მაგრამ პრაქტიკაში ბევრად უფრო მეტია.

1. „მედვეჟატნიკები“. ყოფილ სსრ კავშირის დანაშაულებრივ სამყაროში ასე უწოდებდნენ ფულის გამტაცებლებს სეიფებიდან. ისინი ქურდული კვალიფიკაციით, განსაკუთრებული მდგომარეობითა და სისხლისამართლებრივ დამნაშავეთა სხვა კატეგორიებისაგან დამოუკიდებლობით პირველ ადგილზე არიან, რაც მათ უქმნის ავტორიტეტს სხვა დამნაშავეთა შორის და თვით პოლიციამიც, სადაც ყველა ისინი აღრიცხვაზე იმყოფებიან.

„მედვეჟატნიკებს“, როგორც წესი, არა აქვთ მტკიცე კავშირი დამნაშავეთა სხვა კატეგორიებთან და არ სჩადიან სხვა დანაშაულს უკიდურესი გაჭირვების დროსაც კი. ბევრი მათგანი დაკავშირებულია ბანკებისა და სხვა სახელმწიფო დაწესებულებების თანამშრომლებთან, რომლებიც ეხმარებიან მათ დანაშაულის ჩადენაში უმთავრესად ინფორმაციის გადაცემის გზით, საკეტების კონსტრუქციის, დაცვის სისტემის, სეიფებში ფულის არსებობის შესახებ და სხვ.

2. ჯიბის ქურდები. („კარმანიკები“). ქურდი „კარმანიკის“ კვალიფიკაცია ყოველთვის ითვლებოდა დანაშაულებრივი პროფესიის კლასიკურ გამოხატულებად და შემორჩა დღემდე რაიმე არსებითი ცვლილებების გარეშე. ისინი მიეკუთვნებიან მაღალკვალიფიციურ სისხლისსამართლებრივ დამნაშავეებს და დიდი ავტორიტეტი აქვთ დანაშაულებრივ სამყაროში. ჯიბის ქურდები როგორც კრიმინოლოგიური ჯგუფი იწვევს განსაკუთრებულ ინტერესს, ისინი გამოირჩევიან დანაშაულებრივი ქცევის სიმტკიცით, ჟარგონების ხმარებითა და სხვ.

ჯიბის ქურდობა ყოველთვის იყო და ამჟამადაც არის გავრცელებული მოვლენა. მისი ჩადენა, როგორც წესი, ხდება ხალხთა თავშემყრის ადგილებში (იგულისხმება სამგზავრო ტრანსპორტი, ბაზარი, მაღაზიები და ა. შ.). აღინიშნება ჯგუფური ჯიბის ქურდობის დიდი ხვედრითი წილი. ქურდობის ჩადენის ხერხები მეტად

სხვადასხვაგვარია, მათ შორის არიან ისეთი ქურდებიც, რომლებიც მოქმედებენ გაწვრთნილი ძალების გამოყენებით.

რაც შეეხება ჯიბის ქურდებს ისინი ძალიან გაურბიან და კიდევაც ეშინიათ თავისუფლების აღკვეთის ადგილებში მოხვედრის. როგორც ჩანს, ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ მათ არ უნდათ დაკარგონ ქურდული ჩვევები და ასევე იქონიონ რაიმე ურთიერთობა სხვა დამნაშავეებთან.

დანაშაულის ჩადენის ადგილის მიხედვით განასხვავებენ 7 ძირითად სპეციალიზაციას:

ა) „**რინოჩნიკები**“ — ესენი არიან ქურდები რომლებიც „მუშაობენ“ ბაზრებსა და სავაჭრო ბაზრობებზე;

ბ) „**კროტები**“ (თხუნელები) — ესაა ქურდები, რომლებიც „მოღვაწეობენ“ მეტროპოლიტენის სადგურებსა და მატარებლებში;

გ) „**მაიდანშიკები**“ — ესაა ქურდები, რომლებიც „საქმიანობენ“ რკინიგზის ტრანსპორტზე;

დ) „**მარშრუტნიკები**“ — ესაა ის ქურდები, რომლებიც „მუშაობენ“ ქალაქის ტრანსპორტის ყველა სახეობაში;

ე) „**მაგაზინშიკები**“ — ესაა ქურდები, რომლებიც „მოღვაწეობენ“ მაღაზიებში;

ვ) „**თეატრალშიკები**“ — ესაა ქურდები, რომლებიც „საქმიანობენ“ თეატრებში;

ზ) „**ულიჩნიე**“ — ესაა ის ქურდები, რომელთა „საქმიანობაც“ ქუჩით ამოიწურება.

ჯიბის ქურდები ჩვეულებრივ მისდევენ აღნიშნულ სპეციალიზაციას, მაგრამ გამორიცხული არ არის ერთი სპეციალიზაციიდან მეორეზე გადასვლა. ჯიბის ქურდების კვალიფიკაცია ვლინდება ქურდობის ჩადენის ხერხებში.

დანაშაულის ჩადენის ხერხის მიხედვით განასხვავებენ აგრეთვე 7 ძირითად სპეციალიზაციას:

ა) „**ტეხნარები**“ — სჩადიან ქურდობებს ტანსაცმლის, ჩანთისა და პორტფელის გაჭრით, რისთვისაც იყენებენ სპეციალურ ტექნიკურ მოწყობილობებს;

ბ) „**შირმაჩები**“ — ესაა ის ქურდები, რომელთა საქმიანობაც გამოიხატება სხვადასხვა საგნებზე ხელის, ყვავილების თაიგულის, ჩანთის, ლაბადის (პლაშის) დადებასა და შემდგომ ნივთის მიყოლებაში;

გ) „რიბალოვები“ – ეს ის პირებია, რომლებიც ჩანთებიდან და ჯიბეებიდან სპეციალურად დამზადებული კაუჭის მეშვეობით (გამოყენებით) ახდენენ ფულისა და სხვადასხვა საგნების ფარულ დაუფლებას;

დ) „ქირურგები“ – ასეთებად იწოდებიან ის ქურდები, რომლებიც პინცეტების მეშვეობით, განსაკუთრებით ძნელადმისადგომი საიდუმლო ადგილებიდან ახდენენ ფულისა და ძვირფასეულობის ამოღებას;

ე) „შიიპაჩები“ – ესენი ქურდობას სჩადიან ჩანთების გაჭრის გზით, რისთვისაც იყენებენ სპეციალურად გაღვნილ მონეტას;

ვ) „ტრიასუნები“ – ესაა ყრუ-მუნჯების მიერ ჩადენილი ქურდობა, რაც გამოიხატება დაზარალებულზე შემთხვევითი დაჯახების იმიტაციით, საგნის გაგდებინებაში და შემდეგ ზუსტი და სწრაფი მოძრაობით, მის ფარულ დაუფლებაში;

ზ) „სუმონიკები“ – ქურდობა ჩანთებიდან რაიმე სხვა საშუალების გამოყენების გარეშე.

ჯიბის ქურდებს შორის ყველზე დიდი ავტორიტეტით სარგებლობენ „ტეხნარები“, მეორე ადგილზე არიან „შირმაჩები“, მათ შემდეგ „რიბოლოვები“ და ა. შ. ბოლო კატეგორიას მიეკუთვნებიან „სუმონიკები“ – ქურდული „ბრო“. ჯიბის ქურდების ქურდული გარემო აღნიშნული დაყოფით არ იზღუდება. ქურდებს ჰყავთ თანამეშველები, რომელთაც უწოდებენ: ა) „პროპალშიკს“ – ქურდი, რომელიც იღებს დატაცებულს (მოპარულს) და ბ) „ტირშიკს“ – ქურდი, რომელსაც სხვაზე გადააქვს მსხვერპლის ყურადღება.

რაც უფრო მაღალია კრიმინალური კვალიფიკაცია, მით უფრო ინტენსიურია დანაშაულებრივი საქმიანობა. საშუალოდ ჯიბის ქურდი – პროფესიონალი სჩადის 25-30 ქურდობას თვეში. 100-დან მხოლოდ ხუთ შემთხვევაში დაზარალებულები მაშინვე იგებენ გაქურდვას, ხოლო ჯიბის ქურდი შეიძლება 190-ე ქურდობაზე დაიჭირონ. ჯიბის ქურდის კვალიფიკაცია არ ისპობა, პირიქით, გავრცელების ტენდენცია აქვს. ყოველივე ამას ხელს უწყობს ოპერატიული სამძებრო მუშაობის სუსტი მუშაობა, რაც თავის მხრივ განპირობებულია მწირი დაფინანსებით.

თუმცა ჯიბის ქურდის ქურდულმა კვალიფიკაციამ არ განიცადა არსებითი ცვლილებები, მაგრამ ქურდების სოციალური სა-

შიშროება მნიშვნელოვნად გაიზარდა, რაც განპირობებულია მათი მხრიდან ტექნიკურ საშუალებათა (ავტომობილების, რადიოსადგურების, ოპტიკური საშუალებებისა და ა. შ.) გამოყენებით. ჯიბის ქურდების კვალიფიკაცია მჭიდროდ არის დაკავშირებული მათ მიერ ჩადენილ დანაშაულთა მოკვლევის მანქანებლებთან: რაც უფრო მაღალია ქურდობის კვალიფიკაცია, მით უფრო დაბალია მოკვლევა.

3. „დომუშნიკები“. უკანასკნელ წლებში ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ ქურდულ სპეციალიზაციას მიეკუთვნება მოქალაქეთა პირადი ქონების ქურდობა ბინაში შეღწევით. ამ სახის ქურდობის ხვედრითი წილი ქონების ფარული დატაცებების ყველა სახეობათა შორის შეადგენს 40%. ბინაში შესვლით ქურდობის ჩამდენთა დაკავების რაოდენობა თითქმის 10-ჯერ მეტია, ვიდრე ჯიბის ქურდებისა.

ბინიდან ქურდობის ჩამდენთა ძირითად კრიმინალურ სპეციალიზაციებს მიეკუთვნება:

ა) „ფომიჩები“ — ესენი ქურდობას სწადიან სპეციალურად ქურდობისათვის განკუთვნილი ინსტრუმენტების („ფომკის“, „მეტელოკისა“ და სხვ.) გამოყენებით;

ბ) „კლუნჩიკები“ — ესენი ბინაში შედიან გასაღებების შერჩევის გზით;

გ) „ვზლომშიკები“ — ესენი ბინაში შედიან კარების ან კარის ჩარჩოს გატეხვით ან გამომტვრევით;

დ) „ფორტოჩნიკები“ — ამ სპეციალიზაციის ქურდები ბინაში შედიან ფანჯრიდან;

ე) „ბალკონშიკები“ — ესენი ბინაში შედიან აივნის გამოყენებით;

ვ) „ღუბილო“ — ამას მიეკუთვნებიან ის ქურდები, რომლებიც ბინაში შედიან ღია კარებიდან, ფანჯრებიდან, სახურავიდან და ა. შ.

ზ) „ობზოდრიკები“ — ესენი ბინებში შედიან სარემონტო-საექსპლუატაციო სამმართველოს მუშაკების სახელით, შეწირულების შეგროვების მოთხოვნით და ა. შ.

საშუალოდ ბინის ქურდი თვეში სწადის 1-2 ქურდობას. პროფესიული ჯიბის ქურდებისაგან განსხვავებით, ბინის ქურდის საქმიანობის წარმატებით განხორციელება დიდად არის დამოკიდე-

ბული წინასწარი მოსამზადებელი მუშაობის განხორციელებასთან, რომელიც მოიცავს გასაქურდი ობიექტის „დაზვერვას“, რომლის მიზანია – ბინის აღმოჩენა, რომელშიც არის ფასეულობანი და ასევე მობინადრეთა დღის წესრიგის შესწავლა. კერძოდ მათი ბინიდან და ქალაქიდან გასვლის გამოვლენა (ელექტრომრიცხველის მაჩვენებლის, საფოსტო ყუთის შემოწმების, გასაქურდი ბინის მეპატრონეებზე უშუალო დაკვირვებით, ტელეფონზე დარეკვის, მეზობლების საშუალებით ცნობების მიღება) და სხვ. ქურდები ასევე წინასწარ ახდენენ ქურდობის ადგილიდან წასვლის გზების შესწავლას, ტექნიკური საშუალებების შერჩევას საკეტურების გასაღებად, ნაპარაკის შემსყიდველის მოძებნას და ა. შ.¹

კრიმინოლოგიაში ხაზი გაესმის „ნავოდრიკის“ პიროვნებას, რომელიც ქურდის დამოუკიდებელი კატეგორიაა. იგი აგროვებს ინფორმაციას და გადასცემს სხვას ანაზღაურების 10-15%-ის მიღებით. „ნავოდრიკი“ პასუხს აგებს ცნობათა უტყუარობაზე. თუ, მაგალითად, ბინიდან წამოიღეს 10 ათასი დოლარით ნაკლები, ვიდრე გათვალისწინებული იყო, მაშინ „ნავოდრიკმა“ უნდა გადაიხადოს ეს თანხა.²

ბინის ქურდების ტექნიკური მომზადება საკმაოდ მაღალია. მათ მიერ ჩადენილი ქურდობის 30% მოიცავს სხვადასხვა სახის ტექნიკური საშუალებების (მოწყობილობების) გამოყენებას და, ხშირად, უნიკალურსაც კი. ახალი ტიპის საიდუმლო საკეტების გამოჩენასთან ერთად, რომლებიც ითვალისწინებენ გასაღებების შერჩევის 5 მილიონი ვარიანტიდან ერთს, მაშინვე ჩნდებიან ისეთი ქურდები, რომლებიც 3 წუთში ალებენ ასეთ საკეტებს. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ქურდული ინსტრუმენტიც. ასე მა-

¹ პროფესიული დანაშაულობის დახასიათებისას ვიყენებთ იმ ტერმინებსა და პროცენტულ მონაცემებს, რომლებიც მითითებულია კრიმინოლოგიურ ლიტერატურაში (იხ. გუროვ ა. ი. Криминологическая характеристика профессиональной преступности. Изд-во Моск. ун-та, 1994; Тэсс Л. В. “Воры в законе” и прочие. Рига, 1993; Лебедев С. Я. Антиобщественные традиции, обычай и их влияние на преступность. Омск, 1989; Разинкин В. С. Воры в законе и преступные кланы. М., 1995; Чалидзе В. Уголовная Россия. М., 1990; Криминология. Под ред. Н. Ф. Кузнецовой, М., 1994; Криминология. Под ред. В. Н. Кудрявцева, М., 1995; Криминология. Под ред. В. Н. Кудрявцева и В. Э. Эминова, М., 1997).

² იხ. Криминология. Под ред. А. И. Долговой, М., 1997, с. 623.

გალითად, „გრებუშოკი“ და „მეტეოლკა“, „ფომკისგან“ ვანსხვავებით, ბევრად უფრო ეფექტურია და არ ტოვებენ შესამჩნევ კვალს.

ტექნიკური ხერხების შესწავლით დაინტერესებულნი არიან ქურდების გარკვეული ნაწილი, რომლებიც იყენებენ კვალიფიკაციური ტექნიკური მუშაკების კონსულტაციებს. ბინის ქურდების მალალ ტექნიკურ მომზადებას მოწმობს ის ფაქტიც, რომ ზოგიერთ მათგანს აქვს მძლავრი პორტატიული (პატარა ზომის, ადვილად სატარებელი) რადიოგადამცემები.

ბინის ქურდების კიდევ ერთი კატეგორია არსებობს — „ტიხუშები“ („ჩუმალები“), რომლებიც განსაკუთრებული წესით ცხოვრობენ. მათ, როგორც წესი, მოხსნილი და გაქარწყლებული აქვთ ნასამართლობა, მუშაობენ, დაკავშირებულნი არ არიან სხვა ქურდებთან, მაგრამ დროდადრო მაინც ქურდობენ. მათი დადგენა ძალიან ძნელია. სწორედ ეს არის იმის ერთ-ერთი მიზეზი, რომ ასეთი ქურდების მიერ ჩადენილი ფაქტების გახსნის პროცენტი დაბალია (იგი 15%-ს შეადგენს).

4. „მაგაზინშიკები“. პროფესიონალიზმი პირველ რიგში შეინიშნება იმ ქურდებში, რომლებიც იპარავენ ნივთებს სამრეწველო საქონლის მალაზიებიდან. მათი კვალიფიკაცია, ისევე როგორც ბინის ქურდების, განისაზღვრება დანაშაულის ჩადენის ხერხითა და მომზადებით.

მალაზიის ქურდების დანაშაულებრივი საქმიანობის სპეციალიზაცია ასე გამოიყურება: ზოგიერთი მათგანი ქონების დატაცების მიზნით რჩება შენობაში მალაზიის დაკეტვის შემდეგ, რასაც ლოგიკურად მოსდევს მალაზიიდან ქონების დატაცება; მეორენი ახდენენ ნივთების მოპარვას ვიტრინებიდან; მესამენი იტაცებენ ტანსაცმელს გადაცმის გზით და ძველის დატოვებით; მეოთხენი — ახალი ტანსაცმლის ჩაცმით ძველ ტანსაცმელზე; მეხუთენი იპარავენ ფეხსაცმელს, ტანსაცმელს სპეციალურად დამზადებული ორმაგი ფსკერის მქონე ჩანთების მეშვეობით; მეექვსენი — ნივთებს იპარავენ ბავშვებისა და მოზარდების გამოყენებითა და სხვ.

პროფესიული ქურდები, როგორც წესი, მოქმედებენ ჯგუფების შემადგენლობაში, სადაც როლები განაწილებულია დეტალების მიხედვით. ერთნი ახდენენ საეჭვო ქცევის იმიტაციას გამყიდველის ყურადღების მიპყრობის მიზნით, მეორენი იტაცებენ ნივთებს, მესამენი ასაღებენ და ა. შ. გასაღება ზორციელდება ნაქურდალის

შემსყიდველთა მიერ, აგრეთვე მალაზიებისა და ბაზრების შემველობით.

5. „უგონშიკები“. მათი დანაშაულებრივი მოქმედება დაკავშირებულია ავტომანქანების მოტაცებასთან მათი გასაღების მიზნით. „უგონშიკები“ აღმოცენდა 60-იან წლებში და ახლა გახდა ქურდულ სპეციალობად. ერთეული გამტაცებლები პრაქტიკულად არ არსებობს. საქმე იმაშია, რომ ავტომანქანების გატაცება უმეტეს შემთხვევაში ხდება ჯგუფების მიერ. ქურდების კვალიფიკაცია კი დაკავშირებულია კრიმინალური მოქმედებების განაწილებასთან, რაც, თავის მხრივ, დამოკიდებულია ქურდების ფიზიკურ შესაძლებლობებსა და სპეციალურ ცოდნაზე.

კრიმინოლოგიურ ლიტერატურაში გამოყოფილია ამ სახის დანაშაულის ჩადენის შემდეგი ძირითადი კვალიფიკაციები:

- ა) უშუალოდ მანქანის გამტაცებელი;
- ბ) პირი, რომელიც დაკავებულია ტექნიკური თვალსაზრისით, ავტომანქანის ხელახალი მოწყობითა და კამუფლაჟით: გადაღება, ნომრების ხელახალი დასმა დეტალებზე, კვანძებზე და სხვა საშუალო;
- გ) პირი, რომელიც აკეთებს ავტომანქანის ყალბ საბუთებს (იგულისხმება ტექნიკური პასპორტი, მართვის მოწმობა და სხვა ცნობები);
- დ) გატაცებულის გამსაღებელი (რომელიც შოულობს მყიდველს და მოურიგდება ფასზე, როგორც წესი, ეს ხდება მანქანის გატაცებამდე);
- ე) მანქანის წამყვანი, თუ გასაღება ხორციელდება სხვა ქალაქში ან ქვეყანაში.

ამ სახის ქურდობის ხვედრითი წილი შეადგენს დამტაცებელთა საერთო რიცხვის 10%-ს. მათი გახსნა არ აღემატება 20%-ს.

6. „კლიუკვინიკები“, ასე უწოდებენ ანტიკვარიატის (ანტიკვარული ნივთების) დამტაცებლებს. ასეთად გვევლინებიან არა უბრალოდ ერთეული პროფესიონალები ან დანაშაულებრივი ჯგუფები, არამედ მთელი რიგი კორპორაციები. ანტიკვარული ნივთების დამტაცებლებში შედიან: ა) კულტურულ ფასეულობათა უშუალო დამტაცებლები მუზეუმებიდან, კერძო კოლექციებიდან, ეკლესიებიდან და სხვ.; ბ) „ვაჭრები“, რომლებიც ყიდულობენ რელიგიური

კულტისა და ხელოვნების საგნებს; გ) „კომისიონერები“, რომლებიც აკეთებენ შესყიდულ და გასასაღებელ კულტურულ ფასეულობათა თავისებურ ექსპერტიზას; დ) შუამავლები, რომლებიც ხელს უწყობენ დატაცებული ნივთების გასაღებას კოლექციონერებზე, შემგროვებლებსა და სხვებზე; ე) საერთაშორისო შუამავლები, რომლებსაც აქვთ საერთაშორისო დანაშაულებრივ კავშირებზე გასვლის შესაძლებლობა საელჩოების, უცხოური ფირმებისა და სხვათა მეშვეობით.

ზემოაღნიშნული კატეგორიის დანაშაულებრივი კავშირები მეტად მრავალრიცხოვანია. ბევრ მათგანს კონტაქტები აქვთ ოფიციალურ სახელმწიფო დაწესებულებებთან, ლეგალიზებული არიან და კარგად გაცნობიერებულნი არიან ხელოვნებათმცოდნეობის სფეროში. ანტიკვარული ნივთების დამტაცებელ პირებს გააჩნიათ კატალოგები, ლიტერატურა ხელოვნების შესახებ, მუზეუმებისა და ეკლესიების განლაგების სქემები ამა თუ იმ მხარისა და ქვეყნის ტერიტორიაზე. მათ გარემოშიც არიან პროფესიული ინფორმაციის შემგროვებელნი (наводчики) და ამა თუ იმ კულტურულ ფასეულობათა დატაცების გეგმის შემუშავებლები, რომლებიც იღებენ შესაბამის ანაზღაურებას. მათი ტექნიკური უზრუნველყოფა ბევრად უფრო დიდია, ვიდრე დამნაშავეთა სხვა კატეგორიებისა.

რაც შეეხება ქურდების სხვა კატეგორიებს, მათ მიეკუთვნება:

ა) „ტოვარნიკები“ — რკინიგზის ქურდები, რომლებიც სპეციალიზდებიან საფოსტო და საბარგო ვაგონებიდან ტვირთის მოპარვაზე;

ბ) „მალინშიკები“ — ქურდობენ დაზარალებულთა დათრობით ან დასაძინებელი ფხვნილის გამოყენებით;

გ) „ხიპსნიკები“ — ქურდობენ პროფესიული დამნაშავეების დახმარებით;

დ) „სობაჩნიკები“, „კოშატნიკები“ — იპარავენ ძვირფასი ჯიშის ძაღლებსა და კატებს;

ე) „კაპორშიკები“ — იპარავენ ქუდებს მაღაზიაში სპეციალურად გამოყოფილი გასასინჯი ადგილებიდან;

ვ) „პოჭარნიკები“ — იტაცებენ ნივთებს ხანძრის დროს;

ზ) „მორუშნიკები“ — ქურდობენ დასაფლავების დროს.

სისხლისსამართლებრივი ქურდული გარემოს დახასიათება არ იქნება სრულყოფილი (დასრულებული), თუ არ შევხებით დამნა-

შვეთა სხვა კატეგორიებს, რომელთა გარეშეც ქურდების არსებობა და საქმიანობა მნიშვნელოვნად გაძნელებოდა. მათ კი მიეკუთვნება: ნაქურდალის შემსყიდველები - „ბარიგები“, დამნაშავეთა დამფარავები - „სტანოვშიკები“.

ნაქურდალის შემსყიდველები წარმოადგენენ ქურდული სამყაროს ფინანსურ ელიტას. როგორც წესი, მათ ჰყავთ საქონელის სტაბილური მიმწოდებლები, ხშირად კი თვითონ არიან დატაცებათა ორგანიზატორები.

პროფესიონალი თაღლითები. ესენი პროფესიულ დამნაშავეთა საკმაოდ გავრცელებული კატეგორიაა და წარმოადგენენ დანაშაულებრივი სამყაროს შემადგენელ ელიტას. თაღლითური მოტყუებების რიცხვი (იგულისხმება სისხლის სამართლის წესით დასჯადი თაღლითობა) სათანადო მასალების შესწავლისა და განზოგადებიდან გამოძინარე 40-ზე მეტია. სპეციალიზაციათა მიხედვით პროფესიონალი თაღლითები ასეთნაირად გამოიყურება:

I. „ბანქოს შულერები“. ესენი ჯიბის ქურდების მსგავსად, უნდა მივაკუთვნოთ პროფესიული დანაშაულობის კლასიკურ ტიპს, რომელიც მოითხოვს სპეციალურ მოზადებას. ბანქოს შულერები თავისი ცხოვრების წესით, კასტურობითა (ჯგუფურობითა) და მატერიალური მდგომარეობით გამოირჩევიან არა მხოლოდ პროფესიული დამნაშავეების მასიდან, არამედ თვით თაღლითებისგანაც.

ამჟამად თაღლითების გარეშე დაყოფილია სამ ძირითად ჯგუფად: 1) „კატრალშიკები“ - ესაა დამნაშავეთა ყველაზე ელიტარული ნაწილი, რომელიც თაღლითური იერარქიის ზედა საფეხურზეა. სხვანაირად თუ ვიტყვით, ესენი არიან თაღლითები, რომლებიც უგებენ მსხვილ საქმოსნებსა და მდიდარ მოქალაქეებს კაზინოში და სხვა ადგილებში. „კატრალშიკები“ არ თამაშობენ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, რადგან ეს მათთვის არა მარტო დამამცირებელია, არამედ საერთოდ არ სურთ გასწიონ გარკვეული რისკი გამჟღავნების თვალსაზრისით. ამიტომ თამაში მიდის ისეთ ადგილებში, რომლებიც საიმედოდ არის დაცული და დაფარული სხვათა მხედველობის არისაგან. „კატრალშიკები“ ძალიან კარგად არიან ტექნიკურად აღჭურვილნი. მათ აქვთ სპეციალური ელექტრონული მოწყობილობები მოსაგებად. მაგალითად, კრებული „საგამოძიებო პრაქტიკაში“ აღწერილია ისეთი შემთხვევა, როცა „კატრალშიკთა“ ერთ ჯგუფს ამოუღეს ელექ-

ტრონული მაგიდა, რომლის გვერდებზე ჩასმული იყო ფარული სარკეები და შესაბამისი აპარატურა. აპარატურიდან სადენი გადიოდა აივანზე, სადაც იყო ეკრანი და მორიგე პირი, რომელიც კორექტირებდა თამაშს.

2) „გუსარები“. ესაა შულერები, რომლებიც ეთამაშებიან მოქალაქეებს საზოგადოებრივ ადგილებში. ისინი იყოფიან სამ კატეგორიად: ა) „გონშიკები“ – თამაშობენ ტაქსებში და ტრანსპორტის სხვა სახეობებში; ბ) „მაიდანშიკები“ – თამაშობენ მატარებლებში; გ) „პლიაჟნიკები“ – თამაშობენ პლაჟზე.

„გუსარები“ ჩვეულებრივად თამაშობენ ორგანიზებული ბრიგადებით. ყოველ ბრიგადაში ოთხი ჯგუფია. ყოველ ჯგუფში 3-4 ადამიანი შედის.

თვით ჯგუფში გამოყოფილია შემდეგი სპეციალობები:

ა) „პოდვოდნიკი“ – ესაა სპეციალისტი, რომელსაც ევალება აზარტულ თამაშებში მოქალაქეთა ჩათრევა;

ბ) „სგონშიკი“ – ესაა სპეციალისტი, რომელიც თამაშის დროს ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას ახდენს დაზარალებულზე. მას მოგების გარკვეული წილი ხვდება;

გ) „კოვშიკი“ – ესაა სპეციალისტი, რომელიც თამაშის დროს თაღლითურ ჯგუფს ეხმარება კარტების ცრუ არევით, მათი შერჩევითა და სხვ.

3) „პაკოვშიკები“. ესაა შულერები, რომლებიც დამოუკიდებლად (მარტონი) მოქმედებენ და მიზნად ისახავენ რაც შეიძლება მეტად „შეფუთონ“ მოგებული თანხები. ესე იგი მოგებული ფული აქციონ ოქროდ, ფასეულობად, უძრავ ქონებად და სხვ.

ბანქოს თაღლითების გულდაგულ მომზადებას მოწმობს არა მხოლოდ ავტომატიზმამდე დამუშავებული ხერხები და მსხვერპლზე ზემოქმედების ფსიქოლოგიური მეთოდები, არამედ ხელის თითების სპეციალური ვარჯიში. თითების მგრძობელობის ასაწევად დამნაშავენი კანის ზედაფენას ჟღენთავენ სხვადასხვა მალამოებით.

თაღლითების უმეტესი ნაწილი (70%-ი) არსად არ მუშაობს. ეს კი, თავის მხრივ, თაღლითური თამაშების – სარფიანობაზე მიუთითებს.

ბანქოს თაღლითების საორგანიზაციო ორგანოა ყრილობა, რომელსაც იწვევენ ყოველწლიურად სხვადასხვა ქალაქში. ყრილო-

ბაზე წარმოდგენილი არიან ბრიგადების ხელმძღვანელები. ამ შეკრებაზე წყდება მრავალი საკითხი და უწინარეს ყოვლისა ქვეყნის ტერიტორიის დაყოფა გავლენის სფეროებად.

II. „ნაპერსტონიკები“. 80-იანი წლების შუა პერიოდში მოთამაშეებს მოულოდნელად გამოეყო და ლიდერის ადგილი დაიკავა ე. წ. „ნაპერსტონიკებმა“ ანუ „კოლპანნიკებმა“. მათთვის „სათითე“ აღმოჩნდა უფრო უსაფრთხო და შემოსავლიანი ხერხი, ვიდრე ყველა სხვა დანარჩენი. ეს თამაში სწრაფად გავრცელდა მთელ რიგ ქალაქებში. უცხო თვალისათვის ეს თამაში სრულიად უწინარ გართობად ჩანს. თამაშობენ „ნაპერსტონიკები“ მშვიდად და მტკიცედ. მათ როლები წინასწარ აქვთ განაწილებული. აქ გამოიყოფა შემდეგი სპეციალიზაციები: ა) „პრისტიჟნი“ – ის, ვინც შეიტყუებს ადამიანებს თამაშში; ბ) „ვერტიაში“ – გაქნილი (მატყუარა), რომელიც ატრიალებს ბურთულას; გ) „პასაჟირი“ – ვითომდა უცხო ადამიანი, რომელიც იძლევა რჩევას, ფაქტობრივად ესაა ცრუმამკვირვებელი (ყალბი) პირი. სადარაჯოზე („სტრემაზე“) საიმედოდ დგანან ბოვეიკები, ისინი არა მხოლოდ აფრთხილებენ მოთამაშეებს პოლიციის გამოჩენისას, არამედ ახდენენ მათ გამოგლეჯას პოლიციის ხელიდან. სამწუხაროდ, „ნაპერსტონიკებმა“ არ გადაიღეს შეპყრობის დროს სანიმუშო ქცევის შუღერული ტრადიციები (იგულისხმება დამორჩილება) და გამოირჩევიან აგრესიულობით.

„ნაპერსტონიკები“ ხშირად იყენებენ ოლიმპიურ სისტემას, რომლის დროსაც მოთამაშენი გამუდმებით იცვლებიან ბრიგადებში, რითაც ქმნიან შემთხვევითი ნაცნობობის სიტუაციას სხვების დასანახავად.

III. „კუკოლნიკები“. თაღლითობის ეს სახეობა მდგომარეობს ნივთების ან ფულის შეცვლაში. ფულის შეცვლისას თაღლითები ჩვეულებრივ იყენებენ სპეციალურად დამზადებულ პორტმონეს (საფულეს) მოტყუების ისეთ ხერხს, როდესაც ფულის შეკვრაში ზემოთ და ქვემოთ ნამდვილი კუპიურებია, ხოლო მათ შორის ქალაქია. ამჟამად ასეთ დანაშაულებრივ ქმედებას სჩადიან ლარის ვალუტაზე გადაცვლის მომენტში.

IV. „პაერის გამყიდველნი“. თაღლითობის ეს სახეობა მდგომარეობს სხვადასხვა სავაჭრო ფირმების ორგანიზაციაში, რომლებიც სპეციალიზდებიან არარსებული საქონლის, ე.წ. „პაერის“ გაყ-

იღვამი. „ჰაერის გამყიდველი“ ყალბი ფირმები და ბანკები ართ-მევენ უბრალო მოქალაქეებს ფულს „პირამიდის“ პრინციპის გა-მოყენებით და ითვისებენ მას.

თაღლითების სხვა კატეგორიებთან დაკავშირებით უნდა შევ-ნიშნოთ, რომ ყველაზე კვალიფიციურ პროფესიულ თაღლითებს მიეკუთვნება:

ა) „რაზგონშიკები“ — თაღლითები, რომლებიც მოქალაქეებს ატყუებენ ავტომობილების ყიდვა-გაყიდვის დროს;

ბ) „ომენშიკები“ — თაღლითები, რომლებიც მოქალაქეებს ატყუებენ ბინების ყიდვა-გაყიდვისა და გადაცვლის დროს;

გ) „ფარმაცონშიკები“ — თაღლითები, რომლებიც ყოიდან ძვირფასის რანგში გაყალბებულ ლითონებს, ქვებს, სხვადასხვა ნაკეთობებს, გაყალბებულ სურათებს, ხატებსა და ანტიკვარიატის სხვა საგნებს;

დ) „ჟენისები“ — თაღლითები, რომლებიც მოქმედებენ საქმ-როს სახით (ხშირად საქორწინო განცხადებების შემუშავებით);

ე) „სბორშიკები“ — რომლებიც აგროვენ ფულს შეწირუ-ლობების სახით;

ვ) „მარჩიელი ბოშები“ — ატყუებენ მოქალაქეებს მკითხაობის ან ექიმბაშობის სახით;

ზ) „სტრიაპჩიები“ — თაღლითები, რომლებიც თავს ასალებენ გამოძიებლებისა და მოსამართლეების ნაცნობად და მოითხოვენ სისხლის სამართლის საქმის შესაწყვეტად გარკვეულ თანხას;

თ) „ობოროტნიკები“ — თაღლითები, რომლებიც მოქმედებენ მილიციის მუშაკების სახით და ახდენენ ჩხრეკას.

ყალბი ფულის მკეთებლებთან დაკავშირებით უნდა შევნიშ-ნოთ, რომ ესენი პროფესიული დამნაშავეების შედარებით მცირე-რიცხოვანი, მაგრამ მყარი და ტექნიკურად კარგად აღჭურვილი კატეგორიაა. მათ შეუძლიათ დიდი ზიანი მიაყენონ სახელმწიფოს.

ამჟამად ყალბი ფულის მკეთებლები იყენებენ მოწინავე ტექნი-კას, კერძოდ, ლაზერულ პრინტერებს, ფერად ქსეროქსებსა და სხვ. დამნაშავეთა ეს კატეგორია განსაკუთრებით ხშირად აყალბებს უცხოურ ვალუტას. საქართველოში არაერთხელ იქნა დაფიქსირე-ბული ყალბი დოლარების დიდი რაოდენობით შემოტანის ფაქტები. ყალბი ვალუტის განსხვავება ნამდვილისაგან კი შესაძლებელია მხოლოდ სპეციალური მოწყობილობის გამოყენებით.

შავი მეძებრები. ეს ის დამნაშავეებია, რომლებიც სპეციალიზდებიან ბრძოლების ადგილებიდან ომის დროს დაღუპულთა საჭურველის, ჯილდოების, პირადი ნივთებისა და უარაღის ამოთხრაზე.

შავ მეძებრებში უნდა გამოეყოთ:

- ა) „მაროდორები“, — რომლებიც ნადირობენ ოქროს კბილებსა და ვერცხლის პორტსივარებზე;
- ბ) „ორუჭეინიკები“ — თხრიან საფლავეებს და იღებენ იარაღს;
- გ) „სანიტრები“ — იღებენ იმას, რაც საფლავეებში საერთოდ დარჩა.

დასახელებულ პირთაგან ყველაზე მეტი კრიმინოგენურობით ხასიათდებიან „ორუჭეინიკები“. „შავი მეძებრები“ მიაკვლევენ რა იარაღს, შემდეგ იღებენ მას, ახარისხებენ, რესტავრაციას უკეთებენ და ბოლოს ყიდნიან. ფასები აღდგენილ იარაღზე ბევრად დაბალია, ვიდრე ახალზე, რაც კიდევ განაპირობებს მის სწრაფ რეალიზაციას.

პროფესიული მათხოვრები. მათხოვრობა — ეს ყოველდღიური მძიმე საშუალოა, მაგრამ საკმაოდ კარგი შემოსავლის მომტანი. ასე მაგალითად, ინგლისსა და აშშ-ში მათხოვრის დღიური შემოსავალი 100 დოლარს სჭარბობს. ისინი იყენებენ ყოველგვარ ხრიკებს, რათა მიიღონ მოწყალეობა: იმიტირებენ ავადმყოფობებს, რომლებიც იწვევენ სიბრალულს; ასაღებენ თავს ომში ან ხანძრით დაზარალებულად და სხვ.

პროფესიული მათხოვრები შეიძლება დაეყოთ შემდეგ კატეგორიებად:

- ა) „მთხველები“ (сочинители), რომლებიც იღებენ მოწყალეობას წერილობითი მიმართვის საფუძველზე (შემწნეულია, რომ წერილის ყველა ტექსტი დაწერილია ერთი ხელითა და ერთნაირი შეცდომებითაც კი);
- ბ) „მამახა“ — ქალი, რომელიც ერთ ან რამდენიმე ბავშვთან ერთად მათხოვრობს;
- გ) „პოგორელცი“ — ამტკიცებენ, რომ დაზარალდნენ ხანძრის შედეგად;
- დ) „გადმთხვეწილები“ (Беженцы) — თითქოსდა გამოქვეყლნი არიან „ცხელი“ წერტილებიდან;

- ე) „სევასტოპოლები“ (Севастопольцы) – მონკვებთი ვეტერანები;
- ვ) „მოგზაურები“ (Путешественники) – თხოულობენ ფულს რკინიგზის ბილეთის საყიდლად;
- ზ) „რკინიგზელები“ (Железнодорожники) – ითხოვენ მოწყალებას რკინიგზის ვაგონებში;
- თ) „მონადირეები“ (Охотники) – მათხოვრები, რომლებიც იყენებენ ორიგინალურ ხერხებსა და საშუალებებს;
- ი) „ობორვანცი“ – მათხოვარი ბავშვები, რომლებიც ითხოვენ მოწყალებას.

უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ მათხოვრების მხრიდან მეტროში, მიწისქვეშა გადასასვლელებზე და სხვა შემოსავლიან ადგილებში ადგილი აქვს ტერიტორიის მკაცრი წესით დაყოფასა და მისაკუთრებას. ასე მაგალითად, დადგები თუ დაჯდები სხვის ადგილზე, შეიძლება წახვიდე გატეხილი თავით ან უკეთეს შემთხვევაში ცალი თვალთ.

მეძავეობა. ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ მეძავეობა თითქოსდა არ მიეკუთვნება პროფესიულ დანაშაულობას, რადგან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი მისთვის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას არ აწესებს (პასუხისმგებლობა გათვალისწინებულია მხოლოდ პროსტიტუციაში ჩაბმისა – მუხლი 253-ე და პროსტიტუციის ბინის მოწყობისა და შენახვისათვის – მუხლი 254-ე), მაგრამ სინამდვილეში ეს ასე არ არის. იმის გათვალისწინებით, რომ ამ საქმიანობას ისინი მეტად პროფესიულად ეწევიან – ხშირად მარცვავენ თავიანთ კლიენტებს სპირტიან სასმელებში სხვადასხვა სახის გამაბრუებელი და დასაძინებელი საშუალებების შერევით; ავადებენ კლიენტებს ვენერიული სენით; ითრევენ თავის გარემოში მცირეწლოვან გოგონებს და ა. შ., გვაძლევს იმის საფუძველს, რომ მეძავეობა მივაკუთვნოთ პროფესიულ დანაშაულობას.

ყველა მეძავე შეიძლება დაიყოს რამდენიმე კატეგორიად:

- ა) „პატარა მინეტრიცები“. ესენი ძირითადად 13-დან 16 წლის გოგონები არიან და ეწევიან ამ საქმიანობას როგორც გზებზე, ასევე ქალაქში და მის გარეთაც (ცხადია, სხვადასხვა ადგილებში). ესენი უმთავრესად ეწევიან ორალურ სექსს;

- ბ) „ვაგზლის შედეგები“. მათი თავშეყრის ადგილი ძირითადად რკინიგზის ვაგზალია. ასეთი შედეგების ასაკი საკმაოდ განსხვავებულია (განისახლვრება 13-დან 65 წლამდე);
- გ) „გოგონები გამოძახებით“. ესენი ძირითადად მუშაობენ „საყოფაცხოვრებო მომსახურების ბიუროებში“, სახელდობრ „სამაჭანკლო სააგენტოებში“. თვით შედეგი შეკვეთის თანხიდან იღებს 20-30%, დანარჩენი ფული ნაწილდება სააგენტოს დირექტორს, მცველებს, მძღოლებსა და დისპეჩერებს შორის. ასეთი შედეგების ასაკი 18-დან 39 წელია;
- დ) „ქუჩის ქალები“ – მუშაობენ იატაკქვეშა (არალეგალურ) საროსკიპოებში, რომლებიც ეკუთვნის დანაშაულებრივი ჯგუფებისა და ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფებების წარმომადგენლებს;
- ე) „ვალუტის შედეგები“. ისინი ძირითადად მუშაობენ სასტუმროებში და ემსახურებიან უცხოელ ტურისტებს“. ამ კლანის წარმომადგენლები ლამაზები, მდიდრულად ჩაცმულები და კარგად დაცულები არიან. ბევრ მათგანს საკუთარი მცველები ჰყავს;
- ვ) „სასახლის შედეგები“. მათი კლიენტები მდიდარი ადამიანებია, კერძოდ ბიზნესმენები. ისინი ოქროს ნაკეთობებით უმასპინძლებიან თავიანთ შედეგებს. „სასახლის შედეგების“ ქმრები ჩვეულებრივ მათ კმაყოფაზე იმყოფებიან.

რაც შეეხება კაცების პროსტიტუციას მასაც აქვს ადგილი, მაგრამ ნაკლები მასშტაბით.

არ შეიძლება რამდენიმე სიტყვა არ ვთქვათ იმ პირებზე, რომლებიც ახლო კავშირში არიან შედეგებთან – უწინარეს ყოვლისა სუტენიორებზე¹. ისინი ასე თუ ისე დაკავშირებული არიან დანაშაულებრივ სამყაროსთან, მაგრამ კრიმინალურ გარემოში არ სარგებლობენ ავტორიტეტით.

დღეს პროსტიტუციასთან ბრძოლის ფრონტზე შეიმჩნევა ისეთი სიტუაცია, რომელსაც საბჭოთა ხელისუფლების გარიყრაჟზე ლევ ტროცკიმ ხატოვნად უწოდა: „არც მშვიდობა, არც ომი“. დღეს თბილისში პროსტიტუციას ებრძვის პოლიციის თანამშრო-

¹ სუტენიორი – ფრანგული სიტყვაა და ნიშნავს ადამიანს, რომელსაც საყვარლად ჰყავს როსკიპი და მის ხარჯზე ცხოვრობს.

მელთა მცირე ჯგუფი, რომლებსაც სამსახურებრივი მანქანებიც კი არ გააჩნიათ, და ეს მაშინ, როცა ქალაქში სამაჭანკლო სააგენტოებისა და არალეგალური საროსკიპოების რიცხვი იზრდება. თითოეულ საროსკიპოში „მუშაობს“ 10 და მეტი მეძავი. ამგვარად, რომ ასეთ პირობებში პროსტიტუციასთან ეფექტური ბრძოლა შეუძლებელია.

მძარცველი-ყაჩაღები. ისინი დამნაშავეთა საშისი კატეგორიაა. მათი სპეციალიზაცია გამოიხატება ქონების ძალმომრეობით დაუფლებაში. დასახელებული სახის დამნაშავეებში შეიძლება გამოვყოთ 3 ძირითადი კატეგორია:

- ა) ფულადი სახსრების დამტაცებლები საფინანსო სისტემის ობიექტებზე;
- ბ) მძარცველები, რომლებიც თავს ესხმიან მოქალაქეებს ბინებში;
- გ) მძარცველები, რომლებიც თავს ესხმიან ავტომანქანის მფლობელებს, ავტომანქანების დაუფლების მიზნით.

მძარცველ-ყაჩაღთა დიდი უძრავლესობა მოქმედებს ორგანიზებული ჯგუფების სახით. მათი მომზადების ხარისხი შეიძლება მივაკუთვნოთ მაღალს, რასაც მოწმობს ისეთი მაჩვენებლები, როგორცაა იარაღის სხვადასხვა სახეობებისა და ტექნიკური საშუალებების ქონა, შენობა და სხვ. იარაღით სარგებლობს ყაჩაღთა ჯგუფების 80%-ი. ისინი ხშირად იყენებენ მილიციის მუშაკების ფორმას.

განსაკუთრებული თვისება, რითიც ისინი განსხვავდებიან დამნაშავეთა სხვა კატეგორიისაგან, არის სისასტიკე. მაგალითად, ისინი ხშირად კლავენ დაჭრილ თანამონაწილეებს მილიციასთან შეიარაღებული კონფლიქტის შემთხვევაში. ამ დანაშაულთა მოკვლევის დონე არ აღემატება 50%-ს. მარცხა და ყაჩაღობა, როგორც უკვე შევნიშნეთ, ორიენტირებულია მოქალაქეთა ქონების დაუფლებაზე, რომლებსაც, მძარცველების აზრით, გააჩნიათ მატერიალურ ფასეულობათა სიჭარბე.

გამომძალველები (რეკეტორები). ესენი პირობითად შეიძლება დაიყოს ტრადიციულ და ახალ გამომძალველებად. პირველნი მოქმედებენ ცალკეულ პირთა მიმართ ნიუთის ან ქონებრივი უფლების გადაცემის ან ქონებრივი სარგებლობის მოთხოვნით, რასაც თან ერთვის დაზარალებულის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ ძალა-

დობის გამოყენების ან მათი ნივთის განადგურების ან დაზიანების ანდა სახელგამტეხი ცნობის გახმაურების ან სხვა ისეთი ცნობის გავრცელების მუქარა, რამაც შეიძლება არსებითად დააზიანოს მათი უფლებები. მეორე ტიპის გამომძალველების საქმიანობა გამოიხატება სხვადასხვა ფორმებსა და სავაჭრო წერტებზე გადასახადების შეწერაში.

უკანასკნელ წლებში გამოძალვა მეტად გავრცელებულ მოვლენად იქცა. დამნაშავენი გადასახადს აწერენ ამა თუ იმ ფირმას და მუდმივად იღებენ მათგან ფულს (გამოიყურებიან როგორც მთკმყოფაზე მყოფნი). სამაგიეროდ ფირმებს აძლევენ სხვა დანაშაულებრივი ჯგუფებისგან დაცვის გარანტიას. მონაცემების მიხედვით რეკეტირებულია ფირმების 90%-ზე მეტი. რაც შეეხება ფარდულებს (რომლებიც ფუნქციონირებენ ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების სფეროებში), მათი მეპატრონეების გამოკითხვის მონაცემებმა გვიჩვენა, რომ ყველა ისინი გამონაკლისის გარეშე, დაწესებულ თანხას უხდიან რეკეტიორებს.

რეკეტს მიმართავენ კარგად ორგანიზებული ჯგუფები, მათ ჰყავთ თავისი მეთაურები, დაწესებული აქვთ მკაცრი იერარქია, მოქმედებს ქცევის განსაზღვრული ნორმები („ბანდიტური წარმოდგენები, გაგებები“). ამჟამად დიდი ქალაქები დაყოფილია სხვადასხვა დანაშაულებრივ ჯგუფებს შორის.

პროფესიული მკვლელები (ქილერები). ასეთი კასტის (კლანის) არსებობას, არც რევოლუციამდელ რუსეთში და არც საბჭოთა კავშირის დროს ადვილი არ ჰქონია. ეს თანამედროვე საზოგადოების დამახასიათებელი ნიშანი გახდა. დაქირავებული მკვლელების კლანის ან კასტის გაჩენა კრიმინალურ სამყაროში უდავოდ უკავშირდება 90-იან წლებს. რუსეთის ფედერაციის შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით რუსეთის ფედერაციაში ყოველწლიურად 200-ზე მეტი დაკვეთილი მკვლელობის გამოძიება წარმოებს.

პროფესიული ქილერები კარგად არიან მომზადებული, ბევრი მათგანი პოლიციის, უშიშროებისა და თავდაცვის სამინისტროს ყოფილი თანამშრომელია.

ქილერი სპეციალისტია არა მხოლოდ მკვლელობის, არამედ საიდუმლოების შემნახველიცაა. პოტენციურმა შემკვეთმა ქილერის

მონახვამდე შუამავლებთან ურთიერთობის საკმაოდ რთული გზა უნდა განვლოს.

პროფესიულ მკვლელთა მსხვერპლად გვეკლინებიან ცნობილი პოლიტიკოსები, ჟურნალისტები, ბიზნესმენები, „კანონიერი“ ქურდები, ბანდების მოთავეები და სხვ.

ზოგიერთი მონაცემი საშუალებას გვაძლევს გავაკეთოთ დასკვნა, რომ ქილერები „მოღვაწეობენ“ ჯგუფებად და ახდენენ მოქმედებათა კოორდინირებას ურთიერთ შორის. გამოვლენილია ქილერთა ქცევის ორი ძირითადი ტიპი, რომლებიც ცდილობენ თავი დააღწიონ სამართალდაცვის ორგანოების ხელში ჩავარდნას.

პირველი ტიპი იარაღს ტოვებს დანაშაულის ადგილზე, იმ რწმენით, რომ იარაღი არ გამოიწვევს მის მხილებას და გამოძიება მცდარი გზით წავა. შავ ბაზარზე მას შეუძლია ისეთი იარაღის შეძენა, რომელიც ძებნაშია სხვა პირთა მკვლელობის ფაქტთან დაკავშირებით.

მეორე ტიპის მკვლელს მიაქვს არა მხოლოდ იარაღი, არამედ ცარიელი ვაზნებიც და ამით ცდილობს ნივთიერი მტკიცება არ დაუტოვოს გამოძიებას.

ქილერის მუშაობის განმასხვავებელი ნიშანია: ა) საკონტროლო გასროლა თავის არეში; ბ) მსხვერპლის გაუძარცველობა.

ქილერები საკმაოდ ხშირად იყენებენ სხვადასხვა სახის ასაფეთქებელ ნივთიერებებს. არის შემთხვევები, როდესაც შეკვეთაში დათქმულია როგორც მკვლელობის ხერხი, ასევე მკვლელობის იმიტირება (მიმსგავსება) უბედურ შემთხვევასთან, თვითმკვლელობასთან და სხვ. ზოგიერთ ორგანიზებულ ჯგუფს ანუ ბანდას თავისი საკუთარი ქილერები ჰყავს, რომლებსაც „ლეგიონერებს“ ეძახიან. სადღეისოდ ქილერებს შორის დიდი კონკურენციაა, რამაც ლოგიკურად განაპირობა ის, რომ ზოგიერთმა მათგანმა საქმიანობა გადაიტანა საზღვარგარეთ, სადაც მათ „სამუშაოს“ ბევრად უკეთესი ანაზღაურება აქვს.

§ 3. პროფესიული დანაშაულობის მიზეზები და მისი თავიდან აცილება

პროფესიულ დანაშაულობას, ისევე როგორც დანაშაულობის ნებისმიერ სხვა სახეობას, გააჩნია თავისი როგორც საერთო-სოციალური, ასევე სპეციფიკური მიზეზები.

საერთო-სოციალურ მიზეზებს შეიძლება მივაკუთვნოთ: ქვეყანაში ტრადიციულად არსებული მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობები, განათლებისა და კულტურის დაბალი დონე, უმუშევრობა, დაუსჯელობის სინდრომის არსებობა; წინააღმდეგობები საზოგადოებრივ მოთხოვნილებებსა და სახელმწიფოებრივ დაკმაყოფილებას შორის; ანგარებითი მოტივების განხორციელების შესაძლებლობა; ზნეობრივი ინსტიტუტების შესუსტება; კანონმდებლობის არასრულყოფილება; ნაკლოვანებები სამართალდაცვის ორგანოების მუშაობაში და სხვ.

ჩვენ უნდა დავეთანხმოთ ა. გუროვის თვალსაზრისს იმასთან დაკავშირებით, რომ პროფესიული დანაშაულობის ერთ-ერთ ძირითად მიზეზს წარმოადგენს ის წინააღმდეგობები, რომლებიც არსებობს მატერიალური დოვლათის განაწილებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებში. უფრო მეტიც, გასათვალისწინებელია ახალი მიზეზებიც, კერძოდ, მხედველობაში გვაქვს ის, რომ ახალი ცხოვრების შემყურე მოქალაქეებს, განსაკუთრებით ახალგაზრდებს უნდათ იცხოვრონ ისე, რომ ჰქონდეთ მდიდრული სახლი, პრესტიჟული უცხოური მანქანები, ისაღილონ ძვირადღირებულ რესტორნებში და სხვ. მაგრამ ამის მიღწევა შეიძლება ან განსაკუთრებული ნიჭის წყალობით, ან მრავალწლიანი შრომით, ან დანაშაულებრივი ქმედების ჩადენით. სამწუხაროდ, ახალგაზრდები სწორედ ამ უკანასკნელ გზას ირჩევენ. ამისკენ მათ უბიძგებს, როგორც ჩინელები ამბობენ, „წითელი თვალების ავადმყოფობა“ ანუ ელემენტარული შური და ანგარება¹.

საბჭოთა სახელმწიფოს დანერგვამ და შემდგომ პერიოდში იდეოლოგიურმა ვაკუუმმა, მათ შორის ზნეობრივი ორიენტაციების

¹ Гуров А. И. Профессиональная преступность: прошлое и настоящее. М., 1990, с. 255.

უქონლობამ გამოიწვია ის, რომ ადამიანები ადვილად ადგებიან დანაშაულებრივ ვზას.

საერთო-სოციალური მიზეზებიდან გამომდინარეობს პროფესიული დანაშაულობის სპეციფიკური მიზეზებიც. ასე მაგალითად, პროფესიული დანაშაულობის კვლავწარმოება ხდება არა თავისთავად, არამედ სისხლისსამართლებრივი გარემოს ტრადიციებისა და ჩვევების მეშვეობით. სისხლისსამართლებრივი ქურდული ტრადიციების სიცოცხლისუნარიანობა კი, უპირველეს ყოვლისა, განპირობებულია მათი მუდმივი ზემოქმედებით დამნაშავეთა შეგნებაზე, რითაც ისინი ხდებიან პროფესიულ დამნაშავეთა სუბკულტურის განუყოფელი ნაწილი. სუბკულტურის მატარებელია თვით გარემოც, განსაკუთრებით თავისუფლების აღკვეთის ადგილები. პროფესიული დანაშაულობის გაანალიზებითა და შესწავლით დადგინდება, რომ მათი ჟარგონები, „კანონები“, ყოფაქცევის წესები და ა. შ., უცვლელ და მყარ ხასიათს ატარებს.

ტრადიციებისა და ჩვეულებების გადაცემა არ შეიძლება მოხდეს მათი მატარებლების — პროფესიული დამნაშავეების გარეშე. ტყუილად კი არ არის, რომ „კანონიერი ქურდების“ ერთ-ერთი ძირითადი მცნებაა „ქურდული“ ჩვევებისა და ტრადიციების პროპაგანდა და ახალგაზრდა წევრების ჩათრევა დანაშაულებრივ გაერთიანებებში.

პროფესიონალ დამნაშავეთა ანგარებით მოტივებთან დაკავშირებით უნდა შევნიშნოთ, რომ ამ სახის მოტივებმა იმდენად დაიპყრო დამნაშავეთა გონება, რომ მათში ყველაზე მტკიცენიც კი — „კანონიერი ქურდები“ — იძულებული გახდნენ 80-იან წლებში შეეცვლათ თავიანთი კანონები. მხედველობაში გვაქვს ის ფაქტი, რომ თუ ადრე „კანონიერ ქურდებს“ სიძლიდრის დაგროვების უფლება არ ჰქონდათ ახლა ეს წესი შეცვლილია და „ქურდებს“ არა მხოლოდ ბინები, ცალკე სახლები და უცხოეთის ბანკებში ანგარიშები აქვთ, არამედ უფრო მეტიც, ისინი ლეგალურ ბიზნესშიც „მოღვაწეობენ“. ამრიგად, მათი კანონები იმდენად შეიცვალა, რომ „ქურდის გვირგვინის“ ყიდვაც კი შესაძლებელია ფულზე.

კრიმინალურ პროფესიონალიზმთან ბრძოლა, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს სოციალურ სფეროში სახელმწიფოს მიერ განხორციელებულ ეკონომიკურ, იდეოლოგიურ და სამართლებრივ ღონისძიებათა სისტემას. აქ შეიძლებოდა ბევრი გვეთქვა სამარ-

თალღამცავი ორგანოების დაფინანსების გაუმჯობესების აუცილებლობაზე, საერთო-პროფილაქტიკურ ღონისძიებათა სრულყოფაზე, სამართლებრივ პროპაგანდასა და მოსახლეობის ზნეობრივ აღზრდაზე, კანონმდებლობის გაუმჯობესება-სრულყოფაზე, ყველა სამართალდამცავი ორგანოების მუშაობისა და ურთიერთკორდინირებული საქმიანობის გაუმჯობესებაზე, ამ ორგანოების მუშაკთა სამართლებრივ და სოციალურ დაცვაზე და ა. შ., მაგრამ მიუთითებთ, პროფესიულ დანაშაულობასთან ბრძოლის მხოლოდ ზოგიერთ სპეციფიკურ ღონისძიებებზე. სახელდობრ, საჭიროა:

1. სისხლის, სისხლის სამართლის საპროცესო და სასჯელაღსრულებითი კანონმდებლობის სრულყოფა პროფესიულ დანაშაულობასთან ბრძოლაში. მხედველობაში გვაქვს სისხლის სამართლის კოდექსის ზოგად ნაწილში პროფესიული დამნაშავესათვის დამახასიათებელი ნიშნების განსაზღვრა, ამა თუ იმ დანაშაულის შემადგენლობაში მისი მიჩნევა დამამძიმებელ გარემოებად და სხვ.

2. პროფესიულ დამნაშავეთა გამოვლენა და მათზე მუდმივი კონტროლის დაწესება. ეს თავის მხრივ, მოიცავს იმას, რომ ყველა პროფესიული დამნაშავე აყვანილ იქნას აღრიცხვაზე და მათ დანაშაულებრივ საქმიანობაზე განხორციელდეს ჯეროვანი კონტროლი. ამ მიზნით კი საჭიროა ქვეყნის მასშტაბით შეიქმნას მონაცემთა კომპიუტერული ბაზა. მონაცემები პროფესიულ დამნაშავეზე უნდა შეგროვდეს, პოლიციის უბნის ინსპექტორებისა და გამასწორებელ დაწესებულებათა რაზმის უფროსების მონაცემებზე დაყრდნობით. კომპიუტერულმა მონაცემებმა უნდა მოიცვას არა მხოლოდ პროფესიულ დამნაშავეთა სიები, მათ მიერ ჩადენილ დანაშაულთა ხერხები და ა. შ., არამედ სამართალდამცავი ორგანოებისთვის საინტერესო სხვა ნებისმიერი ინფორმაცია.

3. შინაგან საქმეთა ორგანოებისა და სხვა სამართალდამცავი ორგანოების მუშაობის სრულყოფა პროფესიულ დანაშაულობასთან ბრძოლის სფეროში. სრულყოფა ამ შემთხვევაში გულისხმობს სამართალდაცვისა და სხვა სახელმწიფო ორგანოების ურთიერთმოქმედებათა კოორდინაციას. დასამალი არ არის ის ფაქტიც, რომ ზოგჯერ პოლიციის, პროკურატურისა და თუსტიციის ორგანოები არათუ ურთიერთმოქმედებენ, არამედ ხშირად კონფრონტაციაში არიან ერთმანეთთან. კონფრონტაცია, სამუხაროდ, შეინიშნება თვით უწყებების შიგნითაც. პროფესიულ დანაშაულობასთან ბრძო-

ლის ეფექტურობის ასამაღლებად საჭიროა შეიქმნას პროფესიული დანაშაულობის სხვადასხვა სახეობებთან (ჯიბისა და ბინის ქურდებთან, თაღლითებთან და შეძახვებთან, მძარცველებთან და გამოძალაველებთან) ბრძოლის სპეციალური ქვეგანყოფილებები.

ასევე საჭიროა არა მხოლოდ სამართალდამცავი ორგანოებისა და მისი მუშაკების ვიწრო სპეციალიზაციის სრულყოფა პროფესიულ დანაშაულებებთან ბრძოლაში, არამედ პიროვნულ ძებნასთან დაკავშირებული საქმიანობის სრულყოფაც.

4. „ქურდული“ ტრადიციებისა და ჩვეულებების მატარებელ ავტორიტეტ პირთა სააშკარაოზე გამოტანა.

ს. ლებედევის აზრით, სწორედ დანაშაულებრივი ტრადიციები და ჩვევებია კრიმინალური პროფესიონალიზმის კვლავწარმოების წინა პირობა. მაგრამ, სამწუხაროდ მათ შესწავლას დღემდის თითქმის არ ეთმობოდა სათანადო ყურადღება. დანაშაულებრივი გარემოს შესწავლას დაეხმარება ახალი მეცნიერება – პენიტენციური სოციოლოგია (იგი შეისწავლის დანაშაულებრივ სამყაროს, მის ისტორიას, ტრადიციებს, სუბკულტურას, ე. ი. ქცევისა და განწყობის არაფორმალურ ნორმებს, კანონებს, ტაბუირებებს, ფარგონებსა და სხვ.)¹

5. დანაშაულებისათვის ზიანის ანაზღაურების ახალი სისტემის შექმნა. ანაზღაურების ეს სისტემა უნდა დაეფუძნოს მხოლოდ მათ შრომით საქმიანობას და იგი უნდა გახდეს სასჯელისაგან თავისუფლების აუცილებელი წინა პირობა. სხვანაირად თუ ვიტყვით, სახელმწიფოზე და დაზარალებულზე მიყენებული ზიანის ანაზღაურების საფუძველი უნდა გახდეს მათ მიერ გამოძულებული ფულადი თანხა (ცხადია, თუ ამის შესაძლებლობას მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა იძლევა). ამასთან, სასჯელალსრულებით დაწესებულებაში (კოლონიაში) პროფესიონალ დანაშაულებს უნდა შეექმნათ ისეთი პირობები, რომლის დროსაც ისინი მართლაც იმუშავენ მთელი დატვირთვით. ეს, თავის მხრივ, სასჯელალსრულების კანონმდებლობაში სათანადო ცვლილების შეტანის აუცილებლობას წარმოშობს, რაც აუცილებლად უნდა გაკეთდეს. დაგზობილი უნდა იქნეს ის პრაქტიკა, როდესაც გამოსამუშავებელი

¹ Лебедев С. Я. Антиобщественные традиции, обычаи и их влияние на преступность. Омск, 1989, с. 34.

თანხის შევსებას ახდენენ პატიმრებისაგან ნაღდი ფულის აღებითა და ვითომდა მათ მიერ გამომუშავეების შესრულებულად ჩვენებით. კიდევ ერთხელ ხაზს ვუსვამთ იმ თეზას, რომ მხოლოდ და მხოლოდ პირადი შრომის შედეგები (და არა გამომუშავეების შემცველი ფულადი ექვივალენტი) უნდა იყოს სასჯელისაგან პროფესიონალი დამნაშავეების გათავისუფლების კრიტერიუმი.

დაბოლოს, დანაშაულობასთან ბრძოლის სახელმწიფო პროგრამაში ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილი უნდა დაეთმოს პროფესიულ დანაშაულობასთან ბრძოლას. საქმე იმაშია, რომ პროფესიულ დამნაშავეთა კატეგორია თუმცა ყველაზე მცირერიცხოვანი ჯგუფია ქვეყნის მასშტაბით, მაგრამ სამაგიეროდ ესაა ჯგუფი, რომელიც დანაშაულთა ყველაზე მეტ რაოდენობას სჩადის და, ცხადია, ამით ზიანს აყენებს სახელმწიფოს, საზოგადოებისა და მოქალაქეთა ინტერესებს.

§ 1. ორგანიზებული დანაშაულობის ცნება და ნიშნები

ორგანიზებული დანაშაულობა დანაშაულობის ერთ-ერთი რთული და საშიში სახეა, რომელიც უპირველეს ყოვლისა ხელყოფს საზოგადოების ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სამართლებრივ და ზნეობრივ სფეროებს.

საბჭოთა პერიოდში ოფიციალურად მიჩნეული იყო, რომ თითქოსდა საბჭოთა კავშირში არ იყო და არც შეიძლებოდა ადგილი ჰქონოდა ასეთი სახის დანაშაულობას. ყოველივე ამის გამო იგი ხანგრძლივი დროის განმავლობაში არ გამხდარა შესწავლის საგანი. სახელმწიფოებრივ დონეზე მისი არსებობა პირველად ცნო სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა საბჭოების მე-2 ყრილობამ თავის დადგენილებაში „ორგანიზებულ დანაშაულობასთან ბრძოლის გაძლიერების შესახებ“. ამ დროისათვის თეორია და პრაქტიკა მოუშაადებელი აღმოჩნდა ამ სახის დანაშაულობასთან საბრძოლველად. ექსპერტთა შეფასებით, ქვეყნის სამართალდაცვის სისტემა და კანონმდებლობა ამ სახის დანაშაულობასთან ბრძოლას ჩამორჩა 20-25 წლით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ცხადია, აუცილებელი ხდება ყურადღების გამახვილება ორგანიზებული დანაშაულობის ცნებაზე, ნიშნებზე, ფორმებსა და სტრუქტურაზე.

უპირველეს ყოვლისა უნდა შევნიშნოთ რომ ჯგუფური დანაშაულის ცნების სისხლისსამართლებრივ გაგებას იძლევა სისხლის სამართლის კოდექსის 27-ე მუხლი. ეს მუხლი ოთხი ნაწილისაგან შედგება და წერია შემდეგი: 1. დანაშაული ჯგუფის მიერაა ჩადენილი, თუ მის განხორციელებაში წინასწარ შეუთანხმებლად ერთობლივად მონაწილეობდა ორი ან მეტი ამხრულებელი; 2. დანაშაული ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებითაა ჩადენილი, თუ მასში მონაწილენი წინასწარ შეკავშირდნენ დანაშაულის ერთობლივად ჩასადენად; 3. დანაშაული ორგანიზებული ჯგუფის

მიერაა ჩადენილი, თუ იგი განახორციელა პირთა მყარმა ჯგუფმა, რომლებიც წინასწარ შეკავშირდნენ რამდენიმე დანაშაულის ჩასადენად; 4. სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ორგანიზებული ჯგუფის შექმნისათვის ან ხელმძღვანელობისათვის დაეკისრება იმას, ვინც შექმნა ასეთი ჯგუფი ან ხელმძღვანელობდა მას. მასვე დაეკისრება პასუხისმგებლობა ამ ჯგუფის მიერ ჩადენილი ყველა დანაშაულისათვის, თუ მათ მოიცავდა მისი განზრახვა. ორგანიზებული ჯგუფის სხვა მონაწილე პასუხს აგებს ჯგუფში მონაწილეობისათვის სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, აგრეთვე იმ დანაშაულისათვის, რომლის მომზადებაში ან ჩადენაშიც იგი მონაწილეობდა.

ზემოაღნიშნული მუხლის გააზრებიდან აშკარად ჩანს, რომ ორგანიზებული დანაშაულობა ჯგუფური დანაშაულობის ერთ-ერთი სახეა. თვით ჯგუფურ დანაშაულობაში, როგორც ეს აღინიშნა ქ. ნეაპოლის საერთაშორისო კონფერენციაზე 1994 წელს, შეიძლება გამოიყოს სამი ფორმა: 1) ორგანიზებული ჯგუფი; 2) დანაშაულებრივი ორგანიზაცია და 3) დანაშაულებრივი კავშირი. ორგანიზებულ ჯგუფს ახასიათებს ის თვისება, რომ მისი ხელმძღვანელი იმავდროულად არ არის ჯგუფის ორგანიზატორი; დანაშაულებრივი ორგანიზაცია ითვლება უფრო ძალისმიერ ფორმად და მისი მართვა შედარებით გართულებულია. აქ დანაშაულებრივი ორგანიზაციის ხელმძღვანელი, როგორც წესი, არ არის კონკრეტული დანაშაულის ჩადენის ორგანიზატორი. აღნიშნულ ჯგუფში ერთნი მართავენ ორგანიზაციას, მეორენი სწაღიან კონკრეტულ დანაშაულს, მესამენი ახდენენ დანაშაულებრივი შემოსავლების ლეგალიზაციას. და სხვ.; დანაშაულებრივი კავშირი, კონფერენციის მასალებიდან გამომდინარე, წარმოადგენს ორგანიზებული დანაშაულობის უმაღლეს ფორმას. მას გააჩნია პირველი. და მეორე ფორმის ნიშნები, უფრო მეტიც, იგი გვეკლინება მათი „ლიდერების“ საკოორდინაციო ორგანოდ. კრიმინალური სამყაროს „ლიდერები“ (ხელმძღვანელები) ხშირად იკრიბებიან იმისთვის, რომ გადაანაწილონ თავიანთი საქმიანობის

სფეროები, მოახდინონ დანაშაულებრივი საქმიანობის კოორდინაცია და სხვ¹.

დაჯობრუნდეთ ორგანიზებული დანაშაულობის საკითხს. 1991 წელს ქ. სუზდალში (რუსეთის ფედერაცია) გაერთიანებული ერების საერთაშორისო კონფერენციაზე ორგანიზებული დანაშაულობა განიმარტა, როგორც დამნაშავეთა მართვადი, მყარი გაერთიანების ფუნქციონირება, რომლებიც სჩადიან დანაშაულებს, როგორც ბიზნესს და ქმნიან სოციალური კონტროლისაგან დაცვის სისტემას კორუფციის დახმარებით².

აღნიშნული განმარტებიდან გამომდინარეობს ორგანიზებული დანაშაულობის სამი ძირითადი ნიშანი.

პირველი ნიშანი – ესაა გაერთიანებული პირების არსებობა დანაშაულთა სისტემატური ჩადენისათვის. მათში შეინიშნება მკვეთრად გამოხატული იერარქია, სხვა სიტყვებით თუ ვიტყვი, მონაწილეების დაქვემდებარება; მკაცრი დისციპლინა, რაც ეფუძნება სისხლის სამართლის დამნაშავეთა მიერ დადგენილ ქცევის წესსა და მათ ტრადიციებს და რაც ესოდენ დამახასიათებელია საქართველოს დამნაშავეთა სამყაროსათვის. დანაშაულებრივ გაერთიანებაში ძალაუფლების თავმოყრა ხდება ერთი ან რამოდენიმე ლიდერის ხელში, მონაწილეთა რიცხვი მერყეობს ხუთიდან რამოდენიმე ასამდე და უფრო მეტიც ათას ადამიანამდეც. ესაა საერთო კრიმინოლოგიური წარმოდგენა ორგანიზებული ტიპის დანაშაულებრივი გაერთიანების შესახებ.

ორგანიზებული დანაშაულობის მეორე ნიშანი – ესაა მისი ეკონომიკური მხარე. არსებითად ესაა მისი საყრდენი. კანონის სისტემატური დარღვევა მთავარ მიზნად ისახავს სწორედ გამდიდრებასა და კაპიტალის დაგროვებას. შემთხვევითი არაა, რომ ყველა დანაშაულებრივი გაერთიანებები შექმნილია სამეწარმეო საწარმოების სახით იმისათვის, რომ სისტემატურად ჩაიდინონ დანაშაულებრივი ქმედებები და მიიღონ დიდი მოგებები. მატერი-

¹ დაწერილებით გაუფურ დანაშაულობაზე იხ. მალხაზ ზაძალა. გაუფური დანაშაულობა. თბ. 1998;

² იხ. **Кримнология. Учебник** (Под ред. акад. В. Н. Кудрявцева, проф. В. Е. Еминова). М., Юрист, 1995, с. 258.

ალური ზიანი, რომელიც ადგება სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, ცალკეულ მეწარმეებსა და კომერციულ სტრუქტურებს მოიცავს მილიონებითა და მილიარდობით თანხასაც კი. მიღებულ უკანონი მოგებას „ათეთრებენ“ როგორც საბანკო ოპერაციების რთული სისტემის მეშვეობით, რომელიც ილექება საზღვარგარეთის ბანკების ანგარიშებში, ასევე უკანონოდ მიღებული თანხების ნაწილს აბანდებენ უძრავ ქონებაში. ფულის გარკვეული ნაწილი, ასევე მიდის დანაშაულებრივი საქმიანობის კვლავწარმოებაზე ცნობილი ფორმულის ფული – საქონელი – ფულის პრინციპის მიხედვით. ანალიტიკური ცენტრების მონაცემებით, მეწარმეთა შემოსავლების 30% მიდის მაფიის ხელში.

ორგანიზებული დანაშაულობის მესამე ნიშანია კორუფცია. ეს უკანასკნელი აღნიშნავს სახელმწიფო მოხელეების გახრწნას, მათი მოსყიდვის შესაძლებლობას; სხვანაირად თუ ვიტყვით, კორუფცია – ნიშნავს თანამდებობის პირთა, პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეთა მოსყიდვას. კორუფცია შეიძლება განისაზღვროს, როგორც გარკვეულ ურთიერთობათა სისტემა, რომელიც დაფუძნებულია თანამდებობის პირთა მართლსაწინააღმდეგო და სხვა სახის გარიგებებთან, რაც ზიანს აყენებს სახელმწიფო და საზოგადოების ინტერესებს.

ცნობილი გერმანელი კრიმინოლოგი ჰანს იოახიმ შნაიდერი გამოპყოფს ორგანიზებული დანაშაულობისათვის დამახასიათებელ შვიდ განსხვავებულ ნიშანს. ესენია:

1. მოსახლეობის არალეგალურ საქონელზე (მაგალითად, ნარკოტიკებზე) და მომსახურებაზე (მაგალითად, პროსტიტუციაზე) დაკმაყოფილება;
2. რაციონალურობა და გეგმაზომიერება, რაც მცირე რისკის გაწევით მსხვილი მოგების მიღებას განაპირობებს;
3. ჯგუფში როლების განაწილება და მკვეთრი გამიჯვნა;
4. იმ მონაწილეთა პროფესიონალიზმი, რომელთაც დანაშაულებრივ სამყაროში მაღალი რეიტინგი გააჩნიათ;
5. ცენტრალური დაქვემდებარება და იერარქიული სტრუქტურების არსებობა (იგულისხმება თითოეული დანაშაულებრივი ჯგუფი და ყოველი სინდიკატი, ასევე მათი ხელმძღვანელების

საერთაშორისო კავშირები სხვა სინდიკატებთან და დანაშაულებრივ ჯგუფებთან);

6. მკაცრი დისციპლინა, რომელიც ჯგუფის მონაწილეთაგან დანაშაულის ოპერაციის შესრულებას მხოლოდ და მხოლოდ ბრძანებისა და მითითებების შესაბამისად მოითხოვს;

7. მათი დანაშაულებრივი საქმიანობის სახელმწიფოებრივი სისხლისსამართლებრივი დევნისაგან ნეიტრალიზება ხელისუფლების სისტემატურად მოსყიდვის გზით.¹

იტალიელი იურისტის რ. შინის განსაზღვრებით, დანაშაულებრივი ორგანიზაცია არ არის მხოლოდ ბანდა ან იმ პირთა ჯგუფი, რომლებიც ერთად სჩადიან დანაშაულს. იმისათვის, რომ ესა თუ ის ჯგუფი ორგანიზაციად ჩაითვალოს, მას უნდა გააჩნდეს შემდეგი ნიშნები: ინფორმაციის შეგროვება და გადაცემა; სამართალდამცავ ინსტიტუტთა მოქმედების ნეიტრალიზაცია; ძირითად სოციალურ-ეკონომიკურ სამსახურთა გამოყენება; ჯგუფის შიდა სტრუქტურების არსებობა; მოქმედებათა ერთგვარი გარეგანი „კონონიერება“.²

აქვე უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ ორგანიზებული დანაშაულობის ნიშანთა ჩამონათვალი საკმაოდ ზუსტად არის შეჯამებული თვით ტერმინში – „ორგანიზებული დანაშაული“. ეს უკანასკნელი წარმოდგარია სიტყვა „organizo“-საგან და ნიშნავს მწყობრი სახის მინიჭებას, მოწესრიგებას.

„ორგანიზებული დანაშაულობა“, რომ მოიცავს ჯგუფური ხასიათის დანაშაულებრივ გამოვლინებებს ამის დასტურია ორგანიზებული ჯგუფის ცნების სოციალურ-ფსიქოლოგიური განსაზღვრებაც, რომელიც ხასიათდება შემდეგი ნიშნებით:

1. ჯგუფის უნარი დამოუკიდებლად მოახდინოს დასახული მიზნის განხორციელების ეტაპთა დაგეგმვა და მომავალი საქმიანობის (სამუშაოს) განაწილება თავის წევრებს შორის;

¹ იხ. **Ганс Йоахим Шнайдер**. Криминология. Перевод с немецкого. М., Издательская группа „Прогресс“ – „Универс“, 1994, с. 49-50.

² რ. შინის განსაზღვრების ციტირება მოგვაქვს ირ. გოძიაშვილის კრიმინოლოგიიდან (იხ. ირაკლი გოძიაშვილი. კრმინოლოგია. თბ., 1998, გვ. 176-177).

2. ჯგუფის წევრების მაღალი დისციპლინირებულობა მათზე დაკისრებული ფუნქციების შესრულებისას;

3. ჯგუფის უნარი ეფექტურად გააკონტროლოს ინდივიდუალური მოქმედებები და განახორციელოს მათი ქმედითი კორექტირება, დათრგუნოს დეზორგანიზაციის გამოვლინებები;

4. ჯგუფის უნარი შედარებით მოკლე ვადებში განაზოგადოს მისი წევრების მიერ შესრულებული სამუშაოები, უზრუნველყოს ურთიერთმოქმედების განხორციელება საბოლოო მიზნის ინტერესებიდან გამომდინარე და სხვ.¹

ვ. ოფინსკი და ს. ოფინსკი ორგანიზებულ დანაშაულობას განმარტავენ როგორც „რთულ სისხლისსამართლებრივ სახეობათა საქმიანობას, რომელიც ხორციელდება ორგანიზაციებისა და სხვა ჯგუფების მიერ ფართო მასშტაბებით და რომელთაც გააჩნიათ შინაგანი სტრუქტურა, რაც უმთავრესად უბიძგებს ფინანსურ მოგებასა და ძალაუფლების შექმნაზე. ეს უკანასკნელი დაკავშირებული უნდა იყოს ბაზარზე აღნიშნული სუბიექტების მიერ მონოპოლიური საქმიანობის დადგენასთან“.²

ირაკლი გოძიაშვილის განმარტების მიხედვით „ორგანიზებული დანაშაული არის ეკონომიკურად ორიენტირებული დანაშაულთა მთლიანობის შემცველი ჯგუფური დანაშაულობის ყველაზე საშიში ნაირსახეობა, რომელსაც სწადიან საიმედოდ კონსპირირებული ხელმძღვანელი ზედაფენის მქონე მყარი, ხანგრძლივი დანაშაულებრივი საქმიანობისათვის ორგანიზებული ჯგუფები, რომლებიც ფართოდ იყენებენ ძალადობას, მოსახლეობის დაშინებას, მოსყიდვას, რათა მიიღონ ზემოგება მაღალშემოსავლიანი არალეგალური ბიზნესის სფეროდან, აგრეთვე ლეგალური, მაგრამ არალეგალური საშუალებით განხორციელებადი ბიზნესის სფეროდანაც მისი მომდევნო ლეგალიზაციითა და ლეგალური ბიზნესისა და პოლიტიკის სფეროში მისი შეღწევით“.³

ამრიგად, თუ ამოვალთ დანაშაულის ზოგადი ცნების გააზრებიდან, მაშინ ორგანიზებული დანაშაულობა შეიძლება გან-

¹ იხ. Краткий психологический словарь. М., 1985, с. 219-220.

² იხ. Борьба с мафией в России. М., 1993, с. 7.

³ იხ. ირაკლი გოძიაშვილი. კრიმინოლოგია. თბ., 1998, გვ. 179.

ვსაზღვროთ როგორც შედარებით მასობრივი, მტკიცე, ირეგულარული¹ საზოგადოებრივი მოვლენა, რომელიც გამოიხატება ჩადენილ და ჩადენის პროცესში მყოფ დანაშაულთა სიმრავლით; რომელსაც სჩადიან დანაშაულებრივი ფორმირებები. აქვე უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ ორგანიზებული დანაშაულობა განსხვავდება დანაშაულობის ზოგადი განსაზღვრისაგან ისეთი სპეციფიკური ნიშნების არსებობით, როგორცაა ორგანიზებულობა. საზღვარგარეთის კრიმინოლოგიაში, როგორც უკვე შევნიშნეთ, ორგანიზებული დანაშაულობის ფენომენი განისაზღვრება სხვადასხვაგვარად.

ორგანიზებული დანაშაულობა მის ეკონომიკური (ანგარებითი) ფორმით აღმოჩენილი იყო აშშ-ში და იტალიაში. ამ დროისათვის მისი შესწავლა ხდებოდა ცალკე ორგანიზებული დანაშაულობის პოლიტიკური ფორმისგან. ამგვარი გახლეჩა სავსებით გამართლებული არ იყო, თუმცა აიხსნებოდა ორგანიზებული დანაშაულობის ამ ორი სახეობის სპეციფიკის არსებობით (იგულისხმება მისი ეკონომიკური და პოლიტიკური ფორმები, თავისებურებანი და სხვ.

სისხლის სამართლის კანონმდებლობა არ განასხვავებს ორგანიზებული დანაშაულობის ამ ორ ნაწილს. ზოგიერთ ქვეყანაში (აშშ-ში და იტალიაში) სისხლის სამართლის კანონმდებლობა ხაზს უსვამს ანგარებითი მიმართულების მქონე ორგანიზებული ჯგუფების არსებობას. მაგალითად, იტალიის სისხლის სამართლის კოდექსში არის ზოგადი ხასიათის მუხლი დანაშაულებრივი ფორმირებების შესახებ სახელწოდებით „გაერთიანებები, ანგარებითი დანაშაულის ჩასადენად“ (მუხლი 416-ე). 1993 წელს მიღებულ კანონში მაფიოზური ტიპის დანაშაულებრივ ორგანიზაციებთან დაკავშირებით, ხაზი გაესმის იმას, რომ – გაერთიანება ჩაითვლება მაფიოზურად, თუ მასში მონაწილენი სარგებლობენ ძალადობით, დამოკიდებულებისა და დუმილის (ომერტის) უფლებით. მაფიოზური ჯგუფები იქმნებიან როგორც დანაშაულთა ჩასადენად, ასევე პირდაპირი ან არაპირდაპირი ხელმძღვანელობისა და კონტროლის

¹ ირეგულარული – ლათინური სიტყვაა და ნიშნავს იმას, რაც გარკვეულ წესს არ ემორჩილება.

დასადგენად ეკონომიკურ საქმიანობაზე, კონცესიებზე,¹ ნებართვებზე, საზოგადოებრივ სამსახურზე, უკანონო მოვებებზე წილის მისაღებად თავისთვის ან სხვა (შესაძე) პირებისათვის და ა. შ.²

ამგვარად, იტალიის კანონმდებლობის მიხედვით მაფიოზური ტიპის დანაშაულებრივი გაერთიანებები მიეკუთვნება ეკონომიკური (ანგარებითი) მიმართულების ორგანიზებულ დანაშაულობას. ასევეა გაგებული ეს საკითხი აშშ-ის ოგაიოსა და პენსილვანიის შტატების სისხლის სამართლის კოდექსების მიხედვითაც.

დასავლეთის კრიმინოლოგიაში მოცემულია ეკონომიკური ორგანიზებული დანაშაულობის სხვადასხვა განსაზღვრა. მაგრამ ყველა ისინი დაიყვანება ორგანიზებულობის მაჩვენებელთა სხვადასხვა ნაერთამდე: ზოგი სპეციალისტი ამ ფენომენს განსაზღვრავს როგორც დანაშაულებრივ მოქმედებათა ერთობლიობას, რომლებსაც სწადიან ნებისმიერი მტკიცე ჯგუფები, გაერთიანებულნი დანაშაულის სისტემატური ჩაღწისათვის მოვების მიღების მიზნით.

სხვებს (კერძოდ, გაეროს ექსპერტებს) თავის განსაზღვრაში შეაქვთ ორგანიზებულობის დამატებითი მაჩვენებელი – დაცვის სისტემის შექმნა სოციალური კონტროლისაგან. ე. ი. ორგანიზებული დანაშაულობა მათ ესმით როგორც დანაშაულებრივი საქმიანობა ანგარებითი ინტერესებიდან გამომდინარე და დაცვის სისტემის შექმნა სოციალური კონტროლისაგან.

ვ. ოფჩინსკი ორგანიზებული დანაშაულობის მაჩვენებლად მიიჩნევს იმ დანაშაულებრივ ფორუმ-კავშირებს, რომლებიც არსებობს სამართალდამცავ და სახელმწიფო ხელისუფლების სხვა ორგანოების მუშაკებსა და თვით ორგანიზებული ჯგუფის წევრებს შორის³. ორგანიზებული დანაშაულობა როგორც კრიმინოლოგიური ცნება და სოციალური მოვლენა, უნდა განვასხვავოთ ჯგუფური დანაშაულისაგან, რასაც ითვალისწინებს სსკ 27-ე მუხლი. ამ

¹ კონცესია – ლათინური სიტყვაა და ნიშნავს ეკონომიკური სარგებლის მიღების მიზნით სახელმწიფოს კუთვნილი აქტივების მართვის ან გამოყენების უფლების დროებით გადაცემას სხვა პირზე.

² Устинов В. С. Понятие и криминологическая характеристика организованной преступности. Н. Новгород, 1993, с. 28.

³ Овчинский В. С. Стратегия борьбы с мафией. М., 1993., с. 10

მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად დანაშაული ორგანიზებული ჯგუფის მიერაა ჩადენილი, თუ იგი განახორციელა პირთა მყარმა ჯგუფმა, რომლებიც წინასწარ შეკავშირდნენ რამოდენიმე დანაშაულის ჩასადენად. რაც შეეხება სსკ 223-ე მუხლს აქ საზოგადოების უკანონო შეიარაღებული ფორმირების (ლაშქრის, გაერთიანების, რაზმის ან ჯგუფის) შექმნას ან ხელმძღვანელობას; ხოლო 224-ე მუხლში (ბანდიტიზმი) ლაპარაკია მყარი შეიარაღებული ჯგუფის (ბანდის) შექმნასა ან ხელმძღვანელობაზე. თუ გავიანხრებთ ორგანიზებულ და ჯგუფური დანაშაულის ნიშნებს ადვილი მისახვედრი ხდება, რომ ჯგუფური დანაშაულის ყველაზე მძიმე სახეა ორგანიზებული დანაშაული.

ორგანიზებულ ჯგუფში მინიმუმ თუ რამდენი ადამიანი უნდა იყოს გაერთიანებული, ამ საკითხზე კანონი სდუმს. მაგრამ თუ ჩვენ ამოვალთ მცირე სოციალური ჯგუფების გაგებიდან, მაშინ ის უნდა იყოს შემდგარი არანაკლებ სამი ადამიანისაგან. რამეთუ გაერთიანება ორი ადამიანისგან შემდგარი ვერ დახასიათდება ორგანიზებულობით. იტალიისა და აშშ-ის ოგაიოს შტატის სისხლის სამართლის კოდექსი დანაშაულებრივი ჯგუფის მინიმალურ რაოდენობას განსაზღვრავს 5 ადამიანის რაოდენობით.

საქართველოს სს კოდექსის 27-ე მუხლისაგან განსხვავებით რუსეთის ფედერაციის სს კოდექსის 35-ე მუხლში (დანაშაულებრივი გაერთიანება) მიუთითებს იმაზე, რომ „დანაშაული დანაშაულებრივი გაერთიანების (დანაშაულებრივი ორგანიზაციის) მიერ ჩადენილად ჩაითვლება, თუ იგი ჩადენილია მყარი (стойкий) ორგანიზებული ჯგუფის (ორგანიზაციის) მიერ, ან გაერთიანებული ორგანიზებული ჯგუფის მიერ, რომელიც შექმნილია მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩასადენად“ (იხ. 35-ე მუხლის მე-4 ნაწილი). საქართველოს სს კოდექსის 27-ე მუხლის მე-3 ნაწილში კი მითითებულია მყარ ორგანიზებულ ჯგუფზე როგორც ვხედავთ, რუსეთის ფედერაციის 35-ე მუხლი მიუთითებს როგორც მყარ დანაშაულებრივ ჯგუფზე, ასევე დანაშაულებრივ გაერთიანებაზე (დანაშაულებრივ ორგანიზაციაზე). ვფიქრობთ ამ შემთხვევაში საქართველოს კანონმდებლობის პოზიცია უფრო მართებულია, რადგან რუსეთის ფედერაციის 35-ე მუხლის გააზ-

რების შედეგად გაუგებარი ხდება მყარი ორგანიზებული ჯგუფი და დანაშაულებრივი გაერთიანება¹. საქართველოს 27-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად კი ორგანიზებული ჯგუფი მოიცავს მხოლოდ პირთა მყარ ჯგუფს, რომლებიც წინასწარ შეკავშირდნენ რამდენიმე დანაშაულის ჩასადენად.

დანაშაულებრივი გაერთიანების (ორგანიზაციის) სიმტკიცეს როგორც სოციალურ-ფსიქოლოგიურ ფენომენს შეიძლება ჰქონდეს რიგი მახასიათებლები, რომლებიც სხვადასხვა დანაშაულებრივ გაერთიანებაში სხვადასხვანაირია. მაგრამ სიმტკიცის (სიმყარის) აუცილებელ ელემენტებს მაინც წარმოადგენს: 1) გაერთიანება დანაშაულთა განუსაზღვრელი რაოდენობის ჩასადენად და განუსაზღვრელად ხანგრძლივი დროით; 2) საკუთარი ნორმების, ქცევის წესების არსებობა რომლებიც არეგულირებენ დანაშაულებრივი გაერთიანების შინაგან ცხოვრებას²; 3) მკაცრი შინაგანი დისციპლინა და სანქციები დანაშაულებრივი გაერთიანების ნორმების დარღვევისათვის. დანაშაულებრივი გაერთიანების სიმტკიცე (სიმყარე) ხასიათდება როგორც დანაშაულებრივი გაერთიანების წევრების ფსიქოლოგიური ერთიანობით, მკაცრი სტრუქტურული იერარქიით, როლების ფუნქციური განაწილებით, მჭიდრო კონტაქტებისა და კონსპირაციული კავშირების დამყარებით დანაშაულებრივი გაერთიანების წევრებს შორის, ასევე საერთო ამოცანებით, მიზნებით, დანაშაულებრივი განზრახვითა და მისწრაფებით ერთიანი დანაშაულებრივი შედეგის მიღწევისაკენ. დანაშაულებრივ გაერთიანებაში შეიძლება შევიდეს რამდენიმე ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფი, გაერთიანებულნი საერთო დანაშაულებრივი მიზნების განსახორციელებლად.

¹ რუსულ კრიმინოლოგიაში არის მცდელობა, რომ დანაშაულებრივი გაერთიანება განსაზღვრონ როგორც ორგანიზებულ ჯგუფთა მყარი (მტკიცე) გაერთიანება უკანონო მოგების მიღების მიზნით (იხ. **Криминология**, М., 1977, с. 597-607), რაც ჩვენის აზრით ვერ სცილდება ორგანიზებული დანაშაულის ცნების ფართო გაგებას.

² ყოველივე ეს განაპირობებს იმ ფაქტორს, რომ დანაშაულებრივი გაერთიანების რაოდენობა არ შეიძლება იყოს 5 ადამიანზე მეტი.

ამგვარ, სახეობათა გაერთიანებისათვის, გარდა ზემოდასახ-
ვლებული ნიშნებისა, ნიშანდობლივია გავლენის სფეროების მო-
ოვებისათვის ბრძოლა.

დანაშაულებრივი გაერთიანება (დანაშაულებრივი ორგანიზაცია) განსხვავდება ორგანიზებული ჯგუფისაგან ორგანიზებუ-
ლობის დონითაც. მის აუცილებელ მახასიათებლებს წარმოადგენს:
ა) იერარქიული სტრუქტურა; ბ) დანაშაულებრივი საქმიანობის
სპეციალიზაცია; გ) კორუმპირებული კავშირები სამართალდამცავი
ან სახელმწიფო ხელისუფლების სხვა ორგანოების თანამდებობის
პირებთან. გარდა ამისა დანაშაულებრივი გაერთიანებისათვის
დამახასიათებელია: 1) სწრაფვა დანაშაულებრივი საქმიანობის
სფეროთა გაფართოებისკენ; 2) სწრაფვა დანაშაულებრივი საქმი-
ანობის სფეროთა მონოპოლიზაციისაკენ; 3) დაზვერვისა და
კონტრდაზვერვის სისტემის შექმნა; 4) საერთო ფინანსების ე. წ.
„ობშაკების“ არსებობა (ქონა); 5) დანაშაულებრივი სამყაროს
ნორმებისა და ტრადიციების აქტიური გავრცელება; 6) დამნა-
შავეთა კადრების „გამოზრდა“; 7) შეიარაღება.

დანაშაულებრივი გაერთიანებები (დანაშაულებრივი ორგანიზა-
ციები), აღნიშნავს პროფ. ა. ნაუმოვი, კანონის თანახმად,
შეიძლება ორი სახისა იყოს: 1) ორგანიზებული ჯგუფები (მარ-
ტივი ან სხვანაირად მას შეიძლება ეწოდოს დანაშაულებრივი ორ-
განიზაცია) და 2) ორი ან მეტი ორგანიზებული ჯგუფის გაერთი-
ანება (რთული ან სხვანაირად მას შეიძლება ეწოდოს დანა-
შაულებრივი გაერთიანება). რაც შეეხება ბანდას, განაგრძობს
მსჯელობას ა. ნაუმოვი, მას ახასიათებს ისეთი ნიშნები, როგორი-
ცაა: მისი შემადგენლობისა და ორგანიზაციული სტრუქტურების
სტაბილურობა, მისი წევრების მტკიცე (მყარი) კავშირი, დანა-
შაულებრივი საქმიანობის ფორმებისა და მეთოდების უცვლელიობა.
ბანდა თავისი სამართლებრივი ფორმით შეიძლება იყოს როგორც
ორგანიზებული ჯგუფი, ასევე დანაშაულებრივი გაერთიანება.
ბუნებრივია, რომ ამ უკანასკნელ შემთხვევაში სიმყარე — ეს უკვე
დანაშაულებრივი გაერთიანების მახასიათებელია. მისივე თქმით ამ
დებულების სისწორეს ადასტურებს ბანდიტიზმისა და დანა-

შაულებრივი გაერთიანების (დანაშაულებრივი ორგანიზაციის) შემადგენლობების შედარებითი ანალიზი.

დასკვნა, რომელსაც აკეთებს პროფ. ა. ნაუმოვი, ასეთია: ბანდიტიზმი მოიცავს როგორც ორგანიზებულ ჯგუფს, ასევე დანაშაულებრივ გაერთიანებას, ხოლო რფ სსკ კერძო ნაწილის 210-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულებრივი გაერთიანების ორგანიზაცია (დანაშაულებრივი ორგანიზაცია) არ მოიცავს ბანდის ტიპის დანაშაულებრივი გაერთიანების ორგანიზაციას¹.

კრიმინოლოგიურ ლიტერატურაში განსხვავებულია არა ორი, არამედ სამი ორგანიზაციული ფორმა: 1) ორგანიზებული ჯგუფი, 2) დანაშაულებრივი ორგანიზაცია და 3) დანაშაულებრივი გაერთიანება. აღსანიშნავია ის, რომ დანაშაულებრივი ორგანიზაცია, დასახელებულ ლიტერატურაში, განსაზღვრულია როგორც პირების ან ორგანიზებული ჯგუფების ან ბანდების გაერთიანება ერთობლივი დანაშაულებრივი საქმიანობისთვის მონაწილეთა შორის ფუნქციების განაწილებით, სახელდობრ: ა) დანაშაულებრივი ორგანიზაციის შექმნის ან მისი ხელშეწყობის; ბ) დანაშაულთა უშუალო ჩადენის, რომლებიც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილით; გ) დანაშაულებრივი ორგანიზაციის შექმნისა და ფუნქციონირების უზრუნველყოფის სხვა ფორმების მიხედვით².

§ 2. ორგანიზებული დანაშაულობის კრიმინოლოგიური დახასიათება

ორგანიზებული დანაშაულობის როგორც შედარებით მასობრივი საზოგადოებრივი მოვლენის წარმოშობას, ყოფილ საბჭოთა

¹ იხ. **Наумов А. В.** Российское уголовное право. Общая часть. Курс лекций. М., 1977, с. 300-305.

² იხ. **Криминология.** Под ред. проф. А. И. Долговой. М., 1997, с. 597-607.

Организованная преступность – 3. М., 1996, с. 254.; Организованная преступность (Проблемы, дискуссии, предложения., М., 1989, с. 8-12; **Устинов В. С.** დასახ. ნაშრომი, გვ. 21-22.

კავშირში კრიმინოლოგები უკავშირებდნენ გორბაჩოვის მიერ წამოყენებულ გარდაქმნის პერიოდს. მაგალითად, პროფ. ა. გუროვი, თელის, რომ ორგანიზებული დანაშაულობა ყოფილ საბჭოთა კავშირში წარმოიშვა 1966-1982 წლებში¹. ვ. ლუნევი, ცნობდა ორგანიზებული დანაშაულობის არსებობას სოციალიზმის პერიოდში, აღნიშნავს, რომ იმ წლებში ის იყო გამარტივებული და დაქვემდებარებული ბიუროკრატიულ აპარატზე, რომელიც თვითონ პარაზიტობდა გეგმურ ეკონომიკაზე. ვფიქრობთ, რომ იმ წლებში ორგანიზებული ჯგუფების მიერ ჩადენილმა დანაშაულებმა ჯერ კიდევ ვერ გამოავლინა თავისი ნამდვილი ბუნება. კერძოდ, მისი მასობრიობისა და სიმტკიცის ნიშნები. ორგანიზებული დანაშაულობის ახალ თვისებაში გადაზრდას უნდა მივაკუთვნოთ 1986-1991 წლები².

რაც შეეხება სტალინური რეჟიმის დანაშაულებრივ საქმიანობას მას არ შეიძლება ვუწოდოთ ორგანიზებული დანაშაულობა, რადგან ის უფრო ტოტალიტარული დანაშაულობაა, რომლის შედარება შეიძლება ფაშისტური და სხვა დიქტატორული რეჟიმის დანაშაულობასთან (პიტლერი, მუსოლინი, ფრანკო, პოლ-პოტა და სხვ.).

ფორმების მიხედვით გამოყოფენ ისეთ ორგანიზებულ დანაშაულებს, როგორცაა: პოლიტიკური, ეკონომიკური (თეთრსაყელოიანთა) და საერთო-სისხლისსამართლებრივი დანაშაულობა. თეთრსაყელოიანთა დანაშაულობის წარმომადგენლები დანაშაულს სწადიან მოტყუებისა (მათ შორის სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით) და მოსყიდვის გზით; ხოლო საერთო-სისხლისსამართლებრივი დანაშაულის ჩამდენი ჯგუფები იყენებენ მუქარას, შანტაჟს, ძალადობას, მოტაცების ფარულ ხერხებსა და სხვ.

¹ Гуров А. И. Профессиональная преступность: прошлое и современность. М., 1990, с. 207.

² Лунев В. В. Преступность XX века. Мировой криминологический кризис. М., 1997, с. 304; его же, Изучение организованной преступности. Российско американский диалог. М., 1997, с. 34.

ორგანიზებულობის ხარისხის მიხედვით არის სუსტად ორგანიზებული (ანუ, სხვანაირად, პრიმიტიული), საშუალოდ ორგანიზებული (სტრუქტურირებული) და მაღალ დონეზე ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფები. მარტივ ჯგუფებში არ არის მკაცრი თანადაქვემდებარება, მკაფიოდ გამოხატული ლიდერი, ისინი მცირერიცხოვანია (3-4 ადამიანი) და იყენებენ ძირითადად დანაშაულთა ჩადენის ერთი და იმავე ხერხებს. მარტივი ჯგუფების არსებობა დამახასიათებელია კერძო, კოლექტიური და სახელმწიფო ქონების დამტაცებელთათვის, საყოფაცხოვრებო სფეროში მოსაქმე თაღლითებისათვის, ბინის ქურდებისათვის და სხვ. ასეთი ჯგუფების ხვედრითი წილი ორგანიზებულ დანაშაულებრივ ფორმირებებში, ექსპერტების შეფასებით, შეადგენს 20%-ს.

ორგანიზებულ დანაშაულებრივ ჯგუფებს ჰყავს ამკარად გამოხატული ლიდერი, რომელიც განსაზღვრავს ჯგუფის მოქმედებათა მიმართულებას, გეგმავს დანაშაულთა ჩადენას და ორგანიზებას უკეთებს მათ. ასეთი ჯგუფების რაოდენობრივი შემადგენლობა, როგორც წესი, შეადგენს 5-10 ადამიანს და მეტსაც. ამ ჯგუფებს ჯერ კიდევ აქვთ კორუმპირებული კავშირები. მათი წევრები ჩვეულებრივ იპარავენ ავტომობილებს, ანტიკვარულ ნივთებს, სწადიან ეკონომიკური სახის თაღლითობას, ასევე გამოძალვას, კონტრაბანდასა და სხვ. მაღალი დონის ორგანიზებულ დანაშაულებრივ ფორმირებებს მიეკუთვნება დანაშაულებრივი გაერთიანებები, რომლებიც ეწევიან თაღლითობას, ნარკობიზნესს, უკანონო მეწარმეობასა და სხვ. მათი რაოდენობა ხშირად აღემატება 10 ადამიანს, ზოგჯერ კი არის ასობით. დანაშაულებრივი გაერთიანებების ორგანიზებულობის დონე რა თქმა უნდა უფრო მაღალია, ვიდრე მარტივად ორგანიზებული ჯგუფების. უკანასკნელნი ძირითადად ეწევიან რეკეტს მცირედ დასახლებულ პუნქტებში, რომლებიც მოშორებულია დედაქალაქსა და სხვა დიდ ქალაქებს. დანაშაულებრივი გაერთიანებები ცდილობენ დაამყარონ კონტაქტი სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებთან. დანაშაულებრივი დაჯგუფებები იქმნება დანაშაულებრივი საქმიანობის მუდმივად ჩადენისათვის. სამართალდამცავ ორგანოებთან კავშირები აქვს

თითქმის ყოველ მეორე ჯგუფს. ყველა ჯგუფს გააჩნია ცვესლ-სასროლი და ცივი იარაღი.

ვ. რაზინკინი გამოჰყოფს დანაშაულებრივ ფორმირებათა სამ ტიპს: 1) უმდაბლესს, 2) საშუალოსა და 3) უმაღლესს. უმდაბლესს ის მიაკუთვნებს დანაშაულებრივ დაჯგუფებებს, მათ შორის ბანდიტური ტიპისას, რაოდენობით 5-დან 20-30 ადამიანამდე, რომლებიც მოქმედებენ ადგილობრივ დონეზე. საშუალო ტიპი — ესაა პირველი ტიპის დანაშაულებრივი ორგანიზაციები, რომლებიც კომერციულ სტრუქტურებთან იმყოფებიან სიმბიოზის¹ მდგომარეობაში. უმაღლესი ტიპი წარმოადგენს პირველი და მეორე ტიპების კონსოლიდირებულ სტრუქტურებს (დანაშაულებრივ გაერთიანებებს)².

1997 წელს გამოცემულ რუსული კრიმინოლოგიის სახელმძღვანელოში აღნიშნულია, რომ უმდაბლესი (პრიმიტიული) და საშუალო დონის დანაშაულებრივი ჯგუფები გავრცელებულია ყოველთაოდ, ხოლო უმაღლესი ტიპის დანაშაულებრივი ფორმირებები — უპირატესად და თავისუფალ ეკონომიკურ ზონებში³.

ტერიტორიის მასშტაბების მიხედვით ორგანიზებული დანაშაულებრივი ფორმირებები შეიძლება იყოს ლოკალური (ერთი ან რამდენიმე საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილის ფარგლებში, მაგალითად, ვაგზალი, ბაზარი), რეგიონალური, რეგიონთაშორისი და საერთაშორისო.

დანაშაულებრივი ფორმირებებისათვის დამახასიათებელია სპეციალიზაციაც დანაშაულებრივი ბიზნესის გარკვეულ სახეობებში. ყველაზე მკაფიოდ არის გამოხატული სპეციალიზაცია ნარკობიზნესის, რეკეტის, კონტრაბანდის, ყალბი ფულის კეთების, დატაცების სხვადასხვა სახეობების, პროსტიტუციაზე კონტროლის, თაღლითობის, ადამიანებით ვაჭრობის, იარაღის უკანონო გაყიდვის,

¹ სიმბიოზი — ლათინური სიტყვაა და ნიშნავს თანაცხოვრებას. მეორენაირი გაგებით — ესაა სხვადასხვა სახეობის ორი ორგანიზმის თანაცხოვრება, რაც სასარგებლოა თითოეული მათგანისათვის.

² Разинкин В. С. Организованная преступность в период реформы в России. Организованная преступность — 3. М., 1996, с. 75.

³ იხ. Криминология. Под ред. В. Н. Кудрявцева и В. Е. Эминова. М., 1997, с. 26.

დანაშაულებრივი გზით მოპოვებული სახსრების გათეთრების, ადამიანის ორგანოებით უკანონო ვაჭრობისა და სხვა ხაზით.

მონაწილეთა რაოდენობის მხრივ ორგანიზებული ფორმირებები შეიძლება იყოს მცირერიცხოვანი (3-5 ადამიანი), საშუალო (6-10 ადამიანი) და მრავალრიცხოვანი (10-ზე მეტი). არსებობის ხანგრძლივობის მიხედვით დანაშაულებრივი ფორმირებები იქმნება შეზღუდული და განუსაზღვრელი ვადით.

1989 წლიდან ორგანიზებული დანაშაულობის დინამიკა მჭიდროდ არის დაკავშირებული მთლიანად დანაშაულობის დინამიკასთან, რომელიც სადღეისოდ გაზრდილია 2,5-ჯერ მეტად, ხოლო ორგანიზებული დანაშაულობა 3-ჯერ.¹

ორგანიზებული დანაშაულობის შესახებ გარკვეული ცნობების შეკრება სამართალდამცავმა აპარატმა დაიწყო 1986 წლიდან. 1986-1988 წლებში გამოვლენილი იყო 2607 დანაშაულებრივი ჯგუფი, რომლებსაც ორგანიზებულობის ნიშნები ჰქონდათ, მათ მიერ ჩადენილი იყო 20 ათასამდე დანაშაული, მათ შორის 218 მკვლელობა და 285 ყაჩაღური თავდასხმა. მათგან 50-მდე ღრმად კონსპირირებული იყო და მოქმედებდა 3 წელზე მეტ ხანს.

1989 წლის სტატისტიკური მონაცემებით (ამ წელს მოწესრიგდა რუსეთში სტატისტიკური აღრიცხვა) 1986-88 წლების მონაცემებთან შეფარდებაში გამოვლენილი ორგანიზებული ჯგუფების რიცხვი გაიზარდა 485-დან 12684-მდე, ანუ თითქმის 27-ჯერ; ჯგუფთა რაოდენობა 4-დან 10 ადამიანამდე, გაიზარდა 10-ჯერ; დანაშაულებრივი საქმიანობის ხანგრძლივობა გაიზარდა 3-დან 6 წლამდე და მეტჯერ; საერთაშორისო კავშირების არსებობა – 6-ჯერ; რეგიონთაშორისი კავშირები – 32-ჯერ; კორუმპირებული კავშირები – 172 ჯერ.

ამ დაჯგუფებებმა მოაგვარეს დანაშაულებრივი კავშირები შორეული საზღვარგარეთის 39 ქვეყანასთან. კავშირების 18% არის გერმანიასთან, 12%-ს აშშ-თან და პოლონეთთან, 3-5%-ს შვეციასთან, ფინეთთან, უნგრეთთან, ჩინეთთან, კორეასთან, ისრაელთან, ბულგარეთთან და სხვა ქვეყნებთან.

¹ იხ. Преступность и правонарушения (1991-1995). Статистический сборник. М., 1995, с.16, 41.

მთლიანად ექსპერტების შეფასებით და ოპერატიულ-სამძებრო სამსახურების მონაცემებით ახლა რუსეთში აქტიურად მოქმედებს 6 ათასზე მეტი დანაშაულებრივი დაჯგუფება. მათ შორის ყველაზე საშიშია 46 დანაშაულებრივი ფორმირებების საქმიანობა, რომლებიც აერთიანებენ 6,3 ათასზე მეტ აქტიურ მონაწილეს და რომლებიც ეწევიან დანაშაულებრივ საქმიანობას სარევიონთაშორისო და საერთაშორისო დონეზე¹.

გამოვლენილ ჯგუფებს შორის მნიშვნელოვან რიცხვს შეადგენენ დანაშაულებრივი ჯგუფები ჩამოყალიბებული ეთნიკურ ან რელიგიურ საფუძველზე. 1994 წელს გამოვლენილ იქნა 756 ეთნიკური ჯგუფი, ხოლო 1995 წელს 800-ზე მეტი. დანაშაულებრივი ფორმირებების რიცხვის ზრდასთან ერთად იზრდება მათ მიერ ჩადენილ რეგისტრირებულ დანაშაულთა რიცხვიც. უცხოელი ექსპერტები ორგანიზებული დანაშაულობის ლატენტურ ნაწილს განსაზღვრავენ რეგისტრირებულზე 6-10-ჯერ უფრო მეტად. ასე, თუ 1996 წ. რეგისტრირებულია 26433 (ვ. ლუნევიის მონაცემებით) და 37388 (ს. ვანიუშინის მონაცემებით), მაშინ მთლიანად უნდა იყოს 373880 დანაშაული².

კრიმინალური დაჯგუფებების მიერ ჩადენილი რეგისტრირებული დანაშაულების ხასიათი (80%-მდე და მეტი – ეს არის ქურდობა, მარცვა, ყაჩაღობა, გამოძალვა და სხვა საერთო – სისხლისსამართლებრივი დანაშაული) მოწმობს, რომ ადგილი აქვს იმ პროცესს, რასაც ორგანიზებული დანაშაულობის საერთო-სისხლისსამართლებრივ და მათ შორის ეკონომიკურ დანაშაულებრივ საქმიანობასთან შეზრდა ჰქვია. უკანასკნელ დროს გამოვლენილ ორგანიზებულ დანაშაულთა დინამიკაც სწორედ ამ ფაქტზე მეტყველებს. საქსპერტო შეფასებით კრიმინალურ ურთიერთობაში ჩათრეულია ყველა კომპერციულ სტრუქტურათა 66%. დანაშაულებრივი ფორმირებების მიერ დაწესებულია კონტროლი 35 ათას მეურნე სუბიექტზე, რომელთა შორის 400

¹ რუსეთში დანაშაულობის საერთო დახასიათებაზე იხ. Криминология. Под ред. А. И. Долговой. М., 1997 с. 142-178.

² იხ. В. В. Лунеев. Преступность XX века. М., 1997, с. 304; С. В. Ванюшин. Преступность и реформы в России. М., 1998, с. 254.

ბანკია, 47 ბირჟა, 1,5 ათასი სახელმწიფო საწარმო. მათ მიერ შეწერილია გადასახადი პრევატიზებულ საწარმოებზე, დაწესებულებებსა და კომერციულ ბანკებზე. ხარკის ოდენობა შეადგენს მიმოქცევაში არსებული თანხების 10-20%-ს. ორგანიზებული დანაშაულობის შესვეურებთან განსაკუთრებით მჭიდრო კავშირში არიან ის მეწარმეები და საწარმოთა ხელმძღვანელები, რომლებიც სწაღიან სხვადასხვა სახის დანაშაულებრივ ქმედებებს (იგულისხმება გადასახადისაგან თავის არიდება; მომხმარებლის მოტყუება; ადამიანის სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში პროდუქციის დამზადება, შემოტანა ან რეალიზაცია და სხვ.).¹

§ 3. გარემოებანი, რომლებიც გავლენას ახდენენ ორგანიზებულ დანაშაულებასზე

როგორც უკვე არაერთხელ შევნიშნეთ დანაშაულობის არსებობის საერთო მიზეზია როგორც სახელმწიფოებრივი მოუწესრიგებლობა და მისგან გამომდინარე შედეგები, ასევე ადამიანის არასრულყოფილება, რაც სოციალურ გარემოსთან მისი ურთიერთობის შედეგად ყალიბდება და რაც ხელს უწყობს მისი ფსიქიკის ჩამოყალიბებასა და განვითარებას. კაცობრიობას არ გააჩნია დანაშაულობის უსწრაფესი დაძლევის არავითარი საშუალება და ხერხი.

კომუნიზმის იდეა, რომლის რეალიზაციასაც, თითქოსდა შეეძლო დანაშაულობის მოსპობა (აღმოფხვრა), უტოპიური აღმოჩნდა. სოციალისტურ საზოგადოებას თავისი სოციალისტური ეკონომიკის ბაზისიდან გამომდინარე გააჩნდა თავისი საკუთარი დანაშაულობა, ხოლო სხვა ქვეყნებს თავისი საბაზრო ეკონომიკით — სულ სხვა დანაშაულობა. სოციალისტურ საზოგადოებაში დანაშაულობის სოციალური მიზეზები იყო: ფაქტობრივი სოციალური უთანასწორობა; ადამიანის ჩამოშორება ხელისუფლებისა და საკუთრებისაგან; დემოკრატიის უქონლობა; საქონლის დეფიციტი და

¹ ორგანიზებული დანაშაულობის კრიმინოლოგიურ დახასიათებაზე იხილეთ: **Криминология**. М., 1997, с. 596-607.

სხვ. ახლა თვალნათლივ ვხედავთ, რომ ისეთი მიზეზების მოცილებამ, როგორცაა: დეფიციტი, ცენზურა, პიროვნების თავისუფლების უქონლობა და ა. შ., დანაშაულობის არათუ შემცირება, არამედ, პირიქით, მისი შესაძინევი ზრდა გამოიწვია. კერძო საკუთრების დაშვებამ და ეკონომიკურმა თავისუფლებამ, თავის მხრივ, დააჩქარა სოციალურ ფენებად დაყოფის მკვეთრი პროცესი. ასე მაგალითად, კრიმინოლოგიის რუსულ სახელმძღვანელოში ხაზი გაესმის იმ ფაქტს, რომ „ახალი რუსების“ 20% ითვისებს ერთობლივი ფულადი სახსრების 43%, ხოლო ლატაკთა 20% - მხოლოდ 7%-ს. ლატაკებსა და მდიდრებს შორის გარღვევამ შეადგინა 1:10-ზე. ცნობილია, რომ თუ გარღვევა აღმატება თანაფარდობას 1:10-ზე მაშინ მსოფლიო სტანდარტების მიხედვით საზოგადოება შედის არასტაბილურობის ზონაში. მოსახლეობის 20%-ს აქვს ფულადი შემოსავლის 42%, ხოლო ყველაზე ნაკლებად უზრუნველყოფილთა 20%-ს - 7%; მოსახლეობის 30%-ის შემოსავალი სურსათის შესყიდვისათვის შეადგენს შემოსავლის 89-90%.

როგორც ნ. რიმაშევსკაია წერს, 1992 წლის პირველ ნახევარში მოსახლეობის შემოსავალი დაეცა თითქმის 2,5-ჯერ. შემდგომ წლებში პერიოდულად შეიმჩნეოდა მიმდინარე შემოსავალთა რამდენადმე აღდგენა, მაგრამ 1996 წელს მოხდა მოსახლეობის რეალური შემოსავლის ახალი დაცემა 13%-ით, რამაც მოხმარების საგნებზე მოთხოვნილების შემცირება გამოიწვია 40%-ით. მისივე კლასიფიკაციით, რუსეთში მდიდრები შეადგენენ 3-5% (თვეში სულზე 3 ათას დოლარზე მეტი შემოსავლით), შეძლებულები - 15% (ერთ ადამიანზე 1000-დან 3000 დოლარამდე შემოსავლით); საშუალო ფენა - 20%-ს (100-დან 1000 დოლარამდე თვეში ერთ ადამიანზე); ნაკლებად უზრუნველყოფილნი - 20% (50-დან 100 დოლარამდე თვეში ერთ ადამიანზე); ღარიბები - 40% (50 დოლარზე ნაკლები თვეში ერთ ადამიანზე). ეს მონაცემები გვიჩვენებენ, რომ საშუალო კლასი როგორც საბაზრო ურთიერთობების საფუძველი ფაქტობრივად არ არის. მის ადგილზე, ნ. რიმაშევსკაიას გამოთქმით, გაჩნდა „შავი

ხერული“. საშუალო კლასის არარსებობა და ორი ერთმანეთისაგან დაცილებული რუსეთი, რაც სოციალური დაძაბულობის წყაროა.

როგორც ვხედავთ, სილატაკე (ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით) სულ უფრო ხდება დანაშაულობის უშუალო მიზეზი, ხოლო სილარიბე ბუნებრივად ქმნის მისთვის მასაზრდოებელ ნიადაგს (მათ შორის ორგანიზებული დანაშაულობისთვისაც). აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ იმ პირობაში, რომლებმაც ვერ შეძლეს ადაპტირება ახალ ეკონომიკურ პირობებში, გამოიწვია მათში არსებობის კრიმინალური ხერხებისადმი განწყობის გავრცელება.

დანაშაულობის ზრდის საერთო მიზეზებს შეიძლება მივაკუთვნოთ ზნეობის დაცემა, ეკონომიკის საერთო კრიზისი და უშუშევრობა. უშუშევრები დანაშაულებრივ გაერთიანებათა შექმნის პოტენციური კადრებია. ორგანიზებული დანაშაულობის მიზეზები, რომლებიც განსხვავდებიან დანაშაულობის საერთო მიზეზებისაგან, პრაქტიკულად არ არსებობს. დანაშაულობის ეს სახეობა ყველა ქვეყნისთვისაა დამახასიათებელი. დანაშაულობის ამ სახეობაზე ძლიერ კრიმინოგენურ გავლენას ახდენენ ისეთი ფაქტორები, როგორცაა: სუსტი სახელმწიფო ხელისუფლება, მოსახლეობის მრავალეროვნული შემაღვენლობა, ისტორიულად ჩამოყალიბებული დანაშაულებრივი ტრადიციების არსებობა, მწვავე სოციალური, რელიგიური და ეთნიკური წინააღმდეგობები, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში გადაუწყვეტელი რჩება და სხვ.

ორგანიზებული დანაშაულობისთვის ხელშემწყობ ფაქტორს წარმოადგენს მოქალაქეთა ვიქტიმურობის გაზრდა. რაც დაკავშირებულია მსხვერპლთა უმრავლესობისათვის ქცევის ჩვევების უქონლობასა და თამაშის წესების დაბალ ცოდნასთან საბაზრო ურთიერთობების განვითარების პირობებში.

ორგანიზებული დანაშაულობის ზრდაზე არსებით გავლენას ახდენს კონტროლის ძლიერი მწყობრი სისტემის უქონლობა. მართალია სოციალიზმის პერიოდში არსებული კონტროლის სისტემა პიროვნების საქმიანობის მისამართით მოიშალა, მაგრამ, სამწუხაროდ, ამჟამინდელი რეჟიმის ადექვატური ჯერ კიდევ არ არის

¹ Римащевская Н. М. Социальные последствия экономической трансформации в России. Социологические исследования. 1997, № 6, с. 55-60.

შექმნილი. სამართალდამცავი სისტემა განიცდის კრიზისს, რომელიც განპირობებულია, ერთი მხრივ, საკადრო ბირთვის გარკვეული რღვევით, მეორე მხრივ კი — მოსახლეობის ნდობის შემცირებით. სამართალდამცავი სისტემის ნაკლოვანებები, მათ შორის მისი კორუმპირების მაღალი დონე, იწვევს დაუსჯელობის დონის ზრდასა და ორგანიზებული დანაშაულობის კვლავწარმოებას.

ეკონომიკის ამა თუ იმ სექტორში ორგანიზებული დანაშაულობის ზრდის ხელშემწყობი პირობებია აგრეთვე: 1) ფინანსურად სუსტი ფირმების არსებობა; 2) მეწარმეთა გათიშულობა; 3) სამეწარმეო სექტორში უცხო ფირმების შეღწევის სიაღველე; 4) მეწარმეთა მიდრეკილება კანონების დარღვევისადმი და იოლი მოგების მიღებისადმი; 5) მეწარმეების მხრიდან მაღალი პროფესიული მომზადების უქონლობა; 6) მოცემულ სექტორში დანაშაულებრივი ჯგუფების არსებობა და სხვ.

ორგანიზებული დანაშაულობა ასახავს საზოგადოების ორგანიზაციულ სტრუქტურათა გართულებასა და პიროვნების სულ უფრო მეტ ავტონომიზაციას. თანამედროვე აღზრდა და მასობრივი კულტურა ხელს უწყობს წინააღმდეგობათა გაღრმავებას სოციალურად მოსაწონ მიზნებსა და ლეგალური ხერხებით მათი დამყოფილების შესაძლებლობებს შორის (რ. მერტონი). პლანეტაზე ორგანიზებული დანაშაულობის გავრცელებაში დიდი როლი ეკუთვნის სახელმწიფოთა შორის ორგანიზებული დანაშაულობის მიზეზების ახსნა იდეათა პლურალიზმის პირობებში გადის ჭეშმარიტების ძიებე გამოცდას. ორგანიზებული დანაშაულობა, როგორც უკვე შევნიშნეთ, ცივილიზაციის პროდუქტია. ძველთაგანვე ცნობილია მისი გამოვლინებები ომებთან, აჯანყებებთან, კლასობრივ, ეროვნულ, რელიგიურ, ეთნიკურ და სხვ., ურთიერთობებთან კავშირში¹.

ორგანიზებული დანაშაულობის განვითარებამ გააიარა მრავალი ქვეყნის ის პრაქტიკული გზა, რომელიც გამოიხატა: სახელმწიფოს ბიუროკრატიული სტრუქტურების დაშლაში, სოციალური სამართლიანობის პრინციპების რღვევაში, ზნეობრივ ფასეულობათა დეველვაციაში, უგადასახადო ჩრდილოვანი ეკონომიკის პრიმი-

¹ იხ. Основы борьбы с организованной преступностью. Под ред. В. С. Овчинского, В. Е. Эминова, Н. Н. Яблокова. М., 1996, с. 174.

ტიული მდგომარეობიდან გამოსვლის გზების ძებნასა და სსვ. საერთოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ მაფიის სამშობლო — იტალია — მივიდა ორგანიზებულ დანაშაულობამდე გარკვეული ტრადიციების არსებობის შედეგად და ეს ტრადიციები ყველაზე მეტად ფესვგადმული იყო სიცილიაში. აშშ-ში იტალიის მაფიის ექსპორტს ხელი შეუწყო „შმრალი“ კანონის შემოღებამ. ლათინური ამერიკისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში მაფია გააჩინა ნარკოტიკებმა. ამრიგად, ეკონომიკურ ფაქტორად, რომელიც დეტერმინირებს ორგანიზებულ ანგარებით დანაშაულებში, გვევლინება იმ სახის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების აკრძალვა, რომლებიც ითვლება მავნედ, საყოველთაოდ საშიშად ან უზნებოდ. ამ ბოლო კატეგორიას, მიეკუთნება, მაგალითად, სქესობრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილება ანაზღაურებით; აკრძალული თამაშები; იარაღით, შხამით ვაჭრობა და სსვ. საერთოდ, ეკონომიკური მიმართულების ორგანიზებულ დანაშაულობას საფუძვლად უდევს მატერიალური ინტერესი, იოლი და დიდი მოგების სურვილი. აქედან გამომდინარე გამართლებულიცაა ამის საწინააღმდეგო გზების მოძებნა. ასე მაგალითად, ბევრ ქვეყანაში შემოღებულია მართლსაწინააღმდეგო გზით ნაშოვნი სახსრების კონფისკაცია სამოქალაქო სამართალწარმოების წესით; ასევე გათვალისწინებულია ვალდებულება აცნობონ საფინანსო ორგანოებს საეჭვო საფინანსო ოპერაციების შესახებ, რაც წარმოადგენს კომერციული საიდუმლოების გარკვეულ შეზღუდვას. აქვე უნდა გავიმეოროთ ისიც, რომ ეკონომიკურ ორგანიზებულ დანაშაულობასთან ბრძოლის შესუსტებამ შეუძლია შეაფერხოს საბაზრო ეკონომიკისაკენ სვლა და სერიოზული გავლენა მოახდინოს დემოკრატიულ პროცესებზე. მით უფრო ამის რეალური საფუძველი ჩვენში არსებობს, იგულისხმება ჭეშმარიტი დემოკრატიის არარსებობა და ადამიანის უფლებათა დაცვის საქმეში სერიოზული ნაკლოვანებები. ორგანიზებული დანაშაულობის უპრეცედენტო მასშტაბებს კი ადვილად შეუძლიათ დაასამარონ ნორჩი საბაზრო ურთიერთობები და ყველა დემოკრატიული მონაპოვარი. დასასრულს, შევნიშნავ იმასაც, რომ XX საუკუნის დამლევს ფართო მასშტაბით გამოვლენა იწყო პოლიტიკურმა ორგანიზებულმა დანაშაულობამ ტერორიზმის ფორ-

მით. ტერორიზმის ძირითადი მიზეზი ეროვნულ, რელიგიურ და სოციალურ წინააღმდეგობებშია, რომლებიც ხანგრძლივი დროის მანძილზე ვერ წყდება მოლაპარაკებების, კომპრომისებისა და კონსენსუსების საფუძველზე. ამრიგად, ტერორიზმის მიზეზებისა და წინააღმდეგობების აღმოფხვრა ბევრად უფრო რთულია (ძნელია), ვიდრე ეკონომიკური მიმართულების ორგანიზებული დანაშაულობის ფესვების შერყევა. ამის მაგალითია ტერორიზმის გამოვლინებები დიდ ბრიტანეთში, ავსტრალიაში, ინდოეთში, ესპანეთში, ისრაელში, რუსეთში, კოლუმბიაში, პერუში, ლაოსში, კომპოჯოში, ბირმაში და ა. შ. უკანასკნელ პერიოდში შეიმჩნევა პოლიტიკური და ეკონომიკური ორგანიზებული დანაშაულობის შეზრდის ტენდენცია (ლაოსი, კოლუმბია, პერუ და სხვ.), რომლებიც ადრე ფუნქციონირებდნენ დამოუკიდებლად ერთმანეთისაგან.

§ 4. კონტროლი ორგანიზებულ დანაშაულობაზე

ორგანიზებული დანაშაულობის წარმოშობა მიზეზებსა და ხელშემწყობ პირობებზე სისტემატური ხასიათის კონტროლის დაწესებასა და განხორციელებას შეუძლია დანაშაულებრივი ფორმირების აღმოცენების თავიდან აცილება. ცხადია, აქვე აღმოცენდება ლოგიკური კითხვა — როგორი უნდა იყოს ორგანიზებული დანაშაულობის თავიდან აცილების ღონისძიებები და რა უნდა მოიცვას მან?

უპირველეს ყოვლისა, გავლენის მოხდენა ორგანიზებულ დანაშაულობაზე უნდა მოხდეს რეფორმების სოციალური ორიენტაციის გაძლიერებით, სახელდობრ: დატაკი უმრავლესობის საარსებო ღონის აწევით, სამეწარმეო საქმიანობის ყველასათვის ხელმისაწვდომობით; მცირე მეწარმეობის განვითარებისადმი არსებითი მხარდაჭერით; მატერიალური წარმოების აღმავლობით; ყურადღების გაძლიერებით კულტურისადმი; პოზიტიური ტრადიციების შენარჩუნებისადმი, მოზარდი თაობის აღზრდისადმი და ა. შ.

დემოკრატიულ სახელმწიფოს შეუძლია არსებითად შეამციროს ორგანიზებული დანაშაულობა (როგორც ამას ვთქვამთ ადგილი ჰქონდა აშშ-ში და რაც ახლა ხდება იტალიაში) და შეინარჩუნოს მასთან ბრძოლის სტაბილური მდგომარეობა.

ორგანიზებული დანაშაულობის პროფილაქტიკის ერთ-ერთ მძლავრ ფაქტორს წარმოადგენს დანაშაულებრივი შემოსავლების ლეგალიზაციის დაუშვებლობა და მკაცრი პასუხისმგებლობის დაწესება ასეთ ქმედებისათვის. საქართველოს 1999 წლის სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის, ესე იგი ფულისათვის ან სხვა ქონებისათვის კანონიერი სახის მიცემას. მაგრამ ეს ნორმა არ იმუშავებს საეჭვო საფინანსო ოპერაციებისა და სხვა ქონებრივ გარიგებებთან დამოკიდებულებაში კონტროლის გარეშე. ამისათვის კი საჭიროა ვიხელმძღვანელოთ 1990 წლის 8 ნოემბრის ევროპის საბჭოს კონვენციით – „დანაშაულებრივ საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების გათეთრების გამოვლენის, ამოღებისა და კონფისკაციის შესახებ“. ამ დოკუმენტში ხაზი გაესმის იმასაც, რომ გამოძიებას უნდა მიეცეს იმ საგანგებო მეთოდების გამოყენების შესაძლებლობა, რომლებიც აადვილებენ დანაშაულებრივი შემოსავლების გამოვლენასა და ძებნას, აგრეთვე მტკიცებულებათა შეგროვებას, რომლებსაც კავშირი აქვთ ზემოაღნიშნული სახის დანაშაულთან და სხვ. ასეთმა მეთოდებმა შეიძლება მოიცვას იმ სახის დადგენილებები, რომლებიც მიმართული იქნება ამა თუ იმ ანგარიშების გაკონტროლებაზე და მათზე თვალყურის დევნებაზე; ტელეკომუნიკაციურ გადაცემათა ხელში ჩაგდებაზე; კომპიუტერული სისტემების ხელმისაწვდომობაზე; გარკვეული სახის დოკუმენტების ამოღებაზე და სხვ.

ორგანიზებული დანაშაულობის თავიდან აცილებაში ასევე მნიშვნელოვანი როლი ენიჭება კორუფციასთან ბრძოლას. ეს ბრძოლა, სამწუხაროდ, მოწოდების (ლოზუნგების) დონეზეა და ფაქტობრივად არავითარი ქმედითი ღონისძიებები არ ტარდება მის აღმოსაფხვრელად. ამის დასტურია ისიც, რომ კორუმპირებული მაღალი რანგის ჩინოსნები, რომლებიც კონტროლის პალატის მიერ მხილებულნი არიან მილიონობით თანხების მითვისება-

გაფლანგვაში მიცემული არ არიან სისხლის სამართლის პასუხის-
გებაში.

ორგანიზებული დანაშაულობის თავიდან აცილებაში მნიშვნელოვანია მოსამართლეების, სამართალდამცავი და მაკონტროლებელი ორგანოების თანამდებობის პირთა დაცვის უზრუნველყოფის ხარისხის ამაღლება. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია ის, რომ ძალოვანი და მართლმსაჯულების განმახორციელებელი მუშაკების მიმართ, ხშირად ადგილი აქვს მათ სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე, პატივსა და ღირსებაზე ხელყოფას, ასევე შანტაჟს, მუქარასა და სხვ.

ორგანიზებული დანაშაულობის თავიდან აცილებაში მნიშვნელოვანი როლი შეუძლია შეასრულოს დაზარალებულთა, მოწმეთა და სხვა პირთა (რომლებიც ხელს უწყობენ სისხლის სამართლის სასამართლო წარმოების განხორციელებას) დაცვის სახელმწიფო სისტემის შექმნამ და ასევე მატერიალური სტიმულირების ღონისძიებათა დანერგვამ, რომლებიც უდავოდ ხელს შეუწყობს ორგანიზებული დანაშაულობის მხილებისა და გახსნის საქმეს.

საზღვარგარეთის ქვეყნებს შორის დაზარალებულთა, მოწმეთა და სამართალწარმოებში მონაწილე სხვა პირთა დაცვის ყველაზე ეფექტური ღონისძიებები დადგენილია აშშ-ში. აქ არსებობს არა მხოლოდ შესაბამისი კანონი, არამედ მათი დაცვის პროგრამაც.

ორგანიზებულ დანაშაულობათა თავიდან აცილების სპეციალურ ღონისძიებებში წამყვანი როლი ეკუთვნის სისხლის-სამართლებრივ, სისხლის სამართლის საპროცესო, ოპერატიულ-სამძებრო, საორგანიზაციო და სასჯელადსრულებით ღონისძიებებს, რომლებიც მიეკუთვნება სისხლის სამართლის პროფილაქტიკის ქვესისტემას.

მოქმედ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, სამწუხაროდ, არ არის ისეთი ნორმები, რომლებიც სპეციალურად, რომ ითვალისწინებდეს ორგანიზებულ დანაშაულთა სისხლისსამართლებრივი საქმეების გამოძიებისა და სასამართლო განხილვის თავისებურებებს. განსახილველი კატეგორიის საქმეები კი უნდა გამოიძიოს მაღალკვალიფიციურმა საგამოძიებო ჯგუფებმა, ხოლო

სასამართლოში საქმეები უნდა განიხლოს იმ მოსამართლეებმა, რომლებიც სპეციალიზირებული არიან ამ კატეგორიის საქმეთა განხილვით.

ორგანიზებული დამნაშავეობის თავისებურებები მოითხოვენ სპეციალურ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების გატარებასაც, კერძოდ, აქ იგულისხმება: სატელეფონო საუბრების მოსმენა; საფოსტო, სატელეგრაფო და სხვა სახის ცნობებზე კონტროლი; ტექნიკური არხების (კანალების) გზით ინფორმაციის მიღება; კონტროლირებადი მიწოდება; ოპერატიული შეღწევა (დანერგვა); ოპერატიული ექსპერიმენტი; ლეგენდირებულ საწარმოთა შექმნა და სხვ.


ოპერატიული დანერგვა ნიშნავს დანაშაულებრივ გარემოში ოპერატიული მუშაკების ან იმ პირების შეღწევას, რომლებიც კონფიდენციალურად თანამშრომლობენ სამართალდამცავ ორგანოებთან და რომლებიც ახორციელებენ ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობას.

კონტროლირებადი მიწოდება გამოიხატება როგორც მოძრაობის მარშრუტების თვალთვალში, რომელსაც აკონტროლებენ ოპერატიული მუშაკები, ასევე გარკვეულ საგნებზე (ნივთებზე) კონტროლის განხორციელებაში (ცხადია, დანაშაულთა გამოვლენისა და გახსნის მიზნით).

ოპერატიული ექსპერიმენტი — ესაა ისეთი ვითარებისა და პირობების ხელოვნურად (განზრახ) შექმნა და აღდგენა, რაც იმ პირის დანაშაულებრივი ქცევის გამოვლენის საშუალებას იძლევა, რომელიც ამზადებს ან სჩადის დანაშაულს.

ლეგენდირებულ საწარმოთა შექმნა გათვალისწინებულია კანონით „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“. კერძოდ, მასში ნათქვამია, რომ ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის ამოცანების გადაწყვეტისას ამ ორგანოებს უფლება აქვთ შექმნან კანონმდებლობით დადგენილი წესით საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები და ქვეგანყოფილებები.

ორგანიზებული დანაშაულობის პროფილაქტიკაში, ასევე გარკვეული როლი უნდა შეასრულოს მათი საქმიანობისადმი გამჭვირ-



§ 1. რეციდივული დანაშაულობის ცნება

რეციდივული დანაშაულობა წარმოადგენს მთლიანი დანაშაულობის მნიშვნელოვან ნაწილს. იგი, როგორც წესი, დაკავშირებულია და ვითარდება დანაშაულობის ევოლუციის პროცესთან ერთად. რეციდივი ნაწილობრივ განსაზღვრავს დანაშაულობის სოციალური მოვლენის შინაარსს. მას გააჩნია საკუთარი თავისებურებანი.

რეციდივული დანაშაულობის თავისებურებანი განისაზღვრება დანაშაულის ჩამდენი პირის სპეციფიკითა და იმ განსაკუთრებული ნიშნებით, რომელიც მისთვისაა დამახასიათებელი (მაგალითად, განსხვავებული სოციალურ-ფსიქოლოგიური თავისებურებებით ხასიათდება ნარკომანთა, არასრულწლოვანთა, ახალგაზრდობის, ქალთა და სხვა კატეგორიის პირთა მიერ ჩადენილი დანაშაულები).

რეციდივული დანაშაულობა – ესაა დანაშაულობის ერთ-ერთი ყველაზე საშიში სახეობა, რომლის ბირთვსაც შეადგენენ ის პირები, რომლებიც ყველაზე მკაფიოდ უპირისპირდებიან საზოგადოების ზნეობრივ ფასეულობებს.

რეციდივული დანაშაულობის მართლსაწინააღმდეგო ხასიათი და საზოგადოებრივი საშიშროება იმაშია, რომ დანაშაულის მეორეჯერ და მეტჯერ ჩადენა მოწმობს პირის შეუპოვარ სწრაფვაზე, რომ გააგრძელოს დანაშაულებრივი საქმიანობა, რომ წინ აღუდგეს მისაღებ საერთო თანაცხოვრების წესებს, საკუთარი პრობლემის გადაწყვეტას იგი უკავშირებს კრიმინალური ვარიანტების გამოყენებას და სხვ.

რეციდივული დანაშაულობის მომატებული საშიშროება ასევე იმაშია, რომ რეციდივისტები კულტივირებენ საზოგადოებაში თავის ანტისაზოგადოებრივ შეხედულებებს და ყოფაქცევის ნორმებს, პროპაგანდას უწევენ კრიმინალურ სუბკულტურას, თავისი მაგალითით მაუნე გავლენას ახდენენ მორალურად არამტკიცე ადა-

მიანებზე, განსაკუთრებით ახალგაზრდებზე და ითრევენ მათ დანაშაულებრივ საქმიანობაში.

რეციდივისტის საზოგადოებრივი საშიშროების აუცილებელი კომპონენტია სამართლებრივი შევნების კრიმინოგენური დეფორმაცია. რეციდივისტები არსებით ვნებას აყენებენ საზოგადოებას, რაც იმაში გამოიხატება, რომ ისინი ართულებენ კრიმინოგენურ ვითარებას ქვეყანაში, სჩადიან მძიმე დანაშაულთა მნიშვნელოვან რაოდენობასა და სხვ.

რეციდივული დანაშაულობა ხასიათდება თავისი მდგრადობით, რაც ამკარად მიუთითებს როგორც სამართალდამცავი სისტემის არასრულყოფაზე, რომელსაც უნარი არ შესწევს ეფექტური ზემოქმედება მოახდინოს პირებზე, რომლებმაც ჩადინეს დანაშაული, ასევე სასჯელის სუსტ ზემოქმედებაზე, რომელიც ვერ აღწევს მსჯავრდებულთა გამოსწორების მიზანს.

რეციდივის მართლსაწინააღმდეგო ხასიათი და მომატებული საზოგადოებრივი საშიშროებას სამართლიანად იწვევს სისხლის-სამართლებრივი პასუხისგების გაძლიერებას.

ლიტერატურასა და პრაქტიკაში ტერმინი „რეციდივი“ (იგი ლათინური სიტყვისგანაა წარმომდგარი – recidivus – და განმეორებას ნიშნავს) გამოყენებულია სხვადასხვა მნიშვნელობით, სახელდობრ, იგი მოიცავს კრიმინოლოგიურ, სისხლისსამართლებრივ და პენიტენციურ გაგებას.

კრიმინოლოგიაში რეციდივული დანაშაულობა, აღნიშნავს ი. ბიტკო, გაგებულია როგორც ბიოსოციალური, შედარებით მასობრივი, ისტორიულად ცვალებადი, მყარი და სისხლის-სამართლებრივი მოვლენა, რომელიც გამოიხატება განმეორებით ჩადენილ დანაშაულთა ერთობლიობაში და რომლის ჩამდენი პირებიც წინათ ცნობილი იყვნენ სისხლისსამართლებრივად დასჯად ქმედებათა ჩადენაში დამნაშავეებად. რეციდივული დანაშაულობის ეს ფართო განსაზღვრა მაინც არ მოიცავს დანაშაულთა არაერთგზის ჩადენას სისხლისსამართლებრივი საქმის აღძვრამდე და მასზე სამართალდამცავი ორგანოების რეაგირებამდე.

სტატისტიკურ ანგარიშგებაში, მისივე თქმით, მეტწილად წარმოდგენილია რეციდივის ფართო კრიმინოლოგიური ცნება,

„პირები, რომლებმაც ადრე ჩაიდინეს დანაშაული“. შინაგან საქმეთა ორგანოებისა და პროკურატურის სისხლისსამართლებრივი სტატისტიკის ფორმა № 2-ში (ერთიანი სტატისტიკური ბარათი პირზე, რომელმაც ჩაიდინა დანაშაული) არის გრაფა: „დანაშაულის ადრე ჩამდენი“. აქედან გამომდინარე სტატისტიკურ ანგარიშგებაში რეციდივის ცნება მოიცავს პირებს, რომლებსაც აქვთ ან არა აქვთ ნასამართლობა მოხსნილი, პირებს, რომელთა მიმართ გამოყენებულია სისხლისსამართლებრივი სასჯელის შემცველი ზომები, აგრეთვე პირებს, რომლებიც განთავისუფლებული იყვნენ სისხლისსამართლის პასუხისმგებლობისაგან ამნისტიასა და შეწყალებასთან დაკავშირებით. როგორც ვხედავთ სისხლის სამართლის სტატისტიკა მხოლოდ განმეორებითობის მომენტს აქცევს ყურადღებას და ამდენად მასში თავმოყრილია როგორც ფაქტობრივი, ასევე ლეგალური რეციდივი¹.

კრიმინოლოგიური რეციდივი, თავის მხრივ, შეიძლება ჩაითვალოს განმეორებითი დანაშაულობის ნაწილად, რომელიც მოიცავს დანაშაულის განმეორებითი ჩადენის ყველა შემთხვევას ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე.

კრიმინოლოგიური რეციდივი შეიძლება დაიყოს ნასამართლობის რეციდივად და ფაქტობრივ რეციდივად. ნასამართლობის რეციდივი შეიცავს ყველა განმეორებით დანაშაულს, რომლებიც ჩადენილია ადრე ნასამართლესი პირების მიერ.

საქართველოს სს კოდექსის 79-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, მსჯავრდებული ნასამართლევად ითვლება გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან და მთავრდება ნასამართლობის მოხსნის ან გაქარწყლების მომენტიდან.

ფაქტობრივი რეციდივი შეიცავს ყველა განმეორებით დანაშაულს, ჩადენილს იმ პირთა მიერ, რომელთაც ნასამართლობა გაქარწყლებული აქვთ; ასევე რომლებიც წინასწარი გამოძიების დროს და განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე განთავისუფლდნენ; ასევე რომლებიც განთავისუფლებული არიან სისხ-

¹ იხ. Бытко Ю. И. Учение о рецидиве преступлений в российском уголовном праве. Саратов. 1998, с. 85.

ლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან არამარეაბილიტირებული საფუძვლით.

სისხლისსამართლებრივი რეციდივი. ნასამართლობის რეციდივის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს სისხლისსამართლებრივი, ანუ სხვანაირად თუ ვიტყვით, ლეგალური რეციდივი. საქართველოს ძველ სისხლის სამართლის კოდექსში არ იყო მოცემული რეციდივის დეფინიცია, ხოლო სისხლის სამართლის მეცნიერებაში ამ საკითხთან დაკავშირებით გამოთქმული იყო სხვადასხვა აზრი, რომლის მიხედვითაც ნასამართლობა ითვლებოდა ლეგალური რეციდივის ერთადერთ ძირითად წარმოქმნელ ელემენტად, რასაც აღიარებდა ყველა კრიმინალისტი. შემდგომში კანონმდებელმა შეზღუდა რეციდივის სისხლისსამართლებრივი ცნება არა მხოლოდ ნასამართლობით, არამედ ბრალის ფორმითა და დაძნალების ასაკით. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-17 მუხლის თანახმად, დანაშაულის რეციდივი გაგებულია როგორც წინათ განზრახი დანაშაულისათვის ნასამართლევი პირის მიერ განზრახი დანაშაულის ჩადენა. როგორც ვხედავთ, კანონმდებელს რეციდივის ცნებაში არ შეაქვს გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაული და დანაშაული ჩადენილი არასრულწლოვნობის ასაკში.

სისხლის სამართალში რეციდივის ცნება აუცილებელია ძირითადად არა პასუხისმგებლობის დამძიშებისათვის, როგორც ამას ადგილი ჰქონდა 1960 წლის სს კოდექსში, არამედ სასამართლოს მიერ ისეთი საკითხის გადაწყვეტისათვის, როგორცაა: სასჯელ-აღსრულების დაწესებულების სახეობის შერჩევა, მსჯავრდებულებზე აღმზრდელობითი ზემოქმედების ეფექტური ღონისძიებების შერჩევა და სხვ. საერთოდ რეციდივისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გაძლიერება ემყარება დაძნალების საშიში მდგომარეობის კონცეფციას, ესე იგი ასეთ პირს (რეციდივისტს), რომელმაც განმეორებით ჩაიდინა დანაშაული, აქვს ნეგატიური, საზოგადოებისთვის საშიში თვისებები, ნიშნები, შეხედულებები, ორიენტაცია, ღონე და მოთხოვნილებათა წრე.

მრავალრიცხოვანი კრიმინოლოგიური გამოკვლევები და პრაქტიკა მოწმობს, რომ იმ პირთა უმეტესობა, რომლებმაც ჩაიდინეს დანაშაული, ცოტა რაიმით თუ განსხვავდება შედარებით სამარ-

თავმოვრჩილ მოქალაქეებისგან (შედარებით იმიტომ, რომ აბსოლუტურად სამართალმოვრჩილი ადამიანები არ არსებობენ). თავისი ბიოლოგიური ბუნებით ყოველ ადამიანს შეუძლია ჩაიდინოს დანაშაული, მაგრამ ეს არ ხორციელდება თითოეული ადამიანის ფსიქიკის, ხასიათის, შეგნებისა და ტემპერამენტის თავისებურებებიდან გამომდინარე. ესე იგი დანაშაულის ჩადენისადმი ადამიანთა მიდრეკილების ხარისხი განსხვავებულია, რაშიც გადაწყვეტ როლს ასრულებს გარემო წრის ზემოქმედება. აქ უპრიანი იქნება იმ თეზის დამოწმებაც, რომლის მიხედვითაც დამნაშავედ კი არ იბადებიან, არამედ ხდებიან. ამ უკანასკნელს ხელს უწყობს სოციალური ფაქტორების ზემოქმედება (გავლენა).

წარსული დანაშაული და მისთვის ნასამართლობა, ისევე როგორც პიროვნების სხვა ნიშნები, რომლებიც ახასიათებენ მის ჩვევებსა და შეხედულებებს, არ ახდენენ გავლენას დანაშაულის საზოგადოებრივ საშიშროებაზე ანუ დანაშაულის მართლწინააღმდეგობაზე და არ ზრდიან მის ხარისხს. ისინი მხოლოდ დანაშაულის ჩამდენი პირის დამახასიათებელ ფაქტორად გვევლინება. მაგალითად, თუ განსაკუთრებით საშიში რეციდივისტი, რომელსაც ადრე არავინ ჰყავდა მოკლული, ეჭვიანობის ნიადაგზე კლავს თავის ცოლს, ამით ასეთი მკვლელობის არც საზოგადოებრივი საშიშროება იზრდება და არც კვალიფიკაცია იცვლება (ქმედება რჩება როგორც 108-ე მუხლით გათვალისწინებული მკვლელობა). ძველი კოდექსის 104-ე მუხლი, დამამძიმებელი გარემოების სახით ითვალისწინებდა მკვლელობას თუ იგი ჩადენილი იყო განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის მიერ; ესე იგი კანონმდებელი 104-ე მუხლს აკუთვნებდა მკვლელობას მხოლოდ იმიტომ, რომ იგი ჩადენილი იყო განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის მიერ. ამგვარად, გამოდიოდა, რომ რეციდივის შემთხვევაში პირი ხელახლა ისჯებოდა ადრე ჩადენილი დანაშაულისთვისაც, რაც, ცხადია, ეწინააღმდეგება საერთაშორისო სისხლის სამართლის ნორმებისა და საქართველოს კონსტიტუციურ პრინციპებს (მაგალითად, საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-4 ნაწილი კრძალავს განმეორებით დასჯას ერთი და იმავე დანაშაულისთვის).

ჯერ კიდევ XIX საუკუნის რუსი კრიმინალისტი ს. ბუღინსკი აღნიშნავდა, რომ „განმეორების შემთხვევაში სასჯელის გაძლიერების დაწესება — შუასაუკუნეების სიმკაცრის წარჩინა, რასაც მყარად ინარჩუნებს კანონმდებლობა. სასჯელის გაძლიერება იმ დოზით, როცა იგი სჭარბობს მის ჩვეულებრივ ზომას, ნიშნავს პირველი დანაშაულისათვის განმეორებით დასჯას“¹.

საქართველოს ახალმა სისხლის სამართლის კოდექსმა უარი თქვა განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის ფიგურაზე, ესე იგი ადრე ნასამართლევ პირთა ასეთებად ოფიციალურ აღიარებაზე. სს კოდექსი მე-17 მუხლში იძლევა იმის განმარტებას თუ რას ნიშნავს დანაშაულის რეციდივი და რა ითვლება საშიშ და განსაკუთრებით საშიშ რეციდივად. აღნიშნული მუხლი ხუთი ნაწილისაგან შედგება და წერია შემდეგი:

1. დანაშაულის რეციდივი ნიშნავს წინათ განზრახი დანაშაულისათვის ნასამართლევი პირის მიერ განზრახი დანაშაულის ჩადენას.

2. საშიშ რეციდივად ითვლება, როდესაც:

ა) წინათ განზრახი დანაშაულისათვის არანაკლებ ორჯერ თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულმა ჩაიდინა ისეთი განზრახი დანაშაული, რომლისთვისაც მას უსჯიან თავისუფლების აღკვეთას;

ბ) წინათ განზრახი მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულმა ჩაიდინა განზრახი მძიმე დანაშაული.

3. განსაკუთრებით საშიშ რეციდივად ითვლება, როდესაც:

ა) წინათ განზრახი ნაკლებად მძიმე ან განზრახი მძიმე დანაშაულისათვის სამჯერ ან მეტჯერ თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულმა ჩაიდინა ისეთი განზრახი დანაშაული, რომლისთვისაც მას უსჯიან თავისუფლების აღკვეთას;

ბ) წინათ განზრახი მძიმე დანაშაულისათვის არანაკლებ ორჯერ მსჯავრდებულმა ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის მსჯავრდებულმა ჩაიდინა განზრახი მძიმე დანაშაული;

გ) წინათ განზრახი მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის მსჯავრდებულმა ჩაიდინა განზრახი მძიმე დანაშაული.

¹ იხ. Будзинский С. Начала уголовного права. Варшава, 1870, с. 279.

4. დანაშაულის რეციდივის დადგენისას მხედველობაში არ მიიღება ნასამართლობა თვრამეტ წლამდე ჩადენილი დანაშაულისათვის, აგრეთვე ნასამართლობა, რომელიც მოხსნილი ან გაქარწყლებულია ამ კოდექსის 79-ე მუხლით გათვალისწინებული წესით.

5. დანაშაულის რეციდივის შემთხვევაში ამ კოდექსით გათვალისწინებული საფუძვლით და დადგენილ ფარგლებში შეიძლება დაინიშნოს უფრო მკაცრი სასჯელი.

როგორც ვხედავთ ამ მუხლში კანონმდებელი იძლევა რეციდივის ზოგად ცნებას. რაც შეეხება სასჯელის დანიშვნას დანაშაულის რეციდივის დროს ამას ითვალისწინებს სს კოდექსის 58-ე მუხლი. ამ მუხლის თანახმად:

1. დანაშაულის რეციდივის, საშიში რეციდივისა და განსაკუთრებით საშიში რეციდივის დროს სასჯელის დანიშვნისას მხედველობაში მიიღება წინათ ჩადენილ დანაშაულთა რაოდენობა და სიმძიმე; გარემოებანი, რომელთა გამოც წინათ დანიშნულ სასჯელთა გამაფრთხილებელი ზემოქმედება არასაკმარისი აღმოჩნდა, აგრეთვე ახლად ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე.

2. სასჯელის ვადა დანაშაულის რეციდივის დროს არ შეიძლება იყოს ჩადენილი დანაშაულისათვის ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული ყველაზე მკაცრი სახის სასჯელის მაქსიმალური ვადის ნახევარზე ნაკლები, საშიში რეციდივის დროს – ორ მესამედზე ნაკლები, ხოლო განსაკუთრებით საშიში რეციდივის დროს – სამ მეოთხედზე ნაკლები.

3. თუ ამ კოდექსის კერძო ნაწილის მუხლში ან მუხლის ნაწილში მითითებულია ნასამართლობაზე, როგორც დანაშაულის მაკვალიფიცირებელ ნიშანზე, აგრეთვე ამ კოდექსის 55-ე მუხლით გათვალისწინებული განსაკუთრებული შემამსუბუქებელი გარემოებების არსებობისას რეციდივის, საშიში რეციდივის ან განსაკუთრებით საშიში რეციდივის დროს სასჯელის დანიშვნისას მხედველობაში არ მიიღება ამ მუხლის მე-2 ნაწილის წესი.

მოტანილი მუხლის გააზრებიდან აშკარად ჩანს, რომ კანონმდებელი დანაშაულის რეციდივის დროს სასჯელის ვადის გან-

საზღვრას ახდენს კოდექსის შესაბამისი მუხლის ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული სასჯელის ვადის ფარგლებში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

§ 2. რეციდივული დანაშაულობის დახასიათება

რეციდივული დანაშაულობის დახასიათება ნიშნავს მისი მდგომარეობის (დონის), დინამიკისა და სტრუქტურის ანალიზს.

უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში დანაშაულთა საერთო რაოდენობაში რეციდივული დანაშაულობა შეადგენს საშუალოდ 22-დან 27%-ს.

რეციდივული დანაშაულობის დონე წარმოადგენს იმის არსებით მაჩვენებელს, თუ რამდენად მყარი და მონაცვლეა იგი და რაკატეგორიის დამნაშავეებისათვისაა დამახასიათებელი.

რეციდივული დანაშაულობის დინამიკა უმთავრესად ემთხვევა დანაშაულობის საერთო დინამიკას. აღნიშნული დამნაშავეობა 1989 წლიდან ყოველწლიურად იზრდებოდა, გარდა 1994 წლისა, როდესაც მან დაიწია 0,9%-ით წინა წელთან შედარებით. რაც შეეხება რეციდივულ დანაშაულთა კოეფიციენტს იგი 100 ათას მოსახლეობასთან და 14 წლის ასაკს მიღწეულ პირებთან შეფარდებაში, უკანასკნელი 10 წლის მანძილზე შესამჩნევად გაიზარდა (10%-მდე).

ი. კარპეცის შეხედულებით, რეციდივის ზვედრითი წონა არასრულად ასახავს დანაშაულობის ამ სახეობის რეალურ დინამიკას, რომ უფრო უტყუარია ის მაჩვენებლები, რომლებიც ახასიათებენ დანაშაულობის მდგომარეობას აბსოლუტური და შედარებითი მაჩვენებლების საფუძველზე (კოეფიციენტებში და პროცენტებში), რომ დანაშაულობის სტატისტიკაში რეციდივი ყველა წლებში ავლენდა და ავლენს საშურველ სიმყარეს.¹

რეციდივული დანაშაულობის სტრუქტურა, ანუ შემადგენელი ნაწილები (ელემენტები) შეიძლება გამოკვლეულ იქნეს დანაშაულთა მთელი ერთობლიობის გაანალიზების საფუძველზე. ასე მა-

¹ იხ. Карпец И. И. Преступность: иллюзии и реальность. М., 1992, с. 220.

გალითად, ნასამართლობათა რეციდივის წილი მთელ რეციდივში შეადგენს 50-60%, გაქარწყლებულ ნასამართლობათა წილი კი 30-34%-ს.

ჩაღენილ დანაშაულთა რაოდენობის მიხედვით შეიძლება განვასხვავოთ მარტივი (ერთგზისი) და რთული (მრავალგზისი) რეციდივი. რეციდივულ დანაშაულთა დაახლოებით 2/3 მიეკუთვნება მარტივს, ხოლო 1/3 რთულ რეციდივს.

რეციდივის მრავალგზისობა ყოველთვის არ არის პირდაპირ დამოკიდებულებაში მის მართლსაწინააღმდეგო ხასიათთან (საზოგადოებრივ საშიშროებასთან) და რეციდივისტიის პიროვნებასთან. უმეტეს შემთხვევაში, განსაკუთრებით უფროს ასაკში (40-45 წლის შემდეგ), ახალ დანაშაულთა სიმძიმის ხარისხი ეცემა. ძირითადად დადის ალიმენტების გადასახადისაგან ბოროტად თავის არიდებაზე, ხულიგნობაზე (არაფეხიზელ მდგომარეობაში), ქურდობაზე და სხვ. ერთგზისი და მრავალგზისი რეციდივის თანაფარდობა ასე გამოიყურება: მეორედ მსჯავრდებულთა წილი 2,5 - 3-ჯერ მეტია მესამედ მსჯავრდებულთა წილზე; უკანასკნელთა წილი ამდენჯერვე მეტია მეოთხედ მსჯავრდებულთა წილზე და ა. შ.

უკანასკნელ ათწლეულში მოხდა მრავალგზისი რეციდივის წილის მნიშვნელოვანი მომატება, რომელსაც მიეკუთვნება ერთი პირის მიერ სამი და მეტი დანაშაულის ჩადენა.

რეციდივის შემთხვევაში სასჯელის დანიშვნისას, კანონმდებელი ამოდის იმ ფარგლებიდან, რაც დადგენილია სისხლის კოდექსის კერძო ნაწილის ნორმით.

ერთგვაროვნების მიხედვით განასხვავებენ საერთო და სპეციალურ რეციდივს. საერთო რეციდივი - ესაა სხვადასხვაგვაროვან დანაშაულთა განმეორებითი ჩადენა. სპეციალური რეციდივი გამოიხატება ერთგვაროვან ან იგივეობით დანაშაულთა განმეორებით ჩადენაში, რაც მოწმობს რეციდივის მომეტებულ საშიშროებასა და რეციდივისტების პროფესიონალიზმზე. სპეციალურ რეციდივს სტაბილურ ხასიათთან ერთად აქვს ზრდის ტენდენცია და შეადგენს ყველა რეციდივული დანაშაულის 22%-ზე მეტს.

ჩადენილ დანაშაულთა სოციალური მიმართულებისა და მოტივაციის ხასიათის მიხედვით დანაშაულთა სახეობებიდან დაახლოებით 60% არის საკუთრების საწინააღმდეგო დანაშაულები, ხოლო 30%-მდე პიროვნების საწინააღმდეგო დანაშაულები.

ჩადენილ დანაშაულთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ანგარებით დანაშაულებს. პირველ ადგილზეა ქურდობა, შემდეგ მოდის ანგარებით-ძალადობითი დანაშაულობანი, რომლებიც ძირითადად მიმართულია მოქალაქეთა საკუთრების წინააღმდეგ.

მართლსაწინააღმდეგო ხასიათის ანუ საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხის მხრივ განასხვავებენ ნაკლებად მძიმე, მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულთა რეციდივს, ე. ი. დანაშაულთა სისხლისსამართლებრივი კლასიფიკაციის შესაბამისად.

დროის მხედველობაში მიღებიდან გამოძინარე გამოპყოფენ ახლო და დაშორებულ რეციდივს (ე. ი. სამი წლის შემდეგ სასჯელის მოხდიდან). შერჩევითი მონაცემების მიხედვით, ახლო რეციდივი შეადგენს ყველა რეციდივულ დანაშაულთა ნახევარზე მეტს, ხოლო თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან განთავისუფლებულ პირთა შორის უფრო მეტს — დაახლოებით 80%. გამოკვლევებით ასევე დადგენილია, რომ ყველაზე ინტენსიურია ახლო რეციდივი პირველი წლის მანძილზე თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან განთავისუფლების შემდეგ.

განსაკუთრებით საშიში რეციდივის ზრდასთან ერთად შეინიშნება რეციდივისტთა დანაშაულობის ინტენსიურობაც ეკონომიკური დანაშაულის სფეროში. აქ მათი საქმიანობა უკავშირდება დანაშაულებრივი პრივატიზაციის განხორციელების პროცესებს, სავაჭრო წერტებსა და საბანკო დაწესებულებებზე „კრიშების“ დაწესების საკითხებსა და სხვ. სწორედ რეციდივისტებმა შეიტანეს დანაშაულებრივ საქმიანობაში ყოფაქცევის თავისებური ნორმები და დანერგეს დაშინების, მუქარისა და სასტიკად გასწორების ყველაზე გაწაფული და სასტიკი მეთოდები.

იმ ჯგუფთა შორის, რომელთა შემადგენლობაში შედიან რეციდივისტები, დიდია ასეთი ჯგუფების მხრიდან ორგანიზებულ დანაშაულთა ჩადენის ფაქტები. სისხლის სამართლის საქმეების

შესწავლით დადგენილია, რომ ორგანიზებულ დანაშაულობაში რეციდივისტთა რაოდენობა ძალზე სწრაფად იზრდება.¹

ვეიქრობთ არასწორია ი. ბიტკოს თვალსაზრისი იმასთან დაკავშირებით, რომ თითქოსდა დანაშაულის რეციდივის ცნება ნიშნავდეს წინათ გაუფრთხილებელი დანაშაულისათვის ნასამართლვე პირის მიერ გაუფრთხილებელი დანაშაულის ჩადენას.² რაც ცხადია ეწინააღმდეგება რფ სისხლის სამართლის კოდექსის მე-18 მუხლის (დანაშაულის რეციდივი) არსს.

ა. ზელინსკიმ რეციდიველი დანაშაულობის შესწავლისას გამოჰყო ამ დანაშაულებს შორის კავშირის ოთხი სახე: 1) განვითარების კავშირი; 2) მდგომარეობათა კავშირი; 3) გენეტიკური კავშირი; 4) ურთიერთმოქმედების კავშირი. განვითარების კავშირში ნაგულისხმევაა ისეთი ურთიერთობები, როდესაც პირის მიერ ჩადენილი დანაშაულებანი ასახავენ პირის ერთსა და იმავე მანკს მისი რეგრესის დემონსტრირებით. ამასთან იგი, თავის მხრივ, განასხვავებს განვითარების კავშირის ისეთ ტიპებს, როგორცაა: 1) მიზანმიმართული დანაშაულებრივი საქმიანობა, რაც შეთავსებულია შინაგან რწმენასთან და პიროვნების მიმართულუბასთან; 2) დანაშაულის ჩადენა ჩვეულების ძალით, თუმცა აქ შეგნებულად ჩამოყალიბებული მიზანი არ შეიმჩნევა და 3) დანაშაულებს შორის კავშირი, რაც შეიძლება განპირობებული იყოს პირის ბიოლოგიური თვისებებით, მაგალითად, ავადმყოფური მდგომარეობით.

მდგომარეობათა კავშირი იმას ნიშნავს, რომ სხვადასხვა სიტუაციებში პირი თავისი სხვადასხვა თვისებების ძალით სჩადის სხვადასხვა დანაშაულს.

გენეტიკური კავშირი დაფუძნებულია პიროვნების თვისებებზე და მნიშვნელოვანწილად თვით პირის მიერ შექმნილ გარემო ვითარებაზე, მაგალითად, პირის სოციალური სტატუსის შეცვლა დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებით.

¹ იხ. Криминология. Под ред. А. И. Долговой. М., 1997, с. 732.

² იხ. Бытко Ю. И. Учение о рецидиве преступления в российском уголовном праве. Саратов, 1998, с. 81.

ურთიერთმოქმედების კავშირი ახასიათებს ისეთ მდგომარეობას, როდესაც პირველი და შემდგომი დანაშაულები განაპირობებენ (დეტერმინირებენ) ერთმანეთს.¹

ქართული
ბიბლიოთეკა

§ 3. რეციდივისტის პიროვნება

რეციდივისტის პიროვნების სოციალურ-დემოგრაფიული ნიშნების დახასიათება უნდა დავიწყოთ იმის აღნიშვნით, რომ იგი მეტწილად მიეკუთვნება მოსახლეობის მამაკაცთა ნაწილს. რეციდივისტი ქალების წილი 10-ჯერ ნაკლებია მამაკაცების მიერ ჩადენილ დანაშაულობასთან შეფარდებაში. ქალ-რეციდივისტებში ნეგატიური პიროვნული თვისებები უფრო აშკარად არის გამოხატული, ვიდრე მამაკაც-რეციდივისტებში. ქალები, მამაკაცისაგან განსხვავებით, მწვავედ განიცდიან ოჯახის დანგრევას, მათთვის ბევრად უფრო ტრაგიკულია სოციალური კავშირების დაკარგვა, სიმარტოვე და ა. შ.

რეციდივისტ-ქალთა მნიშვნელოვანი ნაწილი ოჯახის დაკარგვას შემთხვევითი კავშირებით დამყარების საფუძველზე ავსებს, მათ, როგორც წესი, არ გააჩნიათ მუდმივი საცხოვრებელი ადგილი. რეციდივისტები, დანაშაულის პირველად ჩამდენ პირებთან შედარებით, მეტი ასაკისანი არიან. კერძოდ, მათი საშუალო ასაკია – 30 წელზე მეტი, ხოლო მეხუთე და მეტი ნასამართლობიდან დაწყებული – 40 წელი და მეტიც.

რეციდივისტების განათლების დონე მნიშვნელოვნად დაბალია, მოსახლეობის განათლების საშუალო დონესთან შედარებით. მიუხედავად ამისა ბევრ მათგანს აქვს საშუალო (ხშირად არასრული) განათლება, რასაც ძირითადად იღებენ გამასწორებელ დაწესებულებებში. ქორწინებაში მყოფ რეციდივისტთა წილი ბევრად ნაკლებია ქორწინებაში მყოფ სხვა მსჯავრდებულებთან შედარებით. რეციდივისტებში ოჯახების დაშლა უფრო ხშირია, ვიდრე თავისუფლების აღკვეთით პირველად მსჯავრდებულებში.

¹ იხ. Зелинский А. Ф. Рецидив преступлений. Структура, связи, прогнозирование. Харьков, 1980, с. 70-76.

რეციდივისტთა უმრავლესობას გააჩნია შრომითი საქმიანობის ძალზე მცირე სტაჟი, რაც მათი უსაქმურობის დასტურად უნდა მივიჩნიოთ. გამოკვლევათა მონაცემების თანახმად, შრომითი სტაჟი, რომელიც არ აღემატება 5 წელს, აქვს რეციდივისტთა 1/3, 30-დან 49 წლის ასაკამდე რეციდივისტთა შორის ასეთივე სტაჟი გააჩნია 14,1%-ს. მრავალგზისი რეციდივისტ მქონე პირებს, ბევრად ნაკლები შრომითი სტაჟი გააჩნიათ.

რეციდივისტის პიროვნების მოტივაციური სფერო ხასიათდება მოთხოვნილებისა და მათი დაკმაყოფილების საშუალებათა არაადეკვატური თანაფარდობით. მოტივთა სისტემა მათ უფრო ღარიბი და ვიწრო აქვთ, ვიდრე კანონმორჩილ მოქალაქეებსა და დანაშაულის პირველად ჩამდენ პირებს.

რეციდივისტებს, ხშირად, იმ დონისა და მოცულობის ცხოვრებისეული კეთილდღეობისადმი პრეტენზია აქვთ, რომლებიც მათი შესაძლებლობების ფარგლებს აშკარად სცილდება. ამის გამო წარმოჩენილ წინააღმდეგობათა გადაჭრა მთავრდება მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების მართლსაწინააღმდეგო საშუალებების არჩევის გზით.

რეციდივისტების მიერ დანაშაულის ჩადენის ყველაზე გავრცელებული მოტივებია ანგარება (26,1%), სულიგნური ქვენა გრძნობა (26%), შურისძიება (10,1%), შური, ეჭვიანობა და სხვ. რეციდივისტების ურთიერთობა მეტწილად ვლინდება და რეალიზაციას პოულობს ადრე ნასამართლევ პირებთან, მუქთახორებთან და ამორალური ყოფაქცევის ქალებთან კონტაქტების გზით.

რეციდივისტთა ემოციურ-ნებელობით დახასიათებას, ასევე გააჩნია თავისებურებები, კერძოდ, მათთვის დამახასიათებელია ისეთი ფსიქოლოგიური დეფექტები, როგორცაა: მაღალი ემოციური აღზნებადობა, სუსტი თვითკონტროლი და მნიშვნელოვანი სიტუაციური დამოკიდებულება. დამნაშავე-რეციდივისტების უმეტესი ნაწილისათვის დამახასიათებელია როგორც სიძნელეთა გადალახვის დაბალი უნარი, ასევე მათი დაძლევის სრული იგნორირება (არ სურვილი). თუმცა უნდა აღინიშნოს ზოგიერთი მათგანის მტკიცე ნებისყოფა უარყოფითი მიმართულებით. რეციდივისტის პიროვნების ემოციურ-ნებელობითი სფეროსათვის დამახასიათებე-

ლია სხვადასხვა ხარისხის გაბოროტება, აგრესიულობა და სისასტიკე, თავშეუკავებლობა, ემოციურ რეაქციათა არაადექვატურობა და პრიმიტივიზმი.

რეციდივისტთა ზნეობრივი შეგნება ხასიათდება არსებითი გადაზრებით, მთლიანობაში კი — ანტისოციალური მიმართულებებით. რეციდივისტების ზნეობრივი შეგნების დეფორმაცია გამოიხატება მათ ინდივიდუალიზმში, ზნეობრივი პრინციპების მიუღებელი ქვენა გრძნობებით შეცვლაში და სხვ.

რეციდივისტების სამართლებრივი შეგნება საკმაოდ დეფორმირებულად გამოიყურება. ასე მაგალითად, ანგარებითი დამნაშავე გმობს თავის ყოფაქცევას, აღიარებს ქურდობის დაუშვებლობას, ცდილობს თავის გამართლებას შექმნილი სიტუაციით. ძალადობითი დანაშაულის ჩამდენ რეციდივისტებს საკუთარ თავზე გადაჭარბებული წარმოდგენა აქვთ. სინდისის ქვეჯნის არარსებობიდან გამომდინარე მათ არად მიაჩნიათ, სხვა პირთა სიცოცხლე, პატივი და ღირსება. დამნაშავე-რეციდივისტები ხშირად ამართლებენ თავის მართლსაწინააღმდეგო ყოფაქცევას და მიიჩნევენ მას ერთადერთ ადექვატურ მოქმედებად დაზარალებულის ყოფაქცევაზე. რეციდივისტის პიროვნების სამართლებრივი შეგნების თავისებურებას წარმოადგენს აგრეთვე სამართლის უგულვებელყოფა, სასჯელისადმი შიშის არქონა. უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ რეციდივისტებმა, კანონმორჩილ მოქალაქეებთან შედარებით, უკეთ იციან სისხლის სამართლის კოდექსის მუხლების შინაარსი და სხვა სახის ნომრებიც, მაგრამ, სამწუხაროდ, არ იცავენ და არ ახორციელებენ მათ საკუთარ თავთან მიმართებაში (ამის მიზეზად უნდა მივიჩნიოთ ის, რომ ისინი ვერ წვდებიან სამართლის ნორმათა დანიშნულების სოციალურ არსს). რეციდივისტების სამართლებრივი შეგნების დეფორმირება ხშირად მჟღავნდება იმ შეფასებებითაც რასაც ისინი აძლევენ მათდამი დანიშნულ სასჯელებს. მათი აზრით, რაც მეტია ნასამართლობა მით უფრო ნაკლებად სამართლიანია მათთვის დანიშნული სასჯელები.

რეციდივისტის პიროვნება აშკარად ვლინდება სოციალურ სფეროშიც, სადაც ავლენს მისთვის დამახასიათებელ ისეთ თვისებებს, როგორიცაა: სულიერი ღირებულებებისადმი უარყოფითი,

ხოლო ლოთობისადმი (ალკოპოლიზმისადმი) და ნარკოტიკების მოხმარებისადმი დადებითი დამოკიდებულება. მართლსაწინააღმდეგო და ამორალურ ქმედებათა ჩადენა რეციდივისტებს შორის უფრო ფართოდ არის გავრცელებული, ვიდრე სხვა დამნაშავეთა შორის. მათი დანაშაულებრივი საქმიანობის ხასიათი გავლენას ახდენს მსგავსი ბიოგრაფიის მქონე მათ მეგობრებსა და ასევე გარშემო მყოფ სხვა პირებზე. რეციდივისტთა უმრავლესობას ოჯახი არ გააჩნია, ხოლო რომელთაც აქვთ იქ ოჯახური დამოკიდებულებები პრიმიტიული ხასიათისაა. ისინი, როგორც წესი, იგნორირებენ მშობლის უფლებებსა და მოვალებებს ბავშვების აღზრდისა და რჩენის თვალსაზრისით, ასევე შრომისუუნარო მშობლებისათვის დახმარების აღმოჩენას.

რეციდივისტთა პიროვნების ტიპოლოგიას საფუძვლად უდევს ანტისაზოგადოებრივი მიმართულების სიღრმე და სიმტკიცე. თანამედროვე პირობებში განასხვავებენ რეციდივისტთა სამ ძირითად სახეს: ანტისოციალურს, ასოციალურსა და სიტუაციურს.

ანტისოციალური ტიპის რეციდივისტები წარმოადგენენ ყველაზე საშიშ, აქტიურ, ბოროტ დამნაშავეთა ჯგუფს, რომლებიც შეგნებულად უპირისპირდებიან საზოგადოებას. მათთვის დამახასიათებელია: მაღალი კრიმინალური აქტიურობა; მუდმივი მზადყოფნა დანაშაულის ჩასადენად; მძიმე დანაშაულთა ჩადენის უნარი ყველაზე უმნიშვნელო მამოძრავებელი მიზეზებისა და პირობების გავლენით; ინტერესებისა და მოთხოვნილებების სფეროს ღრმადეფორმაცია; უტიფრობა; ნეგატივიზმი; უკიდურესი ინდივიდუალიზმი. ამ კატეგორიის რეციდივისტები წარმოადგენენ მომატებულ საშიშროებას საზოგადოებისთვის, რამეთუ სწორედ ისინი არიან დანაშაულებრივი პროფესიონალიზმის ელემენტების მატარებლები.

ასოციალური ტიპის რეციდივისტები შეადგენენ რაოდენობის მხრივ რამდენადმე დიდ ჯგუფს. მათთვის ნიშანდობლივია პიროვნების ფაქტობრივი დეგრადაცია, ნორმალური სოციალური კავშირებისა და ურთიერთობების არქონა. მათ, ანტისოციალური ტიპის რეციდივისტებისაგან განსხვავებით, არ გააჩნიათ შეხედულებებისა და რწმენის შეგნებული ანტისოციალური მიმართულება. ამ ტიპის რეციდივისტებისთვის დამახასიათებელია: შეზ-

ლუდული ინტელექტი, აპათიის. (ყველაფრისადმი გულგრილი, უინტერესო, უხალისო) მდგომარეობა, არასრულყოფილებისა და ნაკლოვანების აღიარება, მიდრეკილება ალკოჰოლიზმისა და ნარკომანობისადმი და, საერთოდ, ახასიათებთ ფსიქოპათიური გადახვევები. ისინი ძირითადად სწადიან ნაკლებად მძიმე დანაშაულებს (მეტწილად წვრილმან ქურდობებს). ამ ტიპის რეციდივისტთა საზოგადოებრივი საშიშროება დიდია მტკიცე პარაზიტიზმის, დანაშაულთა არაერთგზისი ჩადენის, სოციალურ-პედაგოგიური ზემოქმედების ღონისძიებათა მიუღებლობისა და სხვათა გამო.

ყველა რეციდივისტთა ძირითად მასას შეადგენს სიტუაციური ტიპის დამნაშავეები, რომელთაც ახასიათებთ როგორც არამდგრადი დამოკიდებულება სოციალური ფასეულობებისადმი, ასევე მყარი ზნეობრივი პრინციპების უქონლობა, პიროვნების გაორება ნეგატიური თვისებების სიჭარბიდან გამომდინარე და სხვ. ამ ტიპის რეციდივისტების მიერ ჩადენილ დანაშაულთა ხასიათი დამოკიდებულია ძირითადად კონკრეტულ კრიმინოგენურ ცხოვრებისეულ სიტუაციაზე. მიუხედავად არაერთგზისი დანაშაულის ჩადენისა, სიტუაციური ტიპის რეციდივისტებს თავისი მოთხოვნილებების მართლსაწინააღმდეგო გზით დაკმაყოფილების ჩვევა არ გააჩნიათ, თუმცა ისინი, როგორც წესი, სცნობენ თავის ბრალს დანაშაულში, და ინანიებენ დანაშაულებრივ ქმედებას.

§ 4. რეციდიველი დანაშაულობის მიზეზები და პირობები

რეციდიველ დანაშაულობას, იმ მიზეზებთან და პირობებთან ერთად რაც საერთოდ მთლიანად დანაშაულობისათვისაა დამახასიათებელი, გააჩნია ასევე თავისი სპეციფიკური მიზეზები და პირობები.

ქვეყნის გადასვლამ საბაზრო ეკონომიკურ ურთიერთობებზე და საკუთრების გადანაწილებამ წარმოქმნა რიგი ობიექტური ფაქტორებისა, რომლებიც მოქმედებენ დანაშაულობის ტენდენციასა და ხასიათზე როგორც მთლიანად, ასევე მის რეციდიველ ნაწილზეც. ეკონომიკურმა პრობლემებმა, ინფლაციამ, მოსახლეობის სა-

სიცოცხლო დონის კატასტროფულმა დაცემამ, ღარიბებსა და მდიდრებს შორის უფსკრულის გაღრმავებამ, პოლიტიკურმა და ეროვნულმა დაძაბულობამ და სხვა მრავალმა ფაქტორმა მთელი საზოგადოება (ხალხი) მიიყვანა ღრმა სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ კრიზისამდე და ამ სიტუაციიდან გამოუსვლელიობის რწმენამდე. ყველაფერი ეს მნიშვნელოვნად აძნელებს დანაშაულობასთან ბრძოლას, ართულებს მოქალაქეთა კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაცვას დანაშაულებრივი ხელყოფისაგან და სხვ.

რეციდივულ დანაშაულთა, ისევე როგორც საერთოდ დანაშაულთა ერთ-ერთ მიზეზს წარმოადგენს არასტაბილურობა საზოგადოებაში, რაც გამოძვინარეობს პოლიტიკური და ეკონომიკური სტრუქტურების რეფორმირების პროცესებიდან; სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან დანაშაულობასთან ბრძოლის მკვეთრი შესუსტება; სასამართლო ორგანოების მიერ დაუსაბუთებელი ლიბერალიზმი საშიში დამნაშავეებისათვის სასჯელის გამოტანისას.

რეციდივული დანაშაულობის არსებობა განპირობებულია გარემოებათა ორი ჯგუფის ზემოქმედებით: 1) მთელი დანაშაულობისათვის საერთო მიზეზებისა და პირობების და 2) სპეციფიკური მიზეზებითა და პირობებით, რომლებიც მქლავნდება დანაშაულის ჩადენისა და სასჯელის მოხდის შემდეგ.

გარემოებათა პირველი ჯგუფი მოიცავს პირველად ფაქტორებს, რომლებიც განაპირობებენ პირველი დანაშაულის ჩადენას. იმის გამო, რომ დანაშაულის ჩამდენ პირთა სოციალური პირობები და სოციალური გარემო არ იცვლება უკეთესობისაკენ, ყოველივე ეს ხელს უწყობს დანაშაულთა ჩადენის გაგრძელებას.

რეციდივისტთა დანაშაულებრივი ქცევის გენეზისი ბავშვობის ასაკშია. ოჯახში არსებული ცხოვრების წესი და ყოფაქცევის სტერეოტიპი შემდგომშიც ინარჩუნებს თავის არსებობას.

რეციდივის მოტივაციაში წინა პლანზე გამოდის დანაშაულებრივი ჯგუფების ზეგავლენა, რომელთა სოციალური ქცევის ფონად გვევლინება: ღოთობა, ალკოჰოლიზმი, ნარკომანია და პროსტიტუცია.

რეციდივული დანაშაულობის მიზეზთა და პირობათა მეორე ჯგუფი შეიცავს სხვადასხვა მოვლენებსა და პროცესებს, რომლებსაც ადგილი აქვს ძირითადად სასჯელის მოხდისა და პოსტ-პენიტენციურ პერიოდში. რეციდივული დანაშაულობის ხელშეწყობი გარემოებებია აგრეთვე სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობაში არსებული ნაკლოვანებები.

განმეორებით დანაშაულთა ჩადენას, ასევე ხელს უწყობს დანაშაულისათვის დაუსჯელობის რეალური შესაძლებლობის შეგნება. ამასთან თვით სისხლისსამართლებრივი სასჯელიც საკმაოდ კრიმინოგენურია, მხედველობაში გვაქვს თავისუფლების აღკვეთა ხანგრძლივი ვადით, რომელიც ცვლის პიროვნების სოციალურ სტატუსს. თავისუფლების აღკვეთის ადგილებში 6 თვიდან 30 წლამდე ყოფნა, ცხადია, იწვევს უარყოფითი მუხტის გარკვეულ პროცესებს ადამიანთა ფსიქიკაში, რომლის განმუხტვასა და მისაღებ ფორმად ჩამოყალიბებას საკმაოდ დიდი დრო სჭირდება. ფსიქიატრთა განცხადებით თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან გათავისუფლებულთა 30-50% საჭიროებს ფსიქოლოგიურ და ფსიქიატრიულ დახმარებას შესუსტებული და გათიშული ფსიქიკის აღსადგენად. როგორც ვხედავთ, საზოგადოებისაგან იზოლაციას ადამიანი მიჰყავს კრიმინოგენურ შედეგამდე. რაც შეეხება ცნობილ გამოთქმას „საპყრობილე – დანაშაულობის სკოლა“ ვფიქრობთ იგი არაა გადამეტებული და ნაწილობრივ სწორად უნდა მივიჩნიოთ.

გარდა ამისა, გამასწორებელ დაწესებულებათა სისტემაში ვხვდებით სუბიექტური ხასიათის ისეთ კრიმინოგენურ ფაქტორებსაც, როგორიცაა: მსჯავრდებულის პიროვნებისადმი უპატივცემლობა ადმინისტრაციის მხრიდან; ცუდი სოციალურ-ყოფითი პირობები; მთელი რიგი აუცილებელი სახის მოთხოვნილებათა (განსაკუთრებით სექსუალური) დაკმაყოფილების შეუძლებლობა; არასწორი ურთიერთდამოკიდებულება სხვადასხვა კატეგორიის მსჯავრდებულებთან; სასჯელის გაუმართლებელი როგორც სიმკაცრე, ასევე სიმსუბუქე და სხვ.

გამასწორებელ დაწესებულებათა პირობებში ხშირად ხდება მსჯავრდებულთა ურთიერთკრიმინალური „დასენიანება“, მათი გაუ-

კულმართებული მოთხოვნილებების, ინტერესების, ჩვევებისა და სხვათა საფუძველზე გამასწორებელ დაწესებულებებში არის ასევე მსჯავრდებულთა ისეთი კატეგორიაც, რომლებიც უარყოფითი ქცევის მსგავსი ანტისოციალური ნორმების რეალიზებას ახდენენ და რომლისთვისაც იყენებენ ზემოქმედების სხვადასხვა საშუალებებს, მათ შორის ძალმომრეობასაც.

არაფორმალურ ნორმებთან დაკავშირებით უნდა შევნიშნოთ, რომ ამ სახის ნორმები სასტიკად დევნიან მათ დამრღვევთ, „განკიცხულთა“ რაზმში გადაყვანამდე. მსჯავრდებულის პიროვნებაზე არსებით ნეგატიურ გავლენას ახდენს მისი გარემოცვა. უარყოფით ფაქტორად, რომელიც განამტკიცებს, ზოგჯერ კი ავითარებს მსჯავრდებულის პიროვნების ანტისაზოგადოებრივ ნიშანთვისებებს, გვეკლინება გამასწორებელ დაწესებულებათა მსჯავრდებულების ის ნაწილი, რომელთაც გააჩნიათ ურყევი ანტი-სოციალური მიმართულებები. ამ მხრივ განსაკუთრებულ საშიშროებას წარმოადგენენ ბოროტი რეციდივისტები, რომლებიც არ ექვემდებარებიან გამოსწორებას.

ერთ-ერთ პირობას, რომელიც ხელს უწყობს დანაშაულთა ჩადენას გამასწორებელ დაწესებულებებში თანამედროვე პირობებში, წარმოადგენს საშუალოს არქონა. არცთუ შორეულ წარსულში მსჯავრდებულთა დიდი უმეტესობა ჩაბმული იყო მუშაობაში (თუმცა იძულებითი ღონისძიებებით) და ეს იყო სამართალდარღვევათა ჩადენის შემაკავებელი ფაქტორი თავისუფლების აღკვეთის ადგილებში. ამჟამად, შრომით დასაქმების შეუძლებლობის პირობებში, მსჯავრდებულები უსაქმურობის საბაბიდან გამოძდინარე, მეტწილად ხმარობენ სპირტიან სასმელებსა და ნარკოტიკებს. მოუხედავად იმისა, რომ შრომითი დასაქმების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი პრობლემაა, შრომა მაინც რჩება საქმიანობის ძირითად სახეობად და პრიორიტეტულ მიმართულებად სასჯელალსრულებით დაწესებულებებში. სხვანაირად თუ ვიტყვით, პენიტენციალური პოლიტიკის საფუძველად უნდა დარჩეს მსჯავრდებულთა საწარმოო (შრომითი) საქმიანობა. აქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ მსჯავრდებულებზე უარყოფით გავლენას ახდენენ ისეთი ფაქტორებიც, როგორიცაა: მათი სწავლებისა და

პროფესიული მომზადების ცუდი ორგანიზაცია; არადამაკმაყოფილებლად დაყენებული აღმზრდელობითი მუშაობა, რომელსაც ხშირად ფორმალური ხასიათი აქვს; ადმინისტრაციის მხრიდან მიმნებებლობის ფაქტები რეჟიმის დამრღვევთა (განსაკუთრებით მსჯავრდებულთა პრივილეგირებული ნაწილისადმი), სპირტიანი სასმელების, ნარკოტიკების მომხმარებელთა, იარაღის დამამზადებელთა და სხვათა მიმართ.

არადამაკმაყოფილებელი კრიმინოგენური ვითარება სასჯელალსრულებით დაწესებულებებში დაკავშირებულია აგრეთვე გამასწორებელ დაწესებულებათა თანამშრომლების პროფესიონალიზმის დაბალ დონესთან (ბევრ მათგანს, სამწუხაროდ, არ გააჩნია სპეციალური მომზადება).

რეციდივულ დანაშაულობას ხელს უწყობს სისხლისსამართლებრივი სასჯელის აღსრულების დაუსრულებლობა ნაადრევი პირობით-ვადაძღვე განთავისუფლების შედეგად.

რეციდივული დაშნაშავეობის ჩადენის ხელშემწყობი გარემოებებია ის ნაკლოვანებები, რომლებიც შეინიშნება როგორც გამასწორებელი დაწესებულებების, ასევე სხვა სამართალდამცავი ორგანოების (მათ შორის ადმინისტრაციული ზედამხედველობის განმახორციელებელი ორგანოების) საქმიანობაში. ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები ხშირად მნიშვნელოვან მხარდაჭერას არ უწევენ შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებს, რითაც სამართალდამცავი სისტემის პრესტიჟი ეცემა საზოგადოებაში. ქვეყანაში პრაქტიკულად არ ტარდება მუშაობა შრომითი კოლექტივების, საზოგადოებრივ-პოლიტიკური და თვითშემოქმედებითი ორგანიზაციების მიერ სამართალდარღვევათა პროფილაქტიკის თვალსაზრისით.

თანამედროვე პირობებში სასჯელალსრულებითი დაწესებულებებიდან გათავისუფლებული მსჯავრდებულებისათვის ძნელია მართლზომიერი ქცევის ვარიანტების შერჩევა და იმით სარგებლობა. ვერ ნახულობენ რა თავიანთ სასურველ ადგილს ახალ სოციალურ გარემოში, აღნიშნული პირები ცდილობენ მოიძიონ თავიანთი ძველი ნაცნობი დაშნაშავეები და დაამყარონ მათთან ახალი დანაშაულებრივი კონტაქტები. დანაშაულთა უმრავლესობას

რეციდივისტები სწადიან პირველ წელს თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან განთავისუფლების შემდეგ, ხოლო რეციდივისტები, რომლებზედაც მისჯილი სასჯელი დაკავშირებული არ იყო საზოგადოებისაგან მის იზოლაციასთან – დანაშაულს სწადიან გამოსაცდელი ვადის ან გამასწორებელი სამუშაოს პირველსავე წელს. იშვიათი არ არის მათი მხრიდან დანაშაულის ჩადენის ფაქტები განთავისუფლებიდან პირველსავე დღეებში.

ასეთი მოვლენის მიზეზია არადროული ან არასაკმარისი სოციალური ადაპტაცია, სოციალური დახმარების აღმოუჩენლობა რეციდივისტებთან მიმართებაში, ასევე სისტემური ხასიათის პოზიტიური დამოკიდებულების უქონლობა შინაგან საქმეთა ორგანოების მხრიდან. ბევრი მსჯავრდებული თავისუფლების აღკვეთის ადგილებში ყოფნისას კარგავს სოციალურად სასარგებლო კავშირებს მთლიანად ან ნაწილობრივ, ხოლო განთავისუფლების შემდეგ არ შეუძლიათ შრომითი ან საბინაო საკითხების მოგვარება. მსჯავრდებულთა შრომითი მოწყობის პრობლემა თანამედროვე პირობებში გამწვავდა სხვადასხვა მიზეზის გამო, მათ შორის წარმოების საგრძნობი შემცირებით ქვეყანაში. რეციდივისტებს, როგორც წესი, აქვთ დაბალი კვალიფიკაცია და ამიტომ მენარმეებისათვის ისინი განსაკუთრებულ ინტერესს არ წარმოადგენენ. საერთოდ, რეციდივისტის პიროვნების ანტი-სოციალური მიმართულება გამოწვეულია იმ სურვილის უქონლობით, რომ ეწეოდეს პატიოსან შრომას, უფრო მეტიც, პატიოსან შრომით საქმიანობას კიცხავს დანაშაულებრივი სამყაროს არაფორმალური კანონები.

რეციდივისტები ისწრაფვიან იოლი შემოსავლისაკენ, რაც საზოგადოებრივი წარმოების ფარგლებს სცდება. ბევრმა მათგანმა გარდაქმნის („პერესტროიკის“) პერიოდში, ისარგებლა რა სამეწარმეო საქმიანობის გაურკვეველობითა და უსისტემობით, შეძლო კომერციულ სტრუქტურებში შეღწევა და იქ ქცევის საკუთარი ნორმებისა და მუშაობის შესაბამისი მეთოდების დანერგვა.

თანამედროვე რეციდივიული დანაშაულობა, მისი გაძლიერების, განმტკიცებისა და გაფართოების შედეგად, შესამჩნევ ზეწოლას ახდენს სამართალდამცავ ორგანოებზე. სახელდობრ, რეციდივი-

სტები იყენებენ ზეგავლენის სხვადასხვაგვარ საშუალებებს სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებზე, მოწმეებსა და დაზარალებულებზე. მათი მოქმედების არეალში შედის მოსყიდვა, შანაბნობა, ფიზიკურ პირთა განადგურება და სხვ.¹

§ 5. რეციდივული დანაშაულობის თავიდან აცილება

რეციდივული დანაშაულობის თავიდან აცილება გულისხმობს იმ მიზეზებსა და პირობებზე ზემოქმედებას, რომლებიც განსაზღვრული სახის დანაშაულობის წარმოშობას განაპირობებს. რეციდივულ დანაშაულობასთან ბრძოლამ უნდა მოიცვას კომპლექსი ღონისძიებებისა საერთო-სოციალურ, სპეციალურ-კრიმინოლოგიურ და ინდივიდუალურ დონეზე.

თანამედროვე პირობებში რეციდივული დანაშაულობის თავიდან აცილებაში ერთობ მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ეკონომიკური რეფორმების წარმატებით ჩატარებას, ზნეობრივ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაუმჯობესების, ქვეყანაში ვითარების საერთო გაჯანსაღებისა და სხვ., ესე იგი იმ ღონისძიებებს, რომლებიც უნდა განხორციელდეს საერთო-სოციალურ დონეზე.

რეციდივული დანაშაულობის სპეციფიკა განსაზღვრავს იმ სამართლებრივ, ორგანიზაციულ, პედაგოგიურ და სხვა ხასიათის სპეციალურ ღონისძიებათა განხორციელების აუცილებლობას, რომელთა მიზანია ახალ დანაშაულთა თავიდან აცილება. რეციდივული დანაშაულობის თავიდან აცილების მიზნით გასატარებელი ღონისძიებები უნდა მოიცავდეს ცხოვრებისა და შრომის პირობების გაუმჯობესებას, თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან განთავისუფლებულ პირთა შრომით დასაქმებას, მათ ქცევაზე კონტროლსა და ა. შ.

¹ რეციდივული დანაშაულობის მიზეზებსა და პირობებზე იხ.: Зелинский А. Ф. Рецидив преступлений. Структура, связи, прогнозирование. Харьков, 1980; Гординец Ф. М., Смирнов Л. Б., Спицнадель В. Б. Юридическая ответственность осужденных. Монография. СПб., 1997; Криминология. Под ред. проф. А. И. Долговой. М., 1997.

რეციდივული დანაშაულობის თავიდან აცილებაში ფართოდაა გამოყენებული ისეთი საერთო პროფილაქტიკური ხასიათის ღონისძიებები, როგორცაა: სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა გამოსვლები ტელევიზიით, რადიოთი, პრესის ფურცლებზე, მშრომელთა კოლექტივების წინაშე და რაც მიმართულია საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებისა და სამართალდარღვევებთან ბრძოლის გასაძლიერებლად.

„მსჯავრდებულთა თითქმის მესამედს, რომლებიც ხშირად სწადიან არამოტივირებულ დანაშაულებს, გააჩნიათ გარკვეული გადახრები ფსიქიკაში, რაც ერთობ აძნელებს მათთან პროფილაქტიკური საქმიანობის განხორციელებას“¹.

უნდა აღინიშნოს, რომ რეციდივის ალბათობა ბევრადაა დამოკიდებული პირველი დანაშაულის რეაქციაზე, სახელდობრ, დაექვემდებარა თუ არა პირი, რომელმაც პირველად ჩაიდინა დანაშაული, სისხლისსამართლებრივ ზემოქმედებასა და გამოსწორებას. რეციდივული დანაშაულობის პროფილაქტიკა წინასწარი გამოძიებისა და სასამართლოში საქმის განხილვის სტადიაზე მოიცავს დამნაშავეებისათვის ხასჯელის ფაქტობრივი აუცდენლობის უზრუნველყოფასა და იმ ღონისძიებების გატარების შესაძლებლობას, რომლებიც ხელს უშლიან დანაშაულებრივი საქმიანობის გავრძელებას.

რეციდივული დანაშაულობის თავიდან აცილების წინა პირობას წარმოადგენს უწინარეს ყოვლისა სასჯელთა დახვეწილი სისტემის არსებობა და მისი გამოყენების სწორი პრაქტიკა. ეს უკანასკნელი კი მოიცავს სამართლიანი სასჯელის გამოტანას იმაზე დაყრდნობით, რასაც რეციდივისტის შესწავლა და მისი ქმედების ხასიათის გააზრება ჰქვია.

რეციდივული დანაშაულობის პროფილაქტიკაში ძირითადი როლი ეკუთვნის სასჯელალსრულებით დაწესებულებებს, რომლებიც მოიცავს საერთო რეჟიმის, მკაცრი რეჟიმის დაწესებულებებსა და საპრობილეს. სასჯელალსრულებითი დაწესებულების

¹ იხ. Городинец Ф. М., Смирнов Л. Б., Спицнадель В. Б. Юридическая ответственность осужденных. Монография. СПб., 1997, с. 126.

საქმიანობა რეგულირებულია 1999 წელს მიღებული საქართველოს კანონით „პატიმრობის შესახებ“, რომელიც აწესრიგებს საქართველოს ტერიტორიაზე პატიმრობასთან, როგორც სასჯელის ღონისძიების აღსრულებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, განსაზღვრავს პატიმრობის აღსრულების ორგანოთა სისტემასა და სტრუქტურას, აღსრულების პრინციპებსა და წესებს, პატიმართა სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტიებს. სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მსჯავრდებულთა ყოფნის რეჟიმმა ხელი უნდა შეუწყოს თავისუფლებააღკვეთილ მსჯავრდებულთა გამოსწორებას, რაც სამწუხაროდ ნაკლებად ხორციელდება. სამომავლოდ ამ რაკურსით საქმიანობა უნდა გააქტიურდეს.

რეციდივული დანაშაულობის პროფილაქტიკა სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში მოიცავს ღონისძიებათა შემდეგ კომპლექსს: ა) მსჯავრდებულთა განთავსებას მათი პიროვნების დეფორმაციის ხარისხის მიხედვით; ბ) სარეჟიმო კონტროლს მსჯავრდებულთა ურთიერთობებთან მიმართებაში, რათა არ მოხდეს ანტისაზოგადოებრივი მიმართულების მქონე ჯგუფების შექმნა; გ) პროფილაქტიკურ ზემოქმედებას იმ მსჯავრდებულების მისამართით, რომლებსაც განზრახული აქვთ მართლსაწინააღმდეგო ქმედების კვლავ ჩადენა; დ) მოქმედებებს, მიმართულს დანაშაულებრივი ავტორიტეტების გამოსამჟღავნებლად და დანაშაულის ჩადენის იარაღის დასაძებნად; ე) სისხლისსამართლებრივ ღონისძიებათა დროულ გამოყენებას იმ მსჯავრდებულთა მიმართ, რომლებმაც ახალი დანაშაული ჩაიდინეს; ვ) სასჯელის მოხდის პროგრესული სისტემის გამოყენებასა და შეცვლას.

სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში გამასწორებელი ზემოქმედების ღონისძიებები დადებით ეფექტს იძლევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი ტარდება კვალიფიციური პირების მიერ და თანაც სისტემატურად, ესე იგი აღმზრდელობით ღონისძიებათა გამოყენება მოითხოვს გამასწორებელ დაწესებულებათა თანამშრომლობისგან მაღალპროფესიულ და პედაგოგიურ ოსტატობას. ამჟამად სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში, კვალიფიციური კადრების გადინებიდან გამომდინარე, მდგომარეობა გართულებულია; სხვანაირად თუ ვიტყვით, პენიტენციური სისტემა თვით-

გადარჩენის მიმე პირობებში იმყოფება. განსაკუთრებით მიმე მდგომარეობაა წარმოების კრიზისთან დაკავშირებით, მსჯავრდებულთა უმეტესობა უზრუნველყოფილი არ არის სამუშაოთი, გაუარესდა მათი მატერიალურ-საყოფაცხოვრებო უზრუნველყოფა, ყველაფერმა ამან სხვა ფაქტორებთან ერთად გავლენა მოახდინა კრიმინოგენურ სიტუაციაზე და ფსიქოლოგიურ კლიმატზე თავისუფლების აღკვეთის ადგილებში. ამასთან ერთად შეიმჩნევა გარკვეულწილად მდგომარეობის გაჯანსაღების ტენდენციებიც (იგულისხმება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელ-აღსრულების დეპარტამენტის უსაფრთხოების სამსახურის შექმნა და კვალიფიციური კადრებით დაკომპლექტება; სასჯელის მოხდის მკაცრი პირობების შემოღების ტენდენცია; სწრაფი რეაგირების სპეციალური ქვედანაყოფების შექმნა და სხვ., მაგრამ ყოველივე ეს მაინც გარედან რეაგირების ღონისძიებებია, ხოლო შედეგიანი პროფილაქტიკური ზემოქმედებისთვის საჭიროა ისეთი ღონისძიებები, რომლებიც თვით სამართალდამრღვევთა ქცევის რეფორმირებასა და მათ რესოციალიზაციას შეძლებენ.

რეციდივული დანაშაულობის თავიდან აცილების ღონისძიებები სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში, ასევე ითვალისწინებენ მსჯავრდებულთა იქ ყოფნის პირობების შემდგომ დიფერენციაციასა და სასჯელის მოხდის პროგრესული სისტემის გამოყენებას (ეს უკანასკნელი ეფუძნება რეციდივისტთა ქცევის ხასიათს). გამასწორებელი ზემოქმედების ღონისძიებებთან ერთად მსჯავრდებულთა მიმართ გამოიყენება ასევე თავიდან აცილების სპეციალური საშუალებები, მათ მიეკუთვნება: მსჯავრდებულთა დაცვა და მათზე ზედამხედველობა, სპეციალური ტექნიკური საშუალებების გამოყენება, განსაკუთრებული პირობების რეჟიმი, უსაფრთხოების ღონისძიებების გამოყენება და სხვ. სასჯელაღსრულების კანონდებლობა და კერძოდ კანონი „პატიმრობის შესახებ“, ნებას რთავს სასჯელაღსრულების დაწესებულებათა ადმინისტრაციას მასობრივი არეულობის შემთხვევაში, აგრეთვე მსჯავრდებულთა ვგუფური ურჩობის დროს, შემოიღოს განსაკუთრებული პირობების რეჟიმი. ზემოაღნიშნულ დაწესებულებებში სამართალდარღვევათა ჩადენისთვის მსჯავრდებულებს შეიძლება

დაეკისროთ იურიდიული პასუხისგება (დისციპლინური, სისხლის-სამართლებრივი და მატერიალური).

ყურადღებას იმსახურებს პენიტენციური რეციდივის პროფილაქტიკის ისეთი ღონისძიება, როგორცაა კოლექტივში დაძაბულობის ხარისხის პერიოდული „გაზომვა“, რაც თავიდან გვაცილებს სამართალდარღვევათა შემდგომ ჩადენას.

რეციდივულ დანაშაულობათა თავიდან აცილებაში, ასევე მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა დაეთმოს თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან განთავისუფლებულ პირთა საყოფაცხოვრებო და შრომითი პრობლემების დროულ გადაწყვეტას. საქმე იმაშია, რომ ბევრ მსჯავრდებულს, რომლებიც გათავისუფლებულნი არიან თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან, უდავოდ სჭირდებათ რეალური დახმარება შრომითი მოწყობისთვის. ამჟამად ამით დაკავებული არიან: მოსახლეობის დასაქმების ცენტრები, რომლებსაც კონტროლს უწევენ ადგილობრივი ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოები; შინაგან საქმეთა სამმართველოები, განყოფილებები; საქველმოქმედო ორგანიზაციები; გასამართლებულებისა და მისი ახლობლებისათვის ურთიერთდახმარების ასოციაციები და სხვ.

ამჟამად ყველაზე რთულ პრობლემად კვლავ რჩება სასჯელ-აღსრულების დაწესებულებებიდან გათავისუფლებულ პირებზე საცხოვრებელი ფართის მიცემა. ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოებმა ასეთი პირები უნდა აიყვანონ ბინის მიღების აღრიცხვაზე, ხოლო სოციალური რეაბილიტაციის ცენტრებმა, რომლებიც შექმნილია შინაგან საქმეთა ორგანოების მიერ და რომლებიც ამჟამად დამის ვასათევის როლს ასრულებენ, უნდა უზრუნველყონ მათთვის სათანადო პირობების შექმნა.

პროფილაქტიკური მნიშვნელობა აქვს ასევე სასჯელისაგან ვადამდე პირობით გათავისუფლებულ პირზე სათანადო თვალყურის (კონტროლის) დაწესებასა და მათთან აღმზრდელობითი მუშაობის ჩატარებას. დაკვირვებისა და აღმზრდელობითი მუშაობის მთავარი მიზანია დაეხმაროს სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან გათავისუფლებულებს ახალ პირობებთან შეგუებაში და აღმოუჩინონ მათ დროული დახმარება წამოჭრილი საკითხების გადაწყვეტაში.

აარიდოს რეციდივი, რომელიც ყველაზე ხშირად შეიმჩნევა მათი გათავისუფლებიდან პირველ ხანებში. დაკვირვება და აღმზრდელთ-ბითი მუშაობა ვადაძდე პირობით გათავისუფლებულზე ხორციელდება საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და შრომითი კოლექტივების მიერ, მათ სამუშაო, სასწავლო და საცხოვრებელ ადგილზე.

რეციდივის აღბათობის მაღალი ხარისხის შემთხვევაში იმ პირთა მხრიდან, რომლებიც გათავისუფლდნენ თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან, შინაგან საქმეთა ორგანოები უწყსებენ ადმინისტრაციულ ზედამხედველობას. მისი მიზანია - ახალ დანაშაულთა ჩადენის თავიდან აცილება გათავისუფლებულთა მხრიდან და მათზე აღმზრდელობითი ზემოქმედების მოხდენა. ადმინისტრაციული ზედამხედველობა არ არის სასჯელის არც სახეობა და არც მისი ვაგრძელება, ის მიეკუთვნება პროფილაქტიკურ ღონისძიებათა რიცხვს, რომელიც ხორციელდება იძულებით. იმ პირთა მიმართ, რომლებიც იმყოფებიან ადმინისტრაციულ ზედამხედველობაში შეიძლება გამოყენებულ იქნეს შეზღუდვები, რაც შეიძლება გამოვლინდეს: განსაზღვრული დროით სახლიდან (ბინიდან) გასვლის აკრძალვის სახით; რაიონის, ქალაქის გარკვეულ პუნქტებში ყოფნის აკრძალვის სახით; პირადი საქმისათვის რაიონის, ქალაქის ფარგლებს გარეთ გასვლის აკრძალვას ან დროის შეზღუდვაში; პოლიციაში გამოძახებისთანავე გამოცხადებასა და იქ რეგისტრაციის გავლაში, რაც თვეში რამდენიმეჯერ ხდება და სხვ. ჩამოთვლილი შეზღუდვები გამოიყენება ინდივიდუალურად და მათი შერჩევითაა ითვალისწინებენ ადრე ჩადენილ დანაშაულთა ხასიათს, რეციდივისტთა ცხოვრების წესს, ოჯახურ მდგომარეობას, მუშაობის ადგილსა და სხვა გარემოებებს. შეზღუდვების შეცვლას ახდენენ შინაგან საქმეთა ორგანოები ზედამხედველობაში მყოფ პირებთან მიმართებაში და შეცვლა მოიცავს მათ მიმართ ღონისძიებათა გამკაცრებას ან შემსუბუქებას. ზედამხედველობაში მყოფი პირები, ასევე ვალდებულნი არიან გამოძახების შემთხვევაში მივიდნენ შინაგან საქმეთა ორგანოებში და მისცენ სათანადო ხასიათის ზეპირი ან წერილობითი ახსნა-განმარტებები.

რეციდივული დანაშაულობის პროფილაქტიკის არსებული სისტემა მოძველდა და არ აკმაყოფილებს თანამედროვე პირობებს. საჭიროა პროფილაქტიკის ახალი თანამედროვე სისტემის შექმნა, რომელიც დამყარებული იქნება საქართველოს კონსტიტუციასა და საერთაშორისო სამართლებრივ დოკუმენტებში განმტკიცებულ პრინციპებზე. პროფილაქტიკის ახალი სისტემა უნდა მოიცავდეს: ა) კომპლექსურ მიდგომას რეციდივული დანაშაულობის პრობლემების მიმართ; ბ) პროფილაქტიკის სხვადასხვა სუბიექტების ურთიერთმოქმედების უფრო ფართო შესაძლებლობებს და გ) შემუშავებულ ღონისძიებათა მაქსიმალურ კონცენტრაციასა და დეტალიზაციას.

დასასრულს, დანაშაულებრივი რეციდივის პროფილაქტიკასთან დაკავშირებით აღვნიშნავთ იმასაც, რომ რეციდივული დანაშაულობის მთავარი ფაქტორი საკმაოდ ზუსტადაა დახასიათებული მელიქოსების მიერ. მათი აზრით „რეციდივის აღმოცენება (წარმოშობა) ყოველთვის დაკავშირებულია ავადმყოფობის მიზეზის არასრულად აღმოფხვრასთან“¹. შესაბამისად, დანაშაულებრივი რეციდივის თავიდან აცილების მთავარ მიმართულებად გვევლინება სოციალური დასწავლების (სენის) მიზეზების აღმოფხვრა.

დანაშაულებრივი რეციდივის პროფილაქტიკის სპეციალურ ღონისძიებებს კი მიეკუთვნება: ა) დანაშაულის გამოძიების მეთოდისა და სამართალშეფარდებითი საქმიანობის სრულყოფა; ბ) დანაშაულის ჩამდენ პირთა დაუსჯელობის მინიმუმამდე დაყვანა, ესე იგი ყველა მათგან უნდა იქნეს დასჯილი; გ) სასჯელ-აღსრულებითი სისტემის რეფორმირება იმ რაკურსით, რასაც ჰქვია თავისუფლების აღკვეთის ადგილებში მსჯავრდებულებისათვის (მათადმი დიფერენცირებული მიდგომის საფუძველზე) ცხოვრების ჰუმანური პირობების შექმნა; დ) სისხლის სამართლის კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის სრულყოფა და მათ შორის სისხლისსამართლებრივი სასჯელის ეფექტურობის ამაღლება; ე) სასამართლოს თანამშრომელთა მომზადების ღონის გაუმჯობესება იმ კუთხით, რომელიც მოიცავს მსჯავრდებულის პიროვნების შესწავლისა და კრიმინოლოგიური პროგნოზირების

¹ იხ. Большая медицинская энциклопедия. М., 1984, с. 789.

უნარს და ამის საფუძველზე სამართლიანი განაჩენის გამოტანას; ვ) ქვეყნის მოსახლეობის ფსიქიკურ დაავადებათა, ალკოჰოლიზაციისა და ნარკოტიზაციის პროფილაქტიკა; ზ) ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების საქმიანობის სრულყოფა იმ პირთა განმეორებითი რესოციალიზაციის მიზნით, რომლებიც გათავისუფლდნენ თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან. დასახელებული ორგანოების საქმიანობის სრულყოფა ასევე მოიცავს სასჯელაღსრულებითი დაწესებულებებიდან გათავისუფლებული პირებისათვის ცხოვრების მინიმალური ნორმალური პირობების შექმნას; თ) სასჯელაღსრულებითი დაწესებულებებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ძალთა კოორდინაცია, რაც მიმართული უნდა იყოს რეციდივისტთა სოციალური რეაბილიტაციისათვის. მათ რესოციალიზაციაში გარკვეული როლი უნდა დაეთმოს რელიგიურ (სულიერ) აღზრდასაც.

2136/13




Заур Цулая
Криминология
Общая часть
(на грузинском языке)
Тбилиси – 2003

Zaur Tsulaia
Criminology
General Part
(in Georgian)
Tbilisi – 2003

Zaur Tsulaia
Kriminologie
Allgemeiner Teil
(in georgischer Sprache)
Tbilissi - 2003

გ. 14. 2009.



K 257.504

3

34705020
216-2170503



h

